# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები



№10 2010



თბილისი TBILISI

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Georgian National Academy of Sciences

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი
Centre for Preservation and Studies of Antiquities

კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების საერთაშორისო ფონდი
Cultural Antropology Development International Foundation

# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№10

# Monuments of Georgian Cultural Heritage

№10

თბილისი
Tbilisi
2010

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

# თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2006 - 2010 წლებში ჩატარებული

# არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები

უაკ (UDC) 902/904 (479.22
მ295

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი) მიერ წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ჩატარებული გათხრების დოკუმენტური ანგარიშების კრებულს.

ჟურნალის მე-10 ნომერში ქვეყნდება წალკის სოფ. ავრანლოს, ედი-ქილისას, სანთის და თეთრიწყაროს სოფ. ახალსოფლის და წინწყაროს მიდამოებში გათხრილი არქეოლოგიური ობიექტების ანგარიშები.

**მთ. რედაქტორი**
**გოდერძი ნარიმანიშვილი**

**Editor-in-chief**
**Goderdzi Narimanishvili**

**სარედაქციო საბჭო:**
ამირანაშვილი ჯუანშერი
კვაჭაძე მარინე
მელიქიშვილი ლია
მინდიაშვილი გიორგი
შანშაშვილი ნინო

**Editional board**
Amiranashvili Juansher
Kvatchadze Marina
Melikishvili Lia
Mindiashvili Giorgi
Shanshashvili Nino

ISBN 99928-0-794-6
ISBN 99928-0-795-4

© სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი
Centre for Preservation and Studies of Antiquities
© ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

სარჩევი

**გ. ნარიმანიშვილი, ჯ. ამირანაშვილი,**
**მ. კვაჭაძე, ნ. შანშაშვილი**
არქეოლოგიური გათხრები სოფ. ავრანლოში 2006 წელს ---------------------------------------- 5

**გ. ნარიმანიშვილი, ბ. მურვანიძე**
**რ. დავლიანიძე, მ. კვაჭაძე**
მარაბდა-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის წინწყარო-სამშვილდის მონაკვეთზე
2008-2010 წწ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში --------------------------------------- 99

გ. **ნარიმანიშვილი, რ. დავლიანიძე,**
**გ. გიუნაშვილი, მ. კვაჭაძე, ი. ქორიძე, მ. ცინდელიანი**.
არქეოლოგიური გათხრები ახალსოფელში --------------------------------------------------- 199

**გ. ნარიმანიშვილი, რ. დავლიანიძე,**
**ბ. მურვანიძე, მ. კვაჭაძე**
არქეოლოგიური გათხრები ედი-ქილისას ნამოსახლარზე ---------------------------------- 303

**გ. ნარიმანიშვილი**
სანთის ყორღანის არქეოლოგიური გათხრები -------------------------------------------- ---------- 383

გოდერძი ნარიმანიშვილი, ჯუანშერ ამირანაშვილი,

მარინე კვაჭაძე, ნინო შანშაშვილი

# არქეოლოგიური გათხრები

# სოფელ ავრანლოში

დოკუმენტური ანგარიში

თბილისი
2006

თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2006 წელს საველე საუშაოები ჩაატარა თრიალეთში, წალკის რაიონის სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე.

თრიალეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. აქ თავმოყრილია თითქმის ყველა პერიოდის, როგორც პრეისტორიული, ასევე ისტორიული პერიოდის ძეგლები, მდიდარი და მრავალფეროვანი მასალით.

სოფელი ავრანლო მდებარეობს წალკის რაიონში, მდინარე ქციის ნაპირებზე, წალკიდან 35 კმ დაცილებით, ზღვის დონიდან 1580 მ სიმაღლეზე.

სოფელი ავრანლო მდებარეობს წალკის რაიონში, მდინარე ქციის ნაპირებზე, წალკიდან 35 კმ დაცილებით, ზღვის დონიდან 1580 მ სიმაღლეზე.

ავრანლოს ძველი სახელწოდებაა - თეზი, ავრანლო უწოდეს 1828-1829 წწ ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა. სოფლის ძველი სახელი თეზი რომ ყოფილა, ამას ადასტურებს ვახუშტის რუკის შედარება თანამედროვე რუკებთან. ძველი თეზის და თანამედროვე ავრანლოს გაიგივებას მოიაზრებენ ე. თაყაიშვილი, დ. ბერძენიშვილი, თ. ჩიქოვანი [Такаишвили 1913, 45; ჩიქოვანი 1973, 16; ბერძენიშვილი 1982, 15].

ვახუშტი ბაგრატიონი ამ მიდამოების შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის - „არწივანს, თეზის ხრამსა შინა, არს მონასტერი, კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი“ [ვახუშტი 1973, 320]. დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „მართლაც, კანიონში გამოქვაბულებია და ორი დარბაზული ეკლესიაც დგას. ესენი გვიანი გადაკეთების კვალს ატარებენ, მაგრამ ადრეფეოდალური არქიტექტურული დეტალებიცაა შემორჩენილი.... ქციის ზემო წელზე ისეთი ტოპონიმების თავმოყრამ, როგორიცაა საპიტიახშო, რეხა, აბიბოს მონასტერი, წარმოშვა ვარაუდი, რომ აბიბოს ნეკრესელის წამება თრიალეთის რეხაში (ავრანლოს მახლობლად) უნდა მომხდარიყო [ბერძენიშვილი 1982, 16]. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ აბიბოსი დასაჯეს შუა ქართლში, სამთავისის მახლობლად, საიდანაც ეს ამბავი შემდეგი დროის ტრადიციამ წალკის რეხაში გადაიტანა; შემდეგ ამ უკანასკნელში გაშენებულა აბიბოსის სახელობის მონასტერი [კეკელიძე 1968, 178]. ჯ. გვასალიას აზრითაც „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" რეხა უეჭველად შიდა ქართლის რეხაა“ [გვასალია 1982, 52-53]. დ. ბერძენიშვილის აზრით, შიდა ქართლის რეხის სასარგებლოდ მეტყველებს მარტვილობის ის ადგილი, სადაც რეხის „გარემოს ქალაქებზეა“ საუბარი. ასეთი რამ, მისი აზრით VI საუკუნის თრიალეთის რეხასთან წარმოუდგენელია, შიდა ქართლში კი მაშინ იყო ურბნისი, უფლისციხე, კასპი, მცხეთა, სადაც ჯუანშერის ცნობით, საბოლოოდ დაუმარხავთ კიდეც აბიბოსი [ბერძენიშვილი 1982, 17]. მაგრამ „მოქალაქეობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელისა“ ნათქვამია, რომ როდესაც „მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა და მცველნი განეწესნეს მის ზედა, ხოლო სამგზის სანატრელსა წმიდისა მის მოწამისა ხორცთა არაი შეეხო მხეცთა და მფრინველთაგანი. და ვითარ მყუარ სცვიდეს, დაუტევეს იგი და წარვიდეს. მაშინ მოვიდეს რომელნი-იგი მყოფ იყვნენ ქუაბსა მას, რომელი იგი მათვე წმიდათაგან სავანესა აღეშენა მონასტერი და აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა აბიბოისნი დიდითა პატივითა დაჰკრძალეს ადგილსა მას“ [ჰაგიოგრაფია 1947, 107].

ჩვენი აზრით, ეს ცნობა თეზის ხრამში მდებარე აბიბოს ნეკრესელის მონასტერზე მიუთითებს. თრიალეთშია „ქალაქი და ციხენი ბოჟანა“, საიდანაც დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა ანისში; კარუშეთი, სადაც თავისი ლაშქრით იდგა ბაგრატ IV და ხევღრმა, სადაც გარდაიცვალა გიორგი I [ქც 1955, გვ. 291]. ასე, რომ ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეების თრიალეთში, საკუთრივ თანამედროვე ავრანლოს მიდამოებში ქალაქური ტიპის დასახლებები და მეფეთა დასასვენებელი არსებულიყო. თუ მარტვილობა წლის ცხელ სეზონში მოხდა, შეიძლება სპარსელი მოხელეები აქ

ისვენებდნენ. თრიალეთი ხომ ქართველ მეფეთა ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილი იყო.

თრიალეთის სიძველეებს პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ე. თაყაიშვილმა. სოფ. ავრანლოსთან მან ნახა გამოქვაბულები, აგრეთვე აღნიშნა, რომ სხვა ნაგებობების კვალიც შეიმჩნევაო. ე. თაყაიშვილის აზრით, ეს არის აბიბოს მონასტრის ნაშთები [Такаишвили 1913, 46]. მონასტრის მიდამოებში ქართულ წარწერას მიაკვლია დ. ბერძენიშვილმა, რომელსაც იგი ასე კითხულობს: "[-] მქ ბს [-] მმნი/[დ]აყუდებუ/ლსა ღ(მერთმა)ნ შეუ/ნდვენ ა(მე)ნ მწი/გნ(ო)ბ]რი [სძე ხა/და (ა)ქ მ(ა)რხია" და წარწერას XII-XIII სს ათარიღებს. მისი ვარაუდით, ეს იყო ვინმე დაყუდებული მწიგნობრის საფლავი, რომელიც ერთ-ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა [ბერძენიშვილი 1982, 15-16].

სოფ. ავრანლოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია „ციკლოპური" ციხე-სიმაგრე, რომელიც სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას დგას. ე. თაყაიშვილი მხოლოდ მეგალითურ კედელზე მიუთითებს: „Вдоль скалы длинная ограда из нагроможденных друг на друга огромных камней" [Такаишвили 1913, 45], თუმცა მისი აღწერა მოცემული არა აქვს.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა „ციკლოპური ნაგებობის ნაციხარ-ნაქალაქარი" მიაკუთვნა მეგალითური კულტურის ძეგლებს [მელიქსეთ-ბეგი 1938, 57]. „ნაქალაქევი, რომელიც მდინარეს დასცქერის ამფითეატრივით, სამი საფეხურისაგან შედგება: 1 - მთის ძირში; 2 - მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე პატარა დავაკებულ ადგილას და 3 - მთის წვერზე ..... პირველი (ქვედა) საფეხური ანუ ტერასა შედგება გრძელი ზღუდისაგან, რომელიც რკალისებრი გეგმისაა, მთაზე მიყუდებული, სიგრძით 100 მეტრამდე, სიმაღლით 3-4 მ, ზოგან 4,5 მ, სისქით 2-2,5 მ. ზღუდეს აქვს ერთი კარი წყაროს მახლობლად, შემდეგი ზომისა: სიმაღლით სისქით და სიგანით 1,5 მ, იგი გადახურულია უზარმაზარი ქვით, რომლის სიგრძეა 2,25 მ., სიგანე - 1,5 მ. ამ ზღუდესა და მთას შორის მოგრძო ტერიტორიაზე ერთადერთი შენობაა პატარა ეკლესია. ამ საეკლესიო კომპლექსის გვერდით, დასავლეთისკენ ზღუდის წვერამდე აუარებელი გამოქვაბულია, ზოგი დაუმუშავებელია, ზოგი კი ოდნავ დამუშავებული. მეორე (საშუალო) ტერასა, რომელიც მთის ფერდობის შუა სიმაღლეზეა, ოთხკუთხედის გეგმისაა, რამდენიმე მეტრის სიგრძისა და სიგანის; იგი წარმოადგენს ნაციხარს, სადაც ახლა ავრანლოელებს ბოსტანი გაუშენებიათ. მესამე (ზევითი) ტერასა კი, რომელიც მთის წვერზეა, შედარებით უფრო დიდი ნაციხარია, ოთხკუთხედის გეგმისა; სიგრძით 25 მ, სიგანით 18 მ კედლის სისქე 3-4 მ, იგი თითქმის დაშლილია" [მელიქსეთ-ბეგი 1938, 57-58] (სურ. 5,6).

პირველი არქეოლოგიური გამოკვლევა ავრანლოს ტერიტორიაზე ბ.კუფტინმა 1940 წელს ჩაატარა [Куфтин 1940, 14]. თუმცა ციკლოპური ნაგებობების შესწავლა მათი სამარხებთან კავშირის გამოსავლენად მას დღის წესრიგში ჰქონდა დაყენებული ჯერ კიდევ 1938 წელს. იგი აღნიშნავდა „Развернувшиеся исследования ставят целый ряд проблем о .....связях циклопических строений с различными типами погребений в долине" [Куфтин 1938, 1]. ავრანლოს ციხის აღწერისას ბ.კუფტინი აღნიშნავდა, რომ „კედლები იგივე ხასიათისაა, რაც ნარდევანის ციხის, მხოლოდ ნაკლებად მასიური. გეგმაში კი უფრო არასწორი მოხაზულობა აქვს, ვიდრე ნარდევანის ციხეს" [Куфтин 1940, 14.] ავრანლოს ციხეზე ბ.კუფტინმა ორი შურფი გაჭრა ციხის შიდა ეზოს ზედა მოედანზე და გარეთ დასავლეთის კედლის წინ. აგრეთვე გაასუფთავეს ციხის შესასვლელი კარი, მაგრამ შუასაუკუნეების კერამიკის ფრაგმენტების გარდა ვერაფერი ნახა [Куфтин 1940, 41-42], თუმცა ბ.კუფტინი აღნიშნავს, რომ ავრანლოში მოპოვებული მასალა ნარდევანის კერამიკისგან განსხვავდება იმით, მასში ურევია კარგად გამომწვარი შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ზოგჯერ გოფრირებული ზედაპირით [Куфтин 1940, 42].

1941 წელს სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარელოვების საკარმიდამო ნაკვეთში ბ.კუფტინმა აღმოაჩინა ადრე რკინის ხანის და აქემენიდური ეპოქის სამაროვანი, რომელიც ძმების სათაროვების, კარელოვების და აშკალოვების ნაკვეთებშიც გრძელდებოდა. კუფტინი აღნიშნავს, რომ ყველა სახლის ზღუდე ნაგები იყო ირიბად დაყენებული საფლავის ქვის ფილებისაგან. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხების ინვენტარი კი ზოგს სახლში ჰქონდა შენახული. მთელ და მყარ თიხის ჭურჭელს მეურნეობაშიც იყენებდნენ. საჩვენებლად აქატის და სერდოლიკის მძივებიც მიუტანიათ. ადგილობრივი სკოლის დირექტორმა, ს. იორდანოვმა ბ. კუფტინს გადასცა ამ სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს კაუჭი და ორი მოჭიქული ჭურჭელი, რომლებიც ბ. კუფტინმა ხოჯალიში აღმოჩენილი ჭურჭლის ანალოგიურად მიიჩნია. ეს უკანასკნელი კი კარგად თარიღდებოდა ადადნერარის სახელიანი მძივით. ავრანლოს სამაროვანზე აღმოჩენილი იყო აგრეთვე რომაული ვერცხლის დენარი ავგუსტუსის გამოსახულებით. გიორგი აშკალოვის ცნობით, ეს ნივთები მამამისს, გრიგოლს უნახავს თავის ნაკვეთში. იქვე აღმოჩენილი ყოფილა ბრინჯაოს ორთითა, რომელიც ლენინგრადში წაუღია ა. კარელოვს [Куфтин 1948, 9]. სოფ. ავრანლოს ბ. კუფტინი კვლავ ეწვია 1948 წელს და ორი ყორღანი გათხარა: „კუჩუკ-თეფე", რომელიც სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სათიბებში მდაბარეობდა და სოფ, გუმბათისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ე.წ. „სამასწავლებლო" ყორღანი. ორივე ცარიელი აღმოჩნდა. ამავე წელს ს. კარელოვის მინდორში გათხარა ადრე რკინის ხანის 15 ქვაყუთი. ზოგი სამარხი გაძარცული იყო, ზოგში კი კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები და პასტის და სერდოლიკის მძივები აღმოჩნდა [Куфтин 1948, 11]. სოფ. კუშჩისკენ მიმავალ გზაზე მან ორი ყორღანი დააფიქსირა, სოფლის ნაპირას, სახლის მშენებლობისას სამარხი გათხარა. მისი ინვენტარი შეიცავდა ორ თიხის ჭურჭელს, ფეხის ფორმის ამულეტს, რომელიც ბრინჯაოს ძეწკვზე იყო ჩამოკიდებული და ბეჭედს [Куфтин 1948, 26].

დ. მშვენიერაძემ თავის ნაშრომებში „Строительное дело в Древней Грузии" და „Строительное искусство в Древней Грузии" აღწერა ავრანლოს ციხე. იგი აღნიშნავს, რომ ციხე სამ იარუსადაა განლაგებული. პირველი იარუსი წარმოდგენილია გრძელი, 80 მ. სიგრძის კედლით, რომლის სიმაღლე ზოგან 3 მ. აღწევს. იარუსები სამხრეთ მხარეს არიან მიმართული, მდინარისკენ. მთელ კედელში ერთი კარია გამართული. მისი სიმაღლე 1,90 მ, სიგანე 1,75 მ-ია. კარი გადახურულია ერთი მონოლითით, რომლის სიგრძე 2,2 მ, და სიგანე 1,8 მ.-ია. ქვედა იარუსში ცალკეული მონოლითების ზომები 2,0 X 2,5 X 3,0 მ-ია. მეორე იარუსზე კედლები სამფენადაა ნაგები. ნაპირებზე მსხვილი მონოლითებია დაწყობილი, შიდა სივრცე კი მცირე ზომის ქვებითაა შევსებული. მათი ზომები 0,30 X 0,30 X 0,20 - 0,15 X 0,15 X 0,10 მ-ია. ზედა, მესამე იარუსზე ციხეა განლაგებული. დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარე კლდეს გადაჰყურებს. დასავლეთის მხრიდან პატარა მოედანია გამართული, მისი ზომებია 20,0 X 35,0 მ. იგი მსხვილი ქვებითაა შემოზღუდული. მესამე იარუსის ციხის ზომებია 25,0 X 35,0 მ. კედლების სისქე 4,0 – 8,0 ??მ-ია. იარუსებს შორის კავშირი ხორციელდებოდა დიდი მონოლითების მეშვეობით. ციხიდან მარჯვნივ მდებარეობს ბუნებრივი გამოქვაბული დამუშავების კვალით. გამოქვაბულის წინ მოედანია, რომელიც აგრეთვე მსხვილი ქვებითაა შემოზღუდული [Мшвениерадзе 1959, 11]. დ. მშვენიერაძე აღნიშნავს, რომ ავრანლოში, მეორე და მესამე იარუსზე ნამდვილი „ციკლოპური" წყობა გვაქვს, რომელსაც ახასიათებს დიდი ზომის ქვები, მშრალი წყობა და წყობის თავისებური ხასიათი (სურ. 5,6). ისინი იგებოდა როგორც ძნელად დასაშლელი ნაგებობები და მიწისძვრის შემთხვევაში გაცილებით დრეკადია. ამ პრინციპს ეყრდნობოდა არქიტექტურის მთელი შემდგომი კონცეფცია ძველ საქართველოში ანტიკურ ეპოქამდე [Мшвениерадзе 1959, გვ. 13].

1998 წელს ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ დახმარებით, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციამ შეადგინა ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის გენგეგმა, შეადგინა ზედა და ქვედა სიმაგრეების გეგმები. ამავე დროს ნამოსახლარისა და სიმაგრის ტერიტორიაზე ზედაპირულად აიკრიფა პალეოლითური და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები (ქვის ნაკეთობები, კერამიკა).

2003 წელს სოფ. ავრანლოს მკვიდრის გიორგი აშკალოვისაგან (ეს პიროვნება კარგად იცნობდა ბ. კუფტინს და მონაწილეობას იღებდა ო. ჯაფარიძის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რამაც მას სიძველეთა მიმართ ინტერესი დღემდე შემოუნახა) თრიალეთის ექსპედიციამ მრავალრიცხოვანი კოლექცია შეიძინა, რომელიც ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით ყველა ეპოქის მასალას შეიცავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლითონის ნივთები, მათ შორის გამოირჩევა ხარის თავით შემკული ლითონის კაუჭი.

2006 წელს არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა „ციკლოპური“ სიმაგრის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორზე (სურ. 1A). სამუშაოები დაკავშირებული იყო „BP საქართველოს“ მიერ განხორციელებულ პროექტთან, რომელიც წალკის მუნიციპალიტეტის ზემო ზონის სოფლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობას ითვალისწინებდა. სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანდა ნამოსახლარის კულტურული ფენები.

2004 წლის გაზაფხულზე ძეგლის დათვალიერებისას გაირკვა, რომ სასმელი წყლის მილებისათვის არხის გაყვანისას დაზიანდა თეზის „ციკლოპური“ სიმაგრის ჩრდილოეთით მდებარე მინდორზე მდებარე ნამოსახლარის ერთი ნაწილი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანასთან დაკავშირებით, კომპანია „BP“ რეგიონის მოსახლეობას სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებას უწევს, ასევე ზრუნავს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა წალკის რაიონის ზემო ზონის სოფლებისათვის სასმელი წყლის გაყვანა.

სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა შპს „აი-დი-სი“, რომელმაც სოფლებს – რეხას, ავრანლოს, გუმბათს, ყიზილ-ქილისას გაუყვანა სასმელი წყლით მომარაგების სისტემა: წყლის რეზერვუარებით და მილების განშტოებებით. სასმელი წყლის სათავე მდებარეობს მდ. ქციის ხეობაში, მთა თავკვეთილის ძირში, საიდანაც გამოიყვანეს 20 კმ მეტი სიგრძის არხი, სოფ. ავრანლოს მიმართულებით.

სოფ. ავრანლოს ჩრდილო-დასავლეთით აღმართულ ზეგანზე მდებარე მინდვრის აღმოსავლეთ კიდესთან გამართულია სასმელი წყლის ძირითადი რეზერვუარი, საიდანაც დასავლეთით მილები მიემართება სათავისაკენ, აღმოსავლეთით კი სოფლებისაკენ. სასმელი წყლის მილს ეს მინდორი თითქმის შუაში აქვს გადაკვეთილი.

ძეგლის ხასიათის, სტრატიგრაფიისა და საზღვრების დადგენის მიზნით ექსპედიციამ „ციკლოპური“ სიმაგრის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორზე 2006 წლის რამდენიმე თხრილი გაავლო (სურ. 1B).

მინდვრის სამხრეთით მოედინება მდ. ქცია, რომლის ღრმა კანიონის გასწვრივ, ფრიალო ფერდობებზე და თხემზე გაშენებულია „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრე (სურ. 7), კანიონის კედელში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. ციხე აგებულია პატარა კონცხზე, დიდი ზომის ბაზალტის ქვებით, მშრალი წყობით. ციხეს ჩრდილოეთიდან ჩამოუდის მოზრდილი რუ, რომელიც გამოედინება ციხის ჩრდილოეთით, დაახლ. 1,5-2,0 კმ დაშორებული წყაროდან და როგორც ჩანს, თავის დროზე ციხეს ამარაგებდა სასმელი წყლით.

ციხეს ჩრდილოეთით და დასავლეთით ეკვრის ზემოთხსენებული მინდორი, რომლის ზედაპირზეც ვიზუალურად შეინიშნება ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაშთები (სურ. 1A). მინდვრის ჩრდილოეთ განაპირას აღმართული დაბალი ქედის ფერდის ძირში შარა გზა გადის, რომელიც სოფ. ავრანლოს სოფ. რეხასთან აკავშირებს, საიდანაც გზა სოფ. ხანდოს გავლით გუჯარეთის ხეობაში გადადის და ბაკურიან-ბორჯომის ხეობაში ჩადის.

ავრანლოს ციხისა და მის მიმდებარედ არსებული მინდვრის სახელწოდება შემორჩენილი არ არის. ადგილობრივი, მოსული თურქულენოვანი ბერძენი მოსახლეობა ამ მინდორს „დანალახ დუჟი“-ს უწოდებს, რაც „ხბორების მინდორს“ ნიშნავს.

ნამოსახლარი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განფენილია მთელ მინდორზე, „ციკლოპური“ ციხიდან სამანქანო გზამდე. იგი უფრო ინტენსიური ჩანს სამხრეთ ნაწილში, ციხესთან ახლოს, რომლისაგანაც ზემოთ აღწერილი ხევითაა გამოყოფილი.

ეს ხევი ნამოსახლარს ორად ყოფს. ხევის დასავლეთით მდებარე მინდორი ათეული წლების მანძილზე იხვნებოდა.

წყალსადენის მშენებლობისას დაზიანებული კულტურული ფენების შესასწავლად შპს „აი-დი-სი"-სა და ოთ.ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტს შორის დაიდო კონტრაქტი (№ 0314-5\14.09.2006). არქეოლოგიური გათხრების ჩატარება თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა.

ექსპედიციამ ველზე იმუშავა 2006 წლის 29 სექტემბრიან 12 ოქტომბრის ჩათვლით. საველე სამუშაოებში მონაწილობა მიიღეს: გოდერძი ნარიმანიშვილი – ექსპედიციის ხელმძღვანელი, ჯუანშერ ამირანაშვილი – მოადგილე, მარინე კვაჭაძე და ვერა ესაკია – არქეოლოგები, ალექსანდრე თევზაძე – ტოპოგრაფი, რევაზ ნარიმანიშვილი – მძღოლი, ბორის მავრანგელოვი – დარაჯი და მუშები.

სამუშაოები მინდორზე იმ ადგილებში წარიმართა, სადაც მინდორზე გამავალი წყალსადენის მილი ნამოსახლარის ერთ ნაწილს კვეთს. მინდორზე ვიზუალური დაკვირვებები იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ნამოსახლარი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განფენილია მთელ მინდორზე, „ციკლოპური" ციხიდან სამანქანო გზამდე. იგი უფრო ინტენსიური ჩანს სამხრეთ ნაწილში, ციხესთან ახლოს, რომლისაგანაც ზემოთ აღწერილი ხევითაა გამოყოფილი. ეს ხევი ნამოსახლარს ორად ყოფს. ხევის დასავლეთით მდებარე მინდორი ათეული წლების მანძილზე იხვნებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ეს მონაკვეთი მუდმივად სუფთავდებოდა ქვებისაგან, ხოლო დიდი ქვები სამი ათეული წლის წინ სპეციალური, მძლავრი ტექნიკით ამოთხარეს და გაიტანეს. მათი ნაწილი დღესაცაა დაგროვილი მინდვრის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. ხევის აღმოსავლეთ ნაწილს კი მხოლოდ ახალგაზრდა საქონლის საძოვრად იყენებდნენ და ამიტომ არც ხნავდნენ. ამ ნაწილში კარგად იკითხება მცირე ბორცვები, მინდორში ალაგ-ალაგ დიდი ქვებიცაა ამოჩრილი.

უკანასკნელი წლების მანძილზე ორივე მინდორს მხოლოდ სათიბად იყენებენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთელი ეს ფართობი კერძო სექტორის ხელშია მოხვედრილი.

ექსპედიციისათვის გამოყოფილი დრო და სამუშაო რესურსები შეზღუდული იყო, რის გამოც გადაწყდა, რომ წყალსადენის გასწვრივ ოთხი, მცირე ზომის თხრილის გავლება. ოთხი სადაზვერვო თხრილი სასმელი წყლის არხის სამხრეთით, 0,5-1,0 მ დაცილებით გაივლო.

ნამოსახლარის სიგრძე – სიგანე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 250 მ-ს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კი 360 მ-ს უდრის (სურ. 1A; 8).

ნამოსახლარის ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად. ნამოსახლარის მთელი ფართობი დაიყო ოთხ (A, B, C, D) უბნად. უბნები კი 18 X 24 მ ნაკვეთებად, რომლებიც დანაწილდა 6 X 6 მ კვადრატებად; კვადრატები კი 2 X 2 მ მონაკვეთებად დაიყო. მინდორზე სულ ოთხი თხრილი გაიჭრა (სურ. 1B).

სასმელი წყლის არხის შევსებაში და მიმდებარე ზედაპირზე თიხის ჭურჭლის ნატეხები იქნა დაფიქსირებული. რამდენიმე მათგანი

1. კერის ფრაგმენტი (ინვ. № 1-2006), მოყავისფროდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თეთრი მინარევებიანი თიხისაგან. აღმოჩნდა №4 თხრილის სამხრეთით .

2. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 2-2006), თიხის, მოყვითალო ზედაპირით, შიდაპირითა დკეცით. დამზადებულია კარგად განლექილი თეთრ მინარევებიანი თიხისაგან. აღმოჩნდა №3 თხრილის სამხრეთით მდებარე მინდორზე.

3. გაურკვეველი დანიშნულების თიხის ნივთი (ინვ. № 3-2006), მოვარდისფროდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ქვედა მხარე ბრტყელი, ხოლო ზედა

მხარე სქლად დაღარული. ცალ მხარეს აქვს ნახვრეტი. აღმოჩნდა №4 თხრილის სამხ-დას. მდებარე ტერიტორიაზე.

4. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 4-2006), თიხის, მოვარდისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით, დამზადებულია კარგად განლექილი ქარსნარევი თიხისაგან, ბრტყელგანივკვეთიანი. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხრეთით.

5. ანატკეცები (ინვ. № 5-2006), ობსიდიანის, ბაზალტის, ანდეზიტის. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხეთ დასავლეთით მდებარე მინდორზე.

6. სანაყი (ინვ. № 6-2006), ბაზალტის. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მინდორზე.

7. ნუკლეუსი (ინვ. № 7-2006), ანდეზიტის. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხეთ-დასავლეთით მდებარე მინდორზე.

8. ნუკლეუსი (ინვ. № 8-2006), ანდეზიტის. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხეთ-დასავლეთით მდებარე მინდორზე.

9. ნუკლეუსი (ინვ. № 9-2006), ანდეზიტის. აღმოჩნდა № 4 თხრილის სამხეთ დასავლეთით მდებარე მინდორზე.

* * *

**№ 1 თხრილი** მდებარეობს D უბნის CCLVI ნაკვეთის მე-8 კვადრატში. თხრილის სიგრძე 4,2 მ-ს, სიგანე კი 2,0 მ-ს უდრიდა. ჰუმუსის მოხსნისთანავე დიდი ზომის ბაზალტის ქვების ყრილი გამოვლინდა. ძეგლის ხასიათის დასადგენად საჭირო იყო თხრილის ყველა მიმართულებით გაფართოვება, ამიტომ სამუშაოები შეწყდა და გამოვლენილი ქვაყრილი დაკონსევდა. თხრილში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**№ 2 თხრილი** გაიჭრა D უბნის CCXXV ნაკვეთის 11, 12 და CCLV ნაკვეთის 2, 3 კვადრატებში (სურ. 2). თხრილის სიგრძე 12,0 მ-ს, სიგანე 2,0 მ-ს უდრიდა. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე წვრილი ქვით შედგენილი, 0,2 მ სისქის ინტენსიური ქვაყრილი გამოვლინდა (I დონე), რომელშიც ალაგ-ალაგ დიდი ზომის ბაზალტის ქვები იყო ამოჩრილი (სურ. 9; 11). წვრილი ქვაყრილის აღების შემდეგ გამოიკვეთა ცალპირად დაწყობილი ბაზალტის ქვების კედლები (II დონე). ისინი, მსგავსად №№ 3, 4 თხრილებში გათხრილი სამარხებისა, ოთხკუთხა ფორმის კრომლეხებს წარმოადგენენ, რომელთა ცენტრში ქვის ფილით გადახურული სამარხებია გამართული (სურ. 10; 12). თხრილში ოთხი სამარხის (№№ 7-10) კრომლეხი გამოვლინდა. სამუშაო დროის სიმცირის გამო ეს სამარხები არ გათხრილა. № 2 თხრილი ისევ მიწით შეივსო.

თხრილში აღმოჩნდა:

10. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 10-2006), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ბრტყელგანივკვეთიანი. აღმოჩნდა ჰუმუსის ფენის ქვეშ, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2 მ სიღრმეზე.

11. ჭურჭლის ფრაგმენტები, 2ც (ინვ. № 11-2006), თიხის, ლეგა-მოყავისფრო ზედაპირით და მოყვითალო შიდაპირით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,4-0,5 მ სიღრმეზე.

12. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 12-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,40-0,45 მ სიღრმეზე.

13. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 13-2006), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ეტყობა მორგვის კვალი. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,40-0,45 მ სიღრმეზე.

14. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 14-2006), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,40-0,45 მ სიღრმეზე.

15. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 15-2006), თიხის, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,40-0,45 მ სიღრმეზე.

16. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 16-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ორფენოვანი კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში ქვებს შორის, 0,40 მ სიღრმეზე.

17. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 17-2006), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ოვალურგანივკვეთიანი. აღმოჩნდა თხრილის დასავლეთ კიდესთან, 0,50 მ სიღრმეზე.

18. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 18-2006), თიხის, შავი ზედაპირით, შავი ნაპრიალები შიდაპირითა და კეცით, აქვს მომრგვალებული ბაკო, ოდნავ გადაშლილი პირი, წიბოიანი მუცელი. აღმოჩნდა თხრილის დას. ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე.

19. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები 3 ც. (ინვ. № 19-2006), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ერთი ნატეხი გახვრეტილია. აღმოჩნდა თხრილის დას. კუთხეში, 0,70 მ სიღრმეზე.

20. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 20-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილმარცვვლოვანი მინარევებით, ოვალურგანივკვეთიანი. აღმოჩნდა თხრილის აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლენილი №8 სამარხის პრეპარაციის დროს.

**№3 თხრილი** მოიცავს CXCIII ნაკვეთის მე-12, CXCIV ნაკვეთის მე-10, CCXXIII ნაკვეთის მე-3 და CCXXIV ნაკვეთის 1-ელ კვადრატებს (სურ. 3). მისი სიგრძე 9,9 მ-ს, სიგანე 4,0 მ-ს უდრის.

მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2-0,3 მ-ის სიღრმეზე, თხრილის მთელ სიგრძეზე საშუალო ზომის ბაზალტის ინტენსიური ქვაყრილი დაფიქსირდა (II დონე; სურ. 13; 17). ყრილის აღების შემდეგ გამოიკვეთა ოთხკუთხა ფორმის კრომლეხები, რომელთა ცენტრში ორმოსამარხები (№№ 5, 6) გაითხარა. № 5 სამარხის კრომლეხის ქვები შავი ფერის ნიადაგზე იყო დაწყობილი (სურ. 14; 16). ამ დონიდან 0,3-04 მ სიღრმეზე ნამოსახლარი ფენა დაფიქსირდა. სახლს თიხატკეპნილი იატაკი აქვს, რომელზეც მრავლად აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. ეს ფენა ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ნამოსახლარის ნაშთები № 6 სამარხის ზონაშიც აღმოჩნდა (სურ. 15; 21).

№ 3 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატის 5-6, 8-9 მონაკვეთებში გაითხარა სამეურნეო ორმო № 1 (სურ. 18; 19). ორმო დაფარული იყო 1,8 მ დიამეტრის ქვაყრილით (სურ. 20; 22). ორმოს დიამეტრი 0,8 მ-ია, სიღრმე 0,9 მ. ორმო შევსებული იყო ქვებითა და ალიზის შელესილობის ფრაგმენტებით, აქვე აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ორმო ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. №3 თხრილში გაითხარა №5 სამარხი (იხ. ქვემოთ).

№ 3 თხრილში აღმოჩნდა:

21. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 21-2006), თიხის, მოყავისფრო ხაოიანი ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა 0,30 მ სიღრმეზე.

22. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 22-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და სამფენიანი კეცით; წვრილმარცვლოვანი მინარევებით, აქვს ბრტყელი ბაკო. აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე.

23. ნამგლის ჩასართი (ინვ. № 23-2006), ნაცრისფერი კაჟის. აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე.

24. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 24-2006), თიხის, შავი ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით; აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე.

25. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 25-2006), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე ნაჭდევებითა და რელიეფური ხაზით. აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე.

26. მცირე ზომის დისკო (ინვ. № 26-2006), დამზადებულია თიხის ჭურჭლის ნატეხისაგან, რუხი ზედაპირით, მოყვითალო შიდაპირით. აღმოჩნდა ქვის წყობის თავზე, 0,40 მ სიღრმეზე.

27. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 27-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, მსხვილი და წვრილმარცვლოვანი მინარევებით, პირთან რელიეფური დანაძერწით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ 0,68 მ სიღრმეზე.

28. ნამგლის ჩასართი (ინვ. № 28-2006), კაჟის, ნაცრისფერი, ცეცხლში მოხვედრილი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ 0,67 მ სიღრმეზე.

29. ნამგლის ჩასართი (ინვ. № 29-2006), კაჟის, ნაცრისფერი, ცეცხლში მოხვედრილი. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ, დამწვარ ფენაში 0,72 მ სიღრმეზე.

30. ნამგლის ჩასართი (ინვ. № 30-2006), კაჟის, ნაცრისფერი, ცეცხლში მოხვედრილი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-4 კვ-ში.

31. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 31-2006), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში.

32. ჭურჭლის ფრაგმენტები, 10 ც. (ინვ. № 32-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში.

33. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 33-2006), თიხის, შავი ზედაპირით, მოწითალო შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-8 კვ-ში.

34. ჭურჭლის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 34-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-8 კვ-ში.

35. ჭურჭლის ფრაგმენტები, 7ც. (ინვ. № 35-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-8 კვ-ში.

36. ჭურჭლის პირასა და გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 36-2006), თიხის, მორუხო-მოყვითალო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და სამფენიანი კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-4 კვ-ში.

37. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 37-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCIII ნაკვეთის 9-9 კვ-ში, ქვების ქვეშ.

38. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 3ც. (ინვ. № 38-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირზე საღებავის კვალით, აღმოჩნდა CXCIII ნაკვეთის 9-9 კვ-ში, ქვების ქვეშ.

39. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 20ც. (ინვ. № 39-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, კეცში წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCIII ნაკვეთის 9-9 კვ-ში, ქვების ქვეშ.

40. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 40-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

41. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 41-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

42. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 9ც. (ინვ. № 42-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცში მსხვილი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

43. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 4ც. (ინვ. № 43-2006), თიხის, ღეგა-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

44. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 44-2006), თიხის, რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, ამოღარული ჰორიზონტალური და ირიბი ხაზებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ.

45. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 45-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და თხელი სამფენიანი კეცით; აქვს მრგვალი ბაკო, სწორი პირი და გვერდი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ.

46. ლამელას ფრაგმენტი (ინვ. № 46-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში, ქვების ქვეშ.

47. ჭურჭლის ფრაგმენტები, 6ც. (ინვ. № 47-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში.

48. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 48-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, ღია ყავისფერი შიდაპირითა და ორფენოვანი კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-1 კვ-ში,

49. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 49-2006), თიხის, მოვარდისფრო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით; წვრილმარცვლოვანი მინარევებით, აქვს ბრტყელი ძირი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

50. ანატკეცი (ინვ. № 50-2006), კაჟი, ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

51. ჭურჭლის პირის ფრაგმენი (ინვ. № 51-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

52. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 52-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

53. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 53-2006), თიხის, ღეგა-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

54. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 54-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

55. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 55-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე.

56. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 56-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აქვს ცრუ ყური და ამოღარული ხაზი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-8 კვ-ში.

57. ჭურჭლის ფრაგმენტები, 46ც. (ინვ. № 57-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აქვს ბრტყელი. ოდნავ

წაწვეტებული ბაკო და გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

58. ჭურჭლის ფრაგმენტები, 18ც. (ინვ. № 58-2006), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, მოვარდისფრო სარჩულით. წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

59. ჭურჭლის ფრაგმენტები, 2ც. (ინვ. № 59-2006), თიხის, შავი ზედაპირითა და მოყავისფრო სარჩულით. წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

60. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 60-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

61. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 61-2006), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირი შემკულია რელიეფური ორნამენტით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

62. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 62-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირი შეღებილია წითლად. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

63. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 63-2006), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-9 კვ-ში, ქვების ქვეშ 0,60 მ სიღრმეზე.

64. ჭურჭლის ფრაგმენტები, 16ც (ინვ. № 64-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით, ზედაპირი დამსკდარია. ერთ ნატეხს აქვს ამოღარული ჰორიზონტალური ხაზები. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3 კვ-ში, ქვების ქვეშ.

65. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 65-2006), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, სქელკეციანი. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3 კვ-ში, ქვების ქვეშ.

66. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 6ც. (ინვ. № 66-2006), თიხის, მოშავო ზედაპირითა და მონაცრისფრო სარჩულით. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3 კვ-ში, ქვების ქვეშ.

67. ანატკეცები 3 ც. (ინვ. № 67-2006), ყავისფერი ობსიდიანის. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3 კვ-ში, ქვების ქვეშ.

68. ჭურჭლის ფრაგმენტები, 10ც. (ინვ. № 68-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3,6 კვ-ში, ქვების ქვეშ დამწვარ ფენაზე.

69. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 69-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ზედაპირითა. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3,6კვ.-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

70. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 70-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, მოვარდისფრო შიდაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო კეცით, შეიცავს წვრომარცვლოვან მინარევებს. აქვს მრგვალი ბაკო და სწორი პირი. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3,6კვ.-ში, ქვების ქვეშ, დამწვარ ფენაში.

71. ჭურჭლის ფრაგმენტები, 11ც. (ინვ. № 71-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3,6 კვ-ში, ქვების ქვეშ დამწვარ ფენაზე.

72. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 72-2006), თიხის, შავი ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აქვს ბრტყელი ოდნავ წაწვეტებული ბაკო და გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CCXXIII ნაკვეთის 3-3,6 კვ.-ში, ქვების ქვეშ დამწვარ ფენაში.

73. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 73-2006), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან

მინარევებს. აქვს გვერდზე გაბტყელებული ბაკო და ოდნავ გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-4 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

74. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 74-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-4 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

75. ჭურჭლის ფრაგმენტები, 6ც. (ინვ. № 75-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-4 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

76. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 76-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5,8 კვ-ში, 0,60 მ. სიღრმეზე.

77. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 77-2006), თიხის, შავი ზედაპირით, მოვარდისფრო შიდაპირითა და მოვარდისფრო-მონაცრისფრო ორფენოვანი კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5,8 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

78. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 78-2006), თიხის, ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5,8 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

79. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 79-2006), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და მოყავისფრო-მონაცრისფრო კეცით; შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-5,8 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

80. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 80-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირით, მოყავისფრო ოდნავ ნაპრიალები შიდაპირითა და მონაცრისფრო-მოყავისფრო ორფენოვანი კეცით. აქვს მომრგვალებული ბაკო და ოდნავ გადაშლილი პირი. ზედაპირი შემკულია ამოღარული კონცენტრული და დაშტრიხული ხაზებით. აღმოჩნდა CCXXIV ნაკვეთის 1-8,9 კვ-ში.

№ 1 სამეურნეო ორმოში არმოჩნდა:

81. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 5ც. (ინვ. № 81-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აქვთ გვერდზე გაბრტყელებული ბაკო, გადაშლილი პირი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

82. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, (ინვ. № 82-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, მოწითალო კეცით, შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

83. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 83-2006), თიხის, მოწითალო დამსკდარი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აქვს გადაშლილი პირი, პირსა და მხარზე მიზერწილი ბრტყელგანივკვეთიანი ყური. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

84. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 84-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აქვს ამოღარული სარტყელი და უნაგირისებური შვერილი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

85. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 6ც. (ინვ. № 85-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ნაპრიალები ზედაპირით. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

86. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 86-2006), თიხის, მოყავისფრო-მოჩალისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მონაცრისფრო-მოყავისფრო კეცით; შეიცავს

წვრილამრცვლოვან მინარევებს. აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ყურის დაძერწის ადგიალს შემოუყვება რელიეფური სარტყელი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

87. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 87-2006), თიხის, მოწითალო ნაპრიალები ზედაპირით, მოწითალო შიდაპირითა და კეცით. დაძერწილი აქვს ცრუ ყური. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

88. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 88-2006), თიხის, მოყავისფრო-მოჩალისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. ეტყობა ყურის დაძერწის კვალი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

89. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, (ინვ. № 89-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

90. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 90-2006), თიხის, შავი ზედაპირით, მოვარდისფრო შიდაპირითა და კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

91. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 91-2006), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფრო ნაპრიალები ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით. სქელკეციანი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

92. ხუფის ფრაგმენტები, 2ც. (ინვ. № 92-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი.

93. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 93-2006), თიხის, ლეგა-მოშავო ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით.

94. ხუფის ფრაგმენტები (ინვ. № 94-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.

95. ნამგლის ჩასართი (ინვ. № 95-2006), კაჟის, ნაცრისფერი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

96. ანატკეცი (ინვ. № 96-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

97. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 22ც. (ინვ. № 97-2006), თიხის, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

98. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 120ც. (ინვ. № 98-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

99. სხვადასხვა ჭურჭლის პირისა და ძირ-გვერდის ფრაგმენტები, 7ც. (ინვ. № 99-2006), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

100. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 18ც. (ინვ. № 100-2006), თიხის, მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი, ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა შეღებვის კვალი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

101. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 101-2006), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირზე ეტყობა საღებავის კვალი და აქვს რელიეფური ოვალური ორნამენტი. აღმოჩნდა № 1 სამეურნეო ორმოში.

102. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 102-2006), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი.

103. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 103-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.

104. ანატკეცი (ინვ. № 103-2006), ობსიდიანის.

105. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 105-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს.

**№ 4 თხრილი** CXCII ნაკვეთის მე-2, 3, 5, 6 და CXCIII ნაკვეთის მე-4 კვადრატებშია მოქცეული (სურ. 4; 23; 25). მისი სიგრძე 8,0 მ-ია, სიგანე 5,0 მ. № 4 თხრილში № 3 თხრილის ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა. იმ განსხვავებით, რომ ადრებრინჯაოს ხანის ფენა აქ უფრო დაზიანებულია. სარლასტის სახლის კარგად შემორჩენილი თიხატკეპნილი იატაკი მხოლოდ მე-5 კვადრატის მე-2, 3 და 6 მონაკვეთებში დაფიქსირდა. სახლი ძლიერი ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული. იატაკზე დიდი რაოდენობით იდგა სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭლები (სურ. 24; 26; 27).

106. ცრუყურის ფრაგმენტი (ინვ. № 140-2006), თიხის, შავი ზედა და შიდაპირით, თხელკეციანი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 3-8 კვ-ში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

107. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 141-2006), თიხის, ლეგა-მორუხოდ გამომწვარი.

108. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, სხვადასხვა (ინვ. № 142-2006), თიხის, მონაცრისფრო-აგურისფერად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით.

109. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 143-2006), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი.

110. ჭურჭლის ფრაგმენტისაგან დამზადებული დისკო (ინვ. № 144-2006), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს.

111. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 145-2006), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს, მიწის ზედაპირიდან 0,19 მ სიღრმეზე.

112. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 146-2006), თიხის, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს, მიწის ზედაპირიდან 0,19 მ სიღრმეზე.

113. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 147-2006), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს, მიწის ზედაპირიდან 0, 19მ სიღრმეზე.

114. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 148-2006), თიხის, ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს, მიწის ზედაპირიდან 0,19 მ სიღრმეზე.

115. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები (ინვ. № 150-2006), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. მრგვალგანივკვეთიანი. აღმოჩნდა ქვაყრილის პრეპარაციის დროს 0,10 მ სიღრმეზე.

116. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 151-2006), თიხის, მოშავო ზედაპირით და მოწითალო შიდაპირით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდოლო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

117. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 152-2006), თიხის, ლეგა-მონაცისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე დატანილი აქვს ჭდეული ორნამენტი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდოლო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

118. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 153-2006), თიხის, ლეგა-მოშავო ზედაპირით და მოწითალო შიდაპირით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდოლო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

119. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 154-2006), თიხის, მონაცისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდოლო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

120. ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 155-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, სქელკეციანი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

121. სხვადასხვა ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 156-2006) თიხის, მოყავისფრო ზედა და შიდაპირით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდოლო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლების კუთხეში მდებარე ქვაყრილში, მიწის ზედაპირიდან 0,12 მ სიღრმეზე.

122. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 57-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირით, მოყვითალო შიდაპირით, ორფენოვანი კეცით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-7კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

123. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 158-2006), თიხის, რუხი, ოდნავ ნაპრიალები ზედა და შიდაპირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურით, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-7 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-7 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

124. კერის ფრაგმენტი, (ინვ. № 159-2006), თიხის, მოწითალო ზედა და შიდაპირით, მონაცრისფროდ გამომწვარი.

125. სხვადასხვა ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 12ც. (ინვ. № 160-2006), თიხის, მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

126. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, (ინვ. № 161-2006), თიხის, მოყვითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ 0,45 მ სიღრმეზე.

127. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 15ც. (ინვ. № 162-2006), თიხის, ნაცრისფრად, შავად, მოყვითალოდ გამომწვარი, მრგვალი და ბრტყელი ბაკოთი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,46 მ სიღრმეზე.

128. ჭურჭლის პირის ფრაგმენტები, 2ც. (ინვ. № 163-2006), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,46 მ სიღრმეზე.

129. სხვადასხვა ჭურჭლის ძირის, პირ-გვერდის და ყურის ფრაგმენტები, 24ც.(ინვ. № 164-2006), თიხის, მონაცრისფრო, მოყავისფროდ, მოყვითალოდ გამომწვარი, მსხვილ და წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

130. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 14ც (ინვ. № 165-2006), თიხის, რუხი-მოყავისფრო ზედა და შიდაპირით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვ. 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

131. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 166-2006), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, შემკულია ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა CXCII ნაკვ. 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

132. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 6ც.(ინვ. № 167-2006), თიხის, რუხი-მოშავო ზედაპირით, აქვთ ბრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3კვ.ში, ქვაყრილის ქვეშ.

133. ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 168-2006) თიხის, რუხი-მოშავო ზედაპირითა და მოყვითალო შიდაპირი, აქვს მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, ყური ოვალურგანივკვეთიანია. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3კვ.ში, ქვაყრილის ქვეშ.

134. ჭურჭლის პირის ფრაგმენტები, 2ც. (ინვ. № 169-2006) თიხის, რუხი-მოშავო ზედაპირით, აქვთ ბრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3კვ.ში, ქვაყრილის ქვეშ.

135. ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 170-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი შიდაპირზე შეინიშნება მცენარეული მინარევის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

136. ჭურჭლის პირ-გვერდისა ფრაგმენტი (ინვ. № 171-2006) თიხის, რუხი-მოშავო ზედაპირითა და მოყვითალო შიდაპირი, აქვს დაპრტყელებული ბაკო, სწორი გვერდი და პირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

137. ჭურჭლის გვერდების ფრაგმენტები, 7ც. (ინვ. № 172-2006) თიხის, მოჩალისროდ გამომწვარი, ერთ ფრაგმენტს ზედაპირზე აქვს ღრმა ღარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

138. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 173-2006) თიხის, მოჩალისროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

139. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 10ც. (ინვ. № 174-2006), თიხის, სქელკედლიანია, აგურისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

140. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 175-2006) თიხის, ლეგა-მოყავისროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის ქვეშ.

141. ჭურჭლის შვერილის ფრაგმენტი (ინვ. № 176-2006), თიხის, ზოომორფული წანაზარდებით, შავი ზედა და შიდაპირით, ქარსის მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

142. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 177-2006), თიხის, მოწითალო, ბრტყელგანივკვეთიანი, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

143. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 178-2006), თიხის, სქელკეციანი, მოყავისფრო ზედაპირით და შავი შიდაპირით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

144. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 179-2006), თიხის, რუხი ფერის, შემორჩენილია ყურის მიძერწვის ადგილი. შიდაპირზე ჰორიზონტალური ხაზების კვალით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

145. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 180-2006), თიხის, აგურისფერი, მოყავისფრო, მოშავო ზედა და შიდაპირით, მსხვილმარცვლოვანი მინარევებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

146. სხვადასხვა ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 15ც. (ინვ. № 181-2006), თიხის, ლეგა-მოშავო ზედაპირითა და მოწითალო სარჩულით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

147. ანატკეცი (ინვ. № 182-2006). ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

148. ისრისპირი (ინვ. № 183-2006), ობსიდიანის, ქუსლამოღარული, ირგვლივ რეტუშირებული. ნაკლული. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,40 მ სიღრმეზე.

149. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 7ც.(ინვ. № 184-2006), თიხის. შავი ზედაპირით, აგურისფერი შიდაპირითა და ყავისფერი კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 2-9 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

150. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები, 2ც.(ინვ. № 185-2006), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 2-9 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

151. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 11ც. (ინვ. № 186-2006), თიხის. შავი, ნაპრიალები ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

152. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 4ც. (ინვ. № 187-2006), თიხის. შავი, ნაპრიალები ზედაპირით და აგურისფერი შიდაპირით;

153. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 7ც.(ინვ. № 188-2006), თიხის, მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, ერთ-ერთ ფრაგმენტს აქვს ბრტყელი ბაკო. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,56 მ სიღრმეზე.

154. სხვადასხვა ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, 9ც. (ინვ. № 189-2006), თიხის, შავპრიალა ზედაპირიანი და ყავისფერი შიდაპირითაა.

155. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები 10ც. (ინვ. № 190-2006), თიხის, ნაცრისფერკეციანი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

156. ანატკეცი (ინვ. № 191-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

157. სხვადასხვა ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, (ინვ. № 192-2006), თიხის. მოყავისფრო-მოყვითალო ზედაპირით, რუხი-მოყავისფრო შიდაპირით, კეცი შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,56 მ სიღრმეზე.

158. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის და ყურის ფრაგმენტები, 20ც. (ინვ. № 193-2006), თიხის. აგურისფერ ზედაპირით, შიდაპირით, კეცი შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. ყურის ფრაგმენტები ოვალურგანივკვეთიანია. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

159. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 194-2006), თიხის. შავპრიალა ზედაპირით და აგურისფერი შიდაპირით; კოპისებური დანაძერწით. აღმოჩნდა CXCII ნაკვ 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

160. ანატკეცები, 4 ც (ინვ. № 195-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

161. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის და ძირის ფრაგმენტები, 18ც. (ინვ. № 196-2006), თიხის. მოყავისფრო-მოყვითალო ზედა და შიდაპირით: აქვს მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი; ერთ ფრაგმენტს ეტყობა საღებავის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ. სიღრმეზე.

162. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის და ყურის ფრაგმენტები, 3ც.(ინვ. № 197-2006), თიხის. ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, ყურის ფრაგმენტი ოვალურგანივკვეთიანია. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

163. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 4ც.(ინვ. № 198-2006), თიხის. რუხი ზედაპირით, ამოღარული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებით; აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

164. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 4ც.(ინვ. № 199-2006), თიხის. მოყავის-ფრო-აგურისფერი ზედაპირით, შიდაპირით, კეცი შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

165. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის და ყურის ფრაგმენტები – 5 ც, (ინვ. № 200-2006), თიხის. მოყავისფო-აგურისფერი ზედაპირითა და შიდაპირით, თეთრმინარევებიანი სქელი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

166. პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 201-2006), თიხის. აქვს ბრტყელი ბაკო, გვერდი შეზნექილი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

167. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 4ც. (ინვ. № 202-2006), თიხის, შავი ზედაპირითა და აგურისფერი შიდა პირით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

168. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 203-2006), თიხის. მოყავისფრო კეცით. ოვალურგანივკვეთიანი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

169. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 3ც. (ინვ. № 118-2006), თიხის. შავპრიალა ზედაპირით, მოწითალო შიდაპირითა და წვრილმარცვლოვან მინარევებიანი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეტის 3-8 კვ-ში, 0,58 მ სიღრმეზე.

170. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, 10ც. (ინვ. № 119-2006), თიხის. ლეგა-მორუხო ზედაპირითა და მოწითალო შიდაპირით; პირის ფრაგმენტები მრგვალბაკოიანია; აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში.

171. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, 3ც. (ინვ. № 206-2006), თიხის, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში.

172. ჭურჭლის ფრაგმენტები, 4 ც (ინვ. № 207-2006), თიხის რუხი-მოყავისფრო, შავი ზედაპირით, შიდაპირზე ჩარხის კვალით. სამი ფრაგმენტი შემკულია ამოღარული ჰორიზონტალურ სარტყელში ჩასმული სამკუთხედებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში.

173. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, სხვადასხვა (ინვ. № 208-2006), თიხის შავი ზედაპირით, შიდაპირით, მრგვალი ბაკოთი და გადაშლილი პირით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

174. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები, (ინვ. № 209-2006), თიხის. მოყავისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვების ქვეშ, 0,54 მ სიღრმეზე.

175. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, სხვადასხვა (ინვ. № 210-2006), თიხის. შავად გაპრიალებული ზედაპირით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვების ქვეშ, 0,54 მ სიღრმეზე.

176. ანატკეცი (ინვ. № 211-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვების ქვეშ, 0,54 მ სიღრმეზე.

177. ანატკეცი (ინვ. № 212-2006), კაჟის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვების ქვეშ, 0,54 მ სიღრმეზე.

178. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 213-2006), თიხის, რუხი-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და სამფენიანი კეცით; ოვალურგანივკვეთიანი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

179. ჭურჭლის ფრაგმენტები 6 ც (ინვ. № 214-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირით, მოყავისფრო-მოწითალო შიდაპირით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,62 მ სიღრმეზე.

180. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები 31 ც, (ინვ. № 215-2006), თიხის, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით და შიდაპირით;

181. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 216-2006), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე რელიეფური ორნამენტით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ 0,51 მ სიღრმეზე.

182. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები 9 ც, (ინვ. № 2172006), თიხის, რუხი-მოყავისფრო ზედა და შიდაპირით, რამდენიმე ფრაგმენტს შიდაპირზე ეტყობა ჩარხის კვალი, სამი ფრაგმენტი შემკულია ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,51 მ სიღრმეზე.

183. ჭურჭლის ფრაგმენტები 7 ც, სხვადასხვა (ინვ. № 218-2006), თიხის, რუხი ზედაპირით და შიდაპირით; მრგვალი ბაკოთი; ერთი ფრაგმენტის შიდაპირი ნაპრიალებია და ემჩნევა ჰორიზონტალური ხაზები. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ 0,51 მ სიღრმეზე.

184. ჭურჭლის ფრაგმენტები 15 ც, სხვადასხვა (ინვ. № 219-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირით და მოწითალო შიდაპირით; დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ერთი ძირ-გვერდის ფრაგმენტი ყავისფერი ნაპრიალები ზედა და შიდა პირით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-1 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

185. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 220-2006), თიხის, მომრგვალებული ფორმის, მოყავისფრო ზედა და შიდაპირით, კეცი შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. ზედაპირზე ეტყობა საღებავის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-1 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

186. ჭურჭლის პირის ფრაგმენტები 3 ც, სხვადასხვა (ინვ. № 221-2006), თიხის, მოყავისფრო-მოყვითალო ზედაპირითა, შიდაპირით და თეთრმინარევებიანი კეცით; ორი ფრაგმენტი მრგვალი ბაკოთი და სწორი პირით, ერთი ფრაგმენტი ირიბად დაბრტყელებული ბაკოთი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

187. ჭურჭლის ფრაგმენტები 13 ც, სხვადასხვა (ინვ. № 222-2006), თიხის, მოყავის-ფრო-მოყვითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

188. სხვადასხვა ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები 4 ც, (ინვ. № 223-2006), თიხის, რუხი-აგურისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

189. კერის ფრაგმენტი (ინვ. № 224-2006), თიხის, ლეგა-მოყავისფროდ გამოწვარი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

190. ანატკეცი (ინვ. № 225-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, ქვაყრილის აღების შემდეგ, 0,53 მ სიღრმეზე.

191. ჭურჭლის ფრაგმენტები 6 ც, სხვადასხვა (ინვ. № 226-2006), თიხის, რუხი-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

192. ანატკეცი (ინვ. № 227-2006), ანდეზიტის, აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,60 მ სიღრმეზე.

193. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, 22ც, (ინვ. № 228-2006), თიხის, რუხი-აგურისფერი ზედაპირით, შიდაპირით, კეცი შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6,5 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

194. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები 6 ც, (ინვ. № 229-2006), თიხის, მოყა-ვისფრო-აგურისფერი ზედაპირითა და შავ ლაქებიანი შიდაპირით. ორი ფარაგმენტი ნაპრიალებია. პირის ერთ ფრაგმენტს აქვს წიბოიანი ბაკო და ოდნავ გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

195. ანატკეცები 3 ც (ინვ. № 230-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

196. ჭურჭლის ყურის და ძირის ფრაგმენტები 8 ც, სხვადასხვა (ინვ. № 231-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი თეთრმინარევებიანი კეცით. ძირის ფრაგმენტს ეტყობა ანგობის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

197. ჭურჭლის ფრაგმენტები 16 ც, სხვადასხვა (ინვ. № 232-2006), თიხის, შავი ზედაპირით, მოყავისფრო-აგურისფერი შიდაპირით, რამდენიმე ფრაგმენტს აქვს ნაპრიალები ზედაპირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

198. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 233-2006), თიხის,

199. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები 10 ც, (ინვ. № 234-2006), თიხის, მოყავისფრო-მოყვითალო ზედაპირითა და შიდაპირით; რამდენიმე ფრაგმენტს ეტყობა ანგობის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-6 კვ-ში.

200. ჭურჭლის ფრაგმენტები 11 ც, სხვადასხვა (ინვ. № 235-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ოდანვ ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და ორფენოვანი თეთრმინარევებიანი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,62 მ სიღრმეზე.

201. ჭურჭლის ფრაგმენტები 2 ც (ინვ. № 236-2006), თიხის, რუხი-მოყავისფრო ნაპრიალები ზედაპირით, ღია მოყავისფრო ნაპრიალები შიდაპირითა და ორფენოვანი კეცით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,62 მ სიღრმეზე.

202. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები 4 ც, სხვადასხვა (ინვ. № 237-2006), თიხის, მოყავისფრო-მოყვითალო ზედაპირითა და შიდაპირით; ერთ ფრაგმენტს აქვს წიბოიანი ბაკო და გადაშლილი პირი; ორ ფრაგმენტს დაბრტყელებული ბაკო და სწორი პირი; ერთ ფრაგმენტს მრგვალი ბაკო და გადაშლილი პირი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,62 მ სიღრმეზე.

203. ანატკეცი (ინვ. № 238-2006), ობსიდიანის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-4 კვ-ში, 0,62 მ სიღრმეზე.

204. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 239-2006), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, ყავისფერი შიდაპირითა და სქელი, ორფენოვანი, წვრილმინარევებიანი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-5 კვ-ში.

205. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 240-2006), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, ასეთივე ფერის დამსკდარი შიდაპირითა და სქელი (1,9 სმ) კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,52 მ. სიღრმეზე.

206. დერგის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, 7 ც (ინვ. № 241-2006), თიხის, მოწითალო, ალაგ-ალაგ მოშავო ლაქებიანი ზედაპირით, მოყვითალო შიდაპირით. კეცით შეიცავს წვრილ და მსხვილ მინარევებს, ალაგ-ალაგ ემჩნევა ანგობის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

207. სალესი (ინვ. № 242-2006), რიყის ქვის. ნაცრისფერი, მსხლისებური ფორმის. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში.

208. ჭურჭლის ფრაგმენტები 3 ც (ინვ. № 243-2006), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირით, მოყვითალო შიდაპირითა და ორფენოვანი კეცით; დამზადებულია კარგად განლექილი, ქარსნარევი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში.

209. ჭურჭლის ფრაგმენტები 3 ც (ინვ. № 244-2006), თიხის, ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და სამფენოვანი კეცით. ორ ფრაგმენტს ყავისფერი ანგობი ემჩნევა. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში.

210. ჭურჭლის ფრაგმენტები 2 ც (ინვ. № 245-2006), თიხის, კეცი სამფენიანია. შავი ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირით., დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში.

211. ჭურჭლის ფრაგმენტები 14 ც (ინვ. № 246-2006), თიხის, მოწითალო ნაპრიალები ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და მინარევებიანი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

212. ჭურჭლის ფრაგმენტები 4ც (ინვ. № 247-2006), თიხის, წითელი ნაპრიალები ზედაპირით, შიდაპირითა და წვრილმინარევებიანი კეცით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთი 5-3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

213. ბადია (ინვ. № 248-2006), თიხის, წითელი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. ზედაპირი ანგობირებულია. აქვს მომრგვალებული ბაკო, ცილინდრული ყელი, წიბოიანი მუცელი, პირსა და გვერდზე მიძერწილი ყური. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-2,3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

214. ჭურჭლის ფრაგმენტები 13 ც (ინვ. № 249-2006), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა დაკეცით, 6 ფრაგმენტის ზედაპირი ნაპრიალებია. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-2,3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

215. ქილა (ინვ. № 250-2006), თიხის, წითელი ნაპრიალები ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და კეცით; აქვს მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, მომრგვალებული მუცელი, ბრტყელი ძირი; ყელსა და მუცლის გამყოფ ხაზზე დაძერწილი აქვს კოპი. ზედაპირზე შერჩენილი აქვს წითელი ანგობის კვალი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-2,3 კვ-ში, 0,46 მ სიღრმეზე.

216. დერგის ფრაგმენტები (ინვ. №251-2006), თიხის, წითელი, ალაგ-ალაგ მონაცრისფრო ზედაპირით, მოწითალო-მოყვითალო შიდაპირითა და წვრილმინარევებიანი კეცით; ზედაპირი დამსკდარია და ალაგ-ალაგ ეტყობა ანგობის კვალი. აქვს მრგვალი ბაკო, მაღალი ცილინდრული ყელი. ყელსა და მხარს ღარი გამოყოფს, ღართან 1,5 სმ დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტით. მხარი შემკულია მაღალრელიეფური ორნამენტით (ჯიხვის გამოსახულება). აღმოჩნდა CXCII ნაკვეტის 5-3 კვ-ში, 0,54 მ სიღრმეზე.

217. ჭურჭლის ფრაგმენტები, სხვადასხვა (ინვ. № 252-2006), თიხის, ორი ფრაგმენტი წითლადაა გამომწვარი, თეთრმინარევებიანი კეცით, ზედაპირი და შიდაპირი დამსკდარია; ოთხი ფრაგმენტი შავლაქებიანია, ერთი ფრაგმენტი დიდ ზომის ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყურისაა. სამი ნატეხი შავპრიალა ზედაპირითა და მოწითალო შიდაპირითაა. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,54 მ სიღრმეზე.

218. ხელსაფქვავი (ინვ. № 253-2006), ბაზალტის. ერთ მხარეს დაბრტყელებული, მეორე მხარეს მომრგვალებული. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 6-7 კვ-ში, 0,48 მ სიღრმეზე.

219. სანაყი (ინვ. № 254-2006), ბაზალტის, ტრაპეციისებური. ბოლოები ოდნავ დაბრტყელებული აქვს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-2 კვ-ში, 0,26 მ სიღრმეზე.

220. იარაღი (ინვ. № 255-2006), პემზის. ოთხკუთხა, ერთი ბოლო მომრგვალებული აქვს. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,48 მ სიღრმეზე.

221. სალესი (ინვ. № 256-2006), რიყის ქვის. გადატეხილი. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,54 მ სიღრმეზე.

222. სანაყი (ინვ. № 257-2006), ბაზალტის. მოყავისფრო, შავი ნახშიროვანი ჩანართებით. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,54 მ სიღრმეზე.

223. სანაყი (ინვ. № 258-2006), ბაზალტის. მოყავისფრო, ტრაპეციისებური ფორმის, ორივე ბოლო დაბრტყელებული. აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-3 კვ-ში, 0,53 მ სიღრმეზე.

№ 4 თხრილში ექვსი სამარხი გამოვლინდა, მაგრამ იმის გამო, რომ ორი მათგანი გაუთხრელ ფართობში გადიოდა, მხოლოდ ოთხი სამარხი (№№ 1, 2, 3, 4) გაითხარა.

ამდენად 2006 წელს ავრანლოს „ციკლოპური" სიმაგრის მიდებარე მინდორზე ექვსი სამარხი გაითხარა.

**სამარხი № 1** გაითხარა CXCII ნაკვეთის მე-5 კვადრატში (№3 თხრილი). ქვის ფილებით შედგენილი ქვაყუთი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (სურ. 27, 29, 45). ქვაყუთის აღმოსავლეთი კედელი შედგებოდა ორი, ხოლო დანარჩენი კედლები და გადახურვა თითო ფილაქვისაგან. ქვაყუთის სიგრძე 0,5 მ-ია, სიგანე 0,3 მ-ს, სიღრმე 0,25 მ-ს უდრის. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი (სურ. 28; 30; 46).

სამარხში აღმოჩნდა: 1. ყურმილიანი დოქი (ინვ. № 259; სურ. 31; 33,1), თიხის, მოყავისფრო ნაპრიალები ზედაპირითა ასეთივე ფერის შიდაპირით და მოწითალო კეცით, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში; 2. კოჭობი (ინვ. № 260; სურ. 32; 33,2), თიხის, მოშავო–მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და თხელი კეცით. სამარხის სამხრეთ კუთხეში; 3. მძივები, 5 ც (ინვ. № 261; სურ. 33,3), სარდიონის. მიცვალებულის გულ-მკერდის არეში; 3. ძეწკვი (ინვ. № 262; სურ. 33,4-6), ბრინჯაოსი. მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

**სამარხი № 2** მდებარეობს CXCII ნაკვეთის 6-3,6 კვ-ში და CXCIII ნაკვეთის 4-1,4 კვ-ში (№ 3 თხრილი).

სამარხის თავზე გამართული ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი ყრილის ზომებია 2,0 X 1,2 მ (სურ. 45). ქვაყრილის ქვეშ გამართული დასაკრძალავი კამერა დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (სურ. 34; 39). მისი სიგრძე 1,2 მ-ია სიგანე 1,1 მ, სიღრმე 0.8 მ-ს უდრის. ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა კევრის კოხის ქვები რომლებიც მიცვალებულს მთლიანად ფარავდა (სურ. 35; 37; 38).

სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი (სურ. 38; 39; 46). მოცვალებულის ყბის ქვეშ დაფიქსირდა ბრინჯაოს ძლიერ დაშლილი რგოლი.

სამარხში აღმოჩნდა: 1. კოხის ქვები, 128 ც (ინვ. №№ 263, 264), ვულკანური წარმოშობის მსუბუქი ჯიშის ქვისა, ნაცრისფერი, ფორებიანი, ორმხრივ დამუშავე-ბული, დიდ ნაწილს ზურგი მომრგვალებული, ფუძე კი დაბრტყელებული აქვს (სურ. 36). 15 ც აღმოჩნდა სამარხის ქვაყრილში, დანარჩენი ქვაყრილის ქვეშ, მიცვალებულის

ზევიდან რიგებად იყო დაწყობილი. 3. სალესი (ინვ. № 266), შავი ფერის ქვის. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან; 4. ანატკეცი (ინვ. № 267), შავი ფერის ობსიდიანის. მიცვალებულის მენჯის ძვალზე; 5. საქონლის კბილი (ინვ. № 268). მიცვალებულის მენჯის ძვალზე; 6. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 265), თიხის, მოყვითალო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და სქელი კეცით. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

**სამარხი № 3** გაითხარა CXCII ნაკვეთის 6 კვადრატში (№ 3 თხრილი). გააჩნდა ბაზალტის ქვებით შედგენილი ძლიერ დაზიანებული ქვაყრილი (სურ. 40, 42, 45). სამარხი ორმო (სიგრძე 1,4 მ, სიგანე – 1,3 მ, სიღრმე – 0,7 მ) დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში ჩასვენებული ყოფილა ერთი მიცვალებული, რომლის ჩონჩხის ანატომიური შესახსრება ძლიერ დარღვეული იყო (სურ. 43). მიცვალებულს თავი, როგორც ჩანს, სამხრეთით ედო. სამარხი გაძარცვულია. მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი სამარხი ორმოს სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა (სურ. 46). თიხის ჭურჭლის შავი (ინვ. № 269-275) ნატეხები სამარხი ორმოს შემავსებელ ქვაყრილში აღმოჩნდა. აქვე იყო ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 276). იატაკის დონეზე, ცენტრალურ ნაწილში, დაფიქსირდა ბრინჯაოს რგოლი (ინვ. № 277; სურ. 33,7); კოხის ქვა (ინვ. № 278), ბაზალტის; ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 279); ობსიდიანის ლამელა (ინვ. № 280); ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 281), თიხის.

**სამარხი № 4** გაითხარა CXCII ნაკვეთის მე-3 და 6 კვადრატებში (№ 3 თხრილი). ქვაყრილი, რომელსაც მართკუთხა ფორმა ჰქონდა, ძლიერაა დაზიანებული. როგორც ჩანს სამარხს დიდი ქვებით შედგენილი ოთხკუთხა კრომლეხი ჰქონია (სურ. 42; 45). შემორჩენილია მისი სამხრეთი (4,0 მ) და დასავლეთი (3,0 მ) კედლების ფრაგმენტები (სურ. 24, 25). სამარხი ორმო გადახურული იყო ბაზალტის დიდი (2,2 X 2,1 მ) ფილით (სურ. 44). სამარხი გაძარცვულია. სამარხ ორმოში (2, 4 X 1,6 X 0,3 მ) მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩნდა (სურ. 45; 46). სამარხი ორმოს გადასახურ ფილაზე დაფიქსირდა სადღვებელისა (ინვ. № 282; სურ. 41,1) და სხვადასხვა ჭურჭლების (ინვ. №№ 283-386; სურ. 41,4) ფრაგმენტები. აქვე იდო ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 287). სამარხის იატაკზე დაფიქსირდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 288-293; სურ. 41,2,3), ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 293) და საქონლის ძვლები (ინვ. № 294).

**სამარხი № 5** მდებარეობს CXCIII ნაკვეთის მე-12, CXCIV ნაკვეთის, CCXXIII ნაკვეთის მე-3 და CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატებში (№ 3 თხრილი).

სამარხს ჰქონდა მართკუთხა ფორმის ქვაყრილი, რომელიც შემოზღუდული იყო დიდი ზომის ბაზალტის ქვებით (3,8 X 3,1 მ). კრომლეხი დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ. 47; 48). ზედა დონის ქვაყრილის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა უშუალოდ დასაკრძალავ ორმოზე გამართული ქვაყრილი (2,5 X 1,8 მ). მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,6-07 მ სიღმეზე სამარხი კამერის პირი დაფიქსირდა. ამავე დონეზეა ადრებრინჯაოს ხანის სახლების იატაკებიც (სურ. 49; 50).

სამარხი ორმო გაჭრილია ყვითელ თიხნარში და კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს. დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მისი სიგრძე 1,5 მ-ია, სიგანე 1,1 მ. სიღრმე ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკის დონიდან 0,3 მ სიღრმეზე გადახურვის ხის ძელები აღმოჩნდა, რომლებიც სამარხის სიგრძივ იყო მიმართული (სურ. 51). სამარხის იატაკი კი 0,5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავი სამხრეთით, ხელ-ფეხი მოკეცილი, მარცხენა გვერდზე (სურ. 52-55).

სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 106), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის პრეპარაციის დროს ხის ძელის დონეზე; 2. ანატკეცი (ინვ. № 107), ანდეზიტის. აღმოჩნდა სამარხის პრეპარაციის დროს ხის ძელის დონეზე; 3. ფრინველის ფიგურა (ინვ. № 108) – საკიდი, ბრინჯაოსი (სურ. 56,1; 57). აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში; 4. მძივი (ინვ. № 109), ბრინჯაოსი (სურ. 56,10). აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში; 5. რგოლი, (ინვ. № 110), ბრინჯაოსი (სურ. 56,11). აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ; 6. საკინძი (ინვ. № 111), ბრინჯაოსი (სურ. 56,9; 58). აღმოჩნდა მიცვალებულის ნიკაპთან; 7. საკინძი (ინვ. № 112), ბრინჯაოსი (სურ. 56,13; 58). აღმოჩნდა მიცვალებულის ყბასთან; 8. ძეწკვი საკიდით (ინვ. № 113), ბრინჯაოსი (სურ. 56,9; 59). აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა წინამხრის ძვალთან; 9. რგოლი (ინვ. № 114), ბრინჯაოსი (სურ. 56,12), მრგვალგანივკვეთიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში; 10. მძივები, 5 ც. (ინვ. № 115), პასტის (სურ. 56,4-8; 60). აღმოჩნდა მიცვალებულის ყელისა და გულ-მკერდის არეში; 11. მძივები 17 ც. (ინვ. № 116), სარდიონის (სურ. 56,3; 60). აღმოჩნდა მიცვალებილის ყელისა და გულ-მკერდის არეში; 12. მძივი-საბეჭდავი (ინვ. № 117), პასტის. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა ხელის მაჯასთან.

**№ 6 სამარხი** გაითხარა CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატში (№ 3 თხრილში). ქვაყრიანი ორმოსამარხია (სურ. 61; 62; 67). ყრილი ძლიერაა დაზიანებილი. მას, ისევე როგორც № 5 სამარხს მართკუთხა კრომლეხი ჰქონია. შემორჩენილია დასავლეთი (4,0 მ) და სამხრეთი (3,6 მ) კედლები (სურ. 20). კრომლეხის ცენტრალურ ნაწილში საშუალო ზომის ქვაყრილიც იყო, რომლის ქვეშაც აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო (1,9 X 1,3 მ), რომლის იატაკი ადრებრინჯაოს ხანის ფენიდან 0,8 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის ზედა ნაწილი ანატომიურ შესახსრებაში იყო. ქვედა კი გადაადგილებული - სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, იატაკიდან 0,25 მ სიმაღლეზე არეულ მდგომარეობაში დაფიქსირდა (სურ. 63; 64; 66). მიცვალებულის გულ-მკერდის წინ მსხვილფეხა საქონლის ბეჭი და კიდურები ეწყო (სურ. 65).

სამარხის ქვაყრილში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის პირისა და გვერდის ფრაგმენტები, 5ც. (ინვ. № 118), თიხის, ლეგა მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო-მონაცრისფრო კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს; 2. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 119), თიხის, მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით; 3. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 120), თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის სქელი კეცით.

სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 121), თიხის, მორუხო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და მორუხო-მოყავისფრო ორფენოვანი კეცით. ეტყობა ყურის მიძერწის კვალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხის ძვლებს შორის; 2. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 122), თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აქვს მრგვალი ბაკო და ოდნავ გადაშლილი პირი. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხის ძვლებს შორის; 3. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 123), თიხის, ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხის ძვლებს შორის; 4. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 124), თიხის, მოშავო ზედა და შიდა პირით, ლეგა-მოყავისფრო კეცით. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხის ძვლებს შორის; 5. ქოთანი (ინვ. № 125; სურ. 70,1; 71), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან; 6. სასმისი (ინვ. № 126; სურ. 70,2; 72), თიხის, მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხის ძვლებს შორის; 7. სატევრისპირი (ინვ. № 127), ბრინჯაოსი (სურ. 68,5; 74).

აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის წინ, ქვაზე; 8. შუბისპირი (ინვ. № 128), ბრინჯაოსი (სურ. 68,1; 75). მასრაში შერჩენილია შუბისტარის ხის ნაშთი (ინვ. № 129; სურ. 68,2). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში; 9. ისრისპირი (ინვ. № 130), ბრინჯაოსი (სურ. 69,4; 76), აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 10. ისრისპირის ფრაგმენტი (ინვ. № 131), ძვლის (სურ. 69,7; 78). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 11. საკინძი (ინვ. № 132), ბრინჯაოსი (სურ. 69,5; 77). აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის წინ, ქვაზე; 12. მძივები 8 ც (ინვ. № 133), მომწვანო ფერის პასტის (სურ. 68,4). აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან; 13. მძივები 2 ც. (ინვ. № 134), სარდიონის (სურ. 68,3). აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან; 14. კვერთხისთავი (ინვ. № 135), ირმის რქის (სურ. 68,6; 73). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან; 15. ისრისპირი (ინვ. № 136), ბრინჯაოსი (სურ. 69,1; 78). ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 16 ისრისპირი (ინვ. № 137), ბრინჯაოსი (სურ. 69,3; 78). ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 17. ისრისპირი (ინვ. № 138), ბრინჯაოსი (სურ. 69,2; 78). აღმოჩნდა ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან. 18. ისრისპირი (ინვ. № 139), ძვლის (სურ. 69,6; 79). აღმოჩნდა აღაპის ძვლებთან, სამხრეთით.

გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხების თანადროული დასახლება, როგორც ჩანს ამავე მინდორზე და „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე იყო. ამაზე მიუთითებს კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი. ამავე ფართობზე ოდნავ მოგვიანო ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის არსებობასაც გვავარაუდებინებს გიორგი აშკალოვისაგან შეძენილი ბრინჯაოს არტეფაქტები და ჩვენს მიერ შეგროვილი კერამიკული მასალა (სურ. 80-89; 94-98).

მინდვრის დასავლეთ ნაწილში, სოფ. რეხასაკენ მიმავალი გზის პირას გორანამოსახლარია. მისი კიდე გზასა აქვს ჩამოჭრილი, სადაც კარგად ჩანს მძლავრი კულტურული ფენა. ზედაპირულად მოპოვებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ნამოსახლარი მრავალფენიაა და ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალებს შეიცავს.

2003 წელს გიორგი აშკალოვი დაგვეხმარა მის მეზობლად მდებარე საკარმიდამო ნაკვეთში ადგილობრივი მოსახლის მიერ გათხრილი სამარხის ინვენტარის შეძენაში. ადგილის დათვალიერების და ნივთების მომპოვებელთან საუბრის შედეგად გაირკვა, რომ სამარხი მიეკუთვნებოდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხების ჯგუფს. სამარხი კამერა ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე ყოფილა დამხრობილი. მიცვალებული თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე წოლილა („გამთხრელის“ თქმით აღმოსავლეთით „იყურებოდაო“). სამარხში თიხის ოთხი ჭურჭელი, ბრირინჯაოს დანა, ისრისპირები, რგოლები და ინსიგნიის დეტალები აღმოჩენილა. ინსიგნიის ძირითადი ნაწილი, კაუჭი მიცვალებულის სახის წინ ყოფილა, ღეროზე წამოცმული ჰქონია სალტე (ფიგურული გარსაკრავი), მათგან 10-15 სმ მოცილებით, ჩრდილოეთით კი ხარის თავის ქანდაკება აღმოჩენილა. ქანდაკებასა და სალტეს შორის დაშლილი ხის ნაშთები ყოფილა.

**შეძენილი სამარხეული ინვენტარი:**

1. დოქი (ინვ. № 237), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზოომორფული ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე. ტანი შემკულია რელიეფური სარტყლებითა და ვერტიკალური ხაზებით. ვერტიკალურ ზოლებს შორის მოთავსებულია ორი გველის რელიეფური გამოსახულება (სურ. 90; 102).

2. დოქი (ინვ. № 239), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, დამზადებულია ობსიდიანის მინარევებიანი თიხისაგან, სამკუთხაგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, მუზელზე აქვს გამჭოლი ნახვრეტი (სურ. 91,3; 101).

3. ქოთანი (ინვ. № 240), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, დამზადებულია ქარსმინარევებიანი თიხისაგან, მხარი შემკულია სამი ამოღარული ხაზისაგან (სურ. 91,4; 99).

4. ქოთანი (ინვ. № 241), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თეთრმარცვლოვანი მიანარევებით, მხარი შემკულია ამოღარული ხაზებით (სურ. 91,2; 100).

5 დერგი (ინვ. № 252), თიხის, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, მხარი შემკულია ამოღარული ჰორიზონტალური, ურთიერთგადამკვეთი ხაზებითა და ნაჭდევებით, მხარსა და პირზე ეტყობა ყურის ნაკვალევი (სურ. 91,1).

6. ისრისპირი (ინვ. № 245), ბრინჯაოსი, წაგრძელებული ფრთებით და ბრტყელგანივკვეთიანი გრძელი ყუნწით (სურ. 93,2).

7. ისრისპირი (ინვ. № 246), ბრინჯაოსი, წაგრძელებული ფრთებით და ბრტყელგანივკვეთიანი გრძელი ყუნწით (სურ. 93,5).

8. დანა (ინვ. № 247), ბრინჯაოსი, მოკლე სატარე ყუნწით, ყუნწზე სამანჭვლე ნახვრეტით (სურ. 93,1).

9. გარსაკრავი (ინვ. № 249), ბრინჯაოსი, ვერტიკალური ამოღარული ხაზებით, ორი გამჭოლი ნახვრეტით (სურ. 92,2).

10. ხარის თავის ქანდაკება (ინვ. № 250), ბრინჯაოსი (სურ. 92,3).

11. კვერთხისებრი ნივთი (ინვ. № 251), ბრინჯაოსი, მოკაუჭებული ბოლოთი, ორნამენტირებული ღეროთი და გამჭოლნახვრეტიანი ჩამოსაცმელი ყუნწით (სურ. 92,1).

12. რგოლი (ინვ. № 253), ბრინჯაოსი, განივკვეთში რვაწახნგა (სურ. 93,3).

13. რგოლი (ინვ. № 254), ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, თავებგახსნილი (სურ. 93,4).

## დასკვნა

სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ აქ ადამიანი ქვის ხანაში დასახლებულა (იხ. აქვე ქ. სტურუას სტატია). დიდი და მნიშვნელოვანი დასახლება კი ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება (იხ. აქვე ნ. შანშაშვილის სატატია).

გვიანი ბრინჯაოს ხანაშია აგებული „ციკლოპური" სიმაგრე, რომლის გარშემო ახალი დასახლება ჩნდება. დღეისათვის ამ ეპოქის I (ძვ.წ XVI ს) და II ფაზის (ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანები) ნამოსახლარის ფენები და სამაროვნები აქ მიკვლეული არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევით მოპოვებულ მასალებში II ფაზის (ბარეთის კულტურა) კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი შეინიშნება. გვიანი ბრინჯაოს ხანის III ფაზას, ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებსა და XIII ს-ეს მიეკუთვნება შემთხვევით მოპოვებული კერამიკის ძირითადი ნაწილი (სურ. 80-84), რომელიც „ცენტალურამიერკავკასიური" კულტურის მასალის მსგავსია [ფიცხელაური 2005, ტაბ. X, XX, XXX, XLVIII, LII, LXII, LXIX, XCIV, CXIX, CXXX, CLVI, CLXIII]. ამავე კულტურის ძეგლია 2003 წელს სოფლის ტერიტორიაზე გათხრილი სამარხიც.

2006 წელს გათხრილი №№ 2, 3-6 სამარხების ინვენტარი „სამთავრული კულტურის" კომპელქსების მსგავსია [სადრაძე 1997; სადრაძე 2002] და ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება.

ყურადღებას იქცევს № 4 თხრილში შესწავლილი № 1 სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს თარიღდება. ეს სამარხი ავრანლოს ტერიტორიაზე მიკვლეული ერთადერთი ძეგლია, რომელიც ამ ეპოქას მიეკუთვნება. სამარხში აღმოჩენილი ყურმილიანი დოქი იშვიათია არა მხოლოდ თრიალეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ტიპის ჭურჭლები ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება.

ახ.წ. პირველი საუკუნეების ძეგლები უშუალოდ სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება. საქართველოში ქრისტიაობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე წალკის რეგიონში იწყება ეკლესიების მშენებლობა. ახ.წ. VI საუკუნეში ავრანლოს „ციკლოპური" სიმაგრის მიდამოებში დაარსებულ მონასტერს ამ რეგიონისათვის დიდი მნიშვლნელობა ჰქონდა.

არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე და „ციკლოპური" ციხე-სიმაგრე აშკარად მიუთითებს, რომ ავრანლო მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა და მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. აქ იყრიდა თავს ბორჯომ-ბაკურიანიდან და გორი-ქარელიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზები. ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის სამანქანო გზას, სოფ.ციხისჯვრის გავლის შემდეგ, ცხრაწყაროს უღელტეხილთან ერთი გზა გამოეყოფა, რომელიც მარცხნივ, აღმოსავლეთისაკენ მიდის. 7-8 კმ გავლის შემდეგ ტაბაწყურის ტბას მიადგება, სოფ.ტაბაწყურს მარჯვნივ მოიტოვებს და ტბის ჩრდილოეთი ნაპირის გავლის შემდეგ ვიწრო ხეობაში შედის. თავკვეთილის მთას გზა სამხრეთიდან ჩაუვლის და მთის ფერდობზე არსებული მცირე უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილში წალკის მუნიციპალიტეტის საზღვარს გადაკვეთს. გზის გასწვრივ, 3,5 კმ სიგრძეზე რამდენიმე ათეული ყორღანია. გზა შავნაბადას მთას ჩაუვლის და თანდათან ქვემოთ ეშვება. შემდეგ გადის მთა ეგოიასარის აღმოსავლეთი კალთის ძირში გაშლილ მინდორზე, სადაც ძველი საპიტიახშო მდებარეობს. აქედან გზა ორად იყოფა. ერთი სოფ. ბურნაშეთში ჩადის, მეორე კი ყიზილ-ქილისაში. ტაბაწყურიდან წალკის სოფლებამდე დაახლოებით 20 კმ-ია. სოფ. ტაბაწყურიდან წალკაში ნარიანის ველისა და მდ. ქციის გაყოლებითაც შეიძლება შემოსვლა, საიდანაც სოფ. ხანდოსა და რეხაში შეიძლება მოხვედრა. სოფ. რეხაში საპიტიახშოდან წამოსული გრუნტის გზითაც შეიძლება შესვლა.

სოფ. რეხაზე გადის წალკაში შემოსასვლელი კიდევ ერთი გზა, რომელიც გუ-ჯარეთის ხეობიდან გადმოდის და რეხას გავლის შემდეგ სოფ.ავრანლოში ჩადის.

გუჯარეთის ხეობაში შესასვლელი გზა ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის გზის მე-10 კმ-ზე, სოფ. წაღვერთან იწყება. სამანქანო გზა სოფლის ცენტრში მარცხნივ უხვევს, გაივლის სოფ.კიმოთესუბანს, გვერდისუბანს, ღვთისმშობელს, მაჭარწყალს და სოფ. გუჯარეთამდე მიდის. გუჯარეთიდან გამოსული გრუნტის გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის და 4,0 კმ გავლის შემდეგ თრიალეთის ქედზე არსებულ უღელტეხილს მიადგება, სადაც წალკის საზღვარი იწყება. უღელტეხილიდან სოფ. ავრანლომდე 10-12 კმ-ია.

სოფ. წაღვერთან დაწყებული გზის ერთი ტოტი სოფ. კიმოთესუბნიდან 2.5 კმ გავლის შემდეგ მარჯვნივ უხვევს და სოფ. პატარა მიტარბის გავლით შედის დიდ მიტარბში, საიდანაც მდ. ქციის ხეობაში, ნარიანის ველზე შეიძლება მოხვედრა. აქვე, ნარიანზე ამოდის სოფ. გვერდისუბნიდან და სოფ. ღვთისმშობლიდან მომავალი გრუნტის გზები. ნარიანის დასავლეთით ტაბაწყურის ტბაა, აღმოსავლეთით, მდ. ქციის გაყოლებით წამოსული მგზავრი კი წალკის სოფ. ხანდოში მოხვდება.

გუჯარეთი-რეხას გზით წაღვერ-ბორჯომის მიმართულებით გადაადგილების გარდა ქ. ქარელშიც შეიძლება მოხვედრა. გუჯარეთის ხეობაში მდებარე სოფ. წითელსოფლიდან და მაჭარწყლიდან გრუნტის გზა მდ. აბუხალოსღელეს და მდ. ტყემლოვანის წყლის (მდ. მტკვრის აუზი) ხეობებში გადადის. სოფ. ტყემლოვანთან ეს ორი მდინარე ერთდება. ამ სოფლიდან მიმავალი გზა სოფ. ზღუდერის გავლით ქ. ქარელში ჩადის. ამ გზის ერთი განშტოება კი ქ. გორისაკენ მიემართება.

სოფ. ავრანლოდან გზები ქვემო ქართლისა და ჯავახეთისაკენ მიდის, საიდანაც ერთის მხრივ არარატის დაბლობსა ურმიისტბისპირეთთან გადის, მეორე მხრივ კი ფარავნის ტბას გაუვლის და მდ. მტკვრის ხეობით ცენტრალურ ანატოლიაში ჩადის.

მიუხედავად იმისა, რომ ას წელზე მეტი ხანია რაც ავრანლოს ტერიტორიაზე მიკვლეული ძეგლების შესახებ არაერთი ინფორმაცია მოგვეპოვება, გეგმაზომიერი და ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. დღემდე არც აქ მოპოვებული მასალები იყო გამოქვეყნებული. წინამდებარე და ამავე კრებულში გამოქვეყნებული ქ. სტურუასა და ნ შანშაშვილის სტატიებთან ერთად სოფ. ავრანლოში მოპოვებული მასალების პუბლიკაციის პირველი მცდელობაა.

მიუხედავად იმისა, რიმ ავრანლოს ტერიტორაზე მიკვლეულ ძეგლებზე მცირე სამუშაოებია ჩატარებული აქ სტაციონალური გათხრების წარმოებას არა მხოლოდ თრიალეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

## ლიტერატურა:

**ბერძენიშვილი დ. 1982:** თრიალეთის უცნობი წარწერები. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, 3-28. თბილისი.

**გვასალია ჯ. 1982:** ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI 29-57. თბილისი.

**ვახუშტი 1973:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.

**კეკელიძე კ. 1968:** ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი.

**მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938:** მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.

**სადრაძე ვ. 1997:** სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.

**სადრაძე ვ. 2002:** მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ფიცხელაური კ 2005:** ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა (ძვ.წ. XIV-XIII სს). თბილისი.

**ქც 1955:** ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ჰაგიოგრაფია 1947:** მოქალაქეობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა. - აპოკრიფები. ჰაგიოგრაფია. თბილისი.

**ჩიქოვანი თ. 1973:** თრიალეთი. თბილისი.

**Такаишвили Е 1913:** Археологические экскурсии, разыскания и заметки. - Извесия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества. Вып. III. - Тифлис.

**Куфтин Б 1938:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Куфтин Б 1940:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Куфтин Б 1948:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Мшвениерадзе Д 1952:** Строительное дело в Древней Грузии. рукопись. Тбилиси.

**Мшвениерадзе Д 1959:** Строительное искусство в Древней Грузии. рукопись. Тбилиси.




A




B

სურ. 1. A. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრისა და ნამოსახლარის ტოპოგეგმა.
B. საძიებო თხრილების განლაგება ნამოსახლარზე.




სურ. 2. ნამოსახლარი. თხრილი № 2. გეგმა.




სურ. 3. ნამოსახლარი. თხრილი № 3. გეგმა.




სურ. 4. ნამოსახლარი. თხრილი № 4. გეგმა.




სურ. 5. სასიმაგრო სისტემის გეგმა ვ. წილოსანის მიხედვით.



სურ. 6. სასიმაგრო სისტემა (ვ. წილოსანის ჩანახატი).



სურ. 7. სასიმაგრო სისტემის ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 8. ნამოსახლარის ხედი აღმოსავლეთიდან.




სურ. 9. თხრილი № 2. ქვაყრილის I დონე.



სურ. 10. თხრილი № 2. ქვაყრილის II დონე.




სურ. 11. თხრილი № 2. I დონის გეგმა და ჭრილი.




სურ. 12. თხრილი № 2. II დონის გეგმა და ჭრილი.



სურ. 13. თხრილი № 3. ქვაყრილის II დონის საერთო ხედი.



სურ. 14. თხრილი № 3. III დონე. № 5 სამარხის კრომლეხი და ქვაყრილი



სურ. 15. თხრილი № 3. V დონის საერთო ხედი.




სურ. 16. № 3 თხრილი. № 5 სამარხის კრომლეხი და ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი..



სურ. 17. № 3 თხრილი. II დონის გეგმა.




სურ. 18. № 3 თხრილი. IV დონის გეგმა და ჭრილი.



სურ. 19. № 3 თხრილი. ადრებრინჯაოს ხანის ორმოს ქვაყრილი.



სურ. 20. № 3 თხრილი. წინა პლანზე ადრებრინჯაოს ხანის ორმო, შემდეგ № 6 სამარხის ქვაყრილი, № 5 სამარხი გახსნის შემდეგ და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთი.




სურ. 21. № 3 თხრილი. გათხრების დასრულების შემდეგ.
გეგმა და ჭრილი.




სურ. 22. № 3 თხრილი. ადრებრინჯაოს ხანის ორმო.
გეგმა და ჭრილი.



სურ. 23. № 4 თხრილი. ქვაყრილის I დონის საერთო ხედი.



სურ. 24. № 4 თხრილის ხედი I დონის ქვაყრილის მოხსნის შემდეგ.




სურ. 25. № 4 თხრილი. I დონის გეგმა.




სურ. 26. № 4 თხრილი. II დონის გეგმა და ჭრილი.



სურ. 27. № 4 თხრილი. წინა პლანზე № 1 სამარხი,
უკანა პლანზე ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი.



სურ. 28. № 4 თხრილი. წინა პლანზე № 1 სამარხი გახსნის შემდეგ.




სურ. 29. სამარხი № 1. გეგმა და ჭრილი გახსნამდე.




სურ. 30. სამარხი № 1. გეგმა და ჭრილი გახსნის შემდეგ.



სურ. 31. სამარხი № 1 (ინვ. № 259).



სურ. 32. სამარხი № 1 (ინვ. № 260).




სურ. 33. 1. სამარხი № 1 (ინვ. № 259); 2. სამარხი № 1 (ინვ. № 260); 3. სამარხი № 1 (ინვ. № 261);
4-6. სამარხი № 1 (ინვ. № 262); 7. სამარხი № 1 (ინვ. № 259); 7. სამარხი № 3 (ინვ. № 277);




სურ. 34. სამარხი № 2. ქვაყრილი.



სურ. 35. სამარხი № 2. კევრის კოხების განლაგება სამარხში. ზედა დონე.



სურ. 36. სამარხი № 2. კევრის კოხები.



სურ. 37. სამარხი № 2. კევრის კოხების განლაგება სამარხში. მიცვალებულის დონეზე.



სურ. 38. სამარხი № 2.




სურ. 39. სამარხი № 2. გეგმა და ჭრილი.




სურ. 40. სამარხი № 3. გეგმა და ჭრილი.



სურ. 41. № 4 სამარხის ინვენტარი: 1. ინვ. № 282; 2. ინვ. № 290);
3. ინვ. № 289; 4. ინვ. № 283.




სურ. 42. თხრილი № 4. წინა პლანზე № 3 სამარხი, უკანა პლანზე № 4 სამარხი.




სურ. 43. სამარხი № 3.



სურ. 44. № 4 სამარხის გადახურვის ფილა.



სურ. 45. № 4 თხრილის საერთო ხედი სამარხების გახსნამდე.




სურ. 46. თხრილი № 4. გეგმა და ჭრილები სამარხების გახსნის შემდეგ.



სურ. 47. № 3 თხრილი. სამარხი № 5.




სურ. 48. № 3 თხრილი. სამარხი № 5.




სურ. 49. სამარხი № 5. ხედი ქვაყრილის აღების შემდეგ.




სურ. 50. სამარხი № 5. ხედი ქვაყრილის აღების შემდეგ.




სურ. 51. სამარხი № 5. სამარხი კამერისა და ხის ძელების ხედი.



სურ. 52. სამარხი № 5.



სურ. 53. სამარხი № 5 (დეტალი).



სურ. 54. სამარხი № 5 (დეტალი).




სურ. 55. სამარხი № 5. გეგმები და ჭრილები.




სურ. 56. № 5 სამარხის ინვენტარი: 1. საკიდი ბრინჯაოსი (ინვ. № 108); 2. ძეწკვი საკიდით ბრინჯაოსი (ინვ. № 113); 3. მძივები სარდიონის (ინვ. № 116); 4-8. მძივები პასტის (ინვ. № 115); 9, 13. საკინძები ბრინჯაოსი (ინვ. № 111, 112); 10. მძივი პასტის (ინვ. № 109); 11-12. რგოლები ბრინჯაოსი (ინვ. № 110, 114).



სურ. 57. საკიდი ბრინჯაოსი (ინვ. № 108).



სურ. 58. საკინძები ბრინჯაოსი (ინვ. № 111,112).



სურ. 59. ძეწკვი ბრინჯაოსი (ინვ. № 113).



სურ. 60. მძივები (ინვ. № 115,116).



სურ. 61. № 3 თხრილი. წინა პლანზე სამარხი № 6.





სურ. 62. № 6 სამარხის ქვაყრილი.



სურ. 63. სამარხი № 6.



სურ. 64. სამარხი № 6.





სურ. 65. სამარხი № 6 საქონლის ძვლები (დეტალი).





სურ. 66. სამარხი № 6 (დეტალი).




სურ. 67. სამარხი № 6. სამარხი კამერის გეგმები და ჭრილები.




სურ. 68. № 6 სამარხის ინვენტარი:

1. შუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. № 128); 2. შუბის ხის ტარის ნაწილი (ინვ. № 129); ; 3. მძივები სარდიონის (ინვ. № 134); 4. მძივები ბრინჯაოსი (ინვ. № 133); 5. სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. № 127); 6. კვერთხისთავი ძვლის (ინვ. № 135).




სურ. 69. № 6 სამარხის ინვენტარი: 1-4. ისრისპირები ბრინჯაოსი (ინვ. № 130, 136-137); 5. საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. № 132); 6-7. ისრისპირები ძვლის (ინვ. № 131, 139).




სურ. 70. № 6 სამარხის ინვენტარი:
1. ქილა თიხის (ინვ. № 125); 2. სასმისის ფრაგმენტი თიხის (ინვ. № 126).



სურ. 71. სამარხი № 6. ქოთანი (ინვ. № 125).



სურ.. 72. სამარხი № 6. სასმისი (ინვ. № 126).



სურ. 73. სამარხი № 6. კვერთხისთავი ძვლის (ინვ. № 135).







სურ. 74. სამარხი № 6.
სატევარი (ინვ. № 127).

სურ. 75. სამარხი № 6.
შუბისპირი სურ. 75.





სურ. 76. სამარხი № 6
ისრისპირი (ინვ. № 130).

სურ. 77. სამარხი № 6
საკინძი (ინვ. № 132).





სურ. 78. ისრიპირები ბრინჯაოსი (ინვ. № 136-138).

სურ. 79. ისრისპირები ძვლის (ინვ. № 131, 139).




სურ. 80. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 65); 2. ყავისფერი კეცით (ინვ. № 63); 3. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 67); 4. ყავისფერი კეცით (ინვ. № 70); 5. შავი კეცით (ინვ. № 64); 6. ყავისფერი კეცით (ინვ. № 59); 7. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 122); 8. ყავისფერი კეცით (ინვ. № 121); 9. შავი კეცით (ინვ. № 119); 10. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 118); 11. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 127); 12. ყავისფერი კეცით (ინვ. № 128).




სურ. 81. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 124); 2. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 129); 3. ყავისფერი კეცით (ინვ. № 126); 4. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 207); 5. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 125); 6. შავი კეცით (ინვ. № 120); 7. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 208); 8. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 209); 9. შავი კეცით (ინვ. № 117); 10. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 210); 11. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 211); 12. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 212); 13. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 213); 14. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 214).




სურ. 82. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ყავისფერი კეცით (ინვ. № 137); 2. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 140); 3. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 139); 4. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 143); 5. შავი კეცით (ინვ. № 134); 6. შავი კეცით (ინვ. № 218); 7. შავი კეცით (ინვ. № 220); 8. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 141); 9. ყავისფერი კეცით (ინვ. № 150); 10. ყავისფერი კეცით (ინვ. № 152); 11. ყავისფერი კეცით (ინვ. № 130); 12. შავი კეცით (ინვ. № 220).




სურ. 83. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ყავისფერი კეცით (ინვ. № 146); 2. ყავისფერი კეცით (ინვ. № 223); 3. ყავისფერი კეცით (ინვ. № 154); 4. ყავისფერი კეცით (ინვ. № 224); 5. ყავისფერი კეცით (ინვ. № 153); 6. შავი კეცით (ინვ. № 151); 7. ყავისფერი კეცით (ინვ. № 229); 8. ყავისფერი კეცით (ინვ. № 225); 9. ყავისფერი კეცით (ინვ. № 230); 10. ყავისფერი კეცით (ინვ. № 228); 11. მოწითალო კეცით (ინვ. № 193); 12. მოწითალო კეცით (ინვ. № 231); 13. ყავისფერი კეცით (ინვ. № 192).




სურ. 84. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 138); 2. ყავისფერი კეცით (ინვ. № 185); 3. ყავისფერი კეცით (ინვ. № 190); 4. ყავისფერი კეცით (ინვ. № 155); 5. მოყვითალო კეცით (ინვ. № 191); 6. მოყვითალო კეცით (ინვ. № 189); 7. მოყვითალო კეცით (ინვ. № 194); 8. მოწითალო კეცით (ინვ. № 182); 9. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 188).




სურ. 85. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. მოწითალო კეცით (ინვ. № 199); 2. ყავისფერი კეცით (ინვ. № 179); 3. ყავისფერი კეცით (ინვ. № 180); 4. ნაცრისფერი კეცით (ინვ. № 242); 5. მონაცრისფრო კეცით (ინვ. № 238).




სურ. 86. შემთხვევით მოპოვებული მასალა: 1. უმბონი ბრინჯაოსი (ინვ. № 171); 2. უმბონი ბრინჯაოსი (ინვ. № 170); 3, 4, 5, 7. რგოლები ბრინჯაოსი (ინვ. № 163); 6. ძვლის ნივთი (ინვ. № 158); 8. მძივი პასტის (ინვ. № 157); 9. მძივი ბრინჯაოსი (ინვ. № 166).




სურ. 87. შემთხვევით მოპოვებული მასალა: 1. შუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. № 177); 2, 5. რგოლები ბრინჯაოსი (ინვ. № 167, 168); 3, 4. მახათი ბრინჯაოსი (ინვ. № 172).




სურ. 88. შემთხვევით მოპოვებული მასალა: 1. საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. № 173); 2. ძეწკვი ბრინჯაოსი (ინვ. № 160); 3. ბუნიკი ბრინჯაოსი (ინვ. № 169); 4. მილაკი ბრინჯაოსი (ინვ. № 174); 5. მძივები სარდიონის (ინვ. № 156); 6. ძვლის ისრისპირი ბრინჯაოსი (ინვ. № 179); 7. სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ. № 164); 8, 9, 10. რგოლები ბრინჯაოსი (ინვ. № 165, 161, 162).




სურ. 89. შემთხვევით მოპოვებული მასალა: 1. ლაგამი ბრინჯაოსი (ინვ. № 178); 2, 3. სატეხები ბრინჯაოსი (ინვ. № 175); 4. მილაკი ბრინჯაოსი (ინვ. № 248); 5. მახათი ძვლის (ინვ. № 159).




სურ. 90. გიორგი აშკალოვის ეზოში გათხრილ
სამარხში აღმოჩენილი დოქი (ინვ. № 237).




სურ. 91. გიორგი აშკალოვის ეზოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლები:
1. დოქი (ინვ. № 252); 2. ქოთანი (ინვ. № 241); დოქი (ინვ. № 239); ქოთანი (ინვ. № 240).




სურ. 92. გიორგი აშკალოვის ეზოში გათხრილ
სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ინსიგნია (ინვ. № 249-251).




სურ. 93. გიორგი აშკალოვის ეზოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი არტეფაქტები:
1. დანა ბრინჯაოსი (ინვ. № 247); 2. 2, 5. ისრისპირები ბრინჯაოსი (ინვ. № 245, 246); 3, 4. რგოლები ბრინჯაოსი (ინვ. № 253, 254).




სურ. 94. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1, 2. ინვ. № 137.




სურ. 95. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ინვ. № 153; 2. ინვ. № 152; 3. ინვ. № 228; 4. ინვ. № 230; 5. ინვ. № 229; 6. ინვ. № 154; ინვ. № 7. ინვ. № 190; 8. ინვ. № 155.




სურ. 96. შემთხვევით მოპოვებული კერამიკული მასალა: 1. ინვ. № 217; 2. ინვ. № 165; 3. ინვ. №
150; 4. ინვ. № 148; 5. ინვ. № 151; 6. ინვ. № 149; 7. ინვ. № 225; 8. ინვ. № 223; 9. ინვ. № 224.






სურ. 97. 1. ინვ. № 199.

სურ. 98. 1. ინვ. 180; 2. ინვ. № 119.


სურ. 99. ინვ. № 240


. სურ. 100. ინვ. № 241.



სურ. 101. ინვ. № 239.



სურ. 102. ინვ. № 237

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

გოდერძი ნარიმანიშვილი, ბიძინა მურვანიძე

რევაზ დავლიანიძე, მარინე კვაჭაძე

# მარაბდა – ახალქალაქი - ყარსის რკინიგზის წინწყარო-სამშვილდის მონაკვეთში

# 2008 - 2010 წლებში ჩატარებული

# არქეოლოგიური სამუშაოების

# ანგარიში

თბილისი

2010

მარაბდა – ახალქალაქი - ყარსის რკინიგზის ხაზი მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წინწყაროს სამხრეთით. არქეოლოგიურად შესასწავლი მონაკვეთი მოცავს ПК 185-დან ПК 240-მდე.

ამ მონაკვეთის არქეოლოგიური დაზვერვა თავდაპირველად განხორციელდა XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც იწყებოდა მარაბდა – ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. იმ პერიოდში მშენებლობის ზონაში არქეოლოგიური ძეგლები არ მოხვდა და შესაბამისად ამ ტერიტორიის დაწვრილებითი არქეოლოგიური შესწავლა არ მომხდარა.

2008 წელს რკინიგზის ამ მონაკვეთზე საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ჩაატარა I და II ეტაპის სამუშაოები. I ეტაპის სამუშაოები განხორციელდა 2008 წლის მარტში, II ეტაპისა 2008 წლის ნოემბერში. III ეტაპის საველე სამუშაოები 2010 წლის 7 აპრილს დაიწყო და 19 მაისს დასრულდა.

I ეტაპის დაზვერვითი სამუშაოები დაიწყო სადგურ წინწყაროდან, იმ ადგილიდან, საიდანაც რკინიგზის ახალი ხაზი ძველს თანდათან ჩრდილოეთით შორდება და დასავლეთით მიემართება. შესასწავლი მონაკვეთის სიგრძე 6,0 კილომეტრს უდრის. არქეოლოგიური ძეგლების დაფიქსირება მიმდინარეობდა ახალი ხაზის სავარაუდო ტრასის ორივე მხარეს და 30-40 მეტრს მოიცავდა. ზოგიერთი მონაკვეთი უფრო მეტ ფართობზე იქნა შესწავლილი, რადგან სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა მოითხოვოს მისასვლელი გზების მშენებლობა, ან დამატებითი ფართობის ათვისება, ამასთან ვითვალისწინებდით GPS –ის ცდომილებებს.

რკინიგზის ახალ მონაკვეთზე არქეოლოგიური ძეგლების ინტენსივობის მიხედვით ოთხი ზონა გამოიყო (ტაბ. I).

**პირველი ზონა** (ტაბ. II) იწყება რკინიგზის სადგურთან, ПК-185 ნიშნულიდან და ПК- 200-მდე აღწევს, სადაც ამ ზონას მცირე ხევი საზღვრავს (ტაბ. V). პირველ ზონაში ექცევა №№ 76-90 ნიშნულები, რომლებიც სავარაუდო არქეოლოგიურ ნაშთებს შეიცავენ.

I და II ეტაპებზე ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე გაირკვა, რომ სავარაუდო არქეოლოგიურ ძეგლებს შორის უშუალოდ მშენებლობის ზონაში მოექცა №№ 78 (სურ. 10), 84 (სურ. 16), 85 (სურ. 17), 89 და 90 (სურ. 21, 22) ნიშნულები. II ეტაპის სამუშაოები ჩატარდა №№ 84, 89 და 90 ნიშნულებზე.

**მეორე ზონა** იწყება ПК- 200-დან და ПК- 205-მდე გრძელდება და სახნავ მინდორს ემთხვევა (ტაბ. III). ეს მონაკვეთი დაახლოებით 0,5 კმ სიგრძისაა. მინდორს აღმოსავლეთიდან მცირე ხევი, დასავლეთიდან კი მაღალი ბორცვი საზღვრავს. მთის ძირში, აღმოსავლეთით გრუნტის გზაა, რომელიც ლიანდაგის ქვეშ არსებულ ხიდში გადის და სოფ. სამშვილდისაკენ მიემართება.




სურ. 1. II ზონა. №№ 89-92 ნიშნულები. სიტუაციური გეგმა.

მინდორი ჩრდილოეთიდან დაბალი ქედით, სამხრეთით კი არსებული რკინიგზით არის შემოსაზღვრული (სურ. 1). I ეტაპის სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ მეორე ზონაში ექცევა №№ 91-98 ნიშნულები, რომლებიც ძირითადად ქვაყრილებით ან მიწაყრილითაა წარმოდგენილი. მათი ანთროპოგენული წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. GPS კოორდინატების საშუალებით დადგინდა, რომ უშუალოდ მშენებლობის ზონაში ხვდება № 91, № 92, № 94 და № 96 ნიშნულები, რომლებიც არქეოლოგიურ ნიშნებს შეიცავენ. II ეტაპის სამუშაოები ჩატარდა №№ 91, 92, 94, 96 ნიშნულებზე.

**მესამე ზონა** დღეს არსებული რკინიგზის ხაზს დიდად სცილდება (ტაბ. IV). იგი მოქცეულია ПК 215-სა და ПК 230-ს შორის. მინდორი, სადაც რკინიგზის ახალი ხაზი უნდა გავიდეს და სადგურიც უნდა აშენდეს, ქედებითაა შემოფარგლული და ერთგვარ ტაფობს წარმოადგენს (ტაბ. XXXVII). რკინიგზის ხაზი აქ დიდ რკალს აკეთებს, ჯერ ჩრდილოეთით მიდის, შემდეგ დასავლეთით უხვევს და პირდაპირი ხაზით, დაახლოებით 3,0 კმ-ის გავლის შემდეგ, რკინიგზის არსებულ ხაზს უერთდება. I ეტაპის სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ III არქეოლოგიური ზონა ყორღანულ ყრილებს შეიცავს (ნიშნულები №№ 99 - 115, 135 – 144). მათი ერთი ნაწილი უშუალოდ რკინიგზის ზოლში ექცევა (№№ 101, 102, 103, 107, 108, 109, 110, 139, 142 და 143 ნიშნულები). ამ ობიექტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ზომის ყორღანული ყრილები, რომელთა ნიშნულებია - №№ 101, 107, 108, 110.

III ეტაპის სამუშოები

**№ 78 ნიშნულზე** 20 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის თხრილი გაიჭრა, რომელშიც ინტენსიური ქვაყრილი დაფიქსირდა (ტაბ. VI, VII). ის წარმოადგენს ყორღანის ქვაყრილს. ნაპირები დიდი ზომის ქვებითაა შემაგრებული. კრომლეხის დიამეტრი 13 მ-ს, სიმაღლე 1.0 მ-ს უდრის (სურ. 2).




სურ. 2. 78 ნიშნული. ყორღანის გეგმა.

ყრილი XX ს-ის 80-იან წლებში დაუზიანებიათ წინწყაროს რკინიგზის სადგურის წყალმომარაგების სისტემის გაყვანის დროს.

კრომლეხის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ქვაყრილი (ტაბ. VII-2), რომლის ქვეშ გამოიკვეთა სამარხი კამერის კონტურები. კამერა შევსებული იყო მჭიდროდ ჩალაგებული ბაზალტის ქვებით (ტაბ. VIII), რომლებიც კამერის პირიდან 2.2 მ სიღრმემდე აღწევდა და თითქმის იატაკამდე ჩადიოდა (სურ. 3).




სურ. 3. ყორღანის ჭრილი სამარხი კამერის ამოსუფთავებამდე.

სამარხი კამერის იატაკი 0 წერტილიდან 3.2 მ სიღრმეზე (სურ. 4), ძველი ზედაპირიდან კი 2.5 მ სიღრმეზეა გამართული (სურ. 6, 7, 8).




სურ. 4. ყორღანის ჭრილი სამარხი კამერის გასუფთავების შემდეგ.

სამარხი კამერა ყორღანის ქვაყრილის ზედაპირიდან 1.0 მ სიღრმეზეა. მის თავზე ქვაყრილის ქვეშ, მთელ ფართობზე სამარხი კამერიდან ამოყრილი ყვითელი თიხა ეყარა, რომლის სისქე 0.25 - 0.3 მ-ს უდრიდა (სურ. 4). ყვითელი თიხის ზოლი ჩაუყვებოდა ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ და კამერაში ჩაყრილი ქვაყრილის ქვედა რიგამდე აღწევდა. კამერის კედელსა და ქვაყრილს შორის მხოლოდ ყვითელი თიხა ეყარა (მინარევების გარეშე) და მისი სისქე 0.15 – 0.25 მ-ს აღწევდა (სურ. 3).

სამარხ კამერას გეგმაში კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს (სურ. 5). კამერის ზომები მიწის თანამედროვე ზედაპირთან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 3.80 მ-ია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 3.60 მ. ძირისაკენ სამარხი ორმო ვიწროვდება.




სურ. 5. ყორღანის სამარხი კამერის გეგმა.

კამერის ზომები სამარხი ორმოს იატაკთან: სიგრძე ჩრდილოეთ კედელთან 2. 50 მ. სამხრეთ კედელთან – 2.60 მ; სიგანე აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელთან – 2.30 მ, შუა ნაწილში – 2.50 მ.

სამარხი კამერის იატაკი ორმოს პირიდან 2.50 მ სიღრმეზე მდებარეობს (სურ. 6, 7, 8). სამარხი კამერის ზედაპირიდან 1.50 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ორი ხარის თავის ქალა. ხარის თავის ქალები ეწყო სამარხი კამერის ორმოს პირიდან 2.0 მ-ის სიღრმეზე და იატაკიდან 0.45 მ სიმაღლეზე გამართულ თაროზე.

თარო აღმოსავლეთ კედელთან ერთად არის ამოკვეთილი თიხაში. ის კედელს მთელს სიგრძეზე მიუყვება. მისი სიგანე ცენტრალურ ნაწილში 0.4 მ-ია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებისაკენ კი ვიწროვდება.

თაროსთან ერთად თიხაში ამოკვეთილია ნახევარწრიული შვერილი, რომელიც სამარხი კამერის ცენტრში მდებარეობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის თაროს ფეხს წარმოადგენს. თაროს ქვეშ, შვერილის ჩრდილოეთით და სამხრეთით, კედლების გასწვრივ შეკვეთილია ღრმულები, რომლებიც იმ დონეზეა შეჭრილი, რომ აღმოსავლეთი კედლის დახრის ხაზს არ სცილდება სიღრმეში. ეს ორი ღრმული შვერილთან ერთად ურმის ფორმას იმეორებენ და ხარშებმული ურმის შთაბეჭდილებას ტოვებენ (სურ. 5-8).




სურ. 6. ყორღანის სამარხი კამერის ჭრილი.

თაროს ნახევარწრიული ფორმა აქვს. რომლის ჩრდილოეთით ხარის ერთი თავი, – სამხრეთით მეორე ხარის თავი დევს (ტაბ. IX, X, XI, XII, XIII). ხარის თავები ერთმანეთისაგან 1.40 მ-ით იყო დაცილებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის რქის წვერებს შორის მანძილი 0. 80 მ-ია, რქების სიგრძე დაახლ. 0.30 მ-ის ტოლია, ხოლო თავის ქალის სიგრძე – 0.62 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის რქების წვერებს შორის მანძილი დაახლ. 0.70 მ-ია (მარცხენა რქა წატეხილი აქვს); რქების სიგრძე 0. 24 მ-ია.

კამერის იატაკის მთელ ფართობზე დაფიქსირდა ხის ძელების ნაშთები, რომელთა დიდი ნაწილი ურემს ეკუთვნის.




სურ. 7. ყორღანის სამარხი კამერის ჭრილი.

კამერაში ოთხი ბორბალი დაფიქსირდა (ტაბ. XVI). ორი ჩრდილოეთის, ორი კი სამხრეთის კედლის გასწვრივ იყო ჩადგმული იატაკში. იატაკში ჩაჭრილია 0..2 მ. სიღრმის ფოსოები, რომელშიც ბორბლებია ჩადგმული.




სურ. 8. ყორღანის სამარხი კამერის ჭრილი.

ჩრდილოეთ - სამხრეთის ხაზზე დაწყობილ ბორბლებს შორის მანძილი 1.80 მ-ია; ხოლო აღმოსავლეთ დასავლეთ ხაზზე მდებარე ბორბლების ცენტრებს შორის მანძილია 1.40 მ-ს უდრის. ბორბლების შემორჩენილი დიამეტრი 1.0 მ-ს უდრის. ფიცრის მაქსიმალური სისქე 0.08 მ-ია, მინიმალური - 0.03 მ. საბორბლე ფოსოს დიამეტი 0.22 მ-ია, სისქე 0.16 მ-ია (სურ. 5, 8).

ურმის დეტალები სამარხი კამერის სხვადასხვა ნაწილშიც დაფიქსირდა. დასავლეთის კედელთან აღმოჩნდა ორი ძელი: I ძელის სიგრძეა 1.45 მ, სიგანე – 0.25 მ; II ძელის სიგრძეა – 1.20 მ, სიგანე – 0.27 მ. ჩრდილოეთ და სამხრეთი კედლების გასწვრივ, კამერის იატაკზე დაწყობილი ძელები შედის თაროს ქვეშ შეჭრილ ფოსოებში.

ხარის თავების ოდნავ ქვევით, ყორღანის ქვაყრილიდან 3,2 მ. და თაროს პირიდან 0,2 მ სიღრმეზე მცირე ზომის თიხის ჭურჭელი, სავარუდოდ ჭრაქი დაფიქსირდა. ის თაროდან 0,4 მ დაცილებით იდო. მეორე ჭურჭელი სამხრეთი კედლის გასწვრივაა ჩალეწილი. აღსანიშნავია, რომ ამ დონეზე, სამარხი კამერის მთელ ფართობზე თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები და წვრილფეხა საქონლის ძვლები გვხვდება. ამ ფენის სისქე 0,25 მ-ია.

ამ ფენაშივე დადასტურდა მიცვალებულის ძლიერ დაზიანებული ძვლები. იგი დასვენებული ყოფილა ურმის ძარაზე. ძვლებს მუქი ყავისფერი შეფერილობა აქვს. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მიცვალებული ტყავში ყოფილა გახვეული. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ იგი ტყავის საფენზე იყო დასვენებული და ზევიდანაც ტყავი ეფარა. ასეთი ვარაუდის საფუძველს პალინოლოგიური კვლევის (ე. ყვავაძე) შედეგი იძლევა (იხ. ქვემოთ). ამაზევე მიუთითებს ჩვენს მიერ 2003-2005 წლებში გათხრილი საფარ-ხარაბას სამაროვნის მონაცემები. თუმცა ანთროპოლოგი ლ. ბითაძე ფიქრობს, რომ მიცვალებულის ძვლები ცეცხლშია მოხვედრილი (იხ. ქვემოთ). საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის მიცვალებულის ძვლები სპეციალურ ლაბორატორიას გადაეცა, რომლის პასუხი რამდენიმე თვეში იქნება.

ყორღანი შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და ძვ.წ. XX – XIX სს თარიღდება.

**ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები (ავტორი ლ. ბითაძე).**

მიცვალებული დაკრძალული იყო სარეცელზე, რომლის კვალი კარგად არის გამოხატული. ადამიანის ძვლოვანი მასალა ძალზედ დაზიანებულია. სამარხის თითქმის შუა ნაწილში შავი დიდი ლაქა აღინიშნებოდა. პრეპარირების შემდგომ ადამიანის ქალასარქველის მცირე ფრაგმენტი აღმოჩნდა. ძვლის კონტურების მიხედვით, ალბად მიცვალებულს თავი მარჯვენა გვერდზე ედო.

ამ სამარხში ნათლად ჩანს, რომ მიცვალებულის ცალკეული ძვლები კრემირებული იყო. სახის ზედა ნაწილი ნამწვავი შავი ლაქის სახით არის წარმოდგენილი, რაც ჩვენი აზრით კრემირებული ძვლის ფერფლს წარმოადგენს. ძვალი მთლიანად არ დამწვარა და დარჩა ფხვიერი მასა, რაც ჩვენი აზრით "ძვლის ფხვნილს" წარმოადგენს. მიწაზე აღბეჭდილი თავის ქალის ფრაგმენტის განივი ზომა – 132 მმ, ხოლო გრძივი - 90-100 მმ-ია. თავის ქალას ამ ფრაგმენტზე რამდენიმე წვრილი ნეკნის მცირე ფრაგმენტი ელაგა ზემოდან. სავარაუდოდ გარდაცვლილის ასაკი 10-14 წელი უნდა ყოფილიყო. ამ სამარხიდან ამოღებული იყო გამოსაკვლევად ძვლის ფრაგმენტი, ფერფლი და "ძვლის ფხვნილი", რომლებსაც ქიმიური ანალიზი ჩაუტარდებათ ფირმა "გამმაში".

რადგან შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში ხშირად გვხვდება კრემაციის რიტუალით დაკრძალვა, ამ დროის მოსახლეობის ფიზიკურ ტიპზე წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალა.

შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობის კრანიოლოგიური მასალა ძალზედ მწირი და ფრაგმენტულია. დღემდე მოპოვებულია 18 მამაკაცის და 19 ქალის თავის ქალა. ნიშანდობლივია, რომ ნიშანთა უმეტესობა შესწავლილია ერთეულ თავის ქალებზე. ამიტომ ცალკეულ სერიების განხილვას აზრი არა აქვს.

მამაკაცები მთლიანობაში ხასიათდებიან ძალიან დიდი გრძივი დიამეტრით (აწყურის ერთი თავის ქალას გარდა, რომელზეც საშუალო გრძივი და ძალიან დიდი განივი დიამეტრი ფიქსირდება), მცირე, საშუალო და საშუალოზე მაღალი განივი დიამეტრით. ქალას სიმაღლე ასევე პოლიმორფულია და სამი გრადაციით ვლინდება: მცირე, საშუალო და დიდი; ქალას ფუძის სიგრძე დიდი და ძალიან დიდი, ხოლო სახის ფუძის სიგრძე საშუალო და დიდი; სახის ზედა სიმაღლე მნიშვნელოვნად ცვალებადობს მცირე ზომიდან დიდ სახის ზედა სიმაღლემდე, რაც ამ დროის მოსახლეობისათვის სახის სრულ სიმაღლეს საშუალო და დიდი ზომის ფორმებით ხასიათდება. აღსანიშნავია შუბლის ძვლის საშუალო, დიდი და ძალიან დიდი უმცირესი სიგანე; სახის ზედა სიგანე მეტად ცვალებადი და ყველა შესაძლო ვარიანტით გამოირჩევა, ხოლო სახის შუა სიგანე მცირე, ძალიან მცირე და საშუალო სიდიდეებით ხასიათდება. ყვრიმალთაშორის დიამეტრი წინა პერიოდთან განსხვავებით მატულობს, თუმცა მხოლოდ ორი ინდივიდის მონაცემებს ემყარება. აღსანიშნავია თვალბუდეების სიგანისა და სიმაღლის მცირე ზომები, ცხვირის საშუალო სიგრძე და სიგანე. სახის საერთო პროფილი ორთოგნანტული (შესწავლილია 1 თავის ქალაზე), ჰორიზონტალური პროფილი მკვეთრად პროფილირებული, ცხვირის უნაგირი მაღალი, წარზიდულია.

**შუაბრინჯაოს თავის ქალების მწირი მასალიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორია ფართოდ იყო ათვისებული. თავის ქალები მოპოვებულია დასავლეთ (საგვარჯილე) აღმოსავლეთ (თრელი, შვინდიანი, არბოშიკი, აბანოსხევი, ქისტაური), სამხრეთ (ახჩია, კე-**

თილეთი, აწყური) საქართველოს რეგიონებში. უმეტესი ნიშანი ასევე შესწავლილია თითოეულ თავის ქალაზე. ზოგადად, ამ პერიოდის ქალებში გრძივი დიამეტრი ძირითადად დიდია, გამონაკლისია საშუალო სიგრძის თავის ქალა შვინდიანიდან. ამავე დროს, განივი დიამეტრი საშუალო და დიდ ზომებს აღწევს. თავის ქალას მაჩვენებელი დოლიქო-მეზოკრანული, სახის ზედა სიმაღლე მცირე. მეტად ცვალებადია შუბლის უმცირესი სიგანე და სახის ზედა სიგანე. ყოველივე ეს, მოსახლეობის მორფოლოგიური ნიშნების დიდ დიაპაზონში ცვალებადობაზე მიუთითებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის ქალა სიგრძეში ჯერ კიდევ დიდი და ძალიან დიდია, ხოლო განივი დიამეტრი იწყებს მატებას. ასევე, ერთეულ თავის ქალებზე განაზომიდან შეიძლება აღვნიშნოთ საშუალო სიმაღლის ცხვირისა და თვალბუდეების მაჩვენებლები.

**წინწყაროს მიდამოებში აღმოჩენილი №1 ყორღნის ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები** (*ელისო ყვავაძე)*

წინწყაროს №1 ყორღანიდან სულ აღებული და დამუშავებულია 22 ნიმუში. აქედან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა თავის არეშე და იატაკის შავი ლაქებიდან მოპოვებული მასალა, სადაც ნაპოვნი და განსაზღვრულია 30-ზე მეტი მცენარის მრავალი მტვრის მარცვალი. ქალას მიდამო განსაკუთრებულად საინტერესოა იმიტომ, რომ ადამიანის თმებში გროვდება იმ მცენარეთა მტვერი, რომლის გარემოში იგი ცხოვრობს და საქმიანობს. სამარხში, მიუხედავად იმისა, რომ თავად თმები იშლება და ვიზუალურად აღარ არის შესამჩნევი, მათი მიკრონაშთები და თმებში არსებული მტვრის მარცვლები და მიკროორგანიზმების ფოსილიები საკმაოდ კარგად ინახება.

იმ ნიმუშებში, რომლებიც №1 ყორღნის მიცვალებულის თავის ქალას ირგვლივ იყო აღებული, ნაპოვნია როგორც ველური, ისე კულტურული მცენარეთა მტვერის მარცვლები. ბევრია ფიჭვის მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი მუხის, წიფლის, მურყნის და ცაცხვის მტვერი. აღინიშნება აგრეთვე ნაძვის, სოჭის და რცხილას მტვრის მარცვლები. ნაპოვნია თხილის და კულტურული ვაზის მტვერიც. ბალახოვნებს შორის ბევრია იმ სარეველათა მტვრის მარცვლები, რომლებიც ნათესებში ხარობს. ესენია ნაცარქათამა, მატიტელა, ნარშავი, ხვართქლა. კარგადაა წარმოდგენილი ის სარეველებიც, რომლებიც ეზოში, გზის და ბილიკების პირას იზრდება. ესენია მაგალითად ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ნარი და სხვა. პალინოლოგიურ სპექტრებში საკმაოდ დიდი რაოდენობით აღინიშნება ტყის გვიმრების სპორები.

სამარხის იატაკიდან აღებულ სინჯებში უხვადაა წარმოდგენილი კაკლის და თხილის მტვერი. შესაძლოა, რომ მიცვალებულს კალათით ჩააყოლეს ისინი საიქიო ცხოვრებისთვის.

გარდა მცენარეთა მტვრის მარცვლებისა, შესწავლილ ნიმუშებში კარგაა წარმოდგენილი დაშლილი ხის მერქნის უჯრედები. მერქნის უჯრედები ბევრია იმ ნიმუშებში, რომლებიც სამარხის იატაკის დონეზეა აღებული. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე, სხვადასხვა სოკოს სპორები და მარცვლოვნების ფისოლიტები. ბევრია ტკიპების ჯაგრები, კლანჭები და მარწუხები. არის სხვა სახის ზოოლოგიური მასალის ნაშთებიც. მაგალითად, სამარხში ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის ნაშთი, ცხოველიც ბეწვი, მწერების ეპიდერმისი. თითქმის ყველა სინჯში აღმოჩენილია სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სელის ფერადი ბოჭკოც. შალის ბოჭკო ცოტაა.

პალინოლოგიური სპექტრების ტიპი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ბრინჯაოს ხანაში წინწყაროს მიდამოებში არსებული ლანდშაფტები. ახლომდებარე გორაკები ტყიანი

უნდა ყოფილიყო. აქ იზრდებოდა მუხა, წიფელი, რცხილა, ცაცხვი და სხვა ფართოფოთლოვანი სითბომოყვარული ჯიშები. ხევებსა და მდინარეების პირას მურყნის ტყე იყო გავრცელებული. ფიჭვი, სოჭი და ნაძვი უფრო შორს, თრიალეთის ქედის მაღალმთის ზოლში იზრდებოდა და მათი მტვერი წინწყაროში ქარს უნდა მოეტანა.

რაც შეეხება უშუალოდ ყორღანის ადგილის მიდამოებს, იგი მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო, სადაც დიდი ფართობი ნათესებს, ბაღებს და ვენახებს ეკავათ.

იმდროინდელი კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, რადგან მაშინ კლიმატი უფრო თბილი და ნოტიო იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ ცაცხვი, მურყანი და წიფელი ვერ გაიზრდებოდა.

**ო. ბენდუქიძე - პალეოზოოლოგიური კვლევის შედეგები**

ყორღანში საკმაოდ დიდი ჯიშის ხარებია დაფიქსირებული. მათ წაგრძელებული და ვიწრო თავისქალა (უფრო შუბლი), გრძელი და წვრილი, საკმაოდ ფაქიზი აგებულების რქები აქვთ. რქების მიმართულება წააგავს Bos primigenius-ისას. შუბლის ფორმაც რქებშორისი ქედის მიხედვით აგრეთვე წააგავს Bos primigenius-ის შუბლს.

ორივე თავის ქალა ეკუთვნის ერთი და იგივე ჯიშს; მარცხენა თავის ქალა ეკუთვნის უფრო დიდ ეგზემპლარს.

ასაკის მიხედვითაც ორივე თავის ქალა ტოლია (კბილების მოცვეთილობის საფუძველზე), თუმცა მარცხენა თავის ქალას კბილები ოდნავ ნაკლებად აქვს მოცვეთილი.

თავის ქალას თვალბუდეები საკმაოდ დიდია და არ არის ამობურცული გვერდებისაკენ.

თავის ქალები Bos brachycerus-სს არ ეკუთვნის, რადგან მისი თავის ქალას დიაგნოსტიკური ნიშანია შუბლის ლილვაკის შუა ნაწილში არსებული დიდი კოპი, რაც ყორღანში აღმოჩენილ ცალებზე არ შეინიშნება.

ყორღანში აღმოჩენილ ორივე თავის ქალას რქებშორისი ლილვაკი მთელ მის სიგანეზე თანაბრად ამობურცული აქვს და ოდნავ სწორხაზოვანია.

ყველა ზემოთმოყვანილი ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ორივე თავის ქალა, სავარაუდოდ, ეკუთვნის Bos taurus primigenius-ის ტიპს. ამ ჯიშის ხარები ადრე დაფიქსირებული იყო პროფ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ თრიალეთის ყორღანებში.

**ყორღანში აღმოჩნდა:**

1. ანატკეცები ობსიდიანის (ინვ. № 1), დაუმუშავებელი. 5 ცალი. აღმოჩნდა ყორღანის ქვაყრილში.
2. საქონლის ძვლის ფრაგმენტები და კბილები (ინვ. № 2). აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმოს აღმოსავლეთ კედელთან, ნულოვანი წერტილიდან 2. 45 მ სიღრმეზე.
3. კუს ძვლები და ჯავშანი (ინვ. № 3), აღმოჩნდა სამარხის ორმოს შევსებაში, ნულოვანი წერტილიდან 2. 55 მ სიღრმეზე.

4. ანამტვრევები ობსიდიანის (ინვ. № 4), დაუმუშავებელი. 8 ცალი. აღმოჩნდა სამარხის ორმოს შევსებაში, ნულოვანი წერტილიდან 2. 55 მ სიღრმეზე, კუს ძვლების სიახლოვეს.
5. წვრილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. № 5). აღმოჩნდა სამარხის ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხარის თავის მახლობლად, ნულოვანი წერტილიდან 3. 10 მ სიღრმეზე.
6. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 6). აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან.
7. რქის ფრაგმენტი (ინვ. № 7). აღმოჩნდა დასაკრძალავ ორმოში 0 ხაზიდან 3. 15 მ სიღრმეზე.
8. საქონლის თავის ქალის ფრაგმენტი (ინვ. № 8), აღმოჩნდა კამერის სამხრეთ კედელთან.




სურ. 9. ჭრაქი

9. ჭრაქი (?) (ინვ. № 9), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი.




სურ. 10. დერგი.

10. დერგის ფრაგმენტები (ინვ. № 10), თიხის, გამომწვარია მოყავისფროდ, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, მხარზე აქვს ორ-ორი რელიეფური კოპი. აღმოჩნდა მიმობნეული კამერის მთელ ფარდობზე.
11. დიდი ზომის ჭურჭლის (დერგის) ფრაგმენტები (ინვ. № 11), თიხის, გამომწვარია ორ ფენად: ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, შიდაპირი მოყავისფო-მოჩალისფროა. აღმოჩნდა მიმობნეული კამერის მთელ ფართობზე.




სურ. 11. დერგი.

12. გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები (ინვ. № 12), ბრინჯაოსი.
13. მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. № 13), აღმოჩნდა კამერის ჩრდ-აღმოსავლეთ კუთხასთან.
14. საქონლის კბილები (ინვ. № 14), აღმოჩნდა კამერის ჩრდ-აღმოსავლეთ კუთხესთან.
15. წვრილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. № 15), აღმოჩნდა 2 მ-ის სიღრმეზე.
16. საქონლის ძვლები (ინვ. № 16), აღმოჩნდა მიცვალბულის თავის ქალის აღმოსავლეთით.
17. საქონლის ძვლები (ინვ. № 17), აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე ხარის თავის ქალის ქვეშ.
18. ხარის თავი (ინვ. № 18), აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან.
19. ხარის თავი (ინვ. № 19), აღმოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.

2010 წელს I უბანზე გაითხარა 2008 წელს დაფიქსირებული ნიშნულები და გავლებული იქნა რამდენიმე ახალი თხრილი:

**თხრილი № 1 (2008 წლის ანგარიშში № 84 ნიშნული. ტაბ. XXIII-1).** თხრილში გაიწმინდა ბაზალტის დიდი ზომის ქვებით შემოსაზღვრული ყრილი, რომლის შიდა სივრცე საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული (სურ. 12). ოვალური ფორმის ქვაყრილის ზომებია: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 15 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 11 მ.
III ეტაპზე გავლებულ იქნა 3.0 X 1.0 მ თხრილი. ქვაყრილის ქვეშ სამარხი არ აღმოჩნდა.




სურ. 12. ნიშნული 84. გეგმა.

**თხრილი № 2 (2008 წლის ანგარიშში № 85 ნიშნული).** გაიჭრა მცირე ზომის ბორცვის სამხრეთ ფერდზე. თხრილის ზომებია: ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 4.5 მ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ – 2 მ. თხრილის სიღრმე ბორცვის ზედაპირიდან 3 მეტრის ტოლია. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა საშუალო და მცირე ზომის ქვებისგან შედგენილი ყრილი, რომლის ქვეშ მოყვითალო ფერის გრუნტი დაფიქსირდა (სურ. 13). ქვაყრილის ქვეშ სამარხი არ აღმოჩნდა.




სურ. 13. თხრილი № 2. გეგმა და ჭრილი.

**თხრილი № 3** მდებარეობს ყორღანის დასავლეთით 150 მეტრის დაცილებით. მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. თხრილის ზომებია: სიგრძე - 9 მ, სიგანე - 2 მ, სიღრმე – 0.8 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ 0.5 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა შავმიწანიადაგში შერეული წვრილი ქვები, რომლის ქვეშ დაფიქსირდა მოყვითალო ფერის გრუნტი.




სურ. 14. თხრილი № 3 გეგმა და ჭრილი.

**თხრილი № 4** გაიჭრა მცირე ზომის ბორცვის სამხრეთ ფერდზე. თხრილი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მცირედი გადახრით სამხრეთისაკენ (სურ. 15).




სურ. 15. თხრილი № 4. გეგმა და ჭრილი.

თხრილის ზომებია: სიგრძე – 4 მ; სიგანე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში 0.75 მ-ია, დასავლეთ ნაწილში – 2 მ; სიღრმე – 1.20 მ-ის ტოლია ბორცვის ზედაპირთან. თხრილში დაფიქსირდა მცირე ზომის ქვების გროვები. თხრილის დასავლეთი ნაწილი შეჭრილია ბორცვის სიღრმეში ჩრდილოეთის მიმართულებით.

**თხრილი № 5** მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მისი ზომებია: სიგრძე 3.20 მ; სიგანე 1.30 მ, სიღრმე 0.50 მ. თხრილში აღმოჩნდა უსისტემოდ მიმოფანტული საშუალო და მცირე ზომის ქვები.




სურ. 16 თხრილი №№ 5, 6, 7. გეგმები და ჭრილები

**თხრილი № 6.** თავდაპირველად გაიჭრა 4.0 მ სიგრძისა და 0.75 მ სიგანის თხრილი, რომლის დასავლეთ ნაწილში ჩრდილოეთის მიმართულებით საჭირო გახდა თხრილის გაფართოება - მისი სიგრძე ჩრდილოეთით 1,75 მ-ია, სიგანე 1 მ.
0.30 მ სისქის შავმიწანიადაგის მოხსნის შემდეგ, მოყვითალო ფერის თიხოვან გრუნტში დაფიქსირდა რამდენიმე დიდი ზომის ბაზალტის ქვა.

**თხრილი № 7** გაიჭრა № 1 ყორღანის დასავლეთით 70 მეტრის დაცილებით. მისი ზომებია: 4.0 X 4.0 მ; სიღრმე 0.65 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა წვრილი ქვები და ყვითელი დედაქანი..

**თხრილი № 8** № 1 ყორღანის დასავლეთით 90 მეტრის დაცილებით იქნა გავლებული. მისი ზომებია: 4.5 X 3.0 მ; სიღრმე 0.65 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა გრუნტზე გამართული ბაზალტის ქვების ყრილი.

**თხრილი № 9 (2008 წლის ანგარიშში № 89 ნიშნული).** 2008 წელს აქ წაგრძელებული ფორმის ქვაყრილი დაფიქსირდა (სურ. 17).




. სურ. 17. ნიშნული 89. გეგმა.

ეს ფართობი ხშირი ბუჩქნარით იყო დაფარული. მცენარეული საფარისაგან განთავისუფლების შემდეგ გამოვლინდა ოვალური ფორმის ქვაყრილი, რომლის ზომებია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 14 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ - 10.5 მ. გაირკვა, რომ დიდ ფართობზე გაშლილი ქვაყრილი რამდენიმე დამოუკიდებელი ყრილისაგან შედგება (ტაბ. XXIII-2,3). 2010 წელს გავლებულ თხრილში სამარხი კამერა არ დაფიქსირდა.

**თხრილი № 10 (2008 წლის ანგარიშში № 90 ნიშნული).** 90 ნიშნული მიწაყრილიან ბორცვს წარმოადგენს. იგი გაიწმინდა მცენარეული საფარისაგან. ბორცვზე გავლებული იქნა ორი სადაზვერვო თხრილი (სურ. 18). პირველი თხრილის სიგრძე 4,5 მ-ია, სიგანე 1.0 მ, სიღრმე 0,8 მ. მეორე თხრილის სიგრძე 3,5 მ-ს, სიგანე 1,0 მ-ს, სიღრმე 1,1 მ-ს უდრის. თხრილებში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. პირველი თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში სოფ. ქოსალარის წყალსადენის მილები გამოვლინდა. მილსადენის გაყვანისას ბორცვი შუაზე გადაუჭრიათ, რამაც ობიექტის სერიოზული დაზიანება გამოიწვია. II ეტაპზე № 90 ქვაყრილის ქვეშ მცირე ზომის სამარხი კამერა დაფიქსირდა. 2010 წელს გათხრები არ ჩატარებულა, რადგან სატრანსპორტო კორიდორის გარეთ აღმოჩნდა.




სურ. 18. ნიშნული 90. გეგმა და ჭრილები.

**თხრილი № 11** (სურ. 19) მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მცირედი გადახრით ჩრდილოეთისაკენ. თხრილს ასიმეტრიული ფორმა აქვს (ტაბ. XXIV), მისი ზომებია: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 12 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 7.25 მ; სიღრმე დასავლეთით 0.60 მ-ია, აღმოსავლეთით - 030 მ.

ყრილის ცენტრალურ ნაწილში დიდი ზომის ბაზალტის ქვები ჭარბობს, რომელთა შორის და ყრილის განაპირას წვრილი ქვები დაფიქსირდა.




სურ. 19. № 11 თხრილში გამივლენილი ნაგებობის ნაშთი. გეგმა და ჭრილი

ქვაყრილის პრეპარაციის შედეგად გამოიკვეთა ქვების წყობა (კედელი), რომელიც მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. კედლის შემორჩენილი სიგრძე 4.0 მ-ია, სიგანე კი 1.0 მ-ს უდრის. ერთი კედელი ოდნავ მორკალულია (ტაბ. XXV).

თხრილში გამოვლენილი კედლები რაღაც ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. ის იმდენადაა დაზიანებული, რომ გეგმარებისა და რაობის გარკვევა შეუძლებელია.

გათხრების შედეგად თხრილში რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი და ობსიდიანის ანატკეცი აღმოჩნდა. ისინი ქვაყრილის ზედაპირზე დაფიქსირდა და ამდენად ძნელი სათქმელია ეკუთვნის თუ არა ისინი აქ გამოვლენილ ნაგებობას.

კერამიკის ფრაგმენტები ძვ.წ. VII – VI სს უნდა ეკუთვნოდეს. ისინი გადაადგილებული უნდა იყოს.

**თხრილში აღმოჩნდა:**

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 20), თიხის, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, შიდაპირი ხაოიანი. აღმოჩნდა ქვაყრილში (ტაბ. XXXIV-3).




სურ. 20. № 11 თხრილში გამოვლენილი ნაგებობაში აღმოჩენილი არტეფაქტები.

2. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტები, 2 ც. (ინვ. № 21), თიხის, მოყავისფროდაა გამომწვარი, ზედა და შიდა პირი შავი აქვს. ყელთან ამოღარული სარტყლები გასდევს. აღმოჩნდა ქვაყრილში (ტაბ. XXXIV-2).
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 22), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია. აღმოჩნდა ქვაყრილში (ტაბ. XXXIV-2).
4. მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. № 23; ტაბ. XXXV-3).
5. სადღვებლის მხრის ფრაგმენტი სასულე ნახვრეტით (ინვ. № 24), თიხის, გამომწვარი მონაცრისფროდ, ზედა და შიდა პირი მოჩალისფრო აქვს. აღმოჩნდა 0.60 მ სიღრმეზე (ტაბ. XXXIV-1).
6. ანატკეცი, 2 ც. (ინვ. № 25), ობსიდიანის, აღმოჩნდა 0.60 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. XXXVI-1).
7. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № 26), ობსიდიანის, აღმოჩნდა 0.60 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. XXXVI-1).

**თხრილი № 12 (2008 წლის ანგარიშში № 91 ნიშნული).** № 91 ნიშნული წარმოადგენს ქვამიწაყრილიან ბორცვს, რომელსაც ორი შემაღლება აქვს. ბორცვზე 2008 წელს ორი სადაზვერვო თხრილი გაიჭრა (სურ. 21). პირველი თხრილის სიგრძე 4,0 მ-ია, სიგანე 1.0 მ, სიღრმე 1,3 მ. თხრილში გამოიკვეთა სამარხის ქვაყრილი. მეორე თხრილის სიგრძე 4,0 მ-ია, სიგანე 0,8 მ, სიღრმე 1,4 მ. თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში სამარხი კამერის კონტურები გამოიკვეთა.




სურ. 21. ნიშნული 91 და № 12 თხრილი. გეგმა და ჭრილები.

2010 წელს გავლებული თხრილი (სურ. 22) მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მისი ზომებია: სიგრძე 6.50 მ, სიგანე – 1.6 მ, სიღრმე – 1.30 მ. (ტაბ. XXVI; XXVII). კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა წვრილი ქვების მცირე გროვები; თხრილის ცენტრში 1.30 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა სამარხი კამერა, რომლის ზომებია: 1.30 X 0.90 მ, სიღრმე 0.25 მ.




სურ. 22. თხრილი № 12. გეგმა და ჭრილი.

2010 წელს თხრილის ზომებმა სიგრძეში 6.50 მ-ს, სიგანეში – 1.6 მ-ს, სიღრმეში – 1.30 მ-ს მიაღწია. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა წვრილი ქვების მცირე გროვები; თხრილის ცენტრში 1.30 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა სამარხი კამერა, რომლის ზომებია: 1.30 X 0.90 მ, სიღრმე 0.25 მ. სამარხი კამერა დაზიანებულია სოფ. ქოსალარის წყლის მილის გაყვანის დროს. სამარხ კამერაში თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები დაფიქსირდა.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 12 ც. (ინვ. № 27), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, ზედაპირი ნაპრიალები აქვს და ზედ ნაპრიალები ზოლები დაუყვება.
2. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 28), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ობსიდიანის მინარევები კეცში (ტაბ. XXXV-2).
3. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 29), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირი ნაპრიალები აქვს (ტაბ. XXXV-2).

**თხრილი № 13** (სურ. 23)
მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მისი ზომებია: სიგრძე - 5 მ, სიგანე აღმოსავლეთით 1.5 მ, დასავლეთით 3.0 მ; სიღრმე – 0.80 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ გაიწმინდა დიდი ზომის ბაზალტის ქვები, რომელთა შორის წვრელი ქვებია (ტაბ. XXVIII).




სურ. 23. თხრილი № 13. გეგმა და ჭრილი.

თხრილში აღმოჩნდა:

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 5 ც. (ინვ. № 30), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი მოჩალისფრო აქვს, ხელითაა ნაძერწი. აღმოჩნდა 0.75 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. XXXIV- 4).

**თხრილი № 14 (2008 წლის ანგარიშში № 92 ნიშნული).** № 92 ნიშნული მიწაყრილიან ბორცვს წარმოადგენს (სურ. 24). ყრილის სტრუქტურის გარკვევისა და სამარხი კამერის გაფიქსირების მიზნით ბორცვზე ერთი თხრილი გაიჭრა. თხრილის სიგრძე 4,5 მ-ია, სიგანე 1,0 მ, სიღრმე 1,3 მ. გამოვლინდა ქვებით შედგენილი ყორღანული ყრილი. თხრილი მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ტაბ. XXIX).




სურ. 24. ნიშნული 92 თხრილი № 14. გეგმა და ჭრილი.

2010 წელს გავლებული თხრილი (სურ. 25) მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მისი ზომებია: სიგრძე 4.0 მ, სიგანე – 1.5 მ, სიღრმე – 1.10 მ. თხრილი გავლებულია მცირე ზომის ბორცვის დასავლეთ ფერდობზე. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა ქვამიწაყრილი. 0.75 მ-ს სიღრმეზე გაიწმინდა სამარხი კამერის ჩრდილოეთი ნაწილი. სამარხის ზომებია: 0.75 X 1.0 მ, სიღრმე - 0.25 მ. (ტაბ. XXX).




სურ. 25. თხრილები № 14 და № 15. გეგმები და ჭრილები.

**სამარხში აღმოჩნდა:**

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 3 ც. (ინვ. № 31), თიხის, შავადაა გამომწვარი, კეცში თეთრი წვრილმარცვლოვანი მინარევებით (ტაბ. XXXV-1).
2. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 32), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, სქელკეციანი (ტაბ. XXXIV-6).
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 5 ცალი (ინვ. № 33), თიხის, გამომწვარია ორ ფენად, ზედაპირი აქვს მოყვითალო, შიდაპირი – მოშავო-მონაცრისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის ნატეხები (ტაბ. XXXIV-5).

**თხრილი № 15**

მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი ზომებია: სიგრძე - 6.0 მ, სიგანე - 2.0 მ, სიღრმე – 0.3 მ. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა წვრილი ქვების გროვები.




სურ. 26. №№ 93-97 ნიშნულები. სიტუაციური გეგმა.

**თხრილი № 16 (2008 წლის ანგარიშში № 94 ნიშნული).**

№ 94 ნიშნული სახნავ ფართობზე მდებარეობს (სურ. 26). იგი წარმოადგენს წრიული ფორმის ქვაყრილს. გაიჭრა ერთი თხრილი, რომლის სიგრძე 4,3 მ-ია, სიგანე 1,0 მ, სიღრმე 0,6 მ (სურ. 27).




სურ. 27. ნიშნული 94. გეგმა და ჭრილი. ნიშნული 96. გეგმა და ჭრილი.

2010 წელს გავლებული თხრილი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი ზომებია: 9.0 X 5.0 მ, სიღრმე – 0. 60 მ. თხრილში წრიული ფორმის ქვაყრილი დაფიქსირდა, რომლის ქვეშ სამარხი არ დადასტურდა (ტაბ. XXXI).




სურ. 28. თხრილი № 16. გეგმა და ჭრილი.

**თხრილი № 17 (2008 წლის ანგარიშში № 96 ნიშნული).**

№ 96 ნიშნულიც სახნავ ფართობზეა განთავსებული (სურ. 29). აქ ორი დამოუკიდებელი ქვაყრილი გამოვლინდა.

ერთი მათგანი ნამდვილად არქეოლოგიურ ძეგლს მიეკუთვნება. მეორე კი, შედარებით მცირე ზომისა, შემოწმებას საჭიროებდა. ამიტომ, სამარხი კამერის მოძიების მიზნით აქ ერთი თხრილი გაიჭრა. თხრილის სიგრძე 1,5 მ-ია, სიგანე 1,4 მ (ტაბ. XXXII – 2,3), რომელშიც სამარხი კამერის კონტურები გამოიკვეთა (ტაბ. XXXIII-1).




სურ. 29. თხრილები № 17 და 18. გეგმა.

2010 წელს გავლებული თხრილი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი ზომებია: სიგრძე 4.0 მ; სიგანე თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში 2.8 მ-ის ტოლია, ხოლო სამხრეთ ნაწილში - 2.50 მ. სიღრმე 0.60 მ-ია. კორდოვანი ფენის აღების შემდეგ, თხრილის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა დიდი და საშუალო ზომის ქვები, რის გამოც № 17 თხრილის დასავლეთით გაიჭრა 3.50 მ სიგრძისა და 1.40 მ სიგანის თხრილი, რომელიც № 18-თან აკავშირებს მას.

**თხრილი № 18**

გაიჭრა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი სიგრძეა 6.80 მ, სიგანე 5.5 მ. (სურ. 29).

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საჭირო გახდა თხრილის გაფართოვება 3.50 მ-ით. კორდოვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა დიდი ზომის ქვებით შედგენილი

კრომლეხები (წრიული კონსტრუქციები), რომელთა შორის არსებული სივრცე შევსებულია შედარებით მცირე ზომის ქვებით (ტაბ. XXXIII-2).

**ნიშნული 101**

მდებარეობს III არქეოლოგიურ ზონაში (ტაბ. XXXVII-1). ის I ეტაპის სამუშაოების დროს დაფიქსირდა.




სურ. 30. ნიშნული 101. გეგმა და ჭრილი.

ქვამიწაყრილიანი ბორცვია (ტაბ. XXXVIII; XXXIX), რომლის დიამეტრი 19.0 მ-ს უდრის. ყრილის ცენტრალურ ნაწილში გავლებული იქნა თხრილი, რომლის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 10.0 მ-ია. თხრილის სიგანე 7.5 მ-ს უდრის. მაქსიმალური სიღრმე კი 2.5 მ-ს აღწევს.

1.9 მ. სიღრმეზე გამოვლინდა მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები.

თხრილის სამხრეთ ნაწილში 2.2 მ. სიღრმეზე გამოიკვეთა წვრილი ქვების უსისტემო ყრილი (ტაბ. XL). ქვების დონეზე და მის ქვეშ გამოვლინდა კაჟისაგან დამზადებული იარაღები, რომლებიც ძველი ქვის ხანის მუსტიეს საფეხურს მიეკუთვნებიან და 100 000 – 35 000 წლით თარიღდებიან.

№ 101 ნიშნულზე აღმოჩნდა:

1. საფხეკი (ინვ. № 34), ობსიდიანის, ფრაგმენტული. აღმოჩნდა ყრილის ზედაპირიდან 1.90 მ-ის სიღრმეზე (სურ. 33-2; ტაბ. LI-2).
2. საფხეკი (ინვ. № 35), ობსიდიანის. აღმოჩნდა ყრილის ზედაპირიდან 1.90 მ-ის სიღრმეზე (სურ. 33-2; ტაბ. LI-2).
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 3 ცალი (ინვ. № 36), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი.
4. ანატკეცი (ინვ. № 37), ობსიდიანის, მცირე ზომის (სურ. 33-5).
5. ანატკეცი (ინვ. № 38), ობსიდიანის (სურ. 33-1; ტაბ. LI-1).
6. საფხეკი (ინვ. № 39), ობსიდიანის (სურ. 33-4; ტაბ. LI-1).
7. ამოღარული საფხეკი (ინვ. №40), თეთრი ფერის კაჟის (სურ. 33-6; ტაბ. XLIX-1).
8. საფხეკი (ინვ. № 41), კაჟის, მოყვითალო ფერის, ნაგორავები, გადალესილი გვერდებით (სურ. 32-3; ტაბ. XLIX-2).
9. ამოღარული საფხეკი (ინვ. № 42), კაჟის, მოყავისფრო (სურ. 32-4; ტაბ. XLIX-3).
10. ქვის იარაღი (ინვ. № 43), არგოლიტის (სურ. 31-3; ტაბ. XLIX-3).
11. საფხეკი (ინვ. № 44), არგოლიტის (სურ. 31-1; ტაბ. XLIX-3).
12. საფხეკი (ინვ. № 45), კაჟის, მოყავისფრო (სურ. 31-2; ტაბ. XLIX-3).
13. საფხეკი (ინვ. № 46), კაჟის, მოყვითალო (სურ. 32-1; ტაბ. L-2).
14. საფხეკი (ინვ. № 47), კაჟის, ყავისფერი, ფრაგმენტული (სურ. 32-5; ტაბ. LI-3).
15. ამოღარული საფხეკი (ინვ. № 48), ობსიდიანის, ფრაგმენტული (სურ. 32-6; ტაბ. LI-3).
16. ნუკლეუსი (ინვ. № 49), კაჟის, მოყავისფრო, შავი ჩანართებით (სურ. 32-2).




სურ. 31. 101 ნიშნულზე აღმოჩენილი ქვის იარაღები.




სურ. 32. 101 ნიშნულზე აღმოჩენილი ქვის იარაღები.




სურ. 33. 101 ნიშნულზე აღმოჩენილი ქვის იარაღები.

**ნიშნული 102.**
მდებარეობს III ზონის სამხრეთ ნაწილში. გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს.




სურ. 34. ნიშნული 102.

წარმოადგენს ქვამიწაყრილიან ბორცვს. მისი დიამეტრი 6.0 მეტრია, სიმაღლე 1.5 მ-ს უდრის. ყორღანული ყრილის შესწავლის მიზნით ბორცვის სამხრეთ ნაწილში გავლებული იქნა თხრილი, რომლის სიგრძე 7.0 მ-ია, სიგანე 2.5 მეტრს უდრის. ყრილის ძირიდან 0.5 მ სიღრმეზე გამოიკვეთა კლდოვანი დედაქანი. არქეოლოგიური მასალა არ დაფიქსირდა (ტაბ. XLI).

**ნიშნული 107.**
მდებარეობს III ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. XXXVII-2). გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს.




სურ. 35. ნიშნული 107. გეგმა და ჭრილი.

წარმოადგენს წაგრძელებული ფორმის ბორცვს, რომლის სიგრძე 12.0 მ-ია, სიგანე 5.5 მ-ს უდრის, სიმაღლე 1.5 მ-ია.

2010 წელს გავლებული იქნა ორი თხრილი (ტაბ. XLIV; XLV). ერთის სიგრძე 5.5 მ-ს, სიგანე 1.5 მ-ს, სიღრმე 1.0 მ-ს უდრის. მეორე თხრილის სიგრძე 4.5 მ-ია, სიგანე 1.4 მ, სიღრმე 1.2 მ-ია.

**107 ნიშნულზე აღმოჩნდა:**

1. ჭურჭლის ფრაგმენტები, 2 ცალი (ინვ. № 50), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია მწვანე ფერის ჭიქური. აღმოჩნდა თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში

**ნიშნული 108.**
მდებარობს 107 ნიშნულის ჩრდილო-დასავლეთით 50 მ-ის დაცილებით. გამოვლინდა I ეტაპის სამუშაოების დროს.




სურ. 36. ნიშნული 108. გეგმა და ჭრილი.

წარმოადგენს ქვამიწაყრილიან ბორცვს. მისი დიამეტრი 7.0 მ-ია. სიმაღლე 1.4 მ-ს უდრის. 2010 წელს მოიხსნა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ტაბ. XLII). თხრილის ზომებია 5.8 X 4.5 მ. მაქსიმალური სიმაღლე ცენტრში 1.7 მ-ს აღწევს (სურ. 36).
ბორცვის ცენტრში გამოვლინდა 1.5 X 1.5 მ ფართობის და 0.1 მ სიღრმის ორმო, რომელსაც ცეცხლის კვალი ემჩნეოდა და შევსებული იყო ნაცრით (ტაბ. XLIII). აქ ობსიდიანის ორი ანატკეცი აღმოჩნდა.

ახლა ძნელია ამ ბორცვისა და მის ქვეშ დაფიქსირებული ნაცრიანი ორმოს თარიღზე და ფუნქციაზე საუბარი. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს ყორღანს, სადაც მიცვალებულის კრემირებული ნაშთები დაკრძალეს.

**108 ნიშნულზე აღმოჩნდა:**

1. დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ № 51), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, პირგადაშლილი (სურ. 37-1).




სურ. 37. 108 ნიშნულზე აღმოჩენილი არტეფაქტები

2. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 52), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი,
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 53), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ქარსის მინარევებით კეცში, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები.
4. ამოღარული საფხეკი (ინვ. № 54), ობსიდიანის (სურ. 37-2).
5. საფხეკი (ინვ. № 55), ობსიდიანის, ფრაგმენტული (სურ. 37-3).

**№ 110 ნიშნული**

წარმოადგენს ქვამიწაყრილის დიდი ზომის ზვინულს (ტაბ. XLVI)). იგი დაფარული იყო მცენარეული საფარით. პირველ რიგში ზვინული გასუფდავდა ბუჩქნარისაგან. გამოვლინდა ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი ქვაყრილი. ყორღანული ყრილის სამხრეთ ფერდზე ერთი სადაზვერვო თხრილი იქნა გავლებული. თხრილის სიგრძე 6,0 მ-ია, სიგანე 1,4 მ, სიღრმე 1,5 მ. (სურ. 38). ჩატარებული სამუშაების შედეგად გაირკვა, რომ ყორღანულ სამარხის ზვინულზე თანამედროვე ეპოქაში კიდევ დაუყრიათ ქვები.




სურ. 38. ნიშნული 110. გეგმა და ჭრილი.

2010 წელს მიწაყრილის ზვინული მთლიანად იქნა მოხსნილი (ტაბ. XLVII; XLVIII). ბორცვის ქვეშ სამარხი კამერა არ დაფიქსირდა, სამაგიეროდ გამოვლინდა ქვის ხანის სადგომის ნაშთები, სადაც კაჟის რამდენიმე იარაღი იქნა აღმოჩენილი.

**№ 110 ნიშნულზე აღმოჩნდა:**

1. ჭურჭლის ფრაგმენტები, 2 ცალი (ინვ. № 56), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია მომწვანო ფერის ჭიქური.
2. ლაგამი (ინვ. № 57), რკინის, ორნაწილიანი.
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, 3 ცალი (ინვ. № 50), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, უსახო.
4. ლურსმანი (ინვ. № 59), რკინის.




სურ. 39. 110 ნიშნულზე აღმოჩენილი ქვის იარაღები.

5. იარაღი (ინვ. № 60), რიყის ქვისა.
6. საფხეკი (ინვ. № 61), კაჟის.
7. საფხეკი (ინვ. № 62), კაჟის.
8. საფხეკი (ინვ. № 63), კაჟის, ფრაგმენტული.

# დ ა ს კ ვ ნ ა

2010 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად რამდენიმე საინტერესო ობიექტი დაფიქსირდა:

1. აღსანიშნავია 78-ე ნიშნულზე გათხრილი ყორღანი, სადაც მიცვალებულის ურემზე დაკრძალვის რიტუალი დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია აქვე აღმოჩენილი დიდი ზომის ხარის თავები და წვრილფეხა საქონლის მრავალრიცხოვანი ნაშთები, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანის მესაქონლეობისა და საქონლის ჯიშების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან.
2. II ზონაში დაფიქსირებული სამარხების ნაშთები და აქვე მიკვლეული ნამოსახლარი ფენები მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ.წ. VII – VI სს დასახლების მაუწყებელია.
3. მნიშვნელოვანია III ზონაში გათხრილი ყორღანი (ნიშნული 108), სადაც თითქოს მიცვალებულის კრემაციის ნიშნები ჩანს. თუმცა ამ ფაქტს, ისევე, როგორც 78-ე ნიშნულზე გაფიქსირებულ სიტუაციას, შემდგომი კვლევა სჭირდება.
4. დიდი მნიშვნელობა აქვს III ზონაში ქვის ხანის ორი სადგომის მიკვლევას, რადგანაც ქვემო ქართლის ამ ნაწილში ამ ეპოქის ძეგლები დღემდე მიკვლეული არ ყოფილა.

2010 წელს მარაბდა-კარწახის რკინიგზის წინწყარო-სამშვილდის გადასარბენზე ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად სამშენებლო მოედანი განთავისუფლდა არქეოლოგიური ძეგლებისაგან.

შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

სურათების აღწერილობა:

ტაბ. I. რკინიგზის მონაკვეთი ПК-180-სა და ПК-240-ს შორის. არქეოლოგიური ზონები. გენგეგმა.
ტაბ. II. 1. I არქეოლოგიური ზონა. გეგმა (I ეტაპი).
2. I არქეოლოგიური ზონა. გეგმა (II ეტაპი).
ტაბ. III. 1 II არქეოლოგიური ზონა. გეგმა (I ეტაპი).
2. II არქეოლოგიური ზონა. გეგმა (II ეტაპი)
ტაბ. IV. 1. III არქეოლოგიური ზონა. გეგმა (I ეტაპი).
2. III არქეოლოგიური ზონა (II ეტაპი).
ტაბ. V. I არქეოლოგიური ზონის საერთო ხედი.
2. I არქეოლოგიური ზონის აღმოსავლეთი ნაწილის საერთო ხედი.
ტაბ. VI. 1. ნიშნული 78. ხედი I ეტაპის დროს.
2. ნიშნული 78. ყორღანის გათხრების დასაწყისი.
ტაბ. VII. 1. ყორღანის ქვაყრილის ჭრილი.
2. ყორღანი. ქვაყრილი სამარხი კამერის თავზე.
ტაბ. VIII. 1. ყორღანი. სამარხი კამერის ხედი ორმოს პირიდან 1 მ სიღრმეზე.
2. ყორღანი. სამარხი კამერის ხედი ორმოს პირიდან 1 მ სიღრმეზე
ტაბ. IX. 1. ყორღანი. სამხრეთით მდებარე ხარის თავის ქალა.
2. ყორღანი. სამხრეთით მდებარე ხარის თავის ქალა.
ტაბ. X. 1. ყორღანი. სამხრეთით მდებარე ხარის თავის ქალა.
2. ყორღანი. ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავის ქალა.
ტაბ. XI. 1. ყორღანი. ხარის თავის ქალას ძვლები.
2. ყორღანი. ხარის თავის ქალას ძვლები.
ტაბ. XII. 1. ყორღანი. ხარის თავის ქალას ძვლები.
2. ყორღანი. ხარის თავის ქალას ძვლები.
ტაბ.. XIII. ყორღანი. ხარის თავის ქალას ძვლები.
ტაბ. XIV. 1. ყორღანი. სამარხი კამერა. ქვაყრილის ქვედა ფენა. დეტალი.
2. ყორღანი. სამარხი კამერა. ჭრაქის აღმოჩენის ადგილი.
ტაბ. XV. 1. ჭრაქი.
2. ყორღანი. სამარხი კამერის ხედი ქვაყრილისაგან გასუფთავების შემდეგ.
ტაბ. XVI. 1. ყორღანი. სამარხი კამერის ხედი. ურმის დეტალები.
2. ყორღანი. სამარხი კამერის ხედი. ურმის დეტალები.
ტაბ. XVII. 1. ყორღანის ქვაყრილში აღმოჩენილი ობსიდიანები.
2. სამარხი კამერის ქვაყრილში აღმოჩენილი ობსიდიანები.
3. სამარხ კამერაში აღმოჩენილი ჭრაქი.
ტაბ. XVIII. 1. ყორღანი. თიხის ჭურჭელი № 11.
2. ყორღანი. თიხის ჭურჭელი № 10.
ტაბ. XIX. 1. სამარხი კამერის ქვაყრილში აღმოჩენილი კუს ბაკანი.
2. სამარხი კამერა. იატაკზე, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ძვლები.
ტაბ. XX. 1. სამარხი კამერა. იატაკზე, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლები.
2. სამარხი კამერა. იატაკზე, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ნეკნების ძვლები.
ტაბ. XXI. 1. სამარხი კამერა. იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავის ქალას გასწვრივ, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ძვლები.

2. სამარხი კამერა. იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავის ქალას გასწვრივ, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ძვლები.

ტაბ. XXII. 1. სამარხი კამერა. იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავის ქალას გასწვრივ, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ძვლები.

2. სამარხი კამერა. იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთით მდებარე ხარის თავის ქალას გასწვრივ, შავ ლაქაში აღმოჩენილი წვრილფეხა საქონლის ძვლები.

ტაბ. XXIII. 1. ნიშნული 84. ხედი II ეტაპის სამუშაოების შემდეგ.
2. ნიშნული 89. ხედი II ეტაპის სამუშაოების შემდეგ.
3. ნიშნული 89. ხედი II ეტაპის სამუშაოების შემდეგ

ტაბ. XXIV. 1. თხრილი № 11. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
2. თხრილი № 11. ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. XXV. 1. თხრილი № 11. ნამოსახლარის ნაშთი. ხედი დასავლეთიდან.
2. თხრილი № 11. ნამოსახლარის ნაშთი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ტაბ. XXVI. 1. ნიშნული 91. თხრილი № 12.
2. ნიშნული 91. თხრილი № 12.

ტაბ. XXVII. 1. ნიშნული 91. მუშაობის პროცესი.
2. თხრილი № 12. სამარხის ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. XXVIII. თხრილი № 13.

ტაბ. XXIX. 1. ნიშნული 92. ხედი სადაზვერვო თხრილის გაჭრამდე.
2. ნიშნული 92. სადაზვერვო თხრილის ხედი.
3. ნიშნული 92. სადაზვერვო თხრილი. დეტალი.

ტაბ. XXX. 1. ნიშნული 92. თხრილი № 14.
2. ნიშნული 92. თხრილი № 14. სამარხის ხედი დასავლეთიდან.
3. ნიშნული 92. თხრილი № 14. სამარხი ორმო.

ტაბ. XXXI. 1. ნიშნული 94.
2. ნიშნული 94. სადაზვერვო თხრილი.
3. ნიშნული 94. სადაზვერვო თხრილი. დეტალი.

ტაბ. XXXII. 1. ნიშნული 95.
2. ნიშნული 96.
3. ნიშნული 96. სადაზვერვო თხრილი.

ტაბ. XXXIII. 1. ნიშნული 96. თხრილი № 17.
2. თხრილი № 18.

ტაბ. XXXIV. 1. № 11 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტი (ინვ. № 24).
2. № 11 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 21, 22).
3. № 11 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტი (ინვ. № 20).
4. № 13 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 30).
5. № 14 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტი (ინვ. № 33).
6. № 14 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტი (ინვ. № 32).

ტაბ. XXXV. 1. № 14 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტი (ინვ. № 31).
2. № 12 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 28, 29).
3. № 11 თხრილში აღმოჩენილი ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 23).

ტაბ. XXXVI. 1. № 11 თხრილში აღმოჩენილი ობსიდიანები (ინვ. № 25, 26).
2. № 12 თხრილში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 27).

ტაბ. XXXVII. 1. III ზონა. საერთო ხედი სამხრეთიდან.
2. ნიშნული 107, 108, 110-ის საერთო ხედი.

ტაბ. XXXVIII. 1. ნიშნული 101.

2. ნიშნული 101. მუშაობის პროცესი.

ტაბ. XXXIX. 1. ნიშნული 101. ყრილის ხედი.

2. ნიშნული 101. თხრილის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XL. 1. 101 ნიშნული. ყორღანული ყრილის საერთო ხედი.

2. 101 ნიშნული. ქვის ხანის იარაღების აღმოჩენის ადგილი.

ტაბ. XLI. 1. ნიშნული 102. ყრილის საერთო ხედი.

2. ნიშნული 101. ყრილის ჭრილის ხედი.

3. ნიშნული 101. თხრილში გამოვნელი დედაქანი.

ტაბ. XLII. 1. ნიშნული 108. ხედი გათხრების დაწყებამდე.

2. ნიშნული 108. ხედი გათხრების შემდეგ.

ტაბ. XLIII. 1. 108 ნიშნული. ნაცროვანი ფენა.

2. 108 ნიშნული. ნაცროვანი ფენა. დეტალი.

ტაბ. XLIV. 1. 107 ნიშნული. საერთო ხედი გათხრების დაწყებამდე.

2. 107-ე ნიშნულზე გავლებული თხრილები.

ტაბ. XLV. 1 ნიშნული 107. თხრილი № 1.

2. ნიშნული 107. თხრილი № 2.

ტაბ. XLVI. 1. ნიშნული 110. ხედი ბუჩქნარისაგან გასუფთავების შემდეგ.

2. ნიშნული 110. ყორღანის ქვაყრილი

3. ნიშნული 110. სადაზვერვო თხრილი.

ტაბ. XLVII. 1. ნიშნული 110. ხედი ქვაყრილის აღების შემდეგ.

2. ნიშნული 110. ქვის ხანის იარაღების აღმოჩენის ადგილი.

ტაბ. XLVIII 1-2 ნიშნული 110. მუშაობის პროცესი.

ტაბ. XLIX. 1. ნიშნული 101. კაჟის იარაღი (ინვ. № 40).

2. ნიშნული 101. კაჟის ლამელა (ინვ. № 41).

3. ნიშნული 101. კაჟის საფხეკები (ინვ. № 43-45).

ტაბ. L. 1. ნიშნული 101. კაჟის საფხეკები (ინვ. № 61-63).

2. ნიშნული 101. კაჟის საფხეკი (ინვ. № 46).

ტაბ. LI. 1. ნიშნული 101. ობსიდიანის იარაღები (ინვ. № 38-39).

2. ნიშნული 101. ობსიდიანის იარაღები (ინვ. № 34-35).

3. ნიშნული 101. ობსიდიანის იარაღები (ინვ. № 47-48).

4. ნიშნული 108. ობსიდიანის იარაღები (ინვ. № 54-55).

ტაბ. LII. 1. ნიშნული 108. კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 51-53).

2. ნიშნული 107. მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 50).

3. ნიშნული 110. მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 56).

4. ნიშნული 110. ლაგამი, რკინის (ინვ. № 57).

ტაბ. LIII. პალინოლოგიური კვლევის მონაცემები.


I ზონა
II ზონა
III ზონა
IV ზონა


88
87
82
83
81
79
80
85
86
84
77
76
IE190

1


I ზონა
88
87
82
83
81
79
80
85
86
84
78
770
760
სახნავი
ПАШНЯ

2



1.




.
2


142
143
139
110
109
111
112
113
141
140
108
107
138
137
136
114
ЇÊ220
115
101
100
102
103
104
99
135
105
106
144

1


142
143
139
110
109
108
107
111
112
113
141
140
114
138
137
136
115
III ზონა
101
100
102
103
104
99
135
105
106

2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2





1



2



1



2



1



2



1



2



3



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



3



1



2



3



1



2



1



2



1



2



1



2





1





2

3

.



1



2



3



1



2.



3



1



2



3



1



2















1



2



3



1



2



1



2



ურ. 83. III ზონა. ნიშნული 101. კოორდინატი X 464726 Y 4597767.





1



2



1



2



1



2



3



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



3



1



2



1



2



1




2



3

L



1





1



2



3



4



1



2



3






ტაბულა I. წინწყარო №1, თავის ქალას არეში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1- ფიჭვი (*Pinus*); 2- წიფელი (*Fagus*); 3- მუხა (*Quercus*); 4,5- კაკალი (*Juglans*); 6- ცაცხვი (*Tilia*); 7- მურყანი (*Alnus*); 8,9- კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*); 10- ვარდკაჭაჭა (*Cichorioideae*); 11,12- გვიმრანაირი (*Polypodiaceae*).

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სთაველის გამზირი 3, ტელ.: 998022; ფაქსი: 982129; E-mail:

გოდერძი ნარიმანიშვილი, რევაზ დავლიანიძე,
გელა გიუნაშვილი, მარინე კვაჭაძე, ირაკლი ქორიძე,
მალხაზ ცინდელიანი.

# არქეოლოგიური გათხრები ახალსოფელში

(თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

2009

## შესავალი.

სოფ. ახალსოფელი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ალგეთის მარჯვენა შენაკადის მდ. ბზისწყლის ხეობაში, რომელიც ისტორიულად ზას (ზასი, ბზა) სახელით იყო ცნობილი. იგი დამოწმებულია XVI საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ისტორიულ საბუთებში [მასალები ... I, 1964; ხარაძე, 1991]. ახალსოფელი მდებარეობს ზღვის დონიდან 1620 მ-ზე.

ხეობაში არაერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს. სოფელში დგას X საუკუნის დარბაზული ეკლესია, რომლის გალავანში ჩაშენებულ ქვაზე ამოკვეთილ ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში მოიხსენიება მეფე ბაგრატ III და გურანდუხტ დედოფალი. ქვა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში [Такаишвили 1913, стр. 4-7; შოშიაშვილი 1980, გვ. 258]. ეკლესიის მახლობლად ძვ.წ. II-I ათასწლეულით დათარიღებული „ციკლოპური“ ნაციხარი ლოდოვანია [მელიქსეთბეგი, 1938. გვ. 42].

ახალსოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე სოფ. გოხნართან მდებარეობს XI საუკუნით დათარიღებული ეკლესია, რომლის სამხრეთი კარის არქიტრავზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოიხსენება კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი და მისი ძენი რატი და იოანე [Такаишвили 1913, стр. 9-11].

საყურადღებო ძეგლია გოხნარის „ციკლოპური“ კომპლექსი, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ნაპრალ-გვირაბებიანი ქვაყრილის (კარკნალი), ნასოფლარისა და ციხისაგან [მელიქსეთბეგი, 1938. გვ. 26, 40].

ახალსოფლის მახლობლად მდებარეობს ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული სამაროვანი [Давлианидзе 1977, стр. 122-126; Нариманишвили 1991, стр. 116].

ამ ბოლო წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა. მათგან უახლესია სოფ. ახალსოფელთან გზის მშენებლობისას აღმოჩენილი ნამოსახლარი. ძეგლი მდებარეობს თბილისი-კოდა-წალკა-ახალქალაქის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, ფარცხისი-ახალსოფლის მონაკვეთზე (53-55 კმ).

ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე, გზის გაფართოებისას, მის ჩრდილოეთ მხარეს ჭრილში გამოჩნდა მძლავრი კულტურული ფენები, რომლებიც დაფუძნებულია მოყვითალო ფერის თიხა-ფიქალებში გამოკვეთილ ტერასებზე.

გზისპირა ჭრილის მთელ სიგრძეზე, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისას, აიკრიფა ელინისტური ხანისა და განვითარებული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები.

კულტურული ფენის სიმძლავრითა და არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებით ველის აღმოსავლეთი ნაწილი გამოირჩეოდა (I-II უბანი). აქ თვალშისაცემი იყო ნამოსახლარის ჭრილში მშენებლების მიერ მიწის სამუშაოებისას გამოჩენილი დიდი ორმოები და დატერასებული უბნები.

ტერასები დადასტურდა ასევე ველის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში (III-IV უბანი). მცირე ტერასების ნაშთი იკითხება ასევე ველის ჩრდილოეთით მდებარე ბორცვის კალთებზე. იქვე გამოვლენილი ქვების ნაწილის სწორხაზოვანი წყობა და დამუშავების ხარისხი ბადებს ეჭვს, რომ მათი სახით ნაგებობის ნაშთებთან უნდა გვქონდეს საქმე.

საგულისხმოა, რომ ბორცვის კალთებზე და ველის დასავლეთ ნაწილში ელინისტური ხანის ძალიან მწირი მასალა მოვიძიეთ ზედაპირულად, მაგრამ გზისპირას ჩვენს მიერ სადაზვერვო თხრილის გავლებისას მრავლად აღმოჩნდა ზემოაღნიშნული პერიოდის საყურადღებო მასალა.

გასათხრელი ფართობი ტოპოგრაფიულად აიგეგმა. რუკაზე დატანილი იქნა რელიეფი, ტერიტორია დაიფარა ნაკვეთებისა და კვადრატების ბადით. დაფიქსირდა მყარი ნულოვანი წერტილი. ძეგლების კონცენტრაციის ადგილებში ფართობი 6 x 6 მ ნაკვეთებად დაიყო, რომლებიც თავის მხრივ 2 x 2 მ კვადრატებად დანაწევრდა. შესწავლილი ფართობი 4 უბნად დაიყო. შედგა ამ უბნების შესაბამისი გეგმები. ნამოსახლარზე გამოვლენილი ნაგებობები და მათი თანმხლები მასალა მხატვარ-არქიტექტორის მიერ იქნა ჩახატული. შედგა ნამოსახლარის გენგეგმა, ნაგებობების გეგმები და ჭრილები, საჭიროების შემთხვევაში გაკეთდა ცალკეული მონაკვეთების უფრო ზუსტი ფიქსაცია. ყოველდღე ხდებოდა ძეგლის გადღება ციფრული აპარატით.

2009 წლის 31 მარტიდან 25 აპრილამდე ახალსოფლის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (დამკვეთი) და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს (შემსრულებელი) შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მივლინებული იყო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელთან გზის მშენებლობისას დაზიანებული ძეგლის შესასწავლად (ხელშეკრულება № ).

საველე სამუშაოები ჩაატარა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შემდეგი შემადგენლობით:

1. ექსპედიციის ხელმძღვანელი – გ. ნარიმანიშვილი.
2. ხელმძღვანელის მოადგილე – რ. დავლიანიძე.
3. სპეციალისტი არქეოლოგი – გელა გიუნაშვილი.
4. სპეციალისტი არქეოლოგი – ერეკლე ქორიძე.
5. სპეციალისტი არქიტექტორი – გიორგი ტატიშვილი.
6. სპეციალისტი ტოპოგრაფი – ალექსანდრე თევზაძე.
7. საველე ასისტენტი – მარინე კვაჭაძე.
8. საველე ასისტენტი – მალხაზ ცინდელიანი.
9. ტექნიკური პერსონალი – გია ტურიაშვილი.

კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო:

1. ხელმძღვანელი – რევაზ დავლიანიძე.
2. სპეციალისტი არქეოლოგი – გელა გიუნაშვილი.
3. სპეციალისტი არქიტექტორი – გიორგი ტატიშვილი.
4. ასისტენტი (ლაბორატორიული) – მარინე კვაჭაძე.
5. ასისტენტი (ლაბორატორიული) – იგორ ასტახოვი.
6. ტექნიკური ასისტენტი – მაია წულუკიძე.

## ახალსოფლის ნამოსახლარი.

ჩვენს მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს თბილისი-მანგლისი-წალკა-ახალქალაქის დამაკავშირებელი სამანქანო გზის 53-55 კილომეტრზე (სურ. 1). გზის გაფართოებისას ჩრდილოეთის მხარეს გამოკვეთილ ჭრილში დაფიქსირდა მოშავო, არქეოლოგიური ნაშთებით გაჯერებული, კულტურული ფენა, რომელიც დაფუძნებული იყო ძირითად გრუნტზე – მოყვითალო ვულკანურ თიხა-ფიქალებში გამოკვეთილ ტერასაზე.

სამოსახლოდ შერჩეულია აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან ღრმა ხევებით შემოსაზღვრული ველი (სურ. 2, 3), რომლის დამხრობა და ზომიერი დაქანება სამხრეთისაკენ საუკეთესო წინაპირობა იყო იქ დასახლების მოსაწყობად. ველის ასეთი ექსპოზიცია თავისთავად განაპირობებდა ნაგებობის ფასადით სამხრეთისაკენ ორიენტირებას.

არქეოლოგიური მასალა, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები გზისპირა ჭრილის მთელ სიგრძეზე აიკრიფა. კულტურული ფენის სიმკვეთრითა და არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებით ველის აღმოსავლეთი ნაწილი გამოირჩეოდა. თვალშისაცემია ნასახლარის დიდი ორმოები და დატერასებული უბნები. აქვე, გზიდან ჩრდილოეთით – 50-55 მ-ში შემორჩენილია ქვითკირით ნაგები დარბაზული ეკლესიის ნაშთი (სიგრძე – 9,0; სიგანე – 5,0; კედლის შემორჩენილი სიმაღლე – 2,2; სიგანე – 0,8 მ.), რომელიც კედლით შემოსაზღვრული ყოფილა.

თავდაპირველად გამოვიკვლიეთ გზის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მშენებლების მიერ სადრენაჟე არხისათვის მონიშნული მონაკვეთი, რათა თავიდან აგვეცილებინა ამ ადგილზე ძეგლის დაზიანება და დაგვედგინა ძეგლის გავრცელების საზღვრები. კულტურული ფენების გავრცელების მთელ – 60 მ-ის სიგრძეზე გავავლეთ 1 x 1 მ-ზე ზომის 34 თხრილი (სურ. 2, 3), რომლის სიღრმეს განსაზღვრავდა კულტურული ფენების სისქე და ვულკანური თიხა-ფიქალების გამოვლენის დონე. თხრილებში მეტნაკლები ინტენსივობით დასტურდებოდა შუა საუკუნეებისა და ელინისტური ხანის კულტურული ფენები და მათი შესატყვისი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა ოთხ უბანზე.

№№ 1-3 თხრილები გაითხარა I უბანზე. სამივე თხრილში ტექნიკის მიერ აშლილი კულტურული ფენის ქვეშ, 0,4 – 0,6 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა მოყვითალო ფერის ვულკანური თიხა-ფიქალები.

№№ 4-8 თხრილები გაიჭრა II უბნის არქეოლოგიურად შეუსწავლელ ნაწილში. ხუთივე ორმოში გრუნტი სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა. მათში გაიწმინდა შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალების შემცველი კულტურული ფენა და მცირე ზომის ფრაგმენტები.

№№ 9-12 თხრილებში თიხა-ფიქალები დადასტურდა ზედაპირიდან 0,30-0,45 მ. სიღრმეზე.

№№ 13,14 თხრილებში გრუნტი აღმოჩნდა 0,40-0,50 მ. სიღრმეზე. მათში დაფიქსირდა მწირი კულტურული ფენების ნაშთი.

№ 15 თხრილში გამოვლინდა კულტურული ფენა, რასაც მოჰყვა თხრილის სამი მიმართულებით გაფართოება და III უბნის შექმნა.

№№ 16,17 თხრილებში თიხა-ფიქალები ზედაპირიდან 0,35 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა.

№№ 18-20 თხრილებში კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ 0,75-1,0 მ სიღრმეზე წამოვიდა მოყვითალო ფერის სტერილური თიხნარი. № 18 თხრილში სტერილური თიხნარის სიღრმეში ანტიკური ხანის მასალების შემცველი კულტურული ფენა დაფიქსირდა, რომლის შესწავლის მიზნით თხრილი გავაფართოვეთ და შეიქმნა IV უბანი.

№№ 21-26 თხრილებში თიხა-ფიქალები ზედაპირიდან 0,40-0,50 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა.

№№ 27,28 თხრილში 0,8-1,2 მ. სიღრმეზე გრუნტს ვერ მივაღწიეთ და გათხრა შევწყვიტეთ.

№№ 29,30 თხრილში გრუნტი დაფიქსირდა ზედაპირიდან 1,0 მ. სიღრმეზე.

№№ 31, 32 თხრილებში დედაქანი აღმოჩნდა ზედაპირიდან 0,45-0,55 მ. სიღრმეზე. ოთხივე თხრილი გაიჭრა ველის დასავლეთიდან შემომსაზღვრელი ხევის გადაღმა, ბოგირიდან დასავლეთით 15 მეტრში. აღნიშნულ მონაკვეთში ადრევე, დაზვერვების დროს, აიკრიფა სავარაუდოდ ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. მასალა მწირი და უსახურია, ჭირს მათი თარიღის დაზუსტება.

№№ 33 და 34 თხრილები გაიჭრა II უბნის ტერიტორიაზე დამატებით, რათა გაგვერკვია ამ უბანზე აღმოჩენილი № 5 სათავსოს გავრცელების საზღვრები.

II უბნიდან დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გზისპირა ფერდზე გავავლეთ ოთხი სადაზვერვო თხრილი. მათ მიეცა სადრენაჟე არხის ადგილზე გავლებული 34 თხრილის აღმავალი ნომრები: №№ 35, 36, 37, 38.

№ 35 სადაზვერვო თხრილი გაიჭრა II უბნის ბოლოსთან, ველის პირთან – გზის ხელოვნურ ფერდზე. თხრილის ზომებია: სიგრძე (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ) – 7.4 მ, სიგანე (ფერდის ჩასწვრივ), სიღრმე (ველის პირთან) – 0.80 მ. თხრილში ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირიდან 0.5 მ-ის დაშორებით დაფიქსირდა გადარეცხილზედაპირიანი ბუნებრივი თიხოვანი ქვიშაქვის რიგი, რომელიც 0.40 მ სიმაღლეზე იყო ამოზიდული. აშკარაა, რომ ბუნებრივი თიხოვანი ქვიშაქვის დედაქანი გამოიყენეს ნაგებობის კედლის დასაფუძნებლად, რასაც მოწმობდა ორ ადგილას გადმოქცეული ქვები – დაკუთხული თიხოვანი ქვიშავისა. ქვები დაფარული იყო 0.8 მ სისქის კულტურული ფენით, რომელშიც აღმოჩნდა მცირე რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტები – სავარაუდოდ შუასაუკუნეებისა.

№ 35 თხრილის დასაწყისში ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჩავჭერით 1.2 მ სიგანისა და 5.7 მ სიგრძის თხრილი, კულტურული ფენა თხრილის ამ ნაწილში 1.6 მ სიმაღლისა იყო. აღნიშნული ვიწრო თხრილი შეუერთდა სადრენაჟე არხის სავარაუდო ადგილზე გზისპირას გავლებულ 1.0 მ სიგანის თხრილს, რომელიც II უბნიდან იქნა გავლებული.

№ 36 სადაზვერვო თხრილი (4.65 X 1.40 X 2.00 მ) გაითხარა გზისპირა ხელოვნურ ფერდზე – ველის პირამდე, დაახლოებით ჩრდილო-დასავლეთი – სამხრეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ველის თანამედროვე ზედაპირიდან 2.0 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა დედაქანი – თიხოვანი ქვიშაქვა.

№ 37 სადზვერვო თხრილი (1.50 X 1.50 X 0.70 მ) გაითხარა ველისპირას, გზის ჩრდილოეთით დებარე ფერდზე. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ, 0.7 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა მოყვითალო თიხა-ფიქალები.

№ 38 სადაზვერვო თხრილს (1.50 X 1.50 X 0.70 მ) აქვს № 37-ის ანალოგიური ექსპოზიცია. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ, 0.7 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა დედაქანი - მოყვითალო ფერის თიხა-ფიქალები.

№№ 36, 37, 38 თხრილში არქეოლოგიური ნაშთები არ დაფიქსირებულა.

ზემოაღწერილი თხრილებიდან მხოლოდ ზოგიერთში აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა.

**თხრილი № 3**

1. კვირისტავი (ინვ. № 287), თიხის, გამჭოლი ნახვრეტით (სურ. 57, 1). აღმოჩნდა VI ნაკვ. 1 კვ-ში, №3 თხრილის გვერდით მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე.

2. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 288), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი კონცენტრული ღარებითააა შემკული.
3. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 289), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი.

**თხრილი №4:**

4. ხელადის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი (ინვ. № 309), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი გადაშლილი, ყელი ცილინდრული, მუცელი გამობერილი (სფერული), გაივკვეთში ოვალურია. ყურის თავი უშუალოდ პირზე, ხოლო ყურის ძირი მუცელზე აქვს დაძერწილი. ყურს პირთან კოპი აქვს დაძერწილი. მუცელს კონცენტრული ნაღარი ზოლები შემოუყვება (სურ. 57, 2).
5. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 310), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. აქვს დაბალი ბაკო მომრგვალებული პირი. მხარს ყურის დანაძერწის ადგილი ეტყობა.
6. ფიალის პირ-გვრდის ფრაგმენტი (ინვ. №311), თიხის, პირი სწორი, ბაკო მორგვალი აქვს, გვერდი შეზნექილი, კალთა წიბოიანი (სურ. 57, 5).
7. ფიალის პირ-გვრდის ფრაგმენტი (ინვ. № 312), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, მხარი შეზნექილი, კალთა დაქანებული.
8. ფიალის პირ-გვრდის ფრაგმენტი (ინვ. № 313), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, მხარი შეზნექილი, მხარი კალთასთან რბილ წიბოს ქმნის.
9. ჯამის პირ-გვრდის ნაწილი (ინვ. № 314), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი დაბრტყელებული აქვს, მხარი შეზნექილი, მხარი კალთასთან რბილ წიბოს ქმნის (სურ. 57, 3).
10. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 315), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია, შიდაპირი მწვანედაა მოჭიქული (სურ. 57, 4).
11. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 456), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი„ წახნაგიანი ბაკოთი. სიღრმე 110 სმ.
12. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 457), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილით. სიღრმე 110 სმ
13. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 458), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით შემკული. სიღრმე 110 სმ.
14. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 459), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შემკული დაბალრელიეფური ქედით. სიღრმე 110 სმ.
15. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 460), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შემკული დაბალრელიეფური ქედით. სიღრმე 110 სმ.
16. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 461), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი. სიღრმე 110 სმ.
17. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 462), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შედრეკილი ძირით. სიღრმე 110 სმ.
18. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 463), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ქუსლიანი, ბრტყელი ძირი შემკულია კონცენტრული ღარებით. სიღრმე 110 სმ.
19. ჭურჭლის ძირ-გვერდი (ინვ. № 464), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ქუსლიანი, ბრტყელი ძირით. სიღრმე 110 სმ.
20. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 465), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. სიღრმე 110 სმ.
21. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 466), თიხის, ქუსლიანი, შედრეკილი, შუაში წაკვეთილი კონუსის ფორმის შვერილით. სიღრმე 110 სმ.
22. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 467), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით. სიღრმე 110 სმ.

23. ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნატეხი (ინვ. № 468), თიხის, ზემოდან გრძივი ღრმულით. სიღრმე 110 სმ.
24. ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნატეხი (ინვ. № 469), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ჩადრეკილი ზურგით. №4 თხრილი, სიღრმე 110 სმ.
25. ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნატეხი (ინვ. № 470), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი. სიღრმე 110 სმ.
26. ცხოველის ძვლები (ინვ. № 471), 2 ცალი. სიღრმე 110 სმ.

**თხრილი № 5:**

27. ხელადის პირის და მხრის ნაწილი (ინვ. № 290), თიხის, განივკვეთში ოვალური ყურითურთ. მხარი კონცენტრული ღარებითა და ტალღისებრი ორნამენტითაა შემკული (სურ. 58, 3). თხრილის ზედაპირიდან 0,90-1,00 სმ სიღრმეზე.
28. ჯამი (ინვ. № 291), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, კალთა მკვეთრად დაქანებული, ძირი ბრტყელი, დაბალქუსლიანი (სურ. 58, 5).
29. ჭურჭლის ყური, (ინვ. № 292), თიხის, განივკვეთში ოვალურია, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
30. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 293), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. შემკული იყო ნაღარი ზოლებით. ეტყობა ყურის მიძერწვის ადგილი.
31. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 294), თიხის, მომაცრისფროდ გამომწვარი. დაძერწილი ქონდა ნაღარი ყური.
32. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 295), თიხის, განივკვეთში ოვალური ყური ქონია დაძერწილი მხარსა და ყურს ღრმა ვერტიკალური ნაჭდევები დაუყვება (სურ. 58, 4).
33. ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 296), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი დაბრტყელებული აქვს, ყელი დაბალი, დაქანებულ მხარს კონცენტრული ღარები და ტალღისებრი ორნამენტი შემოუყვებოდა (სურ. 58, 2).
34. ჭურჭლის ყელის და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 297), თიხის, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. ყელს წრიული ნაღარი ხაზები, ხოლო მხარს ასევე ნაღარი ტალღისებრი ორნამენტი შემოუყვება.
35. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 298), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი გაბრტყელებული აქვს, ყელი დაბალი, პირს გარეთა პირზე ირიბი ნაჭდევი ზოლები დაუყვება (სურ. 58, 1).
36. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 299), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ბრტყელი, აქვს დაბალი ქუსლი.
37. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 300), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია, ფართო.
38. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 301), თიხის, მონაცრისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია, ფართო.
39. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 302), თიხის, მოჩალისფრო გამომწვარი, დაბალქუსლიანი, ძირი ბრტყელია.
40. ფიალის პირისა და კალთის ფრაგმენტი (ინვ. № 303), თიხის, პირი გადაშლილი აქვს, გვერდი შეზნექილი, ბიკონუსური ტანი.
41. კეცის პირი (ინვ. № 427), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, მცირედ პირმოყრილი, მომრგვალებული ბაკო ზემოდან დაკეჭნილია.
42. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 428), თიხის, წითლად გამომწვარი„ ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილით.
43. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 429), მოყავისფროდ გამომწვარი.

**თხრილი № 6:**

44. ხელადის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი (ინვ. № 304), თიხის, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. აქვს განივკვეთში სამკუთხა ბაკო, მაღალი ყელი, რომელსაც რელიეფური ქედი ხოლო, მხარს ტალღისებრი ორნამენტი შემოუყვება (სურ. 58, 6).
45. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 305), თიხის, ბრტყელი, მონაცრისფროდ გამომწვარი, მაღალი ქუსლით.
46. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 306), თიხის, ბრტყელი, მოვარდისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით.
47. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 307), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ირიბი ნაღარი ხაზები ამკობს (სურ. 58, 7).
48. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 308), თიხის, მწვანედ მოჭიქული.
49. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 420), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით და ბრტყელი ძირით.

**თხრილი № 7:**

50. ქვევრის პირის ნატეხი (ინვ. № 442), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. თხრილის 40 სმ სიღრმეზე.
51. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 443), თიხის, არათანაბრად მოშაო-მონაცრისფროდ გამომწვარი. თხრილის 40 სმ სიღრმეზე.
52. დისკო (ინვ. № 444), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი. თხრილის 40 სმ სიღრმეზე.
53. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 445), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი. თხრილის 40 სმ სიღრმეზე.
54. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 446), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. თხრილის 40 სმ სიღრმეზე.

**თხრილი № 8:**

55. კვირისტავი (ინვ. № 316), თიხის, გამჭოლი ნახვრეტით, მოჩალისფროდ გამომწვარი (სურ. 57, 7). № 8 თხრილი.

**თხრილი № 10:**

56. სამტუჩა ხელადის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 317), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, პირი ოდნავ დაქანებული აქვს, ბაკო მრგვალი, ყელი მაღალი ცილინდრული, ყელზე გამჭოლი ნახვრეტით (სურ. 57, 6). № 10 თხრილი.

## I უბანი

I უბანი მდებარეობს I-IV ნაკვეთების მე-4-6 კვადრატებში (სურ. 4, 5) (GPS კოორდინატები: X 448347, Y 4612735; X 448366, Y 4612751; X 448347, Y 4612740; X 448365, Y 4612755), ველის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემომსაზღვრელი ხევიდან სამხრეთ-დასავლეთით 50 მ-ის დაშორებით. გზას, აღნიშნული ნიშნულიდან დაახლოებით ჩრდილო-აღმოსავლეთი – სამხრეთ-დასავლეთის დამხრობით, ჩამოუჭრია 65.0 მ სიგრძის ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირი. ტერასის დარჩენილი ნაწილის სიგანეა 8.0 მ. ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, 30.0 მ სიგრძეზე, ძირითადად გადარეცხილია ან კულტურული ფენის ნაშთი ტერასის სიღრმეშია საგულვებელი. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კი კარგად ჩანდა ვულკანურ თიხა-ფიქალებში ჩაჭრილი სათვსოების კონტურები. არქეოლოგიური ნაშთები გამოვლენილია 24 მ-ის სიგრძეზე.

I უბანზე ზედაპირულად აღმოჩნდა:

57. ჭურჭლის ფრაგმენტი, 2 ც. (ინვ. № 1), თიხის, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, შიდაპირი მწვანედ და თეთრად მოჭიქული (სურ. 41,8).
58. ლანგრის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 2), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, გვერდწიბოიანი.
59. სამაჯურის ორი ფრაგმენტი (ინვ. № 3), მინის (?), მოყვითალო და მოლურჯო, ოვალურგანივკვეთიანი.
60. ნუკლეუსი (ინვ. № 4), კაჟის, მომწვანო ფერის, უტილიზებული, მრგვალფაცეტიანი.

## № 1 სათავსო.

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-4,5 კვადრატებში (სურ. 6, 8). იგი I უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა[1]. ნაგებობა წარმოადგენს ნახევრადმიწურს, სათავსოს ქვაბულის სიგანე 3.7 მ-ია, სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან - 0.65 მ. ქვაბულის კონტურები მოწმობდა, რომ სათავსო აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა დამხრობილი. გრძივი კედლების გასწვრივ შემორჩენილი ქვიშაქვის დიდი ზომის ქვები იყო ნიშანი იმისა, რომ სათავსოს მშრალი წყობით ნაგები კედლები ჰქონია. სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გზის გაფართოვებისას დაინგრა. მაგრამ აქაც გადარჩა სათავსოს კუთვნილი რამდენიმე დეტალი: ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა სამეურნეო ორმო № 1, სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა თონის ნაშთი, რომლის ზომებია: დმ 0.55-0.70 მ; სიმაღლე 0.65 მ (სურ. 6, 8-10).

სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა ნაგებობა, რომელიც ჩვენი აზრით ქურას უნდა წარმოადგენდეს (სურ. 6, 8). ქურა შედგებოდა გამოსაწვავი და საცეცხლე განყოფილებისაგან. გამოსაწვავი განყოფილება წარმოდგენილია თიხა-ალიზით ამოყვანილი და შემდეგ კარგად გამომწვარი ორი დამოუკიდებელი ორმოსაგან (a, b), რომლებიც თირშია ჩაჭრილი. თითოეული მათგანი წრიული ფორმისაა და ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. მათი ზომებია: a ორმო - დმ 0.42 მ, სიღრმე 0.25 მ; b ორმო - დმ 0.60 მ, სიღრმე 0.80 მ. გამოსაწვავი ორმოები ერთ ხაზზეა განლაგებული და მათ შორის მანძილი 0,14 მ-ს შეადგენდა. b ორმოს იატაკზე ქვიშაქვის ფილა დადასტურდა.

საცეცხლე განყოფილება (c) ასევე თირშია ჩაჭრილი. იგი კუთხეებმომრგვალებული ტრაპეციის ფორმის ორმოა (0.65 x 0.90 მ; სიღრმე - 0.80 მ) და ძირისაკენ თანაბრად ვიწროვდება. საცეცხლე გამყოფილების აღმოსავლეთით გაიწმინდა წრიული ფორმის დაბალი „პლატფორმა" (0.40 X 0.30 X 0.20 მ).

გამოსაწვავი განყოფილება (b) აღმოსავლეთის მხრიდან ხვრელით უკავშირდებოდა საცეცხლეს (c), რომელშიც დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის ნაშთები.

აშკარაა, რომ № 1 სათავსოში აღმოჩნდა მცირე ხელოსნობასთან დაკავშირებული ქურა. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, იქვე, № 4 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი რკინისა და მინის წიდები (ინვ № 30), ასევე ქურის ზედა მხარეს, ქვაყრილში დადასტურებული მინის სამაჯურის ფრაგმენტები (ინვ. № 3).

ქურის დასავლეთით 0.33 მ დიამეტრის ფართობზე დაფიქსირდა 3 სმ-ის სისქის ნაცროვანი ფენა, რომელიც შეიცავდა წვრილი ნახშირის მინარევებს (სურ.8).

[1] ძეგლზე ყველა ობიექტი – უბნები, სათავსოები, გზისპირა სადრენჟო არხის ტრასაზე არქეოლოგიური ძეგლების გამოსავლენად გაჭრილი თხრილები, სამეურნეო ორმოები დაინომრა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

**სათავსოში აღმოჩნდა:**

61. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 5), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შემკული განიერი ღარებით (სურ. 41,1).
62. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 6), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკული მომრგვალებული ქედით.
63. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 7), თიხის, გარეპირი შავი, შიდაპირი მოყავისფრო (სურ. 41,5).
64. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 8), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალური ღრმულით, ოვალურგანივკვეთიანი.
65. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 41), თიხის, შავად გამომწვარი, ორწახნაგა ბაკოთი, ღარებით შემკული.
66. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 42), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, შემკული წვრილი ღარებით.
67. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 43), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული წვრილი ღარებით.
68. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 44), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი.
69. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 45), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი.
70. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 46), თიხის, შავად გამომწვარი, წახნაგებიანი ბაკოთი.
71. კეცის ნატეხი (ინვ. № 47), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ტლანქად ნაძერწი.
72. ყურის ნატეხი (ინვ. № 48), თიხის, ოვალურგანივკვეთიანი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი.
73. ყურის ნატეხი (ინვ. № 49), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, შემკული ორი განიერი ღარით და გრეხილღეროვანი ორნამენტით.
74. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 50), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, შემკული განიერი დაბალრელიეფური ქედით.
75. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 51), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, შემკული სხვადასხვა სისქის ღარებით.
76. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 52), თიხის, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
77. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 53), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ერთი მათგანი დაბალი ქუსლით, სხვადასხვა (3 ც.).
78. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 9), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა ქურაში (ორმო b).
79. კეცის ნატეხი (ინვ. № 10), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ტლანქად ნაძერწი. აღმოჩნდა ქურაში (ორმო b).
80. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 11), თიხის, ყავისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა ქურაში (ორმო b).

**ორმო № 1**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-5 კვადრატში, № 1 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 6). ორმო ჩაჭრილი იყო მოყვითალო ფერის დედაქანში. მისი ზომებია: დიამეტრი 1.2-1.3 მ, სიღრმე – 1.4 მ.

**ორმოში აღმოჩნდა:**

81. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 36), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი.

82. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი, თიხის (ინვ. № 37), მოყავისფროდ გამომწვარი, დაბრტყელებული ბაკოთი.
83. ჭურჭლის პირის ნატეხი, თიხის (ინვ. № 38), მოყავისფროდ გამომწვარი.
84. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 39), თიხის, ყავისფეროდ გამომწვარი, შემკული წვრილი ღარებით.
85. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 40), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით.
86. კრამიტის ფრაგმენტი (ინვ. № 54), თიხის, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ღარისებური (სურ. 41,9; 66).
87. კრამიტის ფრაგმენტი (ინვ. № 55), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, გვერდაკეცილი (სურ. 41,10; 66).

№1 და №2 სათავსოებს შორის 11.3 მ სიგრძის მონაკვეთი დაფარული იყო 0.20-0.35 მ სისქის კულტურული ფენით. აქ გაითხარა ხუთი სამეურნეო ორმო (№№ 2-6).

**ორმო № 2**

მდებარეობს III, 6 კვადრატში, № 1 სათავსოდან სამხრეთ-დასავლეთით 0.40 მ-ის დაშორებით (სურ. 4, 5). გზისპირა ჭრილში გაიწმინდა სამეურნეო ორმოს ნაშთი (შემორჩენილი დმ 1.60 მ, სიღრმე 0.92), რომლის შემავსებელ მიწაში გამოირჩეოდა ხის დამწვარი ძელების ნაშთი. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**ორმო № 3**

მდებარეობს III ნაკვეთის მე-4 კვადრატში, № 2 ორმოდან სამხრეთ-დასავლეთით 1.95 მ-ზე (სურ. 5, 7). ჩაჭრილია მოყვითალო ფერის დედაქანში. ორმოს (დმ 1.10 მ, სიღრმე 0.20-0.50 მ) დასავლეთი ნაწილი გაუთხრელი დარჩა, რადგან თხრილის გარეთ გადიოდა.

**ორმოში აღმოჩნდა:**

88. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 34), თიხის, შავად გამომწვარი.
89. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 35), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.
90. კეცის ნატეხი (ინვ. № 56), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, დაბალი ბორტით, ბაკო დაკეჭნილი.
91. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 57), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, შემკულია დაბალრელიეფური გრეხილღეროვანი ორნამენტით (3 ც.).
92. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 58), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, შემკული წვრილი ღარებით.
93. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 59), თიხის, შიდაპირი მწვანე ფერის ჭიქურითაა დაფარული (2 ც.).
94. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 60), თიხის, შავად გამომწვარი, ტლანქად ნაძერწი.
95. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 61), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ქუსლიანი, შედრეკილი ძირის ცენტრში აქვს კონუსის ფორმის გამონაზარდი (სურ. 41,6).

**ორმო № 4**

მდებარეობს II ნაკვეთის მე-6 კვადრატში, № 3 ორმოდან სამხრეთ-დასავლეთით 0.80 მ-ზე (სურ. 5, 7, 11). ჩაჭრილია მოყვითალო ფერის კონგლომერატში. ორმოს პირის დიამეტრია 1.38 მ, ხოლო სიღრმე 0.40 მ-ს უდრის. მასში კერამიკის ფრაგმენტების გარდა დაფიქსირდა მინისა და რკინის წიდები.

**ორმოში აღმოჩნდა:**

96. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 28), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი. დაბალი ბორტით, ბაკო ზემოდან შემკულია დაბალრელიეფური ტალღოვანი ზოლით (სურ. 41,3).
97. კეცის ძირის ნატეხი (ინვ. № 29), თიხის, ყავისფრად გამომწვარი.
98. წიდები (12 ც.) (ინვ. № 30) რკინისა და მინის (სურ. 84).
99. კეცის ბორტის ნატეხები (ინვ. № 62), თიხის, ყავისფრად და ლეგად გამომწვარი, შიდაპირზე განიერი, შვეული ღარებით (2 ც.).
100. ჭურჭლის ძირ-გვერდი (ინვ. № 63), თიხის, აგურისფრად.
101. კეცის ძირისა და ბორტის ნატეხები, (2 ც.) (ინვ. № 414), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ბორტი ზემოდან და შიდაპირიდან შემკულია განიერი ღარებით (სურ. 41,4).
101. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 554), თიხის, ყვითლად გამომწვარი, გრეხილღეროვანი ორნამენტით შემკული (სურ. 41,7).
102. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 472), თიხის, მოყავისფროდ, მოშავოდ და მონაცრისფროდ გამომწვარი (6 ცალი). № 4 ორმოს დასავლეთით.

**ორმო № 5**

მდებარეობს II ნაკვეთის მე-6 კვადრატში, № 4 ორმოდან სამხრეთ-დასავლეთით (სურ. 5, 7, 11). ორმოს პირის დიამეტრია 1.10 მ, სიღრმე - 0.60 მ. № 4 და № 5 ორმოებს ერთმანეთისაგან გრუნტის თხელი კედელი აშორებდა. № 5 ორმო სამხრეთიდან ჩაუჭრია № 6 სამეურნეო ორმოს.

**ორმოში აღმოჩნდა:**

103. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 12), თიხის, ყავისფრად გამომწვარი.
104. წიდა(?) (ინვ. № 13), გაწიდებული თიხის ფრაგმენტები.
105. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 31), თიხის, მწვანე ფერის ჭიქურით, ჩადრეკილი ბაკოთი, ნახვრეტით. ორმოს პირიდან 10 სმ. სიღრმეზე.
106. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 32), თიხის, შავად გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით. ორმოს პირიდან 10 სმ. სიღრმეზე.
107. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 33), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, შიდაპირი თეთრად მოჭიქული, ძირი შედრეკილი. ორმოს პირიდან 10 სმ. სიღრმეზე.

**ორმო № 6**

მდებარეობს II ნაკვეთის მე-5 კვადრატში (სურ. 5, 7, 11). მას აქვს ოვალის ფორმა (1.95 x 1.25 მ, სიღრმე 1.45 მ), დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ორმოს სამხრეთ-დასავლეთი კედელი ამოშენებულია პატარა ზომის ქვებით თიხაზე (სურ. 12). 0.90 მ სიგრძის კედელი იწყება ორმოს ძირიდან 0.30 მ-ის სიმაღლეზე. კედლის გარეთა პირის გაწმენდისას გაირკვა, რომ № 6 ორმოს ჩაუჭრია ადრე არსებული ორმოს ნაშთი (დმ 0.90 მ, სიღრმე 1.15 მ), რის გამოც გახდა საჭირო კედლის ამოშენება. ორმოში კერამიკის გარდა გამოვლინდა კევრის კოხის ქვები და ხორბალი.

**ორმოში აღმოჩნდა:**

108. ჭურჭლის ფრაგმენტები, 3 ც. (ინვ. № 15), თიხის, მწვანედ, ყავისფრად და თეთრად მოჭიქული ზედაპირით,
109. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 16), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, დაბრტყელებული ბაკოთი.
110. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 17), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შერჩენილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთი.
111. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 18), თიხის, შავად გამომწვარი.
112. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 19), თიხის, ყავისფრად გამომწვარი.

113. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 20), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდული ტალღოვანი ორნამენტით.
114. ლანგრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 21), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, წიბოიანი.
115. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (3 ც.) (ინვ. № 22), თიხის, ყავისფრად და ჩალისფრად გამომწვარი, შემკული ღარების ხშირი ქსელით
116. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 23), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
117. ჭურჭლის გვერდის ნატეხები, სხვადასხვა (4 ც.) (ინვ. № 24), თიხის, ყავისფრად და ჩალისფრად გამომწვარი.
118. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 25), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ორი გრძივი ღარით შემკული ოვალურგანივკვეთიანი ყურით.
119. ჭურჭლის ყურის ნატეხები, სხვადასხვა (2 ც.) (ინვ. № 26), თიხის, ნაცრისფრად და აგურისფრად, ოვალურ და ბრტყელგანივკვეთიანი.
120. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 27), სხვადასხვა, თიხის, ნაცრისფრად, ყავისფრად და ჩალისფრად გამომწვარი (7 ც.).
121. კოხის ქვები (135 ც.) (ინვ. № 64), ტუფის (სურ. 67).

**№ 2 სათავსო**

მდებარეობს I ნაკვეთის მე-4-6 და II ნაკვეთის მე-4 კვადრატებში, № 1 სათავსოდან სამხრეთ-დასავლეთით 11,3 მ-ის დაშორებით, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის გრძივ ღერძზე (სურ. 4,5). მისი სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. ჭრილში დაფიქსირდა დიდი ზომის ქვებით ნაგები კედლების ნაშთი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის მანძილი 6.5 მ-ია. ნაგებობის იატაკი მოწყობილია თიხა-ფიქალების უსწორმასწორო ზედპირზე. გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო, რომელიც ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებს, შუაბოძსა ან შუაბოძების რიგს. ერთი ასეთი შუაბოძის ქვა-ბალიში, ოდნავ ასიმეტრიული კვადრატის ფორმის ბაზა (0.30 x 0.30 x 0.30 მ), აღმოჩნდა № 2 სათავსოს დაახლოებით შუა ნაწილში, იატაკში ოდნავ ჩაფლული.

**სათავსოში აღმოჩნდა:**

122. კეცის ნატეხი (ინვ. № 14), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, მაღალბორტიანი (სურ. 41,2).

## II უბანი

მდებარეობს I უბნიდან სამხრეთ-დასავლეთით 23 მ-ის დაშორებით (სურ. 2, 3), II, III, IV ნაკვეთებში (GPS კოორდინატები: X 448308, Y 4612730; X 448327, Y 4612729; X 448305, Y 4612725; X 448328, Y 4612724).

სამუშაოები ჩატარდა II უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 17 მ სიგრძისა და 7 მ სიგანის მონაკვეთში (სურ. 3). გაითხარა განვითარებული შუა საუკუნეების სამი სათავსოსგან (№№ 3, 4, 6) შედგენილი სახლისა და ცალკეული სათავსოს (№№ 5,7,8) ნაწილი (სურ. 13, 14). ნაგებობები წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ერთოთახიან მიწურებს. შენობების კედლები ნაგებია მშრალი წყობით ქვიშაქვის ქვატეხილით. გადახურვა ბანური ქონდათ, რომელიც ეყრდნობოდა შუა ბოძსა და კედლისპირა სვეტებს ე.წ. პილასტრებს. ამის თქმის საშუალებას იძლევა სათავსოებში ქვის ბალიშების, ბაზებისა და ვერტიკალურად მდგარი ხის ძელების ნაშთის დადასტურება (სათავსო № 3,4,6,7,8).

საცხოვრებელი კომპლექსი, როგორც ჩანს, შედგებოდა ორი ნაწილისაგან: საკუთრივ საცხოვრებლის – სახლი, სათავსოსა და მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე

ნაგებობისაგან. სახლებში გამოვლინდა იატაკზე გამართული კერა, იატაკში ჩაჭრილი სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ორმოები, ნაცარ-ნახშირის გროვა (სათავსო №3) და სხვა.

ძირითადი კომპლექსი, როგორც ჩვენ ვუწოდებთ – სახლი, შედგება მინიმუმ სამი სათავსოსაგან (№ 3, 4, 6). შესაძლოა სახლს სხვა სათავსოებიც ქონდა, მაგრამ მათი ნაშთები ჩვენს განათხარში არ მოხვდა.

სახლი და შესაბამისად მისი შემადგენელი სათავსოები დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთი – ჩრდილო-დასავლეთის გრძივ ღერძზე, საფასადო მხარით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ეს მხარე ძველი და ნაწილობრივ ახალი გზის მშენებლობისას დაზიანდა. სამივე სათავსოში კარგად ჩანს ჩანს ორი სამშენებლო ეტაპი – საფუძვლიანი გადაკეთების კვალით.

**II უბანზე ზედაპირულად აღმოჩნდა:**

123. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 65), თიხის, ჩალისფრად, გვერდწიბოიანი (სურ. 43,1).
124. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 66), თიხის, ყავისფრად, გვერდწიბოიანი (სურ. 43,2).
125. ქილის ფრაგმენტი (ინვ. № 67), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბრტყელგანივკვთიანი ყურით (სურ. 46,3; 68).
126. კეცის ნატეხი (ინვ. № 68), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, შესქელებული ბაკოს ზემოდან აქვს მაღალრელიეფური განივი ქედი და ორი რიგი, კონცენტრულად განლაგებული პატარა წრიული ჭდეები (სურ. 42,1; 69).
127. კვირისტავის ნატეხი (ინვ. № 69), თიხის, ნაკეთებია ყავისფრად და კრემისფრად მოხატულ ჭურჭლის ნატეხზე (სურ. 46,7).
128. კვირისტავი (ინვ. № 70), თიხის, ნაკეთები ჭურჭლის ძირზე, ერთი მხარე წითლად არის შეღებილი, ნახვრეტით (სურ. 46,6).
129. ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 71), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
130. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 72), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი.
131. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 73), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი.
132. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 74), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
133. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 75), თიხის, შავად გამომწვარი, დაბალი ქუსლით და შედრეკილი ძირით.
134. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 76), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.
135. ქვევრის პირის ნატეხი (ინვ. № 77), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი.
136. ქვევრის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 78), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, დაწახნაგებული ბაკოთი.
137. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 79), თიხის, ჩალისფრად.
138. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 80), თიხის, ყავისფრად გამომწვარი ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით, შემკულია განივი ქედით.
139. კეცის ნატეხი (ინვ. № 81), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, მაღალი ბორტით.
140. ჭურჭლის ხუფის ნატეხი (ინვ. № 82), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, გახვრეტილი სახელურის ნაშთით (სურ. 44,1).
141. ჭურჭლის ყურები (2 ც.)(ინვ. № 83), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი.
142. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 84), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი (სურ. 46,5).

143. ჯამის ნატეხი (ინვ. № 85), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ღარებით შემკული (სურ. 43,4).
144. ჭურჭლის ძირ-გვერდები (ინვ. № 86), სხვადასხვა (6 ც.), თიხის, წითლად და ჩალისფრად გამომწვარი. დაბალი ქუსლით (სურ. 45,5).
145. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. №87), თიხის, აგურისფრად, შიდა ნაწილს აქვს ლურჯი ჭიქური, დაბალქუსლიანი, ძლიერ შედრეკილი ქუსლით (სურ. 45,3).
146. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 88), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
147. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 89), თიხის, შავად.
148. ფიალის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 90), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, გვერდწიბოიანი (სურ. 43,5).
149. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 91), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.
150. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 92), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდული ტალღოვანი ორნამენტით.
151. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 93), თიხის, შავად გამომწვარი, ზურგჩაზნექილი ოვალურგანივკვეთიანი ყურით (სურ. 46,4).
152. ჭურჭლის ყური (ინვ. № 94), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი.
153. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 95), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკულია ბრტყელი დაბალრელიეფური, ჭდეული თევზიფხურორნამენტიანი ქედით და შვეული წვრილი ღარებით (სურ. 42,5).
154. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 96), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, შიდაპირს შერჩენილი აქვს ლურჯი ჭიქური, ძირშედრეკილი მაღალი ქუსლით (სურ. 45,4).
155. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 97), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, დაბალი ქუსლით, მცირედ შედრეკილი ძირით (სურ. 45,6).
156. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 98), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, დაბალრელიეფური წიბოთი (სურ. 43,6).
157. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 99), თიხის, რუხად გამომწვარი, დაბალი ქუსლით.
158. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 100), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.
159. ფიალის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 101), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, გვერდწიბოიანი.
160. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 102), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, სხვადასხვა (3 ც.).
161. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 103), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, შემკულია ჭდეულტალღიან ორნამენტიანი, დაბალრელიეფური ქედით (სურ. 42,3).
162. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 104), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ბორტით.
163. ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყური (2 ც.) (ინვ. № 105), თიხის, ყავისფრად და მოწითალოდ გამომწვარი.
164. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 106), თიხის, რუხად გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
165. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 107), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ტლანქად ნაძერწი.
166. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 108), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ტლანქად ნაძერწი.
167. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 109), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი.
168. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 110), თიხის, ზურგჩადრეკილი ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილით.

169. კრამიტის ნატეხი (ინვ. № 111), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, გვერდაკეცილი (სურ. 42,2).
170. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 112), თიხის, შიდა პირზე ლურჯი ფერის ჭიქურით.
171. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 113), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, გარეპირზე მორგვის კვალით.
172. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 114), თიხის, ღია ყავისფრად გამომწვარი, გარეპირზე აქვს მუქი ყავისფერი ზოლი.
173. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 115), თიხის, ღია ყავისფრად გამომწვარი, რელსისებური ბაკო ზემოდან ჩადრეკილია, შიდაპირი და ბაკო მწვანე ფერის ჭიქურითაა დაფარული (სურ. 43,3; 71).
174. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 116), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შიდაპირზე მოყვითალო ჭიქურით და ორი ჭდეული რკალით.
175. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 117), თიხის, შავად გამომწვარი, დაბრტყელებული ბაკოთი.
176. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 118), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, საშუალო სიმაღლის ყელი, შემკულია კონცენტრული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით (სურ. 46,2).
177. ქილის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 119), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, შემკულია კონცენტრულ ღარებს შორის მოქცეული ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით (სურ. 46,1).
178. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 120), თიხის, მოთეთრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, შემკულია წვრილი ღარების ხშირი ქსელით (სურ. 42,7).
179. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 121), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, თეთრი ანგობით, დაბალრელიეფური კონცენტრული ქედით (სურ. 42,4).
180. რქა (ინვ. № 122), დამუშავების კვალით.
181. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 123), თიხის, აგურისფრად მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი,, შიდაპირზე თეთრ ჭიქურზე გამოსახულია მწვანე ფერის ჯვარი, შედრეკილი ძირის ცენტრში მოთავსებულია კონუსის ფორმის შვერილი (სურ. 45,2; 70).
182. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 124), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, მოჭიქული შიდაპირით, მწვანე ფერის ფონზე გამოსახულია სხვადასხვა ფიგურა ცისფერი ჭიქურით (სურ. 45,1; 71).
183. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 125), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შიდაპირზე ჭდეებში ჩასმული მწვანე, ყავისფერი და მოთეთრო ჭიქური აქვს (სურ. 42,6).
184. რქა (ინვ. № 126), წვრილფეხა საქონლის, დამუშავების კვალით.
185. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 439), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, მცირედ პირმოყრილი.
186. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 440), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკულია კონცენტრული ღარების ორ ჯგუფს შორის მოქცეული ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
187. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 529), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით.
188. ჭურჭლის ბორტის ნატეხი (ინვ. № 561), თიხის, გარე და შიდა პირი ყავისფერი.
189. კოჭობის ყელისა და გვერდის ნატეხი (ინვ. № 562), თიხის, ჩალისფერი, წითელი ფერის სარებავით, შემკულია კონცენტრული რელიეფური ზოლით.
190. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 563), თიხის, წითელია, გვერდწიბოიანი.
191. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 564), თიხის, ჩალისფერი, გვერდწიბოიანი.
192. ხელსაფქვავის ქვა (ინვ. 568), ბაზალტის (სურ. 44,2).

193. ხელსაფქვავის ქვა (ინვ. 569), ბაზალტის (სურ. 44,3).

**№3 სათავსო**

მდებარეობს III ნაკვეთის 6, 9 კვადრატებსა და IV ნაკვეთის 1, 2, 4, 5, 7, 8 კვადრატებში, კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დაფიქსირდა სათავსოს ორი სამშენებლო დონე (სურ. 13-16). ნაგებობაში პირველი სამშენებლო ეტაპიდან შემორჩენილი იყო ჩრდილო-დასავლეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი და სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ნაშთი - მოზრდილი სამშენებლო ქვების უსისტემო ნაყარის სახით. რაც, ორივე სამშენებლო ეტაპზე აქ მშრალი წყობით ნაგებ კედლებს უნდა გულისხმობდეს. სათავსოს სიგრძე 7,0-7,5 მ-ს უდრის.

ჩრდილო-დასავლეთი კედლის უძველესი – I სამშენებლო ეტაპის კუთვნილი ნაშთი ნაგებია შედარებით მასიური და კარგად შერჩეული ქვატეხილით. აქვს ერთი საპერანგე წყობა, რომელიც ამოშენებულია ქვაბულის გვერდის პირზე. სიგრძე – 2,48; სიმაღლე – 0,70; სიგანე – 0,30 მ. მეორე სამშენებლო ეტაპზე ამ კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი აღადგინეს. შემორჩენილია კედლის წყობის 5 რიგი. კედლის სიგრძეა – 1.35 მ, სიგანე – 0,47 მ, სიმაღლე – 0,85 მ. აღდგენის შედეგად სათავსო ჩრდილო-დასავლეთით 0,4-0,5 მ-ით გაფართოებულა. რაც, შეიძლება თიროვან ქვიშაქვებში გამოღებული ქვაბულის გვერდის ჩამოშლის შედეგია. კედლის საერთო სიგრძე – 5,9; სიგანე – 0,50-0,58; სიმაღლე – 0,70-0,95 მ-ია.

სათავსოს სამხრეთ-დასავლეთის მხარეს I სამშენებლო ეტაპზე კედელი არა ჰქონია. მე-4 სათავსოსთან ერთად ერთიან სივრცეს ქმნიდა.

I სამშენებლო ეტაპზე ქონდა თიხოვან ქვიშაქვებზე მოწყობილი იატაკი, რომელშიც ჩაჭრილი იყო ექვსი სამეურნეო ორმო (№№7-12).

სათავსოს ჩრდილოეთი კუთხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,3 მ-ში, ზურგის კედლიდან 0,25 მ-ში, გაიწმინდა პატარა წრიული ორმო d (სიღრმე – 0,40; დმ. – 0,35მ.), რომელიც შევსებული იყო ღორის ძვლებით.

ზურგის კედლიდან 1,9 მ-ში, დაახლოებით შენობის გრძივი ღერძის გასწვრივ აღმოჩნდა, I სამშენებლო ეტაპის კუთვნილი, ქვის ბალიში, სვეტის ძირი – ბაზა. ქვიშაქვის ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული, ბრტყელი ფილა (0,4 X 0,4 X 0,1 მ). მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,30 მ-ში, ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლიდან 1,2 მ-ში, ზურგის კედლიდან 2,0 მ-შია საბოძე ორმო, რომლის ძირზე ქვშაქვის ბალიში უდევს, გარშემო კი ქვიშაქვის ფლეთილი ქვები უწყვია, ოდნავ გადაშლილი წყობით (?). სიღრმე – 0,3; დმ. პირის – 0,40-0,55; ძირის – 0,22- 0,30 მ.

სათავსოს ჩრდილოეთ კუთხეში, ჩრდილო-დასავლეთის კედელში ჩაშენებული სვეტის ანაბეჭდია დაცული. ძირზე ქვიშაქვის ბალიში უდევს.

გვიან, II სამშენებლო ეტაპზე, იატაკის ძირითადი ნაწილი ქვის ფილებით მოუგიათ – 3,2 მ სიგანეზე. შესაძლოა ქვაფენილს I სამშენებლო ეტაპზეც ეარსება. ამავდროულად, მე-3 და მე-4 სათავსოებს ერთმანეთისაგან ტიხრავენ მოკლე, უსახური კედლით (სიგრძე – 1,4; სიგანე – 0,70-1,05; სიმაღლე – 0,20 მ.). ამავე ეტაპს ეკუთვნის სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირებული ქვის ბაზა (0,24 X 0,24 X 0,16 მ.); ჩრდილოეთი კედლიდან 0,9 მ. დაცილებით დადასტურდა კიდევ ერთი ქვაბალიში (0,44 X 0,39 X 0,10 მ.); ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,98 მ-ში გაიწმინდა სქელი ნაცროვანი ფენა (დმ. 0,62 მ.) – ნაცეცხლარი, ზედაპირული კერის ნაშთი.

სათავსოში აღმოჩნდა:

194. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 129), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, მაღალი ბორტით (სურ. 47,7). აღმოჩნდა ჩრდ. კედელთან იატაკზე.
195. ჭურჭლის ყელ-პირის ნატეხი (ინვ. № 130), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი, გარეპირზე მორგვის კვალით (სურ. 47, 4). აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
196. დერგის პირის ნატეხი (ინვ. № 131), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, ზემოდან დაბრტყელებულ ბაკოს აქვს კონცენტრული ღარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე (სურ 47, 5).
197. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 132), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, კონუსური შვერილით, ტლანქად ნაძერწი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე (სურ 47, 6).
198. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 133), თიხის, ნაცრისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
199. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 134), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, წიბოიანი ბაკოთი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
200. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 135), თიხის, შავად გამომწვარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
201. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 136), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ზურგჩადრეკილი ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
202. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 137), თიხის, მოწითალოდ და მონაცრისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
203. კოჭი (ინვ. № 138), წვრილფეხა საქონლის, აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
204. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 139), თიხის, შავად გამომწვარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
205. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 140), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, მორგვის კვალით. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
206. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 141), თიხის, მონაცრისფრად გამომწვარი, ღარებით შემკული. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
207. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 142), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ღარებით შემკული. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
208. სადღვებლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 143), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, კრატერისებური ნახვრეტით. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
209. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 144), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, გარეპირით. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
210. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 145), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
211. სამაჯურის ნატეხი (ინვ. № 146), მინის, ოვალურგანივკვეთიანი, აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან იატაკზე.
212. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 147), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, მოგლუვებული ზედაპირით. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კედელთან.
213. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 148), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, დაბალი ქუსლით და მცირედ შედრეკილი ძირით (სურ. 47, 11). აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კედელთან.
214. სალესი (ინვ. № 149), რიყის ქვის, მოგრძო, ოთხწახნაგა, ნაკლული, მომწვანო ფერის (სურ. 47, 13). აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კედელთან.
215. ჯამის ნატეხი (ინვ. № 150), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.

216. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 151), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით (სურ. 47, 9).
217. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 152), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი (სურ. 47, 8).
218. კეცის ბორტის ნატეხი (ინვ. № 153), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.
219. ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 154), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შიდაპირზე კრემისფერი, მოშავო და ლუჯი ჭიქურით, ქუსლიანი, ძლიერ შედრეკილი ძირით, რომლის ცენტრში წაკვეთილი კონუსის ფორმის გამონაზარდია (სურ. 47, 10).
220. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 155), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი (სურ. 47, 3).
221. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 156), თიხის, მონაცრისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი.
222. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 157), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკულია ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
223. ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი (ინვ. № 354), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო მრგვალი, ყელი მაღალი-გამოყვანილი, მხარი მკვეთრად დაქანებული. ხარს 4 ნაღარი კონცენტრული ღარი შემოუყვება (სურ. 59, 1).
224. ქვევრის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 565), თიხის, მოშავო-მოყავისფრო გარეპირით, ყავისფერი შიდაპირით, დაბალი ქუსლით, შემკულია ზემოდან დაკეჭნილი ორი კონცენტრული ქედით (სურ. 48, 1).
225. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 412), თიხის, ჩალისფერი გარეპირით და მოწითალო შიდაპირით, შემკულია ზემოდან ირიბად დაჭდეული დაბალრელიეფური ჰორიზონტალური ქედით (სურ. 48, 3). აღმოჩნდა ქვებით ამოშენებულ საბოძე ორმოში.
226. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 413), თიხის, არათანაბრად გამომწვარი, ნაწილობრივ შავი, ნაწილობრივ მოყავისფრო, ირიბმარცვლოვანი ჭდეებით და ორ კონცენტრულ ღარს შორის მოქცეული ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით. აღმოჩნდა ქვებით ამოშენებულ საბოძე ორმოში.

**№7 ორმო**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-2 კვადრატებში, მე-3 სათავსოს ჩრდილოეთ კუთხესთან, ჩრდილო-დასავლეთის კედლიდან 0,35 მ. დაშორებით (სურ. 13, 14). აქვს ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ფორმა (0,75 X 0,75 X 0,30). ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებთან ქვატეხილით დაბალი კედლებია ამოყვანილი. ორმოზე პატარა ნაგებობა ყოფილა გამართული.

**ორმოში აღმოჩნდა:**

227. ჯამის ძირის ნატეხი (ინვ. № 167), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შიდაპირზე თეთრი და მოყავისფრო ჭიქურით, ძირშედრეკილი.
228. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 168), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული დაბალრელიეფური ქედით.
229. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 169), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით.
230. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 170), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, მორგვის კვალით.
231. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 171), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, სხვადასხვა (16 ც.).

232. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 172), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკული ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
233. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 173), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, შემკული ღარებით (სურ. 49, 7).
234. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 174), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი (სურ. 49, 6).
235. ხუფის ფრაგმენტი (ინვ. № 175), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი, შიდაპირი შავი კოჭისებრი სახელურით (სურ. 49, 3; 72).
236. ჯამი (ინვ. № 176), თიხის, გარეპირი მოყავისფრო და ლეგა, შიდაპირი ღია ყავისფერი, ბრტყელი ბაკოთი, სწორი მხრებით, დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირით (სურ. 49, 1; 72).
237. ქოთნის ფრაგმენტი (ინვ. № 177), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შემკულია კონცენტრული ღარებით (სურ. 49, 2).
238. სასრესი (ინვ. № 178), ტუფის, უხეშად გათლილი ცილინდრის ფორმის, ზედა და ქვედა პირზე წრიული ჩაღრმავებებით.
239. დერგის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 179), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, მაღალი ყელით, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ბოლოსა და მხარზე აქვს ოვალური მოყვანილობის ღრმული (სურ. 49, 4).
240. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 180), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შიდაპირზე აქვს თეთრი, მწვანე და ყვითელი ჭიქური და ჭდული ორნამენტი (სურ. 49, 5).
241. დერგის პირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 181), თიხის, გარეპირი შავი, შიდაპირი მოყავისფრო-მონაცრისფრო, მაღალი ყელით (3ც.).
242. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 182), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით (3ც.).
243. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 183), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი (5ც.).
244. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 184), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სქელკეციანი (7ც.).
245. ქვევრის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 185), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი.
246. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 186), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი.

**№8 ორმო**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-5 კვადრატში, მე-7 ორმოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 0,45 მ-ში (სურ. 13, 14). ჩაჭრილია მოყვითალო ფერის დედაქანში. ძირისაკენ თანაბრად შევიწროვებულია. სიღრმე – 0.70; დმ. პირის - 0,65; ძირის – 0.40 მ.

**№9 ორმო**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-5 კვადრატში, მე-8 ორმოდან ათიოდე სანტიმეტრში, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (სურ. 13, 14). ფართოპირიანია და ძირისაკენ თანაბრად შევიწროებული. ორმოს ზომებია: პირის დმ – 0,90; ძირის დმ – 0,60 მ; სიღრმე – 0,80.

**ორმოში აღმოჩნდა:**

247. ჯამის ძირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 411), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით და შედრეკოლი ძირით, რომელსაც ცენტრში აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმის შვერილი. შიდაპირი მოჭიქულია, მოთეთრო ფერის ჭიქურზე აქვს ჭდეული ღარებით და მოყავისფრო ჭიქურით შევსებული ჯვრის ფორმის ფიგურა და ჭდეული მომწვანო ჭიქურიანი სამკუთხედები (სურ. 48, 2). აღმოჩნდა ორმოს პირიდან 10 სმ სიღრმეზე.

**№10 ორმო**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-8,9 კვადრატში (სურ. 13, 14). ის მე-3 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ხაზზეა ამოჭრილი, მე-9 ორმოდან 0,60 მ-ზე. წაგრძელებული ოვალის ფორმისაა. ორმოს ზომებია: 1,0 X 0,6 X 0,3 მ.

**ორმოში აღმოჩნდა:**

248. სასრესი (ინვ. № 187), ბაზალტის, ზედა და ქვედაპირზე ღრმულებით.

**№11 ორმო**

მდებარეობს IV ნაკვეთის მე-8 კვადრატსა და IX ნაკვეთის მე-2 კვადრატში (სურ. 13, 14). სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია გამართული. აქვს ოვალური ფორმის პირი - 1,8 x 2,0 მ-ზე, სიღრმე – 1,4 მ-ს უდრის.

**№12 ორმო**

მდებარეობს III ნაკვეთის მე-6,9 კვადრატებსა და IV ნაკვეთის 4, 7 კვადრატებში (სურ. 13, 14), აქ, გვიანი – II სამშენებლო ეტაპის კუთვნილი ქვაფენილის მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა მცირე ზომის ქვებისაგან შედგენილი ყრილი (1,4 X 1,4 მ.), რომლის აღების შემდეგ გამოჩნდა მე-12 სამეურნეო ორმო. აღმოჩნდა სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, დაახლოებით შუა ნაწილში. ორმოს პირის დმ-ია 1,55 მ, სიღრმე 1,15.

**ორმოში აღმოჩნდა:**

249. სასრესი (ინვ. № 188), ბაზალტის, გამოყენების კვალით (სურ. 50, 5).
250. დერგი (ინვ. № 189), თიხის, არათანაბრად გამომწვარი, მოშაო-რუხად გამომწვარი, პირგადაშლილი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი, კორპუსი დაფარულია კონცენტრული წვრილი ღარებით, შემკულია ასევე კონცენტრულად განლაგებული პატარა ღრმულების რამდენიმე რიგითა და ღარით, კალთებზე ძირთან ახლოს დახვრეტილია, აქვს ორი თარაზული მოკლე 2 შვერილი (სურ. 50, 4).
251. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 190), თიხის, შავად გამომწვარი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით, რომელსაც აქვს ზურგზე ნალისებური ჭდე, ყურის ბოლოში-ღრმული (სურ. 50, 3).
252. კეცის ნატეხი (ინვ. № 191), თიხის, დაწახნაგებული ბაკოთი, გარეპირზე, ბაკოს უკან დაბალრელიეფური ტალღოვანი კონცენტრული ზოლი, შიდაპირზე აქვს ღრმულები, რომელიც ძირზე გადადის (სურ. 50, 2).
253. კეცის ნატეხი (ინვ. № 192), თიხის, ბაკოს გარეპირი შესქელებულია და ღრმულებიანი, შიდაპირზეც აქვს ასეთივე ღრმულები (სურ. 50, 1).
254. ლურსმანი (?) (ინვ. № 405), თიხის, რკინის განიერი ქუდით.

**№ 4 სათავსო**

მდებარეობს III ნაკვეთის მე-4,5,7,8 კვადრატებში (სურ. 13, 14), № 3 სახლის დასავლეთით. სათავსოში დაფიქსირდა ორი სამშენებლო დონე; ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი I სამშენებლო ეტაპზე მოკლეა (სიგრძე – 2,35; სიგანე – 0,40; სიმაღლე – 1,0 მ.) და აგებულია მშრალი წყობით ქვაბულის გვერდის აყოლებაზე. ნაკლებად უზრუნიათ კედლის სწორ ხაზზე აშენებისათვის. II სამშენებლო ეტაპზე კედელმა, როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,4 მ-ით მოიმატა (სურ. 19). I სამშენებლო დონეზე ჩრდილო-დასავლეთი კედელი აგებულია კვლავ მშრალი, ორმხრივი საპერანგე წყობით, რომელთა შორის სივრცე წვრილი ქვებითაა შევსებული (სიგრძე – 3,7; სიგანე – 1,1; სიმაღლე – 0,85 მ). ის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში დარღვეულია. ამავე კედელში გაჭრილია საკარე ღიობი (სიგანე – 0,9-1,1 მ.). კედელთან დაფიქსირდა სამი პილასტრის ქვის ბალიში – ორი კუთხეებში, ერთი კი საკარე ღიობიდან მარცხნივ. კუთხის ბაზებზე სვეტის ხის ნაშთი იყო შემორჩენილი (სურ. 19, 21, 22).

სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კუთხის წყობა დარღვეულია(?). აქ, ნაშალ ფენაში აღმოჩნდა ბაზალტის ქვაში ამოკვეთილი აბაზანისებური ჭურჭელი (სურ. 20).

როგორც ჩანს, მე-4 სათავსოს სამხრეთ-დასავლეთის კედლად გამოიყენეს მე-5 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი. გვიან, II სამშენებლო ეტაპზე, კედლის პირას – 0,6 მ. დაშორებით ეწყობა ქვის რიგი. სავარაუდოდ მერხს აწყობენ. მერხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ, ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან 3.35 მ-ის დაშორებით, გრძივად და განივად დაწყობილი ხის ძელებით, იატაკზე, მოწყობილია სარეცელი (სურ. 17). გრძივ ძელში დაფიქსირდა საგანგებო ნახვრეტები, სავარაუდოთ ხისავე სოლებისათვის, რომლითაც კრავდნენ აღნიშნულ სარეცელს (სურ. 18). გრძივი ძელის სიგრძეა – 2.20 მ. გრძივი ძელის პერპენდიკულარულად 6 სხვადასხვა ზომის ძელი: 1. 1.67 მ; 2. 1.30 მ; 3. 1.28 მ; 4. 1.50 მ; 5. 1.10 მ; 6. 0.34 მ. დიამეტრი 0.18 - 0.20 მ-ს შორის მერყეობს. ძელებს შორის მანძილი 0.08 მ-ს შეადგენს.

სათავსო გამოვლენილია 4 მ სიგრძეზე. ორივე სამშენებლო ეტაპზე თიხატკეპნილი იატაკი ქონია. სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, საკარე ღიობის წინ თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ გაითხარა სამეურნეო ორმო №13

**სათავსოში ზედაპირულად აღმოჩნდა:**

255. აბაზანისებრი ნივთი (ინვ. № 572), ბაზალტის, ამოკვეთილია ერთიან მონოლითში. №4 და №5 სახლებს შორის ნანგრევებში
256. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 127), თიხის, აგურისფრად გამომწვარი,.
257. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 128), თიხის, წითლად შეღებილი, ერთი მათგანი ღარით არის შემკული.
258. დერგის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 158), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი (სურ. 47, 2).
259. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 159), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურით (სურ. 47, 1).
260. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 160), თიხის, შავად გამომწვარი.
261. ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი (ინვ. № 161), თიხის, ყავისფრად გამომწვარი.
262. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 162), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული ღარებით.
263. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 163), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით.
264. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 164), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით (სურ. 47, 12).
265. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 165), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, დაბალრელიეფური ქედით.
266. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 166), თიხის, შავად გამომწვარი (5 ც.).
267. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 193), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
268. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 194), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი.
269. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 195), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
270. რკინის ნივთის ფრაგმენტი (ინვ. № 196).
271. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 197), თიხის, ლურჯი ჭიქურით. სათავსოს აღმ. კუთხეში, იატაკზე

სათავსოში აღმოჩნდა:

272. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 198), თიხის, ყავისფერი და შავი ზედაპირით, შიდაპირი ყავისფერი, მოკლე ირიბი ჭდეებით შემკული რელიეფური ზოლით (სურ. 51, 10).
273. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 199), თიხის, მოშაო-მონაცრისფროდ გამომწვარი, შიდაპირზე მორგვის კვალით (სურ. 51, 5).
274. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 202), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, შიდაპირი თეთრად ანგობირებულია და ღარებს შორის მოქცეული მოყვითალო და მწვანე ჭიქური აქვს.
275. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 203), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრტყელ ბაკოზე ზემოდან აქვს ციფრი შვიდის ფორმის ჩაღარული ორნამენტი (სურ. 51, 4).
276. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 204), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, პირგადაშლილი, გვერდიწიბოიანი (სურ. 51, 3).
277. ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 205), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით (სურ. 51, 7).
278. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 206), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, შიდაპირზე მწვანე ჭიქურით. აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო კედელთან
279. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 207), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, წიბოიანი. აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო კედელთან
280. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 200), თიხის, შავად გამომწვარი.
281. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 201), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზურგზე ნავისებური დანაძერწებით.
282. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 213), მინის.
283. რკინის ნივთის ფრაგმენტი (ინვ. № 214).
284. კეცის ბორტის ნატეხი (ინვ. № 215), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი.
285. დოქის პირ-ყელს ნატეხი (ინვ. № 216), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ყელწიბოიანი (სურ. 51, 1).
286. კეცის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 217), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ბორტით.
287. კრამიტის ნატეხი (ინვ. № 218), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, გვერდაკეცილი.
288. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 219), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, შემკული კონცენტრული ღარებით.
289. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 220), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შემკულია დაბალრელიეფური წიბოიანი ქედით და შვეული ღარების ხშირი ქსელით (სურ. 51, 9).
290. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 221), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკული კონცენტრული ღარებით.
291. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 222), თიხის, ზურგჩადრეკილი, ოვალურგანივკვეთიანი.
292. ჭურჭლის პირ-ყელს ნატეხი (ინვ. № 223), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, სამკუთხედის ფორმის ბაკოთი (განივკვეთში), მხარზე, ბაკოსთან ახლოს დაბალრელიეფური განივი ქედით.
293. ჭურჭლის ყელის ნატეხი (ინვ. № 224), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული ორი განიერი ღარით (სურ. 51, 2).
294. ქვევრის პირის ნატეხი (ინვ. № 225), თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი ზედაპირით.

295. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 226), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, შემკული კონცენტრული ღარებით.
296. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 227), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, შემკული ღარებით და ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით.
297. ჭურჭლის კრატერისებური ყელ-პირის ნატეხი (ინვ. № 228), თიხის, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი.
298. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 229), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, თეთრი და მწვანე ჭიქურით.
299. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 230), თიხის, მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, დაბალი ქუსლით, მცირედ შედრეკილი ძირით, ძირი შემკულია კონცენტრული ღარით (სურ. 51, 6).
300. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 231), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი.
301. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 232), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, დაბალი ქუსლით და ბრტყელი ძირით.
302. კრამიტის ნატეხი (ინვ. № 233), თიხის, წითლად გამომწვარი, გვერდაკეცილი, ძირზე განიერი ღარით.
303. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 234), თიხის, მოყვითალო კეცით.
304. სამტუჩა დოქის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 235), თიხის, შავად გამომწვარი (სურ. 51, 8).
305. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 236), თიხის, შავად გამომწვარი, შემკული ღარებით.
306. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 237), თიხის, გარეპირი შავი, შიდაპირი ნაცრისფერი, შემკული ღარებით.
307. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 238), თიხის, შავპრიალა, გვერდწიბოიანი.
308. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 239), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, შემოუყვება განივკვეთში სამკუთხედის ფორმის ქედი.

**ორმო № 13**

მდებარეობს III ნაკვეთის მე-4,5 ნაკვეთებში, მე-4 სახლის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან (სურ. 14). ორმო ჩაჭრილია მოყვითალო ფერის თიხა-ფიქალებში პირის დიამეტრია 1.2-1.35 მ, სიღრმე – 1.4 მ.

**ორმოში აღმოჩნდა:**

309. რკინის ნივთის ფრაგმენტი (ინვ. № 208), ბრტყელი, ბოლოში შესქელებული ფორმის.
310. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 209), თიხის, მოვარდისფრო.
311. ჯამის გვერდის ნატეხი (ინვ. № 210), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფრო, წიბოიანი, მორგვის კვალი.
312. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 211), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შიდაპირი მოჭიქულია.
313. რკინის ნივთის ფრაგმენტები (ინვ. № 212), მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (2ც.).

**№5 სათავსო**

მდებარეობს II ნაკვეთის 7,8,9 კვადრატებსა და VIII ნაკვეთის 1,2,3 კვადრატებში (სურ. 13, 14), მე-4 სათავსოდან დასავლეთით. გაითხარა სათავსოს ზურგი მხარის მცირე ნაწილი (სიგანე - 7,9 მ; სიგრძე – 2,05-2,9 მ).

უნდა აღინიშნს, რომ მე-5 სათავსოს ზურგი მხარის კედლები აგებულია ამ სათავსოზე ადრეულ № 15 სამეურნეო ორმოზე (სურ. 23, 24). სათავსოს მშენებელს ორმოს შემავსებელი მასის სირბილე შეუმჩნევია და კედლის ჯდომის თავიდან

ასაცილებლად ორმოში, შიდა საპერანგე წყობისათვის, ქვის კიდევ ერთი რიგი ჩაუწყვია. მშენებელი საკმაოდ კარგად იყენებს გრუნტის – თიხოვანი ქვიშაქვის თვისებებს და მცირე დანახარჯების ფასად აგებს საკმაოდ ორიგინალურ ნაგებობას. სათავსოს შემოსაზღვრავს ორმაგი საპერანგე, მშრალი წყობით შექმნილი მასიური – 1,0 მ სიგანის კედელი, რომელიც თიხოვანი ქვიშაქვის დიდრონი ქვებითაა აგებული. შუაში წვრილი ქვებით იყო შევსებული. სამწუხაროდ, ამ კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტექნიკას ძირფესვიანად დაუნგრევია. შემორჩენილია ჩრდილოეთი, შესამჩნევად მომრგვალებული, კუთხე, ჩრდილო-დასავლეთი (სიგრძე – 3,9-4,9 მ.) და ჩრდილო-აღმოსავლეთი (სიგრძე – 2,9-3,9 მ.) კედლის ფრაგმენტები, შემორჩენილია ქვის წყობის სამი რიგი. კედლის შიდა საპერანგე წყობა ეფუძნებოდა თიხოვანი ქვიშაქვის გრუნტში გაჭრილ საფეხურს. გარეთა საპერანგე წყობა კი ეფუძნება კვლავ თიხოვან ქვიშაქვებს, მაგრამ იწყება შიდა საპერანგე წყობის პირველი რიგის სიმაღლიდან. ხოლო იქ, სადაც ქვაბული ღრმაა, კედლებს აქვს მხოლოდ შიდა საპერანგე წყობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ორმაგი საპერანგე წყობით კედლები მხოლოდ მიწის ზედაპირიდან შენდებოდა. უკვე არსებობს №5 სათავსო, როცა შენდება №4 და №6 სათავსოები. მათი სამხრეთ-აღმოსავლეთი (№6) და სამხრეთ-დასავლეთი (№4) კედლები მე-5 სათავსოს შესაბამისი ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლების გათვალისწინებითაა აგებული.

ზურგის კედლის წინ სათავსოში დატოვებული იყო თიხოვანი ქვიშაქვის საფეხური (სიგრძე – 5,0; სიგანე კედლიანად – 0,8 მ; სიმაღლე – 0,5 მ), რომლის წინა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე მოპირკეთებული იყო ქვების საპერანგე წყობით. აქ, კედლის წინ მოწყობილი იყო თარო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირთან ჩაჭრილი ჰქონდა №14 ორმოს, რომლის წინ, სამხრეთ-აღმოსავლეთით 0,6 მ-ში, ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლიდან 0,15 მ-ში გაიწმინდა პატარა ორმო e (სიღრმე – 0,40; დმ. – 0,30-0,48მ.), რომელშიც აღმოჩნდა რკინის შუბისპირი.

სათავსოს მარჯვენა კუთხეში გამართული №14 ორმო და მის წინ მდებარე პატარა ორმო (e) – შენაწირავი რკინის შუბისპირით, გვახსენებს ანალოგიურ ფაქტს №3 სათავსოში. იქაც, გამორჩეულად სათავსოს მარჯვენა კუთხეში გაითხარა ოთხკუთხა კუთხეებმომრგვალებული დაბალი ორმო (№7), ზედ შემორჩენილი ნაგებობის ნაშთით, რომლის წინ გამართული იყო პატარა ორმო (d), რომელშიც შენაწირავი ღორის ძვლები იყო ჩამარხული.

სათავსოს, აქაც, შუა და კედლისპირა სვეტებზე დაფუძნებული ბრტყელი ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა.

**სათავსოში აღმოჩნდა:**

314. ჯამის პირისა და მხრის ნაწილი (ინვ. № 240), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ცეცხლშია მოხვედრილი. მხარზე კოპი აქვს დაძერწილი.
315. ჭურჭლის გვერდის ნაწილი (ინვ. № 241), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირზე ორი კოპისებრი დანაძერწი აქვს დატანილი
316. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 242), თიხის, მოჭიქული, თეთრ ფონზე მოყვითალო და მოშავო ორნამენტით (სურ. 52, 4).
317. კვირისტავი (ინვ. № 243), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, შუაში გამჭოლი ნახვრეტით.
318. ჭურჭლის ნაწილი (ინვ. № 244), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური სარტყელი შემოუყვება. აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იატაკზე.

319. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 245), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი დაბრტყელებული აქვს დამრეცად, ყელი დაბალი, მხარი დაქანებული. აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იატაკზე.
320. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 246), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო მრგვალი, გვერდი შეზნექილი, კალთა დაქანებული, გვერდი კალთასთან მომრგვალებული. სათავსოს იატაკზე
321. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 247), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალურია. ზედაპირზე ტალღისებრი ნაკაწრები აქვს.
322. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 248), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ტალღისებრი ორნამენტი შემოუყვება.
323. ჭურჭლის ძირის ნაწილი (ინვ. № 249), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.
324. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 250), თიხის,
325. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 251), თიხის, თეთრ ფონზე მწვანე ჭიქურით.
326. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 252), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, დაბალქუსლიანი.
327. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 253), თიხის,
328. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 254), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
329. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 255), თიხის, თეთრ ფონზე მწვანე ჭიქურით.
330. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 256), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ვერდს ყურის დაძერწვის ადგილი ემჩნევა.
331. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 257), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. ბაკო დაბრტყელებული აქვს.
332. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 258), თიხის, მოყავისფრო, ცეცხლშია მოხვედრილი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი შეზნექილი.
333. ფიალის ფრაგმენტი (ინვ. № 259), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი დაბრტყელებული აქვს, გვერდი მომრგვალებული, კალთა დაქანებული, ზედაპირს ჩარხის კვალი შემოუყვება.
334. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 260), თიხის, მომწვანო ჭიქურით.
335. დერგის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 409), თიხის, რუხად გამომწვარი, ძირი ბრტყელი.
336. არჩვის (ინვ. № 410), რქა, დამუშავების კვალით. სიგრძე - 21,8 სმ.
337. სამტუჩა დოქის ყელ-პირის ნატეხი (ინვ. № 415), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ყელწიბოიანი (სურ. 52, 3). აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.
338. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 416), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალის ფორმის ბაკოთი. აღმოჩნდა სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.
339. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 421), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, გვერდწიბოიანი, დაბალი ქუსლითა და მცირედ შედრეკილი ძირით (2 ც.) (სურ. 53, 3).
340. დოქის ყელ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 422), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.
341. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 423), თიხის, ჩალისფრიად გამომწვარი,, რელსისებური ბაკოთი.
342. ჭურჭლის გვედის ნატეხი (ინვ. № 424), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი.
343. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 425), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
344. ჭურჭლის ძირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 426), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი,

345. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 530), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზემოდან ჩადრეკილი ოვალურგანივკვეთიანი ყურით (2 ც.).
346. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 261), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. აღმოჩნდა შესაწირ ორმოში (e).
347. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 262), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი. აღმოჩნდა შესაწირ ორმოში (e).
348. სალესი (ინვ. № 263), რიყის ქვის, ოთხკუთხა, სიგრძე - 14 სმ, სიგანე - 3 სმ. აღმოჩნდა შესაწირ ორმოში (e).
349. შუბისპირი (ინვ. № 264), რკინის, მასრიანი, დაზიანებული (სურ. 52, 5). აღმოჩნდა შესაწირ ორმოში (e).

**ორმო № 14**

მდებარეობს II ნაკვეთის მე-8,9 კვადრატებში, მე-5 სათავსოს ჩრდილოეთ კუთხეში (სურ. 13, 14). ორმოსთავზე აღმოჩნდა ქვიშაქვის მოზრდილი ფილები, რაც მოწმობს, რომ თავის დროზე ორმო გადახურული იყო. ორმოს აქვს ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ფორმა (0,95 X 0,90; შემორჩენილი სიმაღლე – 0,35-1,0 მ), ჩაჭრილია მოყვითალო თიხა-ფიქალებში.

**ორმოში აღმოჩნდა:**

350. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 417), თიხის, არათანაბრად გამომწვარი, ზემოდან ჩაღარული ბაკოთი.
351. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 418), თიხის, გარეპირი მოშავო, შიდაპირი ყავისფერი.
352. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 419), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი.

**ორმო № 15**

მდებარეობს II ნაკვეთის მე-7,8 კვადრატებში, მე-5 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კედელთან (სურ. 14). ორმო (დმ – 1,35 მ; სიღრმე – 0.95 მ) გაჭრილია თიხოვან ქვიშაქვებში. შევსებული იყო სიწითლემდე შემცხვარი კულტურული ფენით – ბათქაში, სამშენებლო ქვა, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნაცარ-ნახშირი, და ყველაფერ ამას ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობოდა.

**ორმოში აღმოჩნდა:**

353. ჭრაქის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 488), თიხის, მომწვანო ფერის ჭიქურით, ბრტყელგანივკვეთიანი წაწვეტებული შვერილით (სურ. 52, 2).
354. ფიალის გვერდის ნატეხი (ინვ. № 489), მწვანე და მუქი ყავისფერი ჭიქურით.
355. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 490), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი (2 ც.).
356. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 491), თიხის, რელსისებური ბაკო ზემოდან ჩაღარულია, შემკულია მოყავისფრო და მწვანე ჭიქურით (სურ. 53, 4).
357. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 492), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, კონცენტრული ღარით.
358. დოქის ფრაგმენტი (ინვ. № 493), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი,, ბიკონუსური კორპუსით, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, შემკულია კონცენტრულ ღარებს შორის მოქცეული ჭდეული ტალღოვანი ორნამენტით (სურ. 53, 2).
359. ქოთნის ფრაგმენტი (ინვ. № 494), თიხის, არათანაბრად მოყავისფრო-მოშაოდ გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალი ყელით და ბრტყელი ძირით, ყელის ძირი შემკულია კონცენტრული ღარებით (სურ. 53, 1).

360. ქოთნის ფრაგმენტი (ინვ. № 495), თიხის, შავი გარეპირით, შემკული კონცენტრული ღარებით (სურ. 52, 1).
361. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 496), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, საშუალო სიმაღლის ყელით.
362. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 497), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირზე მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
363. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 498), თიხის, მოშაო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ნაწილით
364. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 499), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, შემკული ღარებით.
365. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 500), თიხის, მოშაოდ გამომწვარი.
366. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 501), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
367. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 502), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ღარებით შემკული.
368. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 503), თიხის, მონაცრისფროდ და მოწითალოდ გამომწვარი, (4 ც.).
369. ჭურჭლის ყელის ნატეხი (ინვ. № 504), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი,.
370. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 505), თიხის, მოყვითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, (2 ც.).
371. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 506), თიხის, შავად, ნაცრისფრად და ყავისფრად გამომწვარი (5 ც.).
372. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 507), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, შემკულია ღარით.
373. ჯამი (ინვ. № 508), თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, მცირედ პირმოყრილი, დაბალქუსლიანი, მცირედ შედრეკილი ძირით (სურ. 55, 1; 83).

**№6 სათავსო**

მდებარეობს II ნაკვეთის 2,3,5,6 კვადრატებსა და III ნაკვეთის 1, 2 კვადრატებში (სურ. 13, 14, 25, 26). სათავსოს უმნიშვნელო, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია თხრილში მოხვედრილი და შესაბამისად გათხრილიც. შემორჩენილი სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის სიგრძეა – 6,75; სიგანე – 0,5-1,1; სიმაღლე – 0,65 მ. თიხატკეპნილ იატაკზე გაიწმინდა ნაცრით სავსე პატარა ორმო f (სიღრმე – 0.25 მ; დმ. – 0.40 მ) – კერის (?) ნაშთი. სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ძირთან აღმოჩნდა სვეტის ძირი – ქვაბალიში. აქაც ჩანდა დანგრეული სათავსოს ნაჩქარევი განახლების კვალი. თუ პირველ სამშენებლო ეტაპზე სათავსო სამხრეთ-დასავლეთისაკენ 1,0 მ-ით ფართო იყო, II სამშენებლო ეტაპზე განახლებული კედელი 1,0 მ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით აუგიათ, ოციოდე სანტიმეტრი სისქის ნაყარ მიწაზე. ახალი კედელი № 6 სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელზე გადაუბმელადაა მიდგმული, ძველი იატაკიდან 0.2 მ-ით მაღლა – კულტურული ფენის ნაშთზე.

**სათავსოში აღმოჩნდა:**
374. ორყურა დერგის ფრაგმენტები (ინვ. № 265), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურით (სურ. 54, 1; 73).
375. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 266), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი (სურ. 54, 2)
376. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 267), თიხის, ზედაპირზე ირიბი ნაღარი სახეები (სურ. 54, 4).

377. ჭურჭლის პირ-გვერდის 2 ფრაგმენტი (ინვ. № 268), თიხის, წითლად გამომწვარი.
378. დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 269), თიხის,
379. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 270), თიხის,
380. ჭურჭლის ძირ-გვერდის 4 ფრაგმენტი (ინვ. № 271), თიხის,
381. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 272), თიხის,
382. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 273), თიხის, ქუსლიანი, წითლად მოხატული.
383. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 274), თიხის, დაბალქუსლიანი, ბრტყელი.
384. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 275), თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფრო.
385. ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 276), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფრო, განივკვეთში ოვალური, ზურგჩადრეკილი (სურ. 53, 3).

**№ 7 სათავსო**

მდებარეობს II ნაკვეთის 1,2,4,5 კვადრატებში, მე-6 სათავსოს დასავლეთით (სურ. 13, 14, 27). გაითხარა სათავსოს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, რომლის სამხრეთ ნაწილში გაიწმინდა ქვიშაქვის ფილაფენილი (შემორჩენილი სიგრძე 2 მ, სიგანე - 1.50 მ).

სათავსოს ცენტრალურსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქვიშა ქვის თითო ბაზა (0.30 X 0.30 მ; 0.5 X 0.4 მ) დადასტურდა.

სათავსოს პრეპარაციისას გაირკვა, რომ №6 სახლის სამხრეთ-დასავლეთის კედელი მე-7 სახლის სამხრეთ ნაწილში არსებულ ფილაფენილზე გადადიოდა, რაც მე-7 სახლის ადრეულობაზე მიუთითებს.

**სათავსოში აღმოჩნდა:**

386. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 277), თიხის, ეტყობა ყურის დაძერწვის ადგილი.
387. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 278), თიხის, ბრტყელი.
388. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 279), თიხის, თხელკეციანი, ბრტყელი, შედრეკილი, მოჩალისფრო.
389. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 280), თიხის, ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი ქუსლით.
390. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 281), თიხის, ბრტყელი.
391. ჭურჭლის პირის ნაწილი (ინვ. № 282), თიხის, სწორი, ბაკო მრგვალი.
392. ჭურჭლის პირის ნაწილი ყურითურთ (ინვ. № 283), თიხის, მოჩალისფრო ყური პირზეა მიძერწილი, ყური განივკვეთში ოვალურია, აქვს ჩადრეკილი ზურგი (სურ. 54, 5).
393. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 284), თიხის, მოჩალისფრო, ყური განივკვეთში ოვალურია (სურ. 54, 6).
394. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 285), თიხის, ძირი ბრტყელი (სურ. 54, 7).
395. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 286), თიხის, ძირი ბრტყელი.

**№ 8 სათავსო** მდებარეობს III 1,2,3 კვადრატებში (სურ. 13, 14). ეს ნაგებობა გამოვყავით კედლის უმნიშვნელო ნაშთების გამო. თხრილში მოყვა შენობის მხოლოდ მცირე ნაწილი. ნანგრევებში დაფიქსირდა ბაზალტისგან დამზადებული ბაზები (სურ. 28, 64,1,2; 65,2,3).

## III უბანი

მდებარეობს II უბნიდან ჩრდილო-დასავლეთით (GPS კოორდინატები: X 448215, Y 4612732; X 448225, Y 4612737; X 448225, Y 4612732; X 448216, Y 4612736). აქ სამუშაოების წამოწყება განაპირობა №№13-15 თხრილებში კულტურული ფენის გამოვლენამ. № 15 თხრილში 0.80 მ-ის სიღრმეზე შედარებით მძლავრი კულტურული ფენა აღმოჩნდა, რის გამოც თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით. საბოლოოდ გაითხარა 9.0 მ სიგრძის, 3.5 მ სიგანისა და 0.8 მ სიღრმის თხრილი, სადაც გამოვლინდა ნახევრადმიწური ნაგებობის ნაშთი (სათავსო № 9).

**III უბნის მახლობლად ზედაპირულად აღმოჩნდა:**

396. წყალგაყვანილობის მილის ფრაგმენტი (ინვ. № 375), თიხის, წითლად გამომწვარი (სურ. 60, 8).

**III უბანზე აღმოჩნდა:**

397. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 318), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირის ნაწილი ყავისფრადაა შეღებილი (სურ. 56, 4). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,75 სმ სიღრმეზე.
398. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 319), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ყურის ზედაპირი ჩაღარულია. განივკვეთში ყური ოვალურია (სურ. 56, 6).
399. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 320), თიხის, მოყავისფრო-მოშვოდ გამომწვარი, ყური განივკვეთში მრგვალია (სურ. 56, 5).
400. კვირისტავი (ინვ. № 321), ძვლის, აღმოჩნდა №338 დერგში.
401. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 322), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი ფართოდ გადაშლილი აქვს, ყელი დაბალი შეზნექილი.
402. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 323), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო მრგვალი, ყელი ცილინდრული, ყელს წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები დაუყვება.
403. ჭურჭლის მხრის ნაწილი (ინვ. № 324), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი.
404. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 325), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი გაბრტყელებული და გადაშლილია, ყელი ცილინდრული.
405. ჭურჭლის მხრის ნაწილი (ინვ. № 326), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირს გრეხილღეროვანი ორნამენტი შემოუყვება.
406. ჭურჭლის მხრის 3 ფრაგმენტი (ინვ. № 327), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირს ფრჩხილისებრი ორნამენტი შემოუყვება.
407. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 328), თიხის, მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ბრტყელი, ფართო.
408. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 329), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრტყელი.
409. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 330), თიხის, მოყავისფროდ შეღებილი (სურ. 56, 3).
410. თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 331), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ყური მრგვალია (სურ. 56, 8).
411. ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 332), თიხის, წითლად შეღებილი.
412. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 333), თიხის, წითლად შეღებილი (3 ფრაგმენტი).
413. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 334), თიხის, წითლად შეღებილი.

414. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 335), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, ბრტყელი.
415. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 336), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, ბრტყელი.
416. დანა (ინვ. № 337), რკინის, მოხრილი, თავთან ჩანს მანჭვლის ნაშთი (სურ. 56, 7). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე.
417. ორყურა დერგი (ინვ. № 338), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კასრისებური ფორმის, ძირი ბრტყელი, ფართო. ამ ჭურჭლში აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის ჩონჩხი (სურ. 56, 2; 74).
418. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 430), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი.
419. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 431), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი.
420. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 432), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი.
421. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 433), თიხის, რუხად გამომწვარი, ქარსნარევი.
422. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 434), თიხის, წითლად შეღებილი.

№ 15 თხრილის გაფართოებისას.

423. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 435), თიხის, ყავისფრად შეღებილი.
424. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 436), თიხის, წითლად შეღებილი, მრგვალგანივკვეთიანი.
425. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 437), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი,.
426. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 438), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი.
427. ხელადა (ინვ. № 441), თიხის, ყვითლად გამომწვარი, ალაგ-ალაგ შერჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი. პირგადაშლილი საშუალო სიმაღლის ყელით, ოვალურგანივკვეთიანი, ბოლოებში შესქელებული ყური პირსა და მხარზეა მიერთებული, ბრტყელი ძირი (სურ. 56, 1). აღმოჩნდა თხრილის დასავლეთ ნაწილში 43 სმ სიღრმეზე.
428. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 447), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, შემკულია ირიბმარცვლოვანი და ჭდულტალღოვანი ორნამენტით და კონცენტრული ღარებით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
429. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 448), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, დაწახნაგებული ბაკოთი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
430. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 449), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები ზედაპირით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
431. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 450), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
432. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 451), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შემკული დაბალრელიეფური ქედით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
433. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 452), თიხის, მოყავისფრო-მონაცისფრო. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
434. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 453), თიხის, მოყვითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
435. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 454), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.

436. ცხოველის ძვლები (ინვ. № 455) 2 ცალი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 25 სმ სიღრმეზე.
437. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 531), თიხის, წითლად შეღებილი.
438. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 532), თიხის, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი (6 ც.).

**სათავსო № 9**

მდებარეობს V ნაკვეთის მე-5,6,7-9 კვადრატებსა და VI ნაკვეთის მე-4,7 კვადრატებში (სურ. 30, 32, 33). სათავსო წარმოადგენს ნახევრადმიწური ნაგებობას. ის აგებული იყო მოყვითალო დაშრევებულ თიხოვან ქვიშაქვებში გაჭრილ ქვაბულში, რომლის გვერდების ასწვრივ ამოყვანილი ცალპირი კედლები აგებული იყო საშუალო და მცირე ზომის თიხოვანი ქვიშაქვის ფლეთილი ქვით თირზე.

სათავსოს ჩრდილო-დასავლეთის კედლის სიგრძეა 7.0 მ, ჩრილო-აღმოსავლეთისა – 3.6 მ. სათავსოს დანარჩენი ნაწილი სამხრეთ-დასავლეთით ვრცელდება, მოქმედი გზის ქვეშ ექცევა და ამ ეტაპზე მისი გათხრა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩრდილოეთ კუთხეში აღმოჩნდა საკმაოდ დაზიანებული, ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელი, რომელიც მიდგმულია ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კედლებზე (სურ. 31, 34, 35). ღუმელის შემორჩენილი ნაწილის ზომებია: სიგრძე - 1.2 მ, სიგანე – 1,1 მ, სიმაღლე – 0,55-0.80 მ.

საცხობის ზომებია: 0.80 x 0.71, შემორჩენილ სიმაღლე - 0.26 მ.

საცეცხლეს ზომებია: 0.70 x 0.25, შემორჩენილი სიმაღლე – 0.18 მ. საცხობი საცეცხლეზე 0.1 მ-ით მაღლაა მოწყობილი.

ღუმელის წინ დაფიქსირდა სიწითლემდე შემცხვარი ქვიშაქვის ფილები და მცირე რაოდენობით ნაცარ-ნახშირი.

ღუმელის წინ იატაკზე, 0.38 მ-ის დაცილებით, გაიწმინდა ქვიშაქვის ოთხი სხვადასხვა ზომის ფილისაგან მოგებული მოედანი, რომელიც გამართული იყო შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან. კედლის მხარეს პატარა ფილებს შორის დატოვებული იყო პატარა ფართობი, რომელშიც ჩაჭრილი იყო მომცრო ზომის ორმო (დმ 0.22 მ, სიღრმე 0.35 მ). მოფილაქნებული მოედნის ზომებია: 0.90 x 0.52 მ, ქვის ფილების სისქე 0.08 მ. ფილები უშუალოდ თირზე აწყვია. მოედანზე, კედლის მხარეს, ირიბად მიდგმული იყო ქვიშაქვის ორი საშუალო ზომის ფილა. ამ კონსტრუქციიდან სამხრეთ-დასავლეთით გაიწმინდა თირის საგანგებოდ დატოვებული მოედანი, რომლის საფასადე გვერდი ქვიშაქვის მომცრო ფილებით ყოფილა მოპირკეთებული. ქვის ფილების ნაწილია შემორჩენილი (1.30 x 0.90 მ, სიმაღლე 0.48 მ).

თაროს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირში გაიწმინდა კედლისპირა სვეტის საბოძე ორმო (დმ 0.30 მ, სიღრმე 0,35).

თაროდან 1.32 მ-ში გაიწმინდა 0.25 მ სიმაღლის, თირში მოწყობილი თარო (სიგრძე 0.65 მ). სათავსოს დასავლეთი კუთხე და სამხრეთ-დასავლეთი კედელი, რომელიც გაუთხრელ ფართობში, გზის ქვეშ შედის, თაროს მიხედვით როგორც ჩანს, ახლოსაა საგულვებელი. თაროს წინ, იატაკზე დაფენილი იყო ქვიშაქვის თხელი ფილა (გამოვლენილი ნაწილის სიგრძე 0.65, სიგანე 0.47 მ, ფილის სისქე 0.04 მ). ფილის ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთით შედის გაუთხრელ ფართობში.

სათავსოს იატაკი მოწყობილი იყო მოყვითალო დაშრევებული თიხოვანი ქვიშაქვის კარგად მოსწორებულ ზედაპირზე.

სათავსოს ბრტყელი, ბანური გადახურვა, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებსა და შუა ბოძებს.

ნაგებობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0.5 მ დაშორებით აღმოჩნდა დედქანში ამოჭრილ ორმოში ჩადგმული, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი მოზრდილი ქილა, რომელშიც აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვის (2 თვის) ჩონჩხი[2].

**სათავსოში აღმოჩნდა:**

439. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 555), თიხის, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი (5 ც.).
440. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 556), თიხის, მონაცრისფრო-შავად გამომწვარი, (4 ც.).
441. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 557), თიხის, შავპრიალა, თხელკეციანი.
442. კარის ფალი (ინვ № 571), ბაზალტის, (სურ. 55, 3)
443. დოქი (ინვ. № 509), თიხის, ყვითლად გამომწვარი, საშუალო სიმაღლის ყელით, განიერი მუცლით, შედრეკილ ძირს ცენტრში აქვს წრიული ღრმული, მხარზე შერჩენილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყურის ნაშთი. პირ-ყელ და ყურნაკლული (სურ. 55, 2; 75). აღმოჩნდა ღუმელთან**.**
444. სანაყი (ინვ. № 543), რიყის ქვის უხეშად გამოყვანილი სახელურით, განივკვეთში ოვალური ფორმის, სამუშაო პირი გამოყენების ძლიერი კვალით. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
445. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 544), თიხის, შავად გამომწვარი და ნაპრიალები. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
446. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 545), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თხელი მომრგვალებული ბაკოთი, შემკული ღარებით. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
447. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 546), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, დაწახნაგებული ბაკოთი (2 ც.). აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
448. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 547), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, ზედაპირი წითლად შეღებილი. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
449. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 548), თიხის, შავად გამომწვარი და ნაპრიალები ზედაპირით. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.
450. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 549), თიხის, ყავისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.
451. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 550), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, ყავისფერი საღებავის კვალით ზედაპირზე. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
452. ჭურჭლის ძირის ნატეხი (ინვ. № 551), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
453. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 552), თიხის, ყავისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,
454. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 553), თიხის, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი (15 ც.). აღმოჩნდა ღუმელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში,

[2] ანთროპოლოგიური მასალა განსაზღვრა ი.მ.დ. ლ. ბითაძემ.

## IV უბანი.

მდებარეობს III უბნიდან ჩრდილო-დასავლეთით, 15 მეტრის დაშორებით (GPS კოორდინატები: X 448202, Y 4612748; X 448213, Y 4612744; X 448210, Y 4612739; X 448199, Y 4612742). № 18 თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთით, რადგან ამ თხრილში ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხების შემცველი ნაცროვანი კულტურული ფენა დაფიქსირდა.

**სათავსო № 10**

მდებარეობს IV უბნის I და II ნაკვეთში (სურ. 36-37). შემორჩენილია ფრაგმენტულად.

გაითხარა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მიმართული დიდი ზომის ქვების წყობა. იგი წარმოადგენდა სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კედელს, რომელიც 3.5 მეტრზე ვრცელდებოდა. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაფიქსირდა გრუნტში ამოკვეთილი ორი საბოძე ორმო, რომელთა შორის მანძილი 0.9 მ-ია. ორმოები კედლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 0.6-0.7 მ-ზე აღმოჩნდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ორმოს ზომებია: დმ – 0.33 მ, სიღრმე - 0.3 მ; სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ორმოსი: დმ – 0.33 მ, სიღრმე - 0.22. ესენიც დაახლოებით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ხაზზეა განლაგებული და მოწმობს, რომ აქ სათავსოს ნაშთთან გვაქვს საქმე. აღნიშნული კედლის შუა ნაწილში, ქვების ქვეშ დაფიქსირდა № 16 სამეურნეო ორმო.

**უბანზე მოპოვებული არტეფაქტები:**

455. ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 339), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. შიდა და გარეთა პირი ყავისფრად მოხატული.
456. თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 340), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, განივკვეთში ყური ოვალურია (სურ. 59, 7).
457. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 341), თიხის, მოჩალისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ყური მრგვალია.
458. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 342), თიხის, მოყავისფროდ-მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალურია.
459. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 343), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ყური მრგვალია.
460. ყურიანი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 344), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი.
461. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 345), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, პირი გაბრტყელებული, ყელი დაბალი, შეზნექილი (6 ნატეხი).
462. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 346), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი შეზნექილი მხარი დაქანებული (სურ. 62, 5).
463. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 347), თიხის, ზედაპირი წითლად შეღებილი.
464. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 348), თიხის, წითელი შეღებვის კვალით.
465. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 349), თიხის, ყავისფრად მოხატული.
466. ქოთნის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 350), მოჩალისფრად გამომწვარი, შიდაპირს ყავისფერი საღებავის კვალი ეტობა. ძირი ბრტყელია (სურ. 60, 2).
467. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 351), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბრტყელია (სურ. 60, 3).
468. სალესი (ინვ. № 352), რიყის ქვის, სოლისებრი ფორმის (სურ. 60, 7).

469. ქოთნი (ინვ. № 353), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი დაბალი, მხარი სფერული, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული (ნაკლულია) (სურ. 62, 1; 77).
470. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 355), თიხის, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, სხვადასხვა (19 ც.).
471. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 356), თიხის, მოჩალისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი (7 ც.).
472. ჭურჭლის ყური (ინვ. № 357), თიხის, ღია ჩალისფრად გამომწვარი, განივკვეთში მრგვალია (სურ. 59, 8).
473. ჭურჭლის ყური (ინვ. № 358), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, განივკვეთში მრგვალია.
474. ხელადის ყური (ინვ. № 359), თიხის, ღია ჩალისფრად გამომწვარი (სურ. 59, 9).
475. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 360), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში მრგვალია.
476. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 361), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, განივკვეთში მრგვალი, ეტყობა მოხატვის კვალი.
477. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 362), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ეტყობა წითლად შეღების კვალი (სურ. 59, 10).
478. ქოთნის პირ-ყელის 2 ფრაგმენტი (ინვ. № 363), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვთ, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი შეზნექილი, მხარი დაქანებული (სურ. 62, 6).
479. ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი (2 ც) (ინვ. № 364), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, ყელი დაბალი, დაქანებული მხარი (სურ. 62, 7).
480. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 365), თიხის, წითლად გამომწვარი. აქვს გადაშლილი პირი, შეზნექილი ყელი, დაქანებული მხარი (სურ. 62, 2).
481. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 366), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირგადაშლილი, ბაკო მრგვალი, ყელი ოდნავ შეზნექილი (სურ. 62, 3).
482. ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი (ინვ. № 367), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მხარდაქანებული (სურ. 62, 8).
483. ჭურჭლის ფრაგმენტები (6 ფრ.) (ინვ. № 368), თიხის, მოყავისფროდ შეღებილი.
484. ჭურჭლის ფრაგმენტები (2 ფრ.) (ინვ. № 369), თიხის, მოყავისფროდ მოხატული.
485. ჭურჭლის ფრაგმენტები (3 ფრ.) (ინვ. № 370), თიხის, წითლად მოხატული.
486. ჯამის პირ-გვრდის ფრაგმენტი (ინვ. № 371), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. პირმოყრილი
487. სამტუჩა ხელადის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 372), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი.
488. რგოლი (?) (ინვ. № 373), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.
489. ჭურჭლის პირ-ყელის და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 374), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკო მრგვალი, მხარი დაქანებული.
490. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 376), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ყური ოთხკუთხაა, ზედაპირი ჩაღარული აქვს.
491. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 377), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ყურის მიძერწვის ადგილი ეტყობა, განივკვეთში ყური ოთხკუთხაა, ზედაპირი ჩაღარული აქვს.
492. კეცის პირის, მხრისა და ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 378), თიხის, ყავისფრად გამომწვარი (სურ. 60, 1).

493. დერგის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 379), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ირიბად დაღარული რელიეფური სარტყელი შემოუყვებოდა.
494. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 380), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია. ძირს ქსოვილის კვალი ეტყობა.
495. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 381), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, ზედაპირს ნაღარი კონცენტრულ ღარებს შორის მოთავსებული ტალღისებრი ნაღარი ორნამენტი შემოუყვება (2 ფრაგმენტი) (სურ. 63, 13).
496. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 382), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. პირმოყრილი, მხარი შვეული, კალთა დაქანებული (სურ. 61,8).
497. ჯამის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 383), თიხის, შიდაპირი ყავისფრად, ზედაპირი შავადაა გამომწვარი. პირი დაბრტყელებული აქვს, მხარი სწორი, კალთა დაქანებული (სურ. 61,9).
498. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 384), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი. პირი დაბრტყელებული აქვს, მხარი სწორი.
499. ჯამი (ინვ. № 385), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი. პირგადაშლილი, კალთასთან რილწიბოიანი (სურ. 61, 10).
500. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 386), თიხის, წითლად შეღებილი.
501. მწვანედ მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები, (4 ც.) (ინვ. № 387), თიხის, ერთ მათგანს თეთრ ფონზე მწვანე და ყავისფერი წერტილები აქვს დატანილი.
502. ქვევრის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 388), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი მაღალი, ფართო, მხარს ირიბი ნაჭდევები შემოუყვეოდა (სურ. 62, 9).
503. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 389), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ოდნავ შეზნექილი (სურ. 62, 10).
504. ხელადა სამტუჩა (ინვ. № 390), თიხის, თიხის, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, განივკვეთში მრგვალი ყურის თავი უშუალოდ პირზე, ხოლო ყურის ძირი ტანზე აქვს დაძერწილი (სურ. 59, 3).
505. ქოთნის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 391), მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, განივკვეთში მრგვალი ყური ტანზეა დაძერწილი (სურ. 59, 6; 81).
506. ქოთნის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 392), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, პირი სწორი აქვს, ბაკო მომრგვალებული, განივკვეთში მრგვალი 507. ყური ტანზე ქონდა მიძერწილი. ყავისფრად აქვს ზედაპირი მოხატული. ყურთან ჯვარისებრი ნაჭდევი აქვს ამოღარული (სურ. 59, 5; 82).
508. წრიული ფორმის ნივთი (ინვ. № 393), თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ცენტრში გამჭოლი ნახვრეტით (სურ. 60, 6).
509. სასმისის პირ-ყელის ნაწილი (ინვ. № 394), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი (სურ. 62, 4; 80).
510. ჯამის (ინვ. № 395), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი. პირი მოყრილი აქვს, კალთა მკვეთრად დაქანებული, ძირი ბრტყელი (სურ. 61, 7).
511. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (3 ც.) (ინვ. № 396), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, გარე და შიდაპირზე ყავისფერი საღებავით დატანილი შტრიხებით (სურ. 63, 1-3; 79).
512. ჯამის (ინვ. № 397), თიხის, მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი. წითლად შეღებილი (სურ. 61, 10).
513. დოქის პირ-ყელის ნატეხი (ინვ. № 398), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, შემკული კონცენტრული ღარებით, წითლად შეღებილი (სურ. 59, 2).

514. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 399), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წითლად და ყავისფრად მოხატული (სურ. 63, 4-8, 12).
515. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 400), თიხის, წითლად შეღებილი (სურ. 61, 3; 78).
516. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 401), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, წითლად შეღებილი, ყავისფერი განივი ზოლებით შემკული (სურ. 61, 1; 78).
517. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 402), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი (სურ. 61, 6; 78).
518. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 403), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი (სურ. 61, 5).
519. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 404), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ყავისფრად შეღებილი (სურ. 61, 4; 78).
520. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 406), თიხის, ყავისფრად შეღებილი.
521. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 407), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, წითელი საღებავის განიერი ზოლით.
522. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 408), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, მოყავისფრო საღებავის ზოლები (სურ. 63, 9-11).
523. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 473), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი.
524. ჭურჭლის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 474), თიხის, ვარდისფრად გამომწვარი.
525. ჯამის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 475), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი.
526. ჯამის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 476), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი.
527. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 477), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი.
528. ჭურჭლის პირის ნატეხი (ინვ. № 478), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი.
529. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 479), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი.
530. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 480), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი (2 ც.).
531. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 481), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი,, შემკული ირიბი მარცვლოვანი ჭდეებით.
532. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 482), თიხის, მოშავო-ნაცრისფროდ გამომწვარი, გვერდწიბოიანი.
533. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 483), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი (3 ცალი).
534. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 484), თიხის, მონაცრისფრო-მოშაოდ გამომწვარი.
535. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 485), თიხის, მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, (3 ცალი).
536. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 486), თიხის, ნაწილობრივ შეღებილი წითლად (2 ცალი).
537. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 487), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, წახნაგებიანი ბაკოთი.
538. სამტუჩა ჯამის პირ-გვედის ნატეხი (ინვ. № 526), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი (სურ. 60, 4).
539. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 527), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, გლუვი ზედაპირით (3 ც.).
540. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 528), თიხის, შავად გამომწვარი, გლუვი ზედაპირით.
541. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 560), თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, გათხელებული ბაკოთი. აღმოჩნდა № 18 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს.

542. კოჭობი (ინვ. № 567), თიხის, შავად გამომწვარი და ზედაპირნაპრიალები, აქვს ცილინდრული ყელი, სფერული მუცელი და მომრგვალებული ძირი (სურ. 60, 7; 76). აღმოჩნდა № 18 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს

**ორმო № 16**

მდებარეობს I ნაკვეთის მე-3 კვადრატში (სურ. 36, 39). ორმო გაჭრილია მოყვითალო დაშრევებულ თიხოვან ქვიშაქვზში. აქვს თითქმის შვეული ნაპირები და ბრტყელი ძირი. ორმოს პირის დმ-ია 1.5 მ, სიღრმე - 0.8-1.2 მ.

ორმო შევსებული იყო პლასტებად ჩალექილი ნაცარ-ნახშირში შერეული ნაცეცხლარი თიხა-მიწა, ქვები, მეტ-ნაკლებად დამწვარი შინაური ცხოველების ძვლები (ღორი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი და სხვა), კერამიკის ფრაგმენტები.

**ორმოში აღმოჩნდა:**

543. ქოცოს გვერდის ნატეხები (ინვ. № 533), თიხის, მოვარდისფრო, სასულე ნახვრეტით (2 ც.).
544. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 534), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ერთი სასულე ნახვრეტით (6 ც.).
545. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 535), თიხის, შავად გამომწვარი, ქარსნარევი.
546. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 536), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი (6 ც.).
547. ხელადის მხრის ნატეხები (ინვ. № 537), თიხის, წითლად შეღებილი, ყურის ნაშით.
548. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 538), თიხის, წითლად შეღებილი, მრგვალგანივკვეთიანი ყურის ნაშით.
549. ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, (ინვ. № 539), თიხის, წითლად შეღებილი, პირმოყრილი, გარედან შემკული კონცენტრული ღარით (სურ. 61, 2; 78).
550. სამტუჩა ხელადის პირის ნატეხი (ინვ. № 540), თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
551. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 541), თიხის, გლუვ ზედაპირზე ორი ყავისფერი ზოლით.
552. კოჭობის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 542), თიხის, გარეპირი მოყავისფრო, შიდაპირი მოყავისფრო (სურ. 59, 4).

**ორმო № 17**

მდებარეობს I ნაკვეთის მე-5 კვადრატში, № 16 ორმოდან სამხრეთ-დასავლეთით 1.4 მ-ზე აღმოჩნდა (სურ. 36, 40). ორმო შევსებული იყო ნაცარ-ნახშიროვანი, თიხა-მიწაში შერეული სამშენებლო ქვებით, საქონლის მცირერიცხოვანი ძვლებითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით. ორმოს ძირითადი ნაწილი გათხრილი იყო მოყვითალო ფერის თიხნარში. მხოლოდ ძირის ნაწილია (0.15 – 0.45 მ-ის სიმაღლეზე) დაშრევებულ თიხოვან ქვიშაქვებში – მოყვითალო-მოყავისფრო თირში. პირის დმ – 1.9-2.0 მ, სიღრმე – 1.6 მ.

არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა გრუნტის ზედაპირის დონეზე: ელინისტური ხანის ქვევრების პირ-ყელის ფრაგმენტები, შავად ნაპრიალები ჭინჭილა, წითლად მოხატული და შეღებილი კერამიკის ფრაგმენტები, პირმოყრილი ჯამების ნატეხები. არქეოლოგიური მასალების შემცველი კულტურული ფენა ვრცელდება თხრილიდან აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით.

**ორმოში აღმოჩნდა:**

553. ჯამის ნატეხები (ინვ. № 510), თიხის, წითლად შეღებილი გარე და შიდა პირით, გვერდწიბოიანი (5 ც.).

554. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 511), თიხის, წითლად შეღებილი, გარეპირით.
555. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 512), თიხის, გარეპირი ნაცრისფერი, შიდაპირი ვარდისფერი, შემკულია რელიეფური გრეხილღეროვანი ორნამენტით.
556. ქვევრის გვერდის ნატეხები (ინვ. № 513), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, შემკული მარცვლოვანი ჭდეებით.
557. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 514), თიხის, გარეპირი მოშავო, შიდაპირი მოყავისფრო.
558. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ინვ. № 515), თიხის, შავად გამომწვარი,, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაშთით.
559. ჭურჭლის ყურის ნატეხი (ინვ. № 516), თიხის, მოყავისფრო-მონაცისფროდ გამომწვარი, მრგვალგანივკვეთიანი.
560. ქვევრის ძირ-გვერდის ნატეხები (ინვ. № 517), თიხის, გარეპირი მოყავისფრო, შიდაპირი ვარდისფერი (4 ც.).
561. ქვევრის გვერდის ნატეხი (ინვ. № 518), თიხის, შავად გამომწვარი.
562. ფიალის ნატეხი (ინვ. № 519), თიხის, ლურჯი ჭიქურით.
563. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 520), თიხის, შავად გამომწვარი, ნაპრიალები (2 ც.).
564. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 521), თიხის, შავად და მოყავისფროდ გამომწვარი, (6 ც.).
565. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 522), თიხის, გარეპირი შავი, გლუვი, შიდაპირი მოყავისფრო.
566. ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 523), თიხის, შავად გამომწვარი,.
567. ჭურჭლის ყელ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 524), თიხის, ყვითლად გამომწვარი.
568. ჭურჭლის გვერდის ნატეხები (ინვ. № 525), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, ჩალისფერი, წითელი (16 ც.).
569. ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 558), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, პირგადმოშლილი.
570. ჭურჭლის ყელ-გვერდის ნატეხი (ინვ. № 559), თიხის, ჩალისფრად გამომწვარი,.

## დასკვნა

ახალსოფლის ნამოსახლარის I და II უბანზე შუასაუკუნეების ნამოსახლარის გათხრებმა მეტად საყურადღებო არქეოლოგიური მასალა გამოავლინა. არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა თიხის ნაწარმია. გამოიყო სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი.

გვხვდება როგორც მოჭიქული[3], ასევე მოუჭიქავი[4] თიხის ჭურჭელი. მოჭიქული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა ჯამებია. მათთვის დამახასიათებელია: მსხვილმარცვლოვანი თიხა, წითლად გამომწვარი კეცი, მაღალი ქუსლი, შედრეკილი კოპიანი ძირი. კერამიკის მოჭიქვისას გამოყენებულია მწვანე, თეთრი, ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი და კრემისფერი ჭიქური.

ნამოსახლარზე აღმოჩნდა ჯამი (ინვ. № 115; სურ. 43,3), რომლის შიდა პირი და ბაკო დაფარულია ანგობით და მოჭიქულია მწვანედ, ხოლო გარეპირი მოუჭიქავია. მრავალფრად მოჭიქულ ჭურჭლიდან გვხვდება ჯამები, რომელთა ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით ამოყვანილია ჯვრის გამოსახულება (ინვ. №123, სურ. 45,2; ინვ. № 411, სურ. 48,2).

ლითონის ნივთებიდან დადასტურდა რკინის მთლიანმასრიანი შუბისპირი (ინვ. №264; სურ. 52,5).

მინის ნაწარმიდან აღმოჩნდა სამაჯურის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელსაც ახასიათებს ბრტყელი შიდაპირი და მომრგვალებული ზედაპირი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს გაჭიმვით, გადაკრავს მომწვანო-მოლურჯო ელფერი, ზედაპირზე მოყავისფრო წვრილი 2 ზოლი შემოუყვება (ინვ. № 3, 146). ზემოაღნიშნული სამაჯურები ზოგადად XI-XIII სს-ით თარიღდება [არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005, გვ. 69, ტაბ. XLII,10].

ასევე საინტერესოა I უბანზე მოპოვებული რკინისა და მინის წიდების აღმოჩენა, რაც გვავარაუდებინებს საწარმოო უბნის არსებობას.

ნამოსახლარზე აღმოჩნდა ღარიანი (ინვ. №54, სურ. 41,9) და ბრტყელი კრამიტის (ინვ. №55, 111; სურ. 41,10; სურ. 42,2) მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი. როგორც ნამოსახლარის აღწერიდან ჩანს, სახლებს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა, ამდენად კრამიტები, შესაძლებელია ნასახლარის ზედა ტერასაზე მდგარი ეკლესიიდან უნდა დაცურებულიყო.

ქვის ნივთებიდან ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბაზალტის გეჯისებური ჭურჭელი (ინვ. № 572; სურ. 48,4), ხელსაფქვავები (ინვ. № 568, 569; სურ. 44,2,3), სასრესი (ინვ. № 188; სურ. 50,5), სალესი (ინვ. № 149; სურ. 47,13).

უდაოა, რომ მდ. ბზისწყლის ხეობის სოფლებში უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ და მეურნეობის ეს დარგები კარგად იყო განვითარებული. ამის დასტურია I უბანზე, მე-6 ორმოში აღმოჩენილი ხორბალი და კევრის კოხის ქვები. ასევე ყველა უბანზე მრავლადაა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩენილი.

ამრიგად, ჩვენს ხელთა არსებული მასალების მიხედვით, ბზისწყლის ხეობა განვითარებულ შუასაუკუნეებში წარმოგვიდგება დაწინაურებულ მხარედ, სადაც

[3] მოჭიქული ჯამები: სურ. 41,8; 42,6; 43,3; 45,2-4; 47,10; 48,2; 49,5; 52,4; 53,4.
ჭრაქის ფრაგმენტი: სურ. 52,2

[4] სამეურნეო დანიშნულების კერამიკა: თონის პირის ფრაგმენტი – სურ. 42,1. დერგები – სურ. 50,3; 47,5; 51,4. სამზარეულო დანიშნულების კერამიკა: კოკა – სურ. 54,1; ქოთნები – სურ. 46,1-5; 47,1-4,6; 49,4,7; 51,1; 53,1,2; კეცისებრი ჭურჭელი – სურ. 41,2-4; 47,7; 50,1,2; ხუფები – სურ. 41,5; 44,1; 47,8; 49,3; სუფრის ჭურჭელი: ხელადა – სურ. 51,1,2; სამტუჩა დოქი – სურ. 51,8; 52,3; ჯამები – სურ. 43,1-6; 45,5; 48,1; 49,1,2; 51,3; თიხის კვირისტავი – სურ. 46,6,7.

ინტენსიურად ვითარდება მეურნეობის ტრადიციული დარგები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

ამრიგად, I-II უბნებზე გათხრილ ძეგლებზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებში ჭარბობს კერამიკული ნაწარმი – ნაცრისფერკეციანი სადა, წითელკეციანი მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნიმუშები.

ანალოგიური კერამიკული ნაწარმი დამახასიათებელია საქართველოში გათხრილი განვითარებული შუასაუკუნეებით დათარიღებული ძეგლებისათვის. შესაბამისად შეგვიძლია, აქ გათხრილი ძეგლები ახ. წ. XI–XIII სს-ით დავათარიღოთ.

თეთრიწყაროს რ-ნში მრავლადაა გამოვლენილი სინქრონული ნამოსახლარები: ნაჭივჭავები, ნადარბაზევი [გრძელიშვილი 1954, გვ. 311-319], რომლებიც თავისი გეგმარებით, სახლმშენებლობის ტექნიკით, ახლოს დგას ჩვენს მიერ გათხრილ სახლებთან.

ნამოსახლარის III და IV უბანზე გაითხარა №№9,10 სათავსო. № 9 სახლში გაიწმინდა ხოვლური ტიპის პურის საცხობი ღუმელი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. XIV-II სს-ს მოიცავს. ისინი გვხვდება გვიანბრინჯაო-რკინის ხანიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით. ელინისტური ხანის ღუმელები დადასტურდა ციხიაგორაზე, თელათგორზე [ცქიტიშვილი 1977, გვ. 54; Цкитишвили и др. 1991, стр. 67], ნასტაკისში [Бохочадзе и др. 1982, стр. 46], მჭადიჯვარში [Рамишвили и др. 1991, стр. 90].

როგორც ჩანს, პურის საცხობი ღუმელები, რომლებიც ელინისტური ხანის ძეგლებზეა დადასტურებული, მსენებლობის ტრადიციულ, უწყვეტ კულტურაზე უნდა მიგვანიშნებდეს [ნიკოლაიშვილი 1993, გვ. 37].

სახლებში ძირითადად გვხვდება მოყავისფროდ, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი: ქოთნები (სურ. 62,1-3,5-8), ხელადები (სურ. 55,2; სურ. 56,1), ჯამ-ფიალები (სურ. 61,5-10), კოჭბები (სურ. 60,5), დერგი (სურ. 56,2), პითოსის პირ-ყელის ფრაგმენტები (სურ. 62,9,10). ასევე დადასტურდა წითლად და ყავისფრად შეღებილი ჯამ-ფიალები (სურ. 61,1-4,11; სურ. 56,3), კოჭობის პირ-ყელის ფრაგმენტი (სურ. 62,4).

IV უბანზე მე-18 თხრილში დადაბლებისას აღმოჩენილია წითლად და ყავისფრად მოხატული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 63,1-12; სურ. 59,5).

გარდა ამისა, აღმოჩენილია რკინის მოხრილი დანა (სურ. 56,5), კარების ქვის ფალი (სურ. 55,3) და რიყის ქვის სალესი (სურ. 60,7).

საყურადღებოა № 9 სახლის აღმოსავლეთ კედელთან გამოვლენილი ორყურა დერგი (სურ. 56,2), რომელშიც ჩვილი ბავშვის ჩონჩხი დადასტურდა. მსგავსი ორყურა ჭურჭელი აღმოჩნდა 1962 წელს ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, რომელშიც, ასევე, ბავშვი იყო დაკრძალული [ჭილაშვილი 1964, გვ. 44].

III-IV უბნებზე გათხრილ მე-9 და მე-10 სახლებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალას, ძირითადად კერამიკულ ნაწარმს, პარალელები ეძებნება ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვართან, რაც საშუალებას გვაძლევს, ამ უბანზე გათხრილი ძეგლები ძვ.წ. III-I სს-ით დავათარიღოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: არჩვაძე თ., ჩიკოიძე ც., ჩხატარაშვილი მ. რუსთავში გათხრილი საერო სასახლე. – რუსთავი III. თბ., 2005.

გძელიშვილი 1954: გძელიშვილი ი., თეთრიწყაროს რ-ნის ნასოფლარები. – საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, №5. 1954, გვ. 311-319

მასალები ... I, 1964: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბ., 1964.

მელიქსეთბეგი 1938: მელიქსეთბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938.

ნიკოლაიშვილი 1993: ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბ., 1993.

შოშიაშვილი 1980: შოშიაშვილი ნ. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, თბ., 1980.

ცქიტიშვილი 1977: ცქიტიშვილი გ. კავთისხევის ციხიაგორა. – ძეგლის მეგობარი, № 46, 1977 გვ. 51-55

ჯილაშვილი 1964: ჯილაშვილი ლ. ურბნისი, თბ., 1964

ხარაძე, 1991: ხარაძე კ. ქვემო ქართლი. თბ., 1991

Давлианидзе 1977: Давлианидзе Ц. О некоторых неопубликованных материалах раннеантичной эпохи из Юго-восточной Грузии. – КСИА №151, М., стр. 122-126.

Бохочадзе и др. 1982: Бохочадзе А. и др. Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. – ПАИ в 1980 году. Тб., 1980, стр. 44-51.

Нариманишвили 1991: Нариманишвили Г. Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб., 1991.

Рамишвили и др. 1991: Рамишвили Р. и др. Археологическая экспедиция горного региона восточной Грузии. – ПАИ в 1986 году. Тб., 1991, стр. 89-95.

Такаишвили 1913: Такаишвили Е. Археолгические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, вып. III, Тиф., 1913.

Цкитишвили и др. 1991: Цкитишвили Г. и др. Экспедиция Каспского района. – ПАИ в 1986 году. Тб., 1991, стр. 65-68.

## სურათების აღწერა


სურ. 1. თბილისი-კოდა-ახალქალაქის საავტომობილო გზის ფარცხისი-ახალსოფლის მონაკვეთი. გათხრების ადგილი.
სურ. 2. ახალსოფლის ნამოსახლარი. ტოპოგეგმა.
სურ. 3. ახალსოფლის ნამოსახლარი. ტოპოგეგმა.
სურ. 4. I უბანი. №№ 1, 2 სახლი, გეგმა და ჭრილები.
სურ. 5. I უბანი. №№ 1, 2 სახლი, გეგმა და ჭრილი.
სურ. 6. I უბანი. № 1 სახლი, გეგმა და ჭრილები
სურ. 7. I უბანი. №№ 3-6 ორმოები, გეგმა და ჭრილები
სურ. 8. I უბანი. სათავსო № 1
სურ. 9. I უბანი. სათავსო № 1. წინა პლანზე თონის ნაშთი
სურ. 10. I უბანი. სათავსო № 1, თონე
სურ. 11. I უბანი. ორმო № 4-6.
სურ. 12. I უბანი. ორმო № 6, დეტალი
სურ. 13. II უბანი. № 3-8 სათავსო, გეგმა და ჭრილები. II დონე
სურ. 14. II უბანი. № 3-8 სათავსო, გეგმა და ჭრილები. I დონე
სურ. 15. II უბანი. სათავსო № 3, II დონე.
სურ. 16. II უბანი. სათავსო № 3, I დონე
სურ. 17. II უბანი. სათავსო № 4, II დონე
სურ. 18. II უბანი. სათავსო № 4, დეტალი
სურ. 19. II უბანი. სათავსო № 4, I დონე
სურ. 20. II უბანი. № 4 და № 5 სათავსოებს შორის დაფიქსირებული ქვის აბაზანა.
სურ. 21. II უბანი. სათავსო № 4, ჩრდილოეთ კუთხეში არსებული სვეტის ნაშთი და ბაზა
სურ. 22. II უბანი. სათავსო № 4, დასავლეთ კუთხეში არსებული სვეტის ნაშთი და ბაზა
სურ. 23. II უბანი. სათავსო № 5, ხედი დასავლეთიდან
სურ. 24. II უბანი. სათავსო № 5, ორმო № 15
სურ. 25. II უბანი. სათავსო № 6, დეტალი
სურ. 26. II უბანი. სათავსო № 6, დეტალი
სურ. 27. II უბანი. სათავსო № 7
სურ. 28. II უბანი. სათავსო № 8, ჩრდილო კედელში დაფიქსირებული ბაზა
სურ. 29. გზისპირა სადრენაჟე არხის ტერიტორიაზე, II და III უბნებს შორის გაჭრილი თხრილი. გეგმა
სურ. 30. უბანი III. სათავსო № 9. გეგმა და ჭრილი.
სურ. 31. უბანი III. სათავსო № 9. გეგმა და ჭრილი.
სურ. 32. III უბანი. სათავსო № 9. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
სურ. 33. III უბანი. სათავსო № 9. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
სურ. 34. III უბანი. სათავსო № 9, დეტალი.
სურ. 35. III უბანი. სათავსო № 9, ღუმელი
სურ. 36. უბანი IV. სათავსო № 10. გეგმა და ჭრილი
სურ. 37. IV უბანი. სათავსო № 10. ხედი სამხრეთიდან.
სურ. 38. IV უბანი. სათავსო № 10. დეტალი
სურ. 39. IV უბანი. სათავსო № 10, ორმო № 16
სურ. 40. IV უბანი. სათავსო № 10, ორმო № 17.
სურ. 41. უბანი I. სათავსო №1: 1. ინვ. №5; 5. ინვ. №7. სათავსო №2: 2. ინვ. №14. ორმო №4: 3. ინვ. №28; 4. ინვ. №414; 7. ინვ. №554. ორმო №3: 6. ინვ. №61. ზედაპირული მასალა: 8. ინვ. №1. ორმო №1: 9. ინვ. №54; 10. ინვ. №55.

სურ. 42. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №68; 2. ინვ. №111; 3. ინვ. №103; 4. ინვ. №121; 5. ინვ. №95; 6. ინვ. №125; 7. ინვ. №120.
სურ. 43. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №65; 2. ინვ. №66; 3. ინვ. №115; 4. ინვ. №85; 5. ინვ. №90; 6. ინვ. №98.
სურ. 44. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №82; 2. ინვ. №568; 3. ინვ. №569.
სურ. 45. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №124; 2. ინვ. №123; 3. ინვ. №87; 4. ინვ. №96; 5. ინვ. №86; 6. ინვ. №97.
სურ. 46. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №119; 2. ინვ. №118; 3. ინვ. №67; 4. ინვ. №93; 5. ინვ. №84; 6. ინვ. №70; 7. ინვ. №69
სურ. 47. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №159; 2. ინვ. №158; 3. ინვ. №155; 4. ინვ. №130; 5. ინვ. №131; 6. ინვ. №132; 7. ინვ. №129; 8. ინვ. №152; 9. ინვ. №151; 10. ინვ. №154; 11. ინვ. №148; 12. ინვ. №164; 13 ინვ. №149.
სურ. 48. უბანი II. 1. ინვ. №565; 3. ინვ. №412; 4. ინვ. №572. ორმო №9: 2. ინვ. №411.
სურ. 49. უბანი II. სათავსო III, ორმო №7: 1. ინვ. №176; 2. ინვ. №177; 3. ინვ. №175; 4. ინვ. №179; 5. ინვ. №180; 6. ინვ. №174; 7. ინვ. № 173.
სურ. 50. სათავსო №3, ორმო № 12: 1. ინვ. № 192; 2. ინვ. № 191; 3. ინვ. № 190; 4. ინვ. № 189; 5. ინვ. № 188.
სურ. 51. უბანი II. სათავსო № 4: 1. ინვ. №216; 2. ინვ. №224; 3. ინვ. №204; 4. ინვ. №203; 5. ინვ. №199; 6. ინვ. №230; 7. ინვ. №205; 8. ინვ. №235; 9. ინვ. №220; 10. ინვ. №198.
სურ. 52. უბანი II. სათავსო № 5. ორმო №15: 1. ინვ. №495; 2. ინვ. №488. სათავსო № 5: 3. ინვ. №415; 4. ინვ. №242; ორმო e: 5. ინვ. №264.
სურ. 53. უბანი II. სათავსო № 5. ორმო № 15: 1. ინვ. №494; 2. ინვ. №493; 3. ინვ. №421; 4. ინვ. №491.
სურ. 54. უბანი II. სათავსო № 6: 1. ინვ. №265; 2. ინვ. №266; 3. ინვ. №276; 4. ინვ. №267. სათავსო № 7: 5. ინვ. №283; 6. ინვ. №284; 7. ინვ. № 285.
სურ. 55. სათავსო № 5. ორმო № 15: 1. ინვ. №508; სათავსო № 9: 2. ინვ. №509; 3. ინვ. №571.
სურ. 56. უბანი III. 1. ინვ. № 441; 2. ინვ. № 338; 3. ინვ. № 330; 4. ინვ. № 318; 5. ინვ. № 320; 6. ინვ. № 319; 7. ინვ. № 337; 8. ინვ. № 331
სურ. 57. თხრილი III: 1. ინვ. №287. თხრილი IV: 2. ინვ. №309; 3. ინვ. №314; 4. ინვ. №315; 5. ინვ. №311. თხრილი X: 6. ინვ. №317. თხრილი VIII: 7. ინვ. № 316.
სურ. 58. თხრილი V: 1. ინვ. №298; 2. ინვ. №296; 3. ინვ. №290; 4. ინვ. №295; 5. ინვ. №291. თხრილი VI: 6. ინვ. №304; 7. ინვ. № 307.
სურ. 59. უბანი IV: 1. ინვ. №354; 2. ინვ. №398; 3. ინვ. №390; 4. ინვ. №542; 5. ინვ. №392; 6. ინვ. №391; 7. ინვ. №340; 8. ინვ. №357; 9. ინვ. №359; 10. ინვ. №362.
სურ. 60. უბანი IV: 1. ინვ. №378; 2. ინვ. №350; 3. ინვ. №351; 4. ინვ. №526; 5. ინვ. №567; 6. ინვ. №393; 7. ინვ. №352; 8. ინვ. №375.
სურ. 61. უბანი IV: 1. ინვ. №401; 2. ინვ. №539; 3. ინვ. №400; 4. ინვ. №404; 5. ინვ. №403; 6. ინვ. №402; 7. ინვ. №395; 8. ინვ. №382; 9. ინვ. №383; 10. ინვ. №385; 11. ინვ. №397.
სურ. 62. უბანი IV: 1. ინვ. №253; 2. ინვ. №365; 3. ინვ. №366; 4. ინვ. №394; 5. ინვ. №346; 6. ინვ. №363; 7. ინვ. №364; 8. ინვ. №367; 9. ინვ. №388; 10. ინვ. №389.
სურ. 63. უბანი IV: 1-3. ინვ. №396; 4-8, 12. ინვ. №399; 9-11. ინვ. №408; 13. ინვ. №381.
სურ. 64. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ბაზები: 1, 2. სათავსო №8; 3. სათავსო №3, ორმო №11; 4. სათავსო №7; 6. სათავსო № 1.
სურ. 65. ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ბაზები: 1. სათავსო №7; 2,3. სათავსო №8.
სურ. 66. I უბანი. ორმო № 1. ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები (ინვ. № 54, 55).

სურ. 67. I უბანი. ორმო № 6. კევრის კოხები (ინვ. № 65).
სურ. 68. II უბანი. ზედაპირული მასალა. ქილის ფრაგმენტი (ინვ. № 67).
სურ. 69. II უბანი. ზედაპირული მასალა. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 68).
სურ. 70. II უბანი. ზედაპირული მასალა. მოჭიქული ჯამის ძირი (ინვ. № 123).
სურ. 71. II უბანი. ზედაპირული მასალა. მოჩიქული ჯამების ფრაგმენტები (ინვ. №115, 124).
სურ. 72. სათავსო № 3, ორმო № 7. ხუფი (ინვ. № 175) და ჯამი (ინვ. № 176).
სურ. 73. № 6 სათავსო. ჩაფის ფრაგმენტი (ინვ. № 265).
სურ. 74. უბანი III. დერგი (ინვ. №338).
სურ. 75. უბანი III. სათავსო № 9, დოქი (ინვ. №509).
სურ. 76. უბანი IV. სათავსო № 10, დოქი (ინვ. №567).
სურ. 77. უბანი IV. ქოთანი (ინვ. №353).
სურ. 78. უბანი IV. პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები (ინვ. №№ 401, 539, 404, 400, 402).
სურ. 79. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 396).
სურ. 80. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად შეღებილი ჭურჭლის პირი (ინვ. № 394).
სურ. 81. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად შეღებილი ფიალის ფრაგმენტი (ინვ. № 391).
სურ. 82. უბანი IV. თხრილი №18. მოხატული ჭურჭლის ფრაგმ. (ინვ. № 392).
სურ. 83. უბანი II. სათავსო № 5, ორმო №15. ფიალა (ინვ. №508).
სურ. 84. უბანი I. ორმო № 4. მინისა და რკინის წიდები (ინვ. № 30).




სურ. 1. თბილისი-კოდა-ახალქალაქის საავტომობილო გზის ფარცხისი-ახალსოფლის მონაკვეთი. გათხრების ადგილი.




სურ. 2. ახალსოფლის ნამოსახლარის ტოპოგეგმა.




სურ. 3. ახალსოფლის ნამოსახლარის ტოპოგეგმა.



სურ. 4. I უბანი. №№ 1, 2 სახლი, გეგმა და ჭრილები.



სურ. 5. I უბანი. №№ 1, 2 სახლი, გეგმა და ჭრილი.




სურ. 6. I უბანი. № 1 სახლი, გეგმა და ჭრილები.




სურ. 7. I უბანი. №№ 3-6 ორმოები, გეგმა და ჭრილები.



სურ. 8. I უბანი. სათავსო № 1.



სურ. 9. I უბანი. სათავსო № 1. წინა პლანზე თონის ნაშთი.



სურ. 10. I უბანი. სათავსო № 1, თონე.




სურ. 11. I უბანი. ორმო № 4-6.




სურ. 12. I უბანი. ორმო № 6, დეტალი




სურ. 13. II უბანი. № 3-8 სათავსო, გეგმა და ჭრილები. II დონე.




სურ. 14. II უბანი. № 3-8 სათავსო, გეგმა და ჭრილები. I დონე.



სურ. 15. II უბანი. სათავსო № 3, II დონე.



სურ. 16. II უბანი. სათავსო № 3, I დონე.



სურ. 17. II უბანი. სათავსო № 4, II დონე.



სურ. 18. II უბანი. სათავსო № 4, დეტალი.




სურ. 19. II უბანი. სათავსო № 4, I დონე.



სურ. 20. II უბანი. № 4 და № 5 სათავსოებს შორის დაფიქსირებული ქვის აბაზანა.



სურ. 21. II უბანი. სათავსო № 4, ჩრდილოეთ კუთხეში არსებული სვეტის ნაშთი და ბაზა.



სურ. 22. II უბანი. სათავსო № 4, დასავლეთ კუთხეში არსებული სვეტის ნაშთი და ბაზა.



სურ. 23. II უბანი. სათავსო № 5, ხედი დასავლეთიდან.




სურ. 24. II უბანი. სათავსო № 5, ორმო № 15.



სურ. 25. II უბანი. სათავსო № 6, დეტალი.



სურ. 26. II უბანი. სათავსო № 6, დეტალი.



სურ. 27. II უბანი. სათავსო № 7.



სურ. 28. II უბანი. სათავსო № 8, ჩრდილო კედელში დაფიქსირებული ბაზა




სურ. 29. გზისპირა სადრენაჟე არხის ტერიტორიაზე, II და III უბნებს შორის გაჭრილი თხრილი. გეგმა.




სურ. 30. უბანი III. სათავსო № 9. გეგმა და ჭრილი.




სურ. 31. უბანი III. სათავსო № 9. გეგმა და ჭრილი.



სურ. 32. III უბანი. სათავსო № 9. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.



სურ. 33. III უბანი. სათავსო № 9. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.



სურ. 34. III უბანი. სათავსო № 9, დეტალი.



სურ. 35. III უბანი. სათავსო № 9, ღუმელი.




სურ. 36. უბანი IV. სათავსო № 10. გეგმა და ჭრილი.



სურ. 37. IV უბანი. სათავსო № 10. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 38. IV უბანი. სათავსო № 10. დეტალი.




სურ. 39. IV უბანი. სათავსო № 10, ორმო № 16.




სურ. 40. IV უბანი. სათავსო № 10, ორმო № 17.




სურ. 41. უბანი I. სათავსო №1: 1. ინვ. №5; 5. ინვ. №7. სათავსო №2: 2. ინვ. №14. ორმო №4: 3. ინვ. №28; 4. ინვ. №414; 7. ინვ. №554. ორმო №3: 6. ინვ. №61. ზედაპირული მასალა: 8. ინვ. №1. ორმო №1: 9. ინვ. №54; 10. ინვ. №55.




სურ. 42. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №68; 2. ინვ. №111; 3. ინვ. №103; 4. ინვ. №121; 5. ინვ. №95; 6. ინვ. №125; 7. ინვ. №120.




სურ. 43. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №65; 2. ინვ. №66; 3. ინვ. №115; 4. ინვ. №85; 5. ინვ. №90; 6. ინვ. №98.




სურ. 44. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №82; 2. ინვ. №568; 3. ინვ. №569.




სურ. 45. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №124; 2. ინვ. №123; 3. ინვ. №87; 4. ინვ. №96; 5. ინვ. №86; 6. ინვ. №97.




სურ. 46. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №119; 2. ინვ. №118; 3. ინვ. №67; 4. ინვ. №93; 5. ინვ. №84; 6. ინვ. №70; 7. ინვ. №69.




სურ. 47. უბანი II. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. №159; 2. ინვ. №158; 3. ინვ. №155; 4. ინვ. №130; 5. ინვ. №131; 6. ინვ. №132; 7. ინვ. №129; 8. ინვ. №152; 9. ინვ. №151; 10. ინვ. №154; 11. ინვ. №148; 12. ინვ. №164; 13 ინვ. №149.




სურ. 48. უბანი II. 1. ინვ. №565; 3. ინვ. №412; 4. ინვ. №572. ორმო №9: 2. ინვ. №411.




სურ. 49. უბანი II. სათავსო III, ორმო №7: 1. ინვ. №176; 2. ინვ. №177; 3. ინვ. №175; 4. ინვ. №179; 5. ინვ. №180; 6. ინვ. №174; 7. ინვ. № 173.




სურ. 50. სათავსო №3, ორმო № 12
1. ინვ. № 192; 2. ინვ. № 191; 3. ინვ. № 190; 4. ინვ. № 189; 5. ინვ. № 188.




სურ. 51. უბანი II. სათავსო № 4: 1. ინვ. №216; 2. ინვ. №224; 3. ინვ. №204; 4. ინვ. №203; 5. ინვ. №199; 6. ინვ. №230; 7. ინვ. №205; 8. ინვ. №235; 9. ინვ. №220; 10. ინვ. №198.




სურ. 52. უბანი II. სათავსო № 5. ორმო №15: 1. ინვ. №495; 2. ინვ. №488. სათავსო № 5: 3. ინვ. №415; 4. ინვ. №242; ორმო e: 5. ინვ. №264.




სურ. 53. უბანი II. სათავსო № 5. ორმო № 15: 1. ინვ. №494; 2. ინვ. №493; 3. ინვ. №421; 4. ინვ. №491.




სურ. 54. უბანი II. სათავსო № 6: 1. ინვ. №265; 2. ინვ. №266; 3. ინვ. №276; 4. ინვ. №267.
სათავსო № 7: 5. ინვ. №283; 6. ინვ. №284; 7. ინვ. № 285.




სურ. 55. უბანი III. სათავსო № 9: 1. ინვ. №508; 2. ინვ. №509; 3. ინვ. №571.




სურ. 56. III უბანი. 1. ინვ. № 441; 2. ინვ. № 338; 3. ინვ. № 330; 4. ინვ. № 318; 5. ინვ. № 320; 6. ინვ. № 319; 7. ინვ. № 337; 8. ინვ. № 331.




სურ. 57. თხრილი III: 1. ინვ. №287. თხრილი IV: 2. ინვ. №309; 3. ინვ. №314; 4. ინვ. №315; 5. ინვ. №311. თხრილი X: 6. ინვ. №317; თხრილი VIII: 7. ინვ. № 316.




სურ. 58. თხრილი V: 1. ინვ. №298; 2. ინვ. №296; 3. ინვ. №290; 4. ინვ. №295; 5. ინვ. №291. თხრილი VI: 6. ინვ. №304; 7. ინვ. № 307.




სურ. 59. უბანი IV: 1. ინვ. №354; 2. ინვ. №398; 3. ინვ. №390; 4. ინვ. №542; 5. ინვ. №392; 6. ინვ. №391; 7. ინვ. №340; 8. ინვ. №357; 9. ინვ. №359; 10. ინვ. №362.




სურ. 60. უბანი IV: 1. ინვ. №378; 2. ინვ. №350; 3. ინვ. №351; 4. ინვ. №526; 5. ინვ. №567; 6. ინვ. №393; 7. ინვ. №352; 8. ინვ. №375.




სურ. 61. უბანი IV: 1. ინვ. №401; 2. ინვ. №539; 3. ინვ. №400; 4. ინვ. №404; 5. ინვ. №403; 6. ინვ. №402; 7. ინვ. №395; 8. ინვ. №382; 9. ინვ. №383; 10. ინვ. №385; 11. ინვ. №397.




სურ. 62. უბანი IV: 1. ინვ. №253; 2. ინვ. №365; 3. ინვ. №366; 4. ინვ. №394; 5. ინვ. №346; 6. ინვ. №363; 7. ინვ. №364; 8. ინვ. №367; 9. ინვ. №388; 10. ინვ. №389.




სურ. 63. უბანი IV: 1-3. ინვ. №396; 4-8, 12. ინვ. №399; 9-11. ინვ. №408; 13. ინვ. №381.




სურ. 64. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ბაზები: 1, 2. სათავსო №8; 3. სათავსო №3, ორმო №11; 4. სათავსო №7; 6. სათავსო № 1.



სურ. 65. ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ბაზები: 1. სათავსო №7; 2,3. სათავსო №8.





სურ. 66. I უბანი. ორმო № 1. ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები (ინვ. № 54, 55).



სურ. 67. I უბანი. ორმო № 6. კევრის კოხები (ინვ. № 65).



სურ. 68. II უბანი. ზედაპირული მასალა. ქილის ფრაგმენტი (ინვ. № 67)





სურ. 69. II უბანი. ზედაპირული მასალა. კეცის ფრაგმენტი (ინვ. № 68).



სურ. 70. II უბანი. ზედაპირული მასალა. მოჭიქული ჯამის ძირი (ინვ. № 123).



სურ. 71. II უბანი. ზედაპირული მასალა. მოჩიქული ჯამების ფრაგმენტები (ინვ. №115, 124).



სურ. 72. სათავსო № 3, ორმო № 7. ხუფი (ინვ. № 175) და ჯამი (ინვ. № 176).



სურ. 73. № 6 სათავსო. ჩაფის ფრაგმენტი (ინვ. № 265).



სურ. 74. უბანი III. დერგი (ინვ. №338)



სურ. 75. უბანი III. სათავსო № 9, დოქი (ინვ. №509)



სურ. 76. უბანი IV. სათავსო № 10, დოქი (ინვ. №567)



სურ. 77. უბანი IV. ქოთანი (ინვ. №353)





სურ. 78. უბანი IV. პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები (ინვ. №№ 401, 539, 404, 400, 402)




სურ. 79. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 396).



სურ. 80. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად შეღებილი ჭურჭლის პირი (ინვ. № 394)




სურ. 81. უბანი IV. სათავსო № 10. წითლად შეღებილი ფიალის ფრაგმენტი (ინვ. № 391)



სურ. 82. უბანი IV. თხრილი №18. მოხატული ჭურჭლის ფრაგმ. (ინვ. № 392).



სურ. 83. უბანი II. სათავსო № 5, ორმო №15. ფიალა (ინვ. №508).



სურ. 84. უბანი I. ორმო № 4. რკინისა და მინის წიდები (ინვ. № 30).

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

გოდერძი ნარიმანიშვილი, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე,
მარინე კვაჭაძე

# არქეოლოგიური გათხრები ედი-ქილისას

# ნამოსახლარზე

.

უზნაძის ქ. № 14.
0102 თბილისი, საქართველო.

გადაეცა:
სსიპ „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“.
სანაპიროს ქ. № 4
თბილისი, საქართველო

სამუშაოები ჩატარდა თანამშრომლობის ხელშეკრულება № 3 (26.02.2009), შესწორება № 3 (10.06.2009) საფუძველზე.

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 2009 წლის 9 ივლისი.

**აბსტრაქტი**

ეს ანგარიში წარმოადგენს „სამცხე-ჯავახეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგებს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ედი-ქილისასთან საავტომობილო გზის 95-ე კმ-ზე (სურ. 1).

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 2009 წლის ივნის-ივლისში გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით. სამუშაოები დააფინანსა სსიპ „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“.

ძეგლი მდებარეობს ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წალკიდან 25 კმ-ის დაშორებით. ძეგლი წარმოადგენს ანტიკური ხანით დათარიღებულ ნამოსახლარს (სურ. 8,9), რომელიც გაშენებული ყოფილა დღევანდელი სოფ. ედი-ქილისას დასავლეთით, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე უდრის 1000 მეტრს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 800 მეტრს აღემატება. ნამოსახლარის დასავლეთი საზღვარი **წმ. სოფიოს** სამლოცველოსთან გადის.

## 1.0 შესავალი

**ედი-ქილისას ნამოსახლრაზე ჩატარებული კვლევის მიზანი** – სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტზე გადარჩენითი სამუშაოების ჩატარება; ძეგლისა და გათხრილი სტრუქტურების ხასიათის დადგენა; გათხრების შედეგად მოხდება ნამოსახლარის დაზიანებულ ნაწილში შემორჩენილი კულტურული ფენების არქეოლოგიური შესწავლა. საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის ლაბორატორიული დამუშავება და საცავში განთავსება.

**პროექტის დამფინანსებელი** - სსიპ „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“.

სამუშაოების კონტრაქტი: თანამშრომლობის ხელშეკრულება № 3 (26.02.2009), შესწორება № 3 (10.06.2009)

**ნებართვები:** კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სანებართვო მოწმობა № 6 28.

**ოფიციალური მოთხოვნები** – კონტრაქტი ითვალისწინებდა სოფ. ედი-ქილისასთან საავტომობილო გზის მშენებლობის ზონაში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას და საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზსა და ანგარიშის მომზადებას.

**პროექტით გათვალისწინებული ფართობი** – 180 კვ.მ.

**კვლევების თარიღი და რაიმე კონკრეტული პრობლემები და შეზღუდვები, რამაც გავლენა იქონია სამუშაოების მიმდინარეობასა და შედეგებზე** – პროექტის განხორციელების დროს რაიმე სახის შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.
პროექტის შესრულებაში მონაწილეობა მიიღო მუზეუმის 10-მა თანამშრომელმა.

**კოლექციის საბოლოო საცავი** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3. ტელ. 99 85 41.

## 2.0. გარემოს დახასიათება

### 2.1. ძეგლის ადგილმდებარეობა და აღწერილობა.

ედი-ქილისას ნამოსახლარი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკის რაიონში, წალკიდან 25 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (სურ. 1,8,9). რელიეფი, რომელზეც განლაგებულია ნამოსახლარი, წარმოადგენს ქანობს, რომელიც დაფერდებულია ჩრდილოეთისაკენ, სადაც მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1520 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს.

განსახილველი რეგიონი მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ოროგრაფიულად იგი წარმოადგენს ვულკანურ პლატო-ქვაბულს.

გეოლოგიური სტრუქტურა შეიცავს ნეოგენური ასაკის ვულკანური წარმოშობის დანალექ ფენებს. მხოლოდ თრიალეთის ქედის მიმდებარე ზოლის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი შედგება აჭარა-თრიალეთის სისტემის პალეოგენური და ზედაცარცული ფენებისაგან.

ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ კარგად არის განვითარებული. წალკის წყალსაცავი ნალექიან წლებში იკავებს 30-31 $კმ^2$-მდე ფართობს. ამ ხელოვნური ტბის დონის აბსოლუტური ნიშნული შეადგენს 1510 მ-ს. დასავლეთიდან მას ერთვის მდ. ქცია, აღმოსავლეთიდან მდ. კორსუ. წყლის გადინება წყალსაცავიდან ხდება ხრამჰესისა და წყლის გასაფილტრი მიწისქვეშა ნაგებობებით.

რეგიონში ბევრია პატარა ვულკანური და ტექტონიკური წარმოშობის ტბები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარა წალკის წყალსაცავმა. ამჟამად ყველაზე დიდი ბუნებრივი ტბაა ბარეთის (ბაშქოის). პატარა ტბებიდან უნდა აღინიშნოს უზუნგელი, ალიგელი და იმერა.

კლიმატი ზომიერია. წლის საშუალო ტემპერატურაა 6-5 გრადუსი. იანვარში ტემპერატურა ეცემა - 5-6-მდე. ივლისში კი შეადგენს 16-15 გრადუსს. თვიური ტემპერატურის ცვალებადობის ამპლიტუდა შეადგენს 21-21,5 გრადუსს. ნალექის წლიური ჯამი აღწევს 538-662 მმ-ს. ნალექის მაქსიმუმი მოდის მაისსა და ივნისში. ჰაერის ფართობითი ტენიანობა მთელი წლის განმავლობაში თითქმის არ იცვლება და შეადგენს საშუალოდ 72-76%-ს.

ნიადაგი ძირითადად შედგება შავმიწანიადაგებით. წალკის მთიანეთის სამხრეთ ფერდობებზე გავრცელებულია საშუალოდ გამოტუტვილი მთის შავმიწანიადაგი. თრიალეთის ქედის მთისწინეთის განაპირა ჩრდილოეთ ზოლზე აღინიშნება მთა-მდელოიანი ნიადაგები. ქვაბულის ძირში ტბებთან და მდ. ქციას ნაპირებზე გავრცელებულია დაჭაობებული ტენიან-მდელური თიხნარი ნიადაგების სხვადასხვა ტიპები.

საკვლევი რეგიონის მცენარეულ საფარს აქვს მეორადი ხასიათი. აქ ძირითადად გვხვდება სტეპური მინდვრები, სადაც ჭარბობს მარცვლოვანი მცენარეები. ტყის საფარი შენარჩუნებულია უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით თავკვეთილის მთის აღმოსავლეთისკენ (აღმ. ფერდობებზე), მდ. კუსრეთისწყალის, ხრამის კალაპოტებში,

სოფ. დაშ-ბაშის, კუშჩის, საფარ-ხარაბას და სხვ. შემოგარენში. ტყეებში იზრდება მუხა, წიფელი, ნეკერჩხლი, რცხილა და თელა. ტყისწინეთში შეინიშნება მოცვი, ტირიფი და მაღალმთიანი ტყის სხვა კომპონენტები. შეინიშნება ხელოვნური ნაძვნარი, რომელიც დარგულია XX საუკუნის 60-იან წლებში.

თრიალეთში დღეისათვის გვხვდება: შველი, ტურა, მელა, მგელი, მაჩვი; ერთეულების სახითაა შემორჩენილი ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი; ძალზედ შემცირდა გარეული ღორის რაოდენობა; ბევრია მღრღნელი: თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია, ზაზუნა. რაც შეეხება თრიალეთის ფრინველთა სახეობებს მათ შორის აღსანიშნავია: ქორი, შევარდენი, არწივი, ერთეულების სახით გვხვდება კავკასიური როჭო, შურთხი. მდინარეებისა და ტბების სიმრავლემ ხელი შეუწყო ამ მხარეში წყალმცურავ ფრინველთა პოპულაციების გავრცელებას. აქ მრავლადაა იხვის სხვადასხვა სახეობა, თოლია, წერო და სხვა სახის ფრინველები.

## 2.2. წარსულში არსებული გარემოპირობები

საქართველოს დღევანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი კაინოზოური ერის – პალეოგენური ხანის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი იმდროინდელი მცენარეული და ცხოველთა სამყარო, კლიმატური გარემო თუ სხვა პირობები არსებითად განსხვავდებოდა შემდგომი, მეოთხეული პერიოდის გარემოპირობებისგან. მაშინ მთლიანად კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ჰავა უფრო თბილი იყო. შესაბამისად, აქ სითბოსმოყვარული, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები იზრდებოდა. ასევე განსხვავებული იყო ცხოველთა სამყაროც.

მესამეული პერიოდის ბოლოსა და მეოთხეული პერიოდის დასაწყისში საქართველოში არსებითად იცვლება, როგორც ლანდშაფტი, ასევე კლიმატური პირობები. გამყინვარებასა და გამყინვარებათშორის ეპოქაში, ბუნებაში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი ზეგავლენა იქონია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე. შუა და ზედა პლიოცენის მიჯნაზე ტროპიკული ჰავა უფრო ზომიერი ჰავით შეიცვალა.

ვიურმის ეპოქის გამყინვარების შემდეგ თრიალეთის კლიმატი თანდათან იცვლება. თუმცა 15 000 წლის წინათ ჰავა ისევ საკმაოდ ცივი იყო, რაზეც მეტყველებს ალიგელიდან აღებულ ჭრილში მოპოვებული მცენარეთა მტვრის სპექტრის შემადგენლობა. წალკის პლატოს მცენარეული საფარი იყო ზედაალპური, რომელიც შეიცავდა სუბნივალური სარტყლის კომპონენტებს: ხავსურას, ლიკოპოდიუმს და ხავსის სხვადასხვა სახეობას.

2 000 წლის შემდეგ ლანდშაფტი გახდა სუბალპური, მცენარეულ საფარში ჭარბობდა მარცვლეული ბალახეული, ხეობებში გაჩნდა ტირიფი და არყის ხე.

9 000 წლის წინათ კლიმატი კიდევ უფრო თბილი გახდა და თრიალეთში გაჩნდა მთის ტყეები სადაც დომინირებდა Quercus macranthera.

6,5–6 წლის წინათ აღინიშნება ატლანტიური პერიოდის პირველი გლობალური დათბობის პიკი. წალკის პლატოს ტყეებში იზრდებოდა რცხილა, ნეკერჩხალი, ქართული მუხა, ძელქვა, ცაცხვი, სოჭი. ადამიანი ამ პერიოდში ინტენსიურად იყო დაკავებული მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით და მევენახეობით. დაახლ. 5 300 წლის წინათ შეინიშნება კლიმატის აცივება. შემცირდა ფართოფოთლოვანი ტყის

ფართობი. შემცირდა მიწათმოქმედების როლი ხოლო საძოვრების ფართობი გაიზარდა. გაქრა მევენახეობა.

5 000 – 4 600 წლის წინათ (ადრებრინჯაოს ხანა), ადგილი ჰქონდა ატლანტიკური დათბობის მეორე მაქსიმუმს. ისევ გაიზარდა ფართობი სითბოსმოყვარული ფართოფოთლოვანი ტყეებისა, განსაკუთრებით ქართული მუხისა. გაჩნდა ინტენსიური მიწათმოქმედება, მებაღეობა და მევენახეობა. ეს პერიოდი ხასიათდება ძლიერი დათბობით, რაც აისახა სამხრეთ საქართველოს მთიანეთის უფრო მაღალ სარტყელშიც.

4000 – 3700 წლის წინათ ისევ აცივდა, კვლავ გავრცელდა მთის მუხა, არყის ხე და ფიჭვი. ბალახეულ საფარში გაჩნდა სუბალპური ელემენტები. მესაქონლეობამ მთლიანად გამოდევნა მიწათმოქმედება.

3500 – 3400 წლის წინათ (ძვ.წ. XV-XIV სს.) აღინიშნება დათბობა. იგი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრებრინჯაოს ხანაში. ისევ გაჩნდა მუხისა და რცხილის ტყეები, რომელშიც შერეული იყო ცაცხვი. მიწათმოქმედება ვითარდება უფრო ინტენსიურდ, ვიდრე წინამორბედ ხანაში. ვითარდებოდა მებაღეობა და მევენახეობა. რაზეც მეტყველებს საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვნების პალინოლოგიური სპექტრი.

2500 წლის წინათ ისევ აღინიშნა კლიმატის აცივება. ეს კარგად ჩანს აი-ილიას ნამოსახლარის პალინოსპექტრით. ტყეებიდან გაქრა ისეთი სითბოს მოყვარული ხე, როგორიცაა ცაცხვი, ძალიან მცირეა მარცვლეული კულტურები, საერთოდ ქრება ყურძენი. მთავარი ადგილი უკავია მესაქონლეობას.

ჰავის მნიშვნელოვანი დათბობა აღინიშნება შუასაუკუნეებში (1350-800 წლის წინათ). წალკის პლატოზე ინტენსიურად ვითარდება მესაქონლეობა, მეცხოველეობა და მევენახეობა. წალკის პლატოზე მესაქონლეობას მართალია მეორადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ კარგად იყო განვითარებული. ადამიანთა საცხოვრებლის თანმხლები სარეველა მცენარეების მტვრის ზრდა მაქსიმუმამდე მიუთითებს მოსახლეობის დიდ სიმჭიდროვეზე, რაც დასტურდება არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემებით. ამავე ეტაპზე იწყება ტყეების მასიური განადგურება.

მცირე გამყინვარების პერიოდში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 300 წლის წინათ, გამოიწვია ნაძვისა და ფიჭვის ტყეების მომრავლება. ამავე პერიოდში გაქრა ბევრი, როგორც კულტურული, ასევე ველური სითბოს მოყვარული მცენარე. როგორც ჩანს, XVII საუკუნეში მოსახლეობამ დატოვა ეს რეგიონი არამარტო მტრის შემოსევების გამო. წალკის პლატოზე ტყეების სრული განადგურება დაიწყო XIX საუკუნიდან, როცა მოსახლეობამ ისევ აითვისა ეს ტერიტორია [Квавадзе, Коннор, Нариманишвили 2007].

**2.3. მიწის გამოყენების ისტორია.**

ძვ.წ. V–I სს-ში აღნიშნული ტერიტორიაზე დიდი დასახლება ყოფილა გამართული. წინა და შემდგომი დროის ისტორია უცნობია. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ეს ტერიტორია საძოვრად და სახნავად გამოიყენება.

## 3.0. კულტურული ფონი

### 3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძველესი ფაუნის ნაშთები აღმოჩენილია ბეშთაშენთან (ხმალკბილა ვეფხვი, სამხრეთული სპილო და სხვ.), იმერასთან (სამხრეთული სპილო), სოფ. დარაკოვთან (ცხენი), რომლებიც 1,5 მილიონი წლის წინა პერიოდით თარიღდება. ორი უკანასკნელი აღმოჩენა დაკავშირებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან (იხ. 2003 წლის ანგარიში).

თრიალეთში ადამიანი ძველი ქვის ხანიდან დასახლებულა. სოფ. ავრანლოსთან აღმოჩენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელცულები და სხვა იარაღები აშელის ეპოქის (2 მილ. - 100 000 წლის წინ) გვიან საფეხურს განეკუთვნებიან [ნარიმანიშვილი 2007ა; ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, მურვანიძე, კვაჭაძე, შანშაშვილი 2008]. შუა პალეოლითის (100 000 - 35 000 წლის წინ) მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები კი მრავალ პუნქტშია (ელი-ბაბა, ბეშთაშენი, სანთა, ავრანლო, ოზნი, ჯინისი, იმერა) დადასტურებული. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაშიც (იმერა KP-110, ელი-ბაბა KP-116, აი-ილია KP-123, სანთა KP-129) აღმოჩნდა.

მეზოლითის პერიოდი (12000-8000 წწ. ძვ.წ.) პლეისტოცენის (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი) დასასრულსა და ჰოლოცენის (გამყინვარების მომდევნო ეპოქა, რომელიც დაიწყო 10-12 ათასი წლის წინ) დასაწყისს ემთხვევა. ამ ეპოქის ძეგლები თრიალეთში აღმოჩენილია ეძანში (ბარმაქსიზი), ზურტაკეტში, თაქ-ქილისაში, ბეშთაშენში. მილსადენის დერეფანში ამ ეპოქის იარაღები აღმოჩნდა აი-ილიას ნამოსახლარის გათხრებისას [ნარიმანიშვილი 2003].

გვიანი ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის (8000-3500 წწ. ძვ.წ.) მცირერიცხოვანი მასალები აი-ილიას ქვის თხემზე (KP-123) ჩატარებული გათხრებისას იქნა მოპოვებული.

ადრე ბრინჯაოს ხანის (3500-2500 წწ. ძვ.წ.) ძეგლები მიკვლეულია და ზოგი გათხრილია: ბეშთაშენში, ოზნიში, ავრანლოში, დაშ-ბაშში, ქ. წალკაში, ბაშქოიში, სანთაში [შანშაშვილი 2008].

შუა ბრინჯაოს ხანაში (2500-1800 წწ. ძვ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოში თრიალეთური კულტურა არის გავრცელებული. კულტურის სახელწოდება თრიალეთის პლატოზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლიდან იღებს სათავეს [Куфтин 1936; Куфтин 1937; Куфтин 1938; Куфтин 1941; Куфтин 1947; Куфтин 1948; Куфтин 1949; კუფტინი 1949; გოგაძე 1972; Жоржикашвили, Гогадзе 1972], რამდენადაც პირველად აქ იქნა მიკვლეული შუა ბრინჯაოს ხანის პირველი და მეტად საყურადღებო ძეგლები.

ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იქნა დაფიქსირებული. შემდეგში რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას თრიალეთის (ხელმძღ. ო. ჯაფარიძე. სწავლობდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს), სამხრეთ საქართველოს (ხელმძღ. მ. გაბუნია. შეისწავლა ქვის ხანის ძეგლები) და წალკა-თრიალეთის (ხელმძღვანელი გ.ნარიმანიშვილი) ექსპედიციები ანხორციელებდნენ [ამირანაშვილი, ნარიმანიშვილი 2005; Амиранашвили, Нариманишвили 2005.

სხვა ეპოქის ძეგლებთან ერთად ექსპედიციებს შესწავლილი აქვთ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (ძვ.წ. 1700-1400 წწ.), გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIV-X სს.), ადრერკინის ხანისა (ძვ.წ. IX-VIII სს.) და რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VII-VI სს.) არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ბარეთის, ელი-ბაბას, ახალდაბის, სანთის, აშკალას, გუმბათის, ავრანლოს, ოზნის და ნარდევანის "ციკლოპურ" სიმაგრეებსა და ნამოსახლარებს, წინწყაროს, სანთის, მარალინ-დერესის, თაქ-ქილისას, დარაკოვის, ბეშთაშენის, საფარ-ხარაბასა და ელი-ბაბას სამაროვნებს [ნარიმანიშვილი 1991; ნარიმანიშვილი 2005; ნარიმანიშვილი 2006; ნარიმანიშვილი 2007; ნარიმანიშვილი 2008; მურვანიძე 2005; მურვანიძე 2008].

ანტიკური ხანის ძეგლები მიკვლეული და ნაწილობრივაა შესწავლილი ბეშთაშენში, სანთაში, ნერონ-დერესის ხევის პირთან, კარიაკში და სხვ. [გაგოშიძე 1982; დავლიანიძე 1983; ].

ადრეულ შუასაუკუნეებში წალკის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული. ახალი რელიგიის - ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად რეგიონში იწყება დიდი სააღმშენებლო საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება IX საუკუნიდან. ამ დროიდან თრიალეთი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. მისი მმართველები, ბაღვაშები, საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებას ცდილობდნენ, რომელთა სეპარატისტულ ქმედებასაც დავით აღმაშენებელმა დაუსვა წერტილი. დავითის შემდეგ თრიალეთი სამეფო დომენად გამოცხადდა.

გვიან შუასაუკუნეებში მტერთა უსასრულო შემოსევების შედეგად თრიალეთი თანდათან გაუკაცრიელდა და XIX ს-ის დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ, წალკაშიც გამოიწვია ცვლილებები. კერძოდ, 1829 წლიდან მოკიდებული, რუსეთ-თურქეთის ყოველი ომის შემდეგ, ინტენსიურად ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება.

### 3.2. წინა პერიოდში ჩატარებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევების მოკლე მიმოხილვა.

სოფ. ედი-ქილისა მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სოფლის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი მდებარეობს.

XIX ს-ის ბოლოს სოფ. ედი-ქილისა მოინახულა ექ. თაყაიშვილმა, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 97 ბერძნულ კომლს. იგი აღნიშნავს: „ედიქილისა თურქულად შვიდ ეკლესიას ნიშნავს. და მართლაც ამ სოფელში 7 ქართული ეკლესია იყო" [თაყაიშვილი 1913].

შვიდი ეკლესიიდან მხოლოდ ერთს, **წმ. დიმიტრის ეკლესიას** შემორჩა ძველი ქართული წარწერები. ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ განაპირას, ფერდობზე სადაც თანემედროვე სასაფლაოა გამართული.

XIX ს-ის ბოლოსათვის ეკლესია არ იყო აღდგენილი. თაღედი მთელი იყო, სახურავი კი ძლიერ დაზიანებული. დღეს იგი გადახურულია.

ეკლესიის ტერიტორიაზე არის ძველი საფლავის ქვები, მათ შორის ორი ცხენის ქანდაკება და ჯვრიანი ქვა.

სოფლის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას **წმ. კოზმასა და დამიანეს ეკლესია** მდებარეობს. ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ გადმოცემის მიხედვით ამ ადგილზე წმ. გიორგის ეკლესია იდგა. ასევე მიუთითებს, რომ ეკლესიის შესასვლელის თავზე ძველი წარწერაა, რომელიც მის დროს უკვე წაშლილი იყო [თაყაიშვილი 1913, გვ. 31]. ეკლესია აგებულია ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე.

სოფელში **წმ. კოზმასა და დამიანეს** მეორე სამლოცველოცაა. სამლოცველო აგებულია ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

**ქარვასლა და „შვიდი ძმის" ეკლესია დღეს** სოფლის ცენტრშია მოქცეული. შვიდი ძმის ეკლესია დგას სოფლის ყველაზე შემაღლებულ ადგილას, ქარვასლის აღმოსავლეთით 10 მ-ის დაცილებით. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით დიდი ოთხკუთხა, ორსართულიანი შენობის ნანგრევებია. ექ. თაყაიშვილის აზრით შესაძლოა ეს იყო ერისთავების სასახლე. შესაძლებელია ეს ნაგებობა ქარვასლას წარმოადგენდა.

**წმ. ბარბარეს ეკლესია** დგას ნარდევანის წყლისა და მდ. ქციის შესართავში არსებულ ბორცვზე. XIX ს-ის ბოლოს იგი დანგრეული იყო, შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი. შემოვლებული აქვს გალავანი. ეკლესია აგებულია განვითარებულ შუასაუკუნეებში, გადაკეთებულია XX ს-ის დასაწყისში. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „იმავე ბორცვის თავზე, სადაც ეკლესიის ნანგრევებია სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი". ბორცვი 1936 წელს მოინახულა ბ. კუფტინმა. დღიურში იგი მუთითებს, რომ 8 მეტრის სიმაღლის ბორცვი ყორღანს წარმოადგენს, რომელიც თავისი ზომებით აღემატება ბეიუკ-თეფეს (I ყორღანი) და კარანტინს ( V ყორღანი).

**„წმ. ნაწილების" (ნიმსანოს) სამლოცველო** წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას. ნაგებია ბაზალტის ქვით. სამლოცველოში ვერცხლის ლუსკუმაში ჩასვენებული წმინდა ნაწილები იყო დაცული. ჩვენ ეს ფაქტი ოლიანქის მონასტრის ბერებს ვაცნობეთ, რომლებმაც ის მონასტერში გადააბრძანეს.

სოფლის ცენტრში, იოსებ ჩაკალოვის სახლის მახლობლად **წმ. სპირიდონის სამლოცველოა**. სამლოცველო შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით, რომელშიც საფლავის ქვები და არქიტექტურული დეტალებია ჩაშენებული. ეზოში ძველი საფლავის ქვები აწყვია. 1940 წელს იოსებ ჩაკალოვს თავის ეზოში უპოვია მინის სანელსაცხებლე, ადამიანის ძვლებთან ერთად.

**წმ. პეტრე-პავლეს სამლოცველო** დგას სოფელში, წყაროსთან, კერძო ნაკვეთში.

სოფელში, წმ. სპირიდონის სამლოცველოს სამხრეთით, ბორცვზე, კერძო ნაკვეთში **წმ. ეკატერინეს სამლოცველო** დგას.

სოფლის აღმოსავლეთ განაპირას, სამანქანო გზის სამხრეთით 50 მ-ში, ხევის მარჯვენა ნაპირზე **წმ. სოფიოს სამლოცველოა.**

სოფ. ედი-ქილისადან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,0 კმ დაცილებით პატარა ხევის მარჯვენა ნაპირზე **ფერისცვალების სამლოცველო** დგას.

სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,0 კმ-ის დაცილებით, ფერისცვალების სამლოცველოსაკენ მიმავალი გზის პირას **ყორღანი** მდებარეობს, რომელიც მიწაყრილიანი ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დღემდე არ ჩატარებულა.

4.0. მეთოდოლოგია

4.1. საველე მეთოდები

ედი-ქილისას ნამოსახლარის გათხრა 2009 წლის 17 ივნისს დაიწყო და 30 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა.

სულ გაითხარა 180 კვ. მ. ფართობი (სურ. 9,10-15).

ნამოსახლარი ჩვენს მიერ შესასწავლად შერჩეულ ფართობს დიდად სცილდება და დაახლოებით 30 ჰა ფართობს მოიცავს.

გასათხრელი ფართობი და მიმდებარე ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად (სურ. 9). გასათხრელი ფართობი დაიყო კვადრატებად (სურ. 10), დაინომრა 40 კვადრატი, რომელთა ზომებია 3x3 მ.

კულტურული ფენების გამოვლენის მიზნით მოიხსნა ბუნებრივი საფარი (ნიადაგის ზედა ფენა). სახლების კონტურების გამოვლენამდე იხსნებოდა 0,1 – 0,15 მ სისქის ფენა, სახლების იატაკის გამოვლენა ხდებოდა დანის, ლანცეტისა და ფუნჯის მეშვეობით. ფენები ინომრებოდა ზევიდან ქვევით.

საველე სამუშაოების მიზანს წარმოადგენდა სოფ. ედი-ქილისას ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის ზონაში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

საველე სამუშაობის ვადა 10 (ათი) სამუშაო დღით განისაზღვრა.

**სამუშაოები 2009 წლის 17 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა,** ექსპედიცია თბილისში 1 ივლისს დაბრუნდა.

საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელი; არქეოლოგი; ორი ასისტენტი; ტოპოგრაფი; მხატვარი; 12 მუშა.

ედი-ქილისას ნამოსახლარის გათხრებში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. მურვანიძე ბიძინა - არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – ასისტენტი.
4. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი.
5. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი.
6. ტატიშვილი გიორგი – მხატვარი.

ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი.
2. მურვანიძე ბიძინა - არქეოლოგი.
3. დავლიანიძე რევაზი – ასისტენტი.
4. ხუციშვილი მანანა – ასისტენტი.
5. ჯორბენაძე ხათუნა – ასისტენტი.
6. ტატიშვილი გიორგი – მხატვარი.
7. ესვანჯია ინგა – არქიტექტორი.

რუკები შედგა ტოპოგრაფის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტების (ნიველირი, კიპრეგელი) გამოყენებით. რუკაზე დატანილი იქნა რელიეფი, ნაკვეთების ბადე, დაფიქსირდა მყარი ნულოვანი წერტილი.

შედგა განთახარი ფართობისა და გამოვლენილი ძეგლების შესაბამისი გეგმები. ყველა სახლი და დეტალი არქიტექტორის მიერ იქნა აზომილი.

ფოტოფიქსაცია მიმდინარეობდა ყოველდღიურად. ფიქსირდებოდა როგორც სამუშაო სიტუაცია, ისე განათხარი ძეგლების მდგომარეობა – დილით, გათხრების დაწყებიდან 3-4 საათის შემდეგ და სამუშაო დღის ბოლოს. ხდებოდა დაფიქსირებული სიტუაციის დეტალური ფოტოგადაღება. ფოტოფიქსაცია ხდებოდა ციფრული აპარატის, ნეგატიური და პოზიტიური ფირების საშუალებით.

### 4.2. ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდები

სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები გაირეცხა, ნაწილს გამოეცვალა ეტიკეტი, არტეფაქტები (კერამიკა) მომზადდა სარესტავრაციოდ, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი იქნა აღდგენილი.

არტეფაქტები დაჯგუფდა სახლებისა და ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით.

ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიღებული მონაცემები დამუშავებულია კომპიუტერულ ფაილებად Exell, Word პროგრამებში.

ლაბორატორიული სამუშაოების დამთავრების შემდეგ მასალა გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

5.0. შედეგები

**5.1. ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა,** შესწავლილი ტერიტორიის ზომები და გაჭრილი თხრილების საერთო რაოდენობა:

ა). გათხრილი ფართობის ზომებია 180 კვ.მ. (სურ. 9,10)

ბ). გამოვლენილია 3 ნაგებობა და 12 სამეურნეო ორმო.

**გ) ნამოსახლარზე მოპოვებულია 1280 არტეფაქტი, რომელთაგან 300 თიხის ჭურჭელია; 2 ლითონის ნივთი; 8 ქვის იარაღი, 4 ძვლის იარაღი, 8 ობსიდიანის ანატკეცი (ერთი ლამელაზე დამზადებული იარაღი), 5 თიხისაგან დამზადებული საკიდი, ერთი ჭრაქი. დანარჩენი კერამიკის უსახო ნატეხებია.**

**დ) ნამოსახლარი ორფენიანია.**

5.2 ძეგლები:

**სახლი № 1** (სურ. 9-10, 12-38).

მდებარეობს მე-6-11, 26-29 კვადრატებში. გაითხარა ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო სამხრეთი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. სახლი ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ფლეთილი ქვებით. ჩრდილოეთის კედლის სიგრძეა 10.80 მ, უდიდესი სისქე 1.20 მ, ხოლო უმცირესი – 0.60-0.70 მ-ის ტოლია. კედლის სიმაღლე დასავლეთ ნაწილში 1.40 მ-ია, აღმოსავლეთ ნაწილში - 1.10 მ. შემორჩენილია კედლის წყობის 5-6 რიგი.
დაფიქსირებული დასავლეთ კედლის სიგრძე 0.70 მ-ია, სისქე – 0.80 მ, სიმაღლე 1.40 მ-ის ტოლია. შემორჩენილია კედლის წყობის 7 რიგი. აღმოსავლეთ კედლის სიგრძე 3.40 მ-ია, სისქე – 0.80 მ, სიმაღლე – 1.10 მ. შემორჩენილია კედლის წყობის 3 რიგი (სურ. 17-20). ნაგებობას აქვს თიხატკეპნილი და ბრტყელი მასიური ქვებით მოგებული იატაკი (სურ. 21,22). ქვაფენილის ზომებია: სიგრძე – 5.40 მ, სიგანე – 2.20 მ.

სახლის დასავლეთ კედელთან გაითხარა შეწირული ორი გოჭის სრული ჩონჩხი (სურ. 27-30), ერთი მოთავსებული იყო ბაქნისებურ შემაღლებაზე, ხოლო მეორე გვერდით ჩაღრმავებაში. ორივე გოჭთან დაფიქსირდა თიხის საკიდი.

სახლის აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა ძლიერ დაზიანებული სამეურნეო ღუმელი (სურ. 23-26), რომლის ზომებია: 0.80 X 0.80 მ-ზე. ღუმელზე აღმოჩნდა მცირე ზომის ჭრაქი, იქვე დაფიქსირდა კეცისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები.

სახლში გაითხარა 4 ორმო (სურ. 31-37):

№ 1 ორმო მდებარეობს მე-7 კვადრატში ღუმელის გვერდით. ორმოს აღმოსავლეთი ნაწილი შედის სახლის კედლის ქვეშ. ორმოს დმ-ია 0.50 მ, ხოლო სიღრმე – 0.40 მ.

№ 2 ორმო მდებარეობს მე-8 კვადრატში, ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან და ნაწილობრივ შედის კედლის ქვეშ. ორმოში ჩაწოლილი იყო ქვაფენილის ფილები. ორმოს დმ 0.70 მ-ია, სიღრმე კი 0.70 მ-ის ტოლია.

№ 3 ორმო მდებარეობს მე-9,10 კვადრატების საზღვარზე, ნაგებობის დასავლეთ ნაწილში. ორმოს დმ-ია – 1.05 მ, სიღრმე – 1.00 მ.

№ 4 ორმო მდებარეობს მე-7 კვადრატში, ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში. ორმოში ჩაწოლილი იყო ქვაფენილის ფილები. ორმოს პირის დმ – 1.15 მ, სიღრმე – 1.25 მ.

## № 1 სახლში აღმოჩნდა:

**ზედაპირული მასალა, კვადრატი 8:**

1. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 130), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები, პირის ბაკო დაბრტყელებული აქვს.
2. ქილის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 131), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები, პირის ბაკო დაბრტყელებული აქვს.
3. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 132), თიხის, მოყვითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი.
4. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 133), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები, ყური მრგვალგანივკვეთიანია.
5. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 134), თიხის, მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები.
6. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 135), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები, ყური მრგვალგანივკვეთიანია.
7. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 136), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები.
8. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 137), თიხის, მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები.

**სახლი №1, ზედაპირული მასალა, კვადრატი 9.**

9. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 138), თიხის, მოყვითალო-მოწითალოდ გამომწვარი, სწორმხრიანი.
10. დოქის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 139), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ყელზე აქვს წიბო.
11. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 140), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. პირგადაშლილი.
12. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 141), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. პირგადაშლილი.
13. ქილის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 142), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. პირგადაშლილი.
14. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 143), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირი შეღებილია წითლად.
15. ფიალის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 144), თიხის, მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. პირგადაშლილი, შეღებილია წითლად.
16. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 145), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირზე წითელი საღებავის ზოლი გასდევს.
17. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 146), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ძირი გამოყოფილი აქვს.

**სახლი №1, ზედაპირული მასალა, კვადრატი 10:**

18. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 147), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ზედაპირზე წითელი საღებავის ზოლი გასდევს.
19. დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 148), თიხის, მოყვითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. პირი მართკუთხაგანივკვეთიანია.
20. ქოცოს პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 149), თიხის, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. პირ-გადშლილი, ზედა და შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით და ნაპრიალებია.

21. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 150), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი.
22. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 151), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
23. დოქის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 152), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ყელწიბოიანი.
24. დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 153), თიხის, მოყვითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
25. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 154), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
26. ფიალის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 155), თიხის, მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. ზედაპირი დაფარულია მოყავისფრო ანგობით და კარგადაა ნაპრიალები.
27. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 156), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
28. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 157), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ოდნავ პირმოყრილი.
29. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 158), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. ყური ოვალურგანივკვეთიანი.
30. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 159), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალები აქვს, ყური მრგვალგანივკვეთიანი.
31. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 160), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. ყური ოვალურგანივკვეთიანი.
32. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 161), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალები და წითლად შეღებილი აქვს.

**№1 სახლის კედლის გარეთ, კვადრატი 11:**

33. ქოთანი (ინვ. № 162), თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი მოყავისფრო, ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. შემორჩენილი აქვს ერთი მართკუთხა განივკვეთიანი ყური, ოდნავ ჩაღარული ზედაპირით.
34. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 163), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია, დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო ანგობით და წითლადაა მოხატული რომბული ბადით შევსებული სამკუთხედით.
35. ფიალის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 164), თიხის, მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით.
36. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 165), თიხის, მოყვითალო-მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირზე შემორჩენილია წითელი საღებავის ზოლი.
37. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 166), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
38. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 167), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი.
39. დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 168), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები.
40. ქილის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 169), თიხის, მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირი მოყვითალო აქვს.
41. ფიალის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 170), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით.
42. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 171), თიხის, მოყვითალო-მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირზე შემორჩენილია წითელი საღებავის ზოლი.

**კვადრატი 12, ქვაყრილის დონეზე აღმოჩენილი მასალა:**

43. ქოთნის პირ-გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 172), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, ბრტყელი და ზურგჩაღარული ყურით.
44. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 173), თიხის, მონაცრისფოდ გამომწვარი, ზედაპირზე აქვს ნაპრიალები ზოლები.
45. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 174), თიხის, მოყვითალო-მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირი წითლადაა შეღებილი.
46. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 176), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ოდნავ პირმოყრილი.
47. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 176), თიხის, მოყვითალო-მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირი წითლადაა შეღებილი.
48. ანატკეცი (ინვ. № 177), ობსიდიანის, ნახევრადგამჭვირვალე, შავი, დაუმუშავებელი.
49. ანატკეცი (ინვ. № 178), ობსიდიანის, ნახევრადგამჭვირვალე, შავი, დაუმუშავებელი.

**სახლი № 1. კვადრატი 7. II დონე.**

50. ქვევრის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 179), თიხის, მონაცრისფოდ გამომწვარი, პირი მართკუთხაგანივკვეთიანია.
51. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 180), თიხის, მონაცრისფო-მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს.
52. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 181), თიხის, მონაცრისფო-მოყვითალოდ გამომწვარი.
**საგინაშვილი მ. 2000.** მინის სანელსაცხებლეების - Kohl-Tube-ს გავრცელება საქართველოში. – ძიებანი № 3, გვ. 72-76. თბილისი.

**ფიცხელაური კ. 1973.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბილისი.

**შანშაშვილი ნ. 2008.** მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან. (გადაცემულია დასაბეჭდად BP-საქართველოს არქეოლოგიურ კრებულში). თბ.
**ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. 1962.** ურბნისი. ტ. I. თბილისი.

**ჯაფარიძე ო. 1969.** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

**Амиранашвили Дж., Нариманишвили Г. 2005,** Поселение эпохи средней бронзы из Триалети. - Международная научная конференция Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, Материалы конференции, Баку, стр. 42-43.

**Гагошидзе Ю. 1979.** Самадло, археологические раскопки. Тбилиси.

**Гогелия Д. Челидзе М., 1991.** О полевых работах Квемо-Картлиискoй экспедиции в 1985-86 гг. – ПАИ в 1986 году, сс. 10-14. Тбилиси.

**Дандамаев М.А. 1885.** Политическая история Ахеменидской державы. Москва.

**Дандамаев М. А., Луконон В. Г. 1980.** Культура и экономика древнего Ирана. Москва.

**Квавадзе Э., Коннор С., Нариманишвили Г. 2007.** Позднеплейстоценовая и Голоценовая история развития ландшаптов окрестностей Цалки (Южная Гузия) по палинологическим данным и почвенных образований. – paleobiologiis problemebi, tomi II. Tb.

**Куфтин Б.А. 1947.** Дневник Триалетской Археологической экспедиции. рукопечать. Тб.

**Куфтин Б.А. 1936.** Дневник Археологическо отряда Цалкской комплекной экспедиции. рукопечать. Тб.
**Куфтин Б.А. 1937.** Дневник Археологическо отряда Цалкской комплекной экспедиции. рукопечать. Тб.
**Куфтин Б.А. 1938.** Дневник Археологическо отряда Цалкской комплекной экспедиции. рукопечать. Тб.
**Куфтин Б.А. 1941.** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
**Куфтин Б. 1948.** Археологические раскопки 1947 года в цалкинском районе. Тбилиси.
**Куфтин Б. 1949.** Археологическия маршрутная экспедисия 1947 года в Юго Осетию и Имеретию. Тбилиси.
**Нариманишвили Г. 1991.** Керамика Картли V-I вв. до нашей эры. Тбилиси.
**Такаишвили Е. 1913.** Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО вып. III, Тифлис.
**Шаншашвили Н. 2007.** К распространеню расписной керамики куро-араксской культуры на территории Грузии. – Археология, Этнология, Фольклористика Кавказа. Тбилиси.
**Gagošidze J. 2000.** Neuer archäologescher Befund im Bezirk Kareli, Šida Kartli. - Archäologische mitteilungen aus Iran und Turan. band 32. Berlin.
**Khimchiashvili k., Narimanishvili G. 1995-1996.** A group of Iberian fire temples (4$^{th}$ Cent. BC-and 2$^{nd}$ Cent. AD). - Archaeologische mittaeilungen aus Iran. band 28. Berlin.
**Macharadze S. 2000.** Neue Funde aus Zichia-Gora. - Archäologische mitteilungen aus Iran und Turan. band 32. Berlin.
**Narimanišvili G. 2000.** Die keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenilischer Zeit. - Archäologische mitteilungen aus Iran und Turan. band 32. Berlin.
**Narimanishvili G., Shatberashvili V. 2004.** Red-painted Pottery of the Achaemenid and Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology. – Anceint Near Eastern Studies. vol. XLI.

## შემოკლებათა სია

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ძმ – ძეგლის მეგობარი.
ВДИ – Вестник древней истории.
ИКОИМАО – Известия кавказского отделения императорского московского археологического общество.
СА – Советская Археология.

სურათების აღწერა:

სურ. 1. წალკის მუნიციპალიტეტის ზედა ზონის ტოპოგეგმა. აქ გამავალი საავტომობილო გზის აღნიშვნით.
სურ. 2. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის აპრილი.
სურ. 3. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის აპრილი.
სურ. 4. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.
სურ. 5. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.
სურ. 6. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.
სურ. 7. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.
სურ. 8. ედი-ქილისას ნამოსახლარი. Google 2009. ძეგლის საზღვრების აღნიშვნით.
სურ. 9. ნამოსახლარის ტოპოგეგმა.
სურ. 10. გენგეგმა.
სურ. 11. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი.
სახლი № 1. 2009 წლის ივნისი.
სურ. 12. № 1 სახლის ხედი ჰუმუსის მოხსნის შემდეგ.
სურ. 13. № 1 სახლის ხედი ჩაქცეული კედლის ქვების მოხსნის შემდეგ.
სურ. 14. № 1 სახლის ჩრდილოეთი კედლის ხედი. დეტალი.
სურ. 15. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან.
სურ. 16. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან. იატაკის დონე.
სურ. 17. № 1 სახლის ხედი. აღმოსავლეთიდან. იატაკის დონე.
სურ. 18. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი.
სურ. 19. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი
სურ. 20. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი
სურ. 21. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან. იატაკის დონე.
სურ. 22. № 1 სახლის ხედი. აღმოსავლეთიდან. იატაკის დონე.
სურ. 23. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.
სურ. 24. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.
სურ. 25. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.
სურ. 26. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.
სურ. 27. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. შეწირული გოჭების ჩონჩხი.
სურ. 28. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. შეწირული გოჭების ჩონჩხი.
სურ. 29. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ორმოში შეწირული გოჭის ჩონჩხი.
სურ. 30. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ორმოში შეწირული გოჭის ჩონჩხი.
სურ. 31. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.
სურ. 32. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.
სურ. 33. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი აღმოსავლეთიდან.
სურ. 34. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.
სურ. 35. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი დასავლეთიდან.
სურ. 36. № 1 სახლის საერთო ხედი დასავლეთიდან.
სურ. 37. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ და № 4 ორმოს ხედი გათხრამდე.
სურ. 38. № 1 სახლი. ჩრდილოეთი კედელი.
სურ. 39. № 2 სახლი. ხედი აღმოსავლეთიდან.
სურ. 40. № 2 სახლი. ხედი აღმოსავლეთიდან.
სურ. 41. № 2 სახლი. შემორჩენილი კედლის ფრაგმენტი..
სურ. 42. № 3 სახლი. ზედა, ქვაყრილის დონე.
სურ. 43. № 3 სახლი. ზედა, ქვაყრილის დონე. დეტალი.
სურ. 44. № 3 სახლი. ხედი ქვაყრილის აღების შემდეგ.

სურ. 45. № 3 სახლი. დეტალი.
სურ. 46. № 3 სახლი. დეტალი.
სურ. 47. № 3 სახლი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.
სურ. 48. № 3 სახლი. საერთო ხედი.
სურ. 49. № 3 სახლი. საერთო ხედი დასავლეთიდან.
სურ. 50. № 3 სახლი. საერთო ხედი
სურ. 51. № 1 ორმოს ხედი გათხრემდე. 2009 წლის აპრილი.
სურ. 52. № 1 ორმოს ხედი. გათხრამდე. 2009 წლის ივნისი.
სურ. 53. № 1 ორმო. ქვაყრილი.
სურ. 54. № 1 და № 2 სამეურნეო ორმოები. პრეპარაციის პროცესი.
სურ. 55. № 2 სამეურნეო ორმოი. პრეპარაციის პროცესი.
სურ. 56. № 1 და № 2 სამეურნეო ორმოები. ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.
სურ. 57. №№ 1,2 და 3 სამეურნეო ორმოები. ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.
სურ. 58. №№ 4-7 სამეურნეო ორმოები. ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.
სურ. 59. №№ 5-7 სამეურნეო ორმოები. ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.
სურ. 60. №№ 5-7 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.
სურ. 61. № 2 სახლის კედელი და №№ 5-7 სამეურნეო ორმოები.
სურ. 62. № 8 სამეურნეო ორმო.
სურ. 63. № 8 სამეურნეო ორმო.
სურ. 64-65. ქოთანი.
სურ. 66-70. ხელსაფქვავები. № 1 სამეურნეო ორმო.
სურ. 71-72. ხელსაფქვავი. № 1 სახლი.
სურ. 73-78. ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი.
სურ. 79. მოხატული კერამიკა.
სურ. 80. № 1 სახლში აღმოჩენილი ამულეტები.
სურ. 81. ძვლის იარაღები.
სურ. 82. ბრინჯაოს სამაჯური და რგოლი.



სურ. 1. წალკის მუნიციპალიტეტის ზედა ზონის ტოპოგეგმა
აქ გამავალი საავტომობილო გზის აღნიშვნით.



სურ. 2. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის აპრილი.



სურ. 3. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის აპრილი.



სურ. 4. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.



სურ. 5. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.



სურ. 6. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.



სურ. 7. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი. 2009 წლის ივნისი.




სურ. 8. ედი-ქილისას ნამოსახლარი. Google 2009. ძეგლის საზღვრების აღნიშვნით.




სურ. 9. ნამოსახლარის ტოპოგეგმა.



სურ. 10. გეგმეგმა.



სურ. 11. ნამოსახლარის დაზიანებული ნაწილის ხედი.
სახლი № 1. 2009 წლის ივნისი.



სურ. 12. № 1 სახლის ხედი ჰუმუსის მოხსნის შემდეგ.



სურ. 13. № 1 სახლის ხედი ჩაქცეული კედლის ქვების მოხსნის შემდეგ.



სურ. 14. № 1 სახლის ჩრდილოეთი კედლის ხედი. დეტალი.



სურ. 15. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან.



სურ. 16. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან. იატაკის დონე.



სურ. 17. № 1 სახლის ხედი. აღმოსავლეთიდან. იატაკის დონე.



სურ. 18. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი.



სურ. 19. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი



სურ. 20. № 1 სახლის კედლის მშენებლობის ტექნიკა. დეტალი



სურ. 21. № 1 სახლის ხედი. დასავლეთიდან. იატაკის დონე.



სურ. 22. № 1 სახლის ხედი. აღმოსავლეთიდან. იატაკის დონე.



სურ. 23. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.



სურ. 24. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.



სურ. 25. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.



სურ. 26. № 1 სახლი. ღუმელი. დეტალი.



სურ. 27. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. შეწირული გოჭების ჩონჩხი.



სურ. 28. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. შეწირული გოჭების ჩონჩხი.



სურ. 29. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ორმოში შეწირული გოჭის ჩონჩხი.



სურ. 30. № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ორმოში შეწირული გოჭის ჩონჩხი.



სურ. 31. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.



სურ. 32. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.



სურ. 33. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 34. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.



სურ. 35. № 1 სახლი. № 3 ორმოს ხედი დასავლეთიდან.



სურ. 36. № 1 სახლის საერთო ხედი დასავლეთიდან.



სურ. 37. № 1 სახლი. № 2 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ
და № 4 ორმოს ხედი გათხრამდე.



სურ. 38. № 1 სახლი. ჩრდილოეთი კედელი.



სურ. 39. № 2 სახლი. ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 40. № 2 სახლი. ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 41. № 2 სახლი. შემორჩენილი კედლის ფრაგმენტი..



სურ. 42. № 3 სახლი. ზედა, ქვაყრილის დონე.



სურ. 43. № 3 სახლი. ზედა, ქვაყრილის დონე. დეტალი.



სურ. 44. № 3 სახლი. ხედი ქვაყრილის აღების შემდეგ.



სურ. 45. № 3 სახლი. დეტალი.



სურ. 46. № 3 სახლი. დეტალი.



სურ. 47. № 3 სახლი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 48. № 3 სახლი. საერთო ხედი.



სურ. 49. № 3 სახლი. საერთო ხედი დასავლეთიდან.



სურ. 50. № 3 სახლი. საერთო ხედი.



სურ. 51. № 1 ორმოს ხედი გათხრემდე. 2009 წლის აპრილი.



სურ. 52. № 1 ორმოს ხედი. გათხრამდე. 2009 წლის ივნისი.



სურ. 53. № 1 ორმო. ქვაყრილი.



სურ. 54. № 1 და № 2 სამეურნეო ორმოები. პრეპარაციის პროცესი.



სურ. 55. № 2 სამეურნეო ორმოი. პრეპარაციის პროცესი.



სურ. 56. № 1 და № 2 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.



სურ. 57. №№ 1,2 და 3 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.




სურ. 58. №№ 4-7 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.




სურ. 59. №№ 5-7 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.



სურ. 60. №№ 5-7 სამეურნეო ორმოები.
ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.



სურ. 61. № 2 სახლის კედელი და №№ 5-7 სამეურნეო ორმოები.



სურ. 62. № 8 სამეურნეო ორმო.



სურ. 63. № 8 სამეურნეო ორმო.





სურ. 64-65. ქოთანი.











სურ. 66-70. ხელსაფქვავები. № 1 სამეურნეო ორმო.





სურ. 71-72. ხელსაფქვავი. № 1 სახლი.



სურ. 73.



სურ. 74

.



სურ. 75.



სურ. 76.



სურ. 77.



სურ. 78.



სურ. 79.



სურ. 80.



სურ. 81.



სურ. 82.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

გოდერძი ნარიმანიშვილი

# სანთის ყორღანის არქეოლოგიური გათხრები

საველე სამუშაოების დოკუმენტური ანგარიში

თბილისი

2009

## შესავალი

სოფ. სანთა მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სოფელი გაშენებულია წალკის წყალსაცავის ნაპირზე. სოფლის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, რომელთა შესწავლა XIX ს-ში დაიწყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX ს-ის 30-40-იან წლებში ბ. კუფტინის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს. მის მიერ სოფლის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები.

1999 წელს ჩვენს მიერ სოფლის სამხრეთით, წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I ყორღანის სიახლოვეს რამდენიმე გაუთხრელი ყორღანი, ვრცელი სამაროვანი და გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დაფიქსირდა. წყლის მუდმივი ზემოქმედება აქ განთავსებულ არქეოლოგიურ ძეგლების დაზიანებას და განადგურებას იწვევს.

წყალსაცავის ზონაში მოქცეული არქეოლოგიურ ძეგლებზე გადარჩენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემუშავდა ეროვნული მუზეუმისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი - „თრიალეთი (კულტურული პროცესები ძვ.წ. III-II ათასწლეულში)“. პროექტის ხანგრძლივობა 5 წლით (2009 – 2013 წწ). არის განსაზღვრული.

**პროექტის მიზანი:** 1). ყორღანების, საკულტო-სარიტუალო კომპლექსებისა და ნამოსახლარების გათხრა; 2). ანგარიშებისა და გამოკვლევების პუბლიკაცია.

**პროექტის საველე სამუშაოების ამოცანები:** ძეგლების ხასიათის გარკვევა; სტრატიგრაფიის დადგენა; არქეოლოგიური ტოპორუკის შედგენა; მოპოვებული არტეფაქტებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის გაკეთება; გამოვლენილი ძეგლების აღწერა, აზომვა, ფოტოფიქსაცია.

**2009 წელს პროექტი ითვალისწინებდა:** 1. საველე სამუშაოების ჩატარდებას LI ყორღანზე; 2. მასალის ლაბორატორიულ დამუშავებას.

საველე სამუშაოები წარიმართა ა.წ. 10 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე, მასალის ლაბორატორიული დამუშავება კი 20 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე მიმდინარეობდა.

**საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ:**

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – პროექტის თანახელმძღვანელი.
2. მოტცენბეკერი ინგო – პროექტის თანახელმძღვანელი.
3. მუვანიძე ბიძინა – არქეოლოგი.
4. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი.
5. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი.
6. კვაჭაძე მარინე – არქეოლოგი.
7. თევზაძე ალექსანდრე - ტოპოგრაფი.
8. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი.
9. სახვაძე ელეონორა – მხატვარი.
10. ესვანჯია ინგა – მხატვარი.
11. ნარიმანიშვილი დიმიტრი – მაგისტრანტი.
12. ნატროშვილი მიხეილი – მაგისტრანტი.
13. კარელიძე გიორგი – მაგისტრანტი.
14. კოწოწაშვილი ელზა – სტუდენტი.
15. თამაზაშვილი ქეთევანი – სტუდენტი.

## პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

**სოფ. სანთას** ძველი სახელი უწყლოა. უწყლო მდებარეობდა „მდ. ქციის მარცხენა მხარეს, კოხაჯ-ცრიცის და ერან-თურანის ხევებს შუა, ცრიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფარეხის ჩრდილოეთით [ლორთქიფანიძე, 1935, გვ. 351].“ „თრიალეთის სოფლების სამძღვრების” მიხედვით: „ჭიტებსა და უწყალოს შუა მთიდამ თხრილი ჩამოსდევს, და ბოლოს დიდი ჯვარიანი ქუა ზის საბატის თავისაკენ; გიორგი მეფის ჟამში ჩასმული ქუა მოეგლიჯათ, ისრევ ჩავსვით. იმ სამნიდამ მელას ტამალიას სწორად დიდი გოხია იმის სწორათ გამოგვისამძღვრავს. უწყლოსა და საბატეს შუა, საბატელნი ჯვარიანს ქუას, და ტბის პირს ამბობდენ სამძღვარათა უწყალოველნი, და ქვებიც ისხდა, გორა იყო, გელაზის ქუა რომ ძეს, იმის გასწორ კუკიას და სამეხრეოს შუა დიდი სამძღვარის ქუა ძეს” [ქსძ, 1965, გვ. 325].

**1721 წლის აღწერით უწყლოში ითვლებოდა 1 მებატონე (სულეიმანიშვილი), 4 გამომღები და 2 ბოგანო ყმა: მამასახლისი ესტატე, ელიაშვილი გიორგი, გულაიზაშვილი ასლამაზა, ნურალა, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო გზირი [მასალანი, 1907, გვ. 52].**

ექ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს სანთის მოსახლეობა შეადგენდა 60 კომლ ბერძენს. სოფელში რამდენიმე კომლი ბერძენიდა დარჩა.

სოფლის ცენტრში **სამების ეკლესია** მდებარეობს. ეკლესია ააშენეს ბერძნებმა 1874 წელს ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე. იგი წარმოადგენს გუმბათოვან ნაგებობას და აშენებულია დამუშავებული ქვის კვადრებით ძველის ეკლესიის ადგილას.

ეკლესიას აღმოსავლეთიდან სამნაწილიანი შვერილი აფსიდა აქვს. გეგმაში ჯვრის ფორმა აქვს. ცენტრში აღმართულია გუმბათი, რომელიც ოთხ სვეტს ეყრდნობა. საკურთხეველი სამნაწილიანია, შუაში საკურთხეველია მოთავსებული. ინტერიერი შე-თეთრებულია. იატაკი მოგებულია ქვის ფილებით. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, იგი თაღოვანია. სარკმლები გაჭრილია ოთხივე ფასადსა და გუმბათის ყელში. ეკლესიის კალთები გადახურულია კრამიტით, ხოლო გუმბათის კონუსი თუნუქით. ეკლესია შემოზღუდულია გალავნით, რომელსაც ორი კარიბჭე აქვს - აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს.

ექვთიმე თაყაიშვილს მოგზაურობის დროს ეკლესიას გუმბათი უკვე ჰქონდა. გუმბათი როგორც ჩანს 1874 წელს დაადგეს. თაყაიშვილის სიტყვებით ძველი ეკლესია უგუმბათო ყოფილა და გათლილი ქვებით ნაგები. შესასვლელის თავზე დიდი ქვა დებულა, რომელზეც ასომთავრული წარწერა იყო ამოკვეთილი. ექვთიმეს ეს ქვა ეკლესიის კედელთან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში უნახავს დადებული. ის ამჟამად ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მეორე რიგშია ჩაშენებული. პირველად ექ. თაყაიშვილი სანთაში ისეთ დროს მოხვედრილა, როდესაც მზე ირიბი სხივებით კარგად აშუქებდა წარწერას და წარწერის წაკითხვა მაშინვე მოახერხა. ორი წლის შემდეგ ექ. თაყაიშვილი ღრუბლიან ამინდში მოხვდა სანთაში და ვერაფერი გაარჩია. ეს წარწერა ათი სტრიქონისაგან შედგება და თაყაიშვილი ასე კითხულობს: „სახელითა ღმრთისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდის მარიამისათა ღვთისმშობლისათა, ესე ეკლესია მეორედ ავაგნე თეოდორე ხუცე(სმა). დავიწყე ეს ეკლესიაი, დავდევ ბალავარი ზეობასა რატ ერისთავისასა, ადიდნე ღმერთმან, მეოხედ სულისა ჩემისა და სალოცველად მშობელთა ჩემთათვს, ამინ“ [Такаишвили, 1913, გვ. 53-54].

ექ. თაყაიშვილი სანთის ეკლესიას XI-XII სს ათარიღებს. სავარაუდოა, რომ სანთის ეკლესის მშენებლობა რატი I დროსა IX ს-ის 80-ია წლებშია დაწყებული - „დავდევ ბალავარი ზეობასა რატ ერისთავისასა“. მისი მშენებლობა კი ბაღვაშთა

თრიალეთში დაბრუნების შემდეგ, 1027 წლის ახლო ხანებში უნდა დასრულებულიყო - „ესე ეკლესია მეორედ ავაგნე“.

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში **წმ. გიორგის სამლოცველო** დგას. ის აგებულია ძველი ეკლესიის ნანგრევებზე და წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. სამხრეთიდან აქვს შესასვლელი და თაღისებური სარკმელი. სამლოცველო შეთეთრებულია და თუნუქითაა გადახურული. სამლოცველოს შემოვლებული აქვს გალავანი, რომლის ჩრდილოეთ კედელში XIX ს-ის ბუხარია ჩაშენებული. აგებულია XX საუკუნეში.

სოფელში **წმ. ხარლამპის** ორი სამლოცველოა. პირველი დგას წმ. გიორგის სამლოცველოს დასავლეთით 200 მ-ზე. ის წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. შესასვლელი და სარკმელი სამხრეთის მხრიდან აქვს. სამლოცველო შეთეთრებულია, გადახურულია კრამიტით. აგებულია XX საუკუნეში.

წმ. ხარლამპის მეორე სამლოცველო კი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, სამების ეკლესიის მახლობლად დგას. სამლოცველო აგებულია ძველი შენობის საძირკველზე. იგი წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. შესასვლელი და სარკმელი სამხრეთის მხრიდან აქვს. შეთეთრებულია. გადახურულია კრამიტით. აგებულია XX საუკუნის ბოლოს.

წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთით **წმ. დიმიტრის სამლოცველო**ა. ის წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. სამხრეთიდან აქვს თაღისებური შესასვლელი. აფსიდი გამოკვეთილი არ არის. ტრაპეზის ქვად გამოყენებულია დაუმუშავებელი ლოდი. სამლოცველოს დასავლეთით ძველი ნაგებობების ნაშთია შემორჩენილი. შუა საუკუნეები, გადაკეთებულია XIX-XX სს-ში.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის დაცილებით, მინდორში **წმ. სარას სამლოცველო** დგას. ის წარმოადგენს XIX ს-ში აგებულ მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. აშენებულია დამუშავებული ქვის კვადრებით. გეგმაში ეკლესია მართკუთხაა, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. აფსიდის კედელში ჩადგმულია ქვა ჯვრის გამოსახულებით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, იგი არქიტრავულია. სამხრეთის კედელში გაჭრილია ოთხკუთხა სარკმელი. გადახურულია კრამიტით.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე **წმ. პეტრესა და პავლეს სამლოცველო** დგას. ის გებულია XIX ს-ში, ძველი ეკლესიის ადგილზე. იგი წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას. აშენებულია დაუმუშავებელი ქვებით. გეგმაში სამლოცველო მართკუთხაა, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, იგი არქიტრავულია. სამხრეთის კედელში გაჭრილია ოთხკუთხა სარკმელი. გადახურულია კრამიტით. სამლოცველოს მახლობლად დევს ქვა (1,55 X 1,17 მ), რომელსაც მოზრდილი ნახვრეტი (0,70 X 0,73 მ) აქვს (ერატიპა) [მელიქსეთ-ბეგი 1938]. სამოცველოს ქვემოთ, სანთის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე ბ. კუფტინს უინვენტარო ქვაყუთები გაუთხრია [Куфтин, 1937. გვ. 15].

სოფ. სანთის (უწყლო) ჩრდილოეთით აღმართულ მთის თხემზე ზღვის დონიდან 1739 მ სიმაღლეზე ბუნებრივი ტბის პირას **ციკლოპური სიმაგრე და ნამოსახლარი** მდებარეობს. სიმაგრე ორი, ქვედა და ზედა ნაწილისაგან შედგება. ორივე სიმაგრის კედლები აგებულია მსხვილი ლოდებით დუღაბის გარეშე. ქვედა სიმაგრე სანთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მის შუა ნაწილში, კლდოვან შვერილზე დგას, რომელსაც ქედისაგან უნაგირისებური ჩაღრმავება ყოფს. ის, ქედის თხებზე არსებული ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით, პირველივე ტერასაზეა აგებული. ციხე-სიმაგრე საკმაოდ დიდი ლოდებით, მშრალი წყობითაა ნაგები. მას ოთხკუთხა ფორმა აქვს და შემოზღუდულია 2,5-3 მ. სისქის კედლებით. ჩრდილოეთის მხრიდან ზღუდეს ახლავს სამი ცილინდრული კოშკი. დაცული მოედნის ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალურად არმართული დიდი ქვა დგას. ქვედა სიმაგრის შენების ტექნიკა

განსხვავდება თხემზე მდებარე სიმაგრისაგან, რაც შეიძლება მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზეც მიუთითებდეს. ქვედა სიმაგრეზე მცირე სამუშაოები ბ. კუფტინმა ჩაატარა. მისი დღიურის მონაცემების მიხედვით სიმაგრეზე გავლებულ თხრილში რამდენიმე ფენა დადასტურებულა. ზედა ფენა შუა საუკუნეების მასალები, ქვედა ფენაში, რომელშიც მძლავრი ხანძრის კვალი დაფიქსირდა, გვიანი ბრინჯაოს ხანის შავად გამომწვარი, გაპრიალებული და ჭადრაკული ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა. ეს დამწვარი ფენა ქვევითაც გრძელდებოდა, მაგრამ თხრილი დედაქანამდე ვერ იქნა დაყვანილი და ამდენად, ამ ადგილის სრული სტრატიგრაფია არ გაგვაჩნია [Куфтин 1936. გვ. 71-72, 74, 78]. ზედა სიმაგრეს რამდენიმე ათეული ჰა ფართობი უკავია. შთამბეჭდავია თხემის ცენტრში აგებული კედელი, რომელიც სიმაგრეს ორ ნაწილად ჰყოფს. მისი სიგრძე 100 მ-მდეა სიგანე 5-6 მ. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 2 მ-ია. სასიმაგრო კედელი სანთის ქედს გარდიგარდმო კვეთს. დიდი ლოდებით ნაგები ეს კედელი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ გაურკვეველი რჩება თუ რისგან და როგორ იცავდა ეს კედელი [Куфтин 1937. გვ. 148], რადგანაც კედელი ერთ დასახლებას ყოფს ორად. ნაგებობები და სხვა დამცავი კედლებიც ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებითაა აშენებული. სიმაგრის ტერიტორიაზე კარგად ჩანს სახლების კონტურები. 1991 წელს გაითხარა ერთი სახლი. იგი მდებარეობს ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში. მისი შიდა ზომებია 4,5 × 3,6 მ. შემორჩენილი სიმაღლე 0,75 მ-ია. კედლები ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვით. კედლების სისქე 1,1-1,2 მ-ია. იატაკი ბაზალტის დედაქანზეა გამართული. კარი გაჭრილია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მისი სიგანე 1,0 მ-ს უდრის. სახლში საკმაოდ მცირე არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. აღსანიშნავია ობსიდიანნარევი ხელით ნაძერწი უხეში კერამიკა ისეთივე როგორც საბეჭდავის "ციკლოპურ" ნამოსახლარზე. ტაფისებური ჭურჭლების ნაწილის პირზე დაკეჭნილი ორნამენტი აქვს და პირს ქვემოთ გამჭოლი ნახვრეტები ახლავს. აქვე აღმოჩნდა გვიან ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტებიც. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია ბაზალტისაგან დამზადებული სანაყი და ობსიდიანის რეტუშირებული ლამელა. მოპოვებული მასალები საბეჭდავის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალების ანალოგიურია [ნარიმანიშვილი 2004].

სანთის ციკლოპური ნამოსახლარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასახლებაა რომლის სიგრძე 1300 მ-ია, სიგანე 100-130 მ. არქეოლოგიური მონაცემებით ძეგლი ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება. ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა წაგრძელებული და რამდენიმე უბნისაგან შედგება, რომელთა შორის გამოკვეთილი ადგილი უკავია ერთიან ზღუდეში მოქცეულ ცენტრალურ დასახლებას (430 X 140 მ). სიმაგრის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუმაგრებელი უბნებია განთავსებული. სასიმაგრო სისტემა ცენტრალურ ნაწილში გადაკეტილია მძლავრი კედლით (სიგანე 3,5-4,0 მ), რომელშიც ვიწრო (1,4 მ სიგანის) კარია გაჭრილი. კარებთან, კედელს მიშენებული ჰქონია საფეხურები. მათი კვალი დღეს აღარ შეინიშნება. ეს მონაკვეთი აზომილი აქვს ვ. წილოსანს.

სოფლის მიდამოებში **ყორღანების** რამდენიმე ჯგუფია გამართული (სურ. 1). ერთი ჯგუფი განლაგებულია სანთის სამხრეთით 1,0 კმ დაცილებით, სოფ. სანთიდან წყალსაცავისაკენ მიმავალი გრუნტის გზის აღმოსავლეთით. სამ ყორღანს ბ. კუფტინმა მიაკვლია, რომელთაგან ერთი (III) 1936 წელს გათხარა კიდეც, მეორე ყორღანის (ანტონინ თეფესი) გათხრა დაიწყო, მაგრამ არ დაუსრულებია. ყორღანების ამ ჯგუფის გარშემო კიდევ რამდენიმე, მცირე ზომის ყორღანია. ყველა მათგანი ქვამიწაყრილიანი ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. თარიღდება შუაბრინჯაოს ხანით.

**ყორღანების** მეორე ჯგუფი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 300 მ-ზე, მინდორში, სადაც სამი მოზრდილი და მათ გარშემო არსებული მცირე ყორღანები

შეინიშნება. ყველა მათგანი მიეკუთვნება ქვაყრილიანი ყორღანების ჯგუფს. თარიღდება შუაბრინჯაოს ხანით.

**ყორღანების** მესამე ჯგუფი მდებარეობს სანთიდან სამხრეთ-დასავლეთით 500 მეტრის დაცილებით. ისინიც ქვაყრილიანი ყორღანების ჯგუფს. მიეკუთვნება და ბრინჯაოს ხანით თარიღდება.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 0,6 კმ-ის დაცილებით, **ნერონ-დერესის სამაროვანი და ნამოსახლარი** მდებარეობს. დასახლება ძირითადად ნერონ-დერესის ხევის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, სამაროვანი კი ხევის მარცხენა ნაპირზე. სამაროვანზე 1936-37 წლებში კუფტინმა გათხარა ანტიკური ხანის რვა სამარხი [Куфтин 1941. გვ. 30-34; გაგოშიძე, თრიალეთის სამაროვნები, III; მისივე მაცნე, № 2, 1975]. სამაროვანი ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება. სამარხების თავზე შუასაუკუნეების ნაგებობის კედლები გაიწმინდა.

ხევის მარჯვენა ფლატეში კარგად ჩანს ნამოსახლარის ნაშთები. კულტურული ფენა 40 მეტრის სიგრძეზე გრძელდება. ჭრილში დაფიქსირდა მიწური სახლები, რომლებიც ხანძრის შედეგად ჩანს დანგრეული. ნამოსახლარზე გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ აქ შეგროვებული მასალების მიხედვით ის გვიანელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნოს. მოპოვებულ მასალებს შორის გამოირჩევა, გაცილებით ძველი რეტუშირებული საფხეკი.

სანთიდან სოფ. ჯინისისაკენ მიმავალი გზის მშენებლობის დროს, რომელიც შემდეგ მიატოვეს, გზის გასწვრივ, სოფლიდან 1,0 კმ დაცილებით, ნერონ დერესის ხევის სათავესთან, ადგილ „ჩაირლიხში" 1936 წელს კუფტინმა სასანური ხანის შვიდი ქვაყუთი გათხარა [Куфтин 1936. გვ. 78-79; Куфтин 1941. გვ. 21]. სანთაშივე გაუთხრია პართული ხანის სამარხები [Куфтин 1941. გვ. 24]. სოფლის დასავლეთით, იმ ქედის ძირში, რომელზეც „ციკლოპური" ციხეა", სანთიდან სოფ. ხაჩკოისაკენ მიმავალი გზასთან, ადგილ „მარალინ დერესში", 1937 წელს, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანზე ცხრა ქვაყუთი გაითხარა [Куфтин 1936. გვ. 107-108; Куфтин 1941. გვ. 50-55]. 1939 წლის 12 ოქტომბერს, სოფლის დასავლეთ ნაწილში, ნიკოლოზ ასლანოვის ეზოში ორი სამარხი გათხარა, ი. მურადოვმა კუფტინს სოფელში ნაპოვნი თიხის ორი ჭურჭელი გადასცა [Куфтин 1941. გვ. 20-22], ამხა სავოვს კი სოფლის ტერიტორიაზე ქვაყუთი უნახავს, სადაც ღია ფერის თიხის ჭურჭლები და რკინის ნივთები უპოვია [Куфтин 1936. გვ. 73]. 1912 წელს კონსტანტინე ასლანოვის სახლის ეზოში აღმოჩნდა ის ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული [Куфтин 1936. გვ. 118].

1989 წლიდან, როდესაც წალკა–თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ჩამოყალიბდა წყალსაცავის ფსკერზე მოქცეულ ძეგლებს დიდი ყურადღება ექცეოდა.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს კუფტინის მიერ გათხრილ ყორღანთა დიდი ნაწილი წყლის ქვეშ მოექცა (სურ. 1). შეუსწავლელი დარჩა მრავალი მცირე ზომის ყორღანი და გათხრილ ყორღანთა მიმდებარე ტერიტორიები. 90-იანი წლების დასაწყისიდან, ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, წყალსაცავის დონემ თანდათან იკლო. ექსპედიცია (ნინო შანშაშვილი, ლალი ახალაია, გიორგი ტატიშვილი, შალვა მელიქიძე), შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველთვის ცდილობდა წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი ძეგლების ფიქსაციას და შესწავლას: 1996 წელს, ბ.კუფტინის მიერ გათხრილი XIX ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით 40 მ დაცილებით, გაითხარა ბედენური კულტურის ქვაყუთი; აქვე და X ყორღანის დასავლეთით დაფიქსირდა მცირე ზომის წრიული ქვაყრილები; 1997 წელს, XIX ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით და X ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,2 კმ დაცილებით, გაითხარა გვიანანტიკური ხანის ქვაყუთი.

1999 წლის სექტემბერში წალკის წყალსაცავის ფართობი იმდენად შემცირდა, რომ დღის სინათლეზე ამოვიდა 30-იან წლებში ჩაძირული სოფლები შეპიაკი, სანომერი და წინწყარო. ექსპედიციის ფინანსური მდგომარეობა არ იძლეოდა წყალსაცავის დაცლის დინამიკაზე ხანგრძლივი დაკვირვების საშუალებას. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან წყლის დონე ზამთარში ყველაზე დაბალ დონეს აღწევდა. 1999 წლის 30 სექტემბერს, წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე მუშაობის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია სოფ. სანთის სამხრეთით, კუფტინის მიერ გათხრილი I ყორღანის მიდამოებში გამოვლენილმა მცირე ზომის ქვაყრილებმა და სხვა სტრუქტურებმა. ეს მონაკვეთი წყლისაგან ახალი დაცლილი იყო. ტერიტორია ტალახით და გუბეებით იყო დაფარული. ამ ფაქტის, დროის სიმცირის გამო, გაშიშვლებული ფართობის სრულად დათვალიერება ვერ მოხერხდა. მალე დაკომპლექტდა ექსპედიცია, რომელიც არქეოლოგების გიორგი მინდიაშვილის და ბიძინა მურვანიძის, ტოპოგრაფ ალექსანდრე თევზაძის, არქიტექტორ შალვა მელიქიძის შემადგენლობით 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით მუშაობდა წყალსაცავის ფსკერზე. წყლისაგან განთავისუფლებული ფართობი მთლიანად აიგეგმა ტოპოგრაფიულად, გეგმაზე იქნა დატანილი ყველა გამოვლენილი ძეგლი, მოხდა მათი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია. გაითხარა L ყორღანის კრომლეხის შიგნით არსებული ბედენური კულტურის დროინდელი სამარხი. მიკვლეულ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი (სურ. 4). ამ ექსპედიციის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს კუფტინის მიერ გათხრილ და ზოგიერთ გაუთხრელ ყორღანთან დადასტურებული ქვაფენილიანი, გრანდიოზული გზები (სურ. 2, 3).

იმავე წლის 1 ნოემბერიდან 20 ნოემბრის ჩათვლით, კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანების იდენტიფირების და ახლად გამოვლენილი ძეგლების უფრო დაწვრილებით შესწავლის მიზნით, ექსპედიცია (გიორგი მინდიაშვილი, ზურაბ მახარაძე, ბიძინა მურვანიძე, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე თეზაძე) კიდევ ერთხელ იქნა მივლინებული თრიალეთში. ექსპედიციამ, ბეიუკ-თეფეს (I ყორღანი) სამხრეთით მდებარე XLVIII ყორღანის გათხრა დაიწყო, რომლის დასრულება დიდთოვლობის გამო მაშინ ვერ მოხერხდა. გაითხარა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ექვსი ქვაყუთი (სურ. 5-8) და ძვ.წ. IV საუკუნის ორმოსამარხი.

წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი ძეგლების დაზვერვა და ფიქსაცია 2001 წლის გაზაფხულზეც განხორციელდა (ნინო შანშაშვილი, ლალი ახალაია, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე თევზაძე). დაფიქსირდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი და რამდენიმე ათეული კრომლეხიანი სამარხი.

2001 წლის ოქტომბერში ტროა-პროექტის ხელმძღვანელის პროფ. მანფრედ კორფმანის დახმარებით გაითხარა L ყორღანის სარიტუალო გზისა და კრომლეხის ნაწილი. 2002 წლის მარტში წყალსაცავის დონე მაქსიმალურად დაეცა, რასაც ახალი ძეგლების გამოვლენა მოჰყვა, რომელთა ფიქსაცია (გიორგი მინდიაშვილი, ნინო შანშაშვილი, გიორგი ტატიშვილი და ალექსანდრე თევზაძე) მარტშივე განხორციელდა. წყალსაცავის ფსკერის მუდმივი მონიტორინგი 2002-2006 წლებშიც მიმდინარეობდა, რომლის დროსაც დაფიქსირდა რამდენიმე ახალი სამარხი და ქვის ხანის სადგომი.

წყალსაცავი სეზონური რეგულირებისაა. წყლის დონის დაწევა კი ყოველთვის იწვევს ნასოფლარებისა და სხვა არქეოლოგიური ძეგლების გამოჩენას. 1999-2001 წლებში წალკის წყალსაცავის დონემ საგრძნობლად დაიწია. წყლისაგან განთავისუფლდა რამდენიმე კვადრატული კილომეტრი, რამაც გამოიწვია იმ ველის გაშიშვლება, სადაც კუფტინი აწარმოებდა ძირითად სამუშაოებს. გამოვლინდა წყლის მოქმედების შედეგად „პრეპარირებული" სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარები, სამაროვნები და ყორღანები, რომლებიც წყალსაცავის შევსების (1947 წ) შემდეგ წყლით იყო დაფარული. მათ შორის კუფტინის მიერ გათხრილი I, II, IV-IX, XV-XVIII

ყორღანები და აქამდე უცნობი ნამოსახლარები, სამაროვნები და ყორღანები. ერთ-ერთ გაუთხრელ ყორღანთან (XLVII) ქვაფენილიანი გზა დადასტურდა (სურ. 10).

**XLVII ყორღანი** სოფ. სანთის სამხრეთით, I ყორღანის (ბეიუკ-თეფე) დასავლეთით 552 მ-ის დაცილებით, მდებარეობს. იგი ქვაყრილიანია. მისი დიამეტრი 55-60 მ, სიმაღლე 1.2-1.5 მ-ია. მკაცრად აღმოსავლეთის მხრიდან, ყორღანის სარტყელზე მიდგმულია ქვაფენილიანი გზა, რომლის ნაპირებიც დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შემაგრებული. მათ შორის მოქცეული არე კი შედარებით წვრილი ქვებითაა მოგებული. გზის დაფიქსირებული სიგრძე 370 მ-ია, სიგანე - 6 მ. გზაზე და გზის გასწვრივ სხვადასხვა სტრუქტურები დაფიქსირდა (სურ. 9),

ყორღანის სარტყელს (კრომლეხს) გზა 365 მ-ზე უერთდება (სურ. 2, 3). სარტყლის სიგანე 1,0-1,2 მ-ია. სარტყლის პერანგის პირები დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შედგენილი, შიდა სივრცე მომცრო ქვებითაა შევსებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სარტყელი გზაზე გადადის. სარტყელის გარე პირიდან გზა ყორღანის ცენტრისაკენ კიდევ 5,0 მ-ით გრძელდება. გზის და ყორღანის სარტყელთან შეერთების ადგილზე, გზის ორივე მხარეს ორი კრომლეხია გამართული, რომელთა წრეები ყორღანის სარტყელზეა მიბჯენილი. ჩრდილოეთით მდებარე კრომლეხის დიამეტრია 17,0 მ, სამხრეთისა 22,0 მ.

ყორღანის წრე თითქოს არაწესიერი ფორმისაა. ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე მისი დიამეტრი 60,0 მ-ია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 55,0 მ. ყრილი საშუალო და მცირე ზომის ბაზალტის ქვებისაგან შედგება. აეროფოტოგადაღების მიხედვით, შეიძლება სამარხი კამერის მდებარეობის გარკვევა. იგი ყორღანის ცენტრშია გამართული. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვაქვს დასაკრძალავ დარბაზთან, რომლის კედელები ქვითაა ამოშენებული. დარბაზის კედლები უფრო დიდი ზომის ქვებით ჩანს ნაგები, ვიდრე ყრილის ქვებია. დასაკრძალავი დარბაზი, როგორც ჩანს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა, რომლის სამხრეთ კედელში, ჩრდილო-დასვლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში ნიშებია გამართული. დრომოსი თითქოს არ შეინიშნება, თუმცა აღმოსავლეთ კედელში წაგრძელებული ფორმის ღიობის ნიშნები მაინც ჩანს.

XLVII ყორღანის გარშემო სხვადასხვა ზომის და ტიპის ყორღანი დადასტურდა (სურ. 1. 9, 10), რომელთა შორის ორი XLIX და LI გზიანია. აქვე შეინიშნება ოთხკუთხა ნაგებობების კონტურები, სხვადასხვა ეპოქის სამარხი ქვაყუთები (სურ. 11, 12) და წრიული ქვაყრილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყორღანის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით გამართული სამაროვანი. დაახლოებით 1,0 ჰა ფართობზე, ზედაპირულად 50-ზე მეტი სამარხი შეინიშნება. ყველა მათგანი ერთი ტიპისაა – ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხის (რომელთა დიამეტრი 6-14 მ-ს შორის მერყეობს) ცენტრში ბაზალტის ორი ან სამი დიდი ფილა დევს.

**XLVIII ყორღანი** I ყორღანის სამხრეთით 180 მ-ზე მდებარეობს. ქვაყრილიანია, ცენტრალური ნაწილი ქვებისაგან შედარებით თავისუფალია. ყრილს გარშემო შემოუყვება ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი (დიამეტრი 23 მ), რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან სარიტუალო გზა უერთდება. გზის დაფიქსირებული სიგრძე 48 მ-ია, სიგანე – 4 მ. მისი კიდეები დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შემაგრებული, შიდა სივრცე კი ამავე ჯიშის საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული.

**XLIX ყორღანი** XLVII ყორღანის ყრილის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გამართული. შემორჩენილია ბაზალტის საშუალო ზომის ქვებით შედგენილი ორმაგი კრომლეხი, რომლის მაქსიმალური დიამეტრი 25 მ-ია. ცენტრში შეინიშნება წვრილი ქვებით შედგენილი ქვაყრილი. სარიტუალო გზის სიგანე 4 მ-ია, შემორჩენილი სიგრძე კი 7 მ-ს აღწევს.

**L ყორღანი** XV ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 მ. დაცილებით მდებარეობს. შეიძლება ეს ის ყორღანია, რომლის გათხრაც კუფტინმა დაიწყო და შემდეგ მიატოვა (ამ მიდამოებში აქვს დაწყებული ბ. კუფტინს „დაბალი ყორღანული შემაღლების" გათხრა, რომლის თაობაზეც აღნიშნავს, რომ იგი ბუნებრივი ბორცვი აღმოჩნდა [Куфтин 1938, გვ. 8-9]). XV ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით დღეისათვის არავითარი ბორცვი ან შემაღლება არ შეინიშნება. არ არის გამორიცხული, რომ კუფტინმა რომელიმე სხვა შემაღლებაზე იმუშავა, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი არ არის.

ბ. კუფტინის აღწერილობის მიხედვით ამ ადგილზე დაბალი ბორცვი ყოფილა. როგორც ჩანს, ყორღანის ყრილი მთლიანად მიწისა იყო, რომელიც წყლის მოქმედების შედეგად მოიხსნა და მხოლოდ კრომლეხი დარჩა. ყორღანის სარიტუალო გზა კრომლეხის ყრილის აღმოსავლეთიდან უერთდებოდა.

L ყორღანზე დღეისათვის გათხრილია მხოლოდ გზის მცირე მონაკვეთი, კრომლეხის ყრილის ერთი ნაწილი და კრომლეხის შიგნით, გზასა და სამარხ კამერას შორის. კრომლეხის დიამეტრი 22 მ-ია. იგი შედგენილია საშუალო და წვრილი ბაზალტის ქვებით. ქვაწრის სიგანე 1,5 მ-ია. კრომლეხს სიმეტრიულად განლაგებული ოთხი შვერილი აქვს. სამი მათგანი კრომლეხის შიდა რკალზეა მიდგმული და სამარხი კამერისაკენაა მიმართული. ერთი კი, აღმოსავლეთის მხარეს გამართული, გარეთა რკალს უერთდება. მათი ურთიერთმიმართების დადგენის მიზნით, ამ მონაკვეთში მცირე სამუშაოები ჩატარდა. გაირკვა, რომ კრომლეხის გარეთა წრეს ბაზალტის ქვებით დაგე-ბული გზა ებჯინება. მისი სიგანე 4,2 მ-ია, გამოვლენილი მონაკვეთის სიგრძე 13 მ-ს უდრის. გზის ორივე ნაპირზე, საშუალო სიდიდის ბაზალტის ქვებით, 0,8 მ სისქის კედლებია ამოყვანილი. მათ შორის არსებული სივრცე საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული. გზა ოდნავ დახრილია. კრომლეხთან იგი უფრო მაღალია, სადაც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,3 მეტრითაა შემაღლებული, ხოლო აღმოსავლეთით თანდათანობით დაბლდება. განათხარი ფართობის აღმოსავლეთით დაახლოებით 30 მ-ის სიგრძეზე მიწიდან ამოჩრილი ქვების ორი რიგი შეინიშნება, რომლებიც უკვე გათხრილი გზის კიდეებს ემთხვევა. სავარაუდოა, რომ ისინი გზის ნაშთებს წარმოადგენენ. არ არის გამორიცხული, რომ გზა უფრო აღმოსავლეთითაც გრძელდებოდა.

XV და L ყორღანებს შორის არსებული მცირე ზომის ქვაყრილები გაითხარა, რომელთაგან ორი გაითხარა. გაირკვა, რომ ისინი მიწის ბორცვების საფარს, ჯავშანს წარმოადგენენ. ასეთი ჯავშნის სისქე 0,01-0,015 მ-ს არ აღემატება. იქმნება შთა-ბეჭდილება, რომ ისინი ყორღანების იმიტაციაა. ბორცვები მიწის ზედაპირზეა გამართული. ქვაყრილებში ობსიდიანის რამდენიმე უსახო ანატკეცი აღმოჩნდა. სხვა მასალას ეს ბორცვები არ შეიცავენ.

ასეთივე ბორცვები დაფიქსირდა XLVII ყორღანის სარიტუალო გზის ორივე მხარეს და I ყორღანის ჩრდილოეთით. აგებულებითა და ფორმით მსგავსი ყრილები რიგებად, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა განლაგებული და სიგრძეში 400-500 მ აღწევს. ყრილებს შორის მანძილი 10 მ-ია, რიგებს შორის კი 30 მ.

**LI ყორღანი** XLVII ყორღანის ყრილის ჩრდილოეთით 15 მ-ის დაცილებითაა გამართული (სურ. 1, 9, 10). შემორჩენილია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი (დიამეტრი 23 მ), რომლის ცენტრშიც ბაზალტის წვრილი ქვებით შედგენილი ყრილი შეინიშნება. კრომლეხის კიდიდან აღმოსავლეთით სარიტუალო გზა მიემართება. მისი დაფიქსირებული სიგრძე 30 მ-ია, სიგანე – 4 მ. ყორღანი გასათხრელია.

**LII ყორღანი** XVII ყორღანის სამხრეთით 350 მ და XV ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით 550 მ დაცილებით მდებარეობს. ყორღანს საშუალო ზომის ბაზალტის ქვებით შედგენილი კრომლეხი აქვს. მისი დიამეტრი 9,5 მ-ია, ქვაწრის სიგანე 1,2 მ-ს უდრის. კრომლეხის ცენტრში ოვალური ფორმის ქვაყრილია გამართული. ამ ნიშნებით ეს ყორღანი XLIX და LI ყორღანებს, კრომლეხით კი L ყორღანს ემსგავსება. ყორღანის

აღმოსავლეთით, ერთ ხაზზე განლაგებული, ქვაწრიანი და ქვაყრილიანი სამარხების ჯგუფი დაფიქსირდა.

წლების მანძილზე ექსპედიციის ძირითად მიზანს ერთ-ერთი გზიანი ყორღანის გათხრა წარმოადგენდა. უსახსრობის გამო ეს მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. ამიტომ, დავთანხმდით გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად განგვეხორციელებინა გზიანი ყორღანების შესწავლა.

2009 წელს გასათხრელად შეირჩა LI ყორღანი.

## ძირითადი შედეგების მოკლე მიმოხილვა

LI ყორღანი სოფ. სანთის სამხრეთით 2,5 კმ-ის და სოფ. წინწყაროდან 2,0 კმ დაცილებით, წყალსაცავის პირზე მდებარეობს.

ყორღანი წლის უმეტეს დროს წყლის ქვეშაა მოქცეული. ამ ადგილზე წყალი არ არის ღრმა (მაქსიმუმ 1,0 მ), ამიტომ წყალსაცავში წყლის დონის დონის მცირედ დაკლების შემთხვევაშიც ყორღანი წყლისაგან თავისუფლდება (სურ. 13).

ტალღების მოქმედების შედგად ყორღანის მიწყრილი დღეისათვის აღარ არსებობს. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მას მაღალი ყრილი არც XX ს-ის 30-იან წლებში ჰქონდა.

მიწის ზედაპირზე წრიული ქვაყრილი შეინიშნება (სურ. 11, 12), რომლის დიამეტრი 25-26 მ-ს შორის მერყეობს. ყრილი საშუალო და წვრილი ქვებითაა შედგენილი. აღმოსავლეთიდან ყრილს სარიტუალო გზა ებჯინება.

ქვაყრილის გასუფთავების (სურ. 14, 15) შემდეგ გაირკვა, რომ ყორღანს აქვს ბაზალტის შედგენილი კრომლეხი, რომლის გარე დიამეტრი 22-23 მ-ია, შიდა კი 14-15 მ. კრომლეხის გარე და შიდა წრეები ბაზალტის დიდი ქვებით () არის შედგენილი. მათ შორის მოქცეული არე კი, რომლის სიფართე 4.0 მ-ია საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული (სურ. 16-19).

კრომლეხის ცენტრში მართკუთხა ფორმის ქვაყრილია. ყრილის სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 12.0 მ-ია, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 6.0 მ.

კრომლეხის გარეთა წრეზე სარიტუალო გზა არის მიდგმული, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა დამხრობილი, შეინიშნება ოდნავი გადახრა. გზა საანგარიშო წელს 30.0 მ სირძეზე გაიწმინდა (თუმცა აშკარაა, რომ მისი სიგრძე უფრო მეტია), სიგანე კი 4.5 მ-ს უდრის.

სამარხი კამერის სიგრძე 12.0 მ-ია, სიგანე 6.0 მ-ს უდრის (სურ. 16-18). იგი აღმოსავლეთით კრომლეხის შიდა წრეს ებჯინება. სამარხი კამერის აღმოსავლეთ კიდესა და სარიტუალო გზის დასაწყისს შორის, კროლეხის ყრილში დიდი ქვების ორი რიგი შეინიშნება. ისინი ზუსტად ემთხვევა სამარხი კამერის ჩრდილოეთ და სამხრეთ კიდეებსა და სარიტუალო გზის კიდეზე ჩამწკრივებულ დიდი ზომის ქვებს. ისე, რომ სამივე ეს კომპონენტი, სამარხი კამერის ამოწმენდის დაწყებამდე ერთ სტრუქტურას ქმნიდა (სურ. 16-19), რაც ყორღანის გამართვისთანავე ჩანს ჩაფიქრებული.

სამარხი კამერის ამოსუფთავება მთელ პერიმეტრზე მიმდინარეობდა. ქვაყრილი მეტად ინტენიური აღმოჩნდა. სიღრმეში ქვების ზომები უფრო იზრდებოდა. მათი ზომები 2,2 მ სიღრმეზე 0.4 X 0.5 X 0.5 მ-ს აღწევს.

სამარხი კამერის კედლები ოდნავ დამრეცია. ისე, რომ სამარხი კამერა ძირისაკენ შესამჩნევად ვიწროვდება (სურ. 26-29). კამერის შევსებში, ალაგ-ალაგ თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა. ისინი ძირითადად კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული. ზედაპირი შავადაა გაპრიალებული და ამოკაწრული ორნამენტითაა შემკული (სურ. 36-37).

სამარხ კამერაში მუშაობა რთული იყო, რამდენადაც წყალსაცავის წყალი ახალი დაწეული იყო და შევსების მიწა ტალახად იყო ქცეული. ქვებიც ტალახით იყო დაფარული, რაც მათი ამოღებასა და გატანას ართულებდა. მუშაობას აფერხებდა უამინდობა (სურ. 30-31). რის გამოც განათხარი ფართობი გადაიხურა (სურ. 19-20). ამან სამუშაოები უფრო მოსახერხებელი გახადა (სურ. 21-23).

2,2 მ სიღრმეზე კამერაში გრუნტის წყალმა გამოჟონა (სურ. 28), რამაც სამუშაოების შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი გახადა. ამ ეტაპზე სამუშაოები დავასრულეთ. მოხდა გადახურვის დემონტაჟი (სურ. 24-25). სამარხ კამერაში ჩაფენილ იქნა ცელოფანი, რომელსაც მიწა დაეყარა.

ყორღანის გათხრა 2010 წელს დასრულება.

**პროექტის გავლენა**

მიუხედავად იმისა, რომ წალკაში არაერთი ყორღანი და სამაროვანია გათხრილი, სანთასთან, წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყორღანის შესწავლა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრით, რომ პირველად იქნება გათხრილი ყორღანი, რომელსაც სარიტუალო გზა ახლავს.

ასეთი ტიპის ყორღანები კი არა მხოლოდ თრიალეთში, არამედ ყორღანების გავრცელების არეალშიც არ არის შესწავლილი.

ამდენად, სანთის ასეთი ტიპის ყორღანის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ევრაზიული სივრცისათვისაც, სადაც ყორღანული დაკრძალვის წესი ფართოდაა გავრცელებული.

ლიტერატურა:


გაგოშიძე 1982, თრიალეთის სამაროვნები, III. თბილისი.
გაგოშიძე 1975. მაცნე, № 2. თბილისი.
ლორთქიფანიძე 1935. ქვემო ქართლი. თბილისი.
მასალანი, 1907, თბილისი.
მელიქსეთ-ბეგი 1938. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.
ნარიმანიშვილი და სხვ. 2004. წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. - საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში. თბილისი.
ქსძ 1965. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი.
Такаишвили 1913, Археолгические разведки ...
Куфтин 1936. Дневник. рукопись.
Куфтин 1937. Дневник. рукопись.
Куфтин 1941. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.


გ. ნარიმანიშვილი

18. 05. 2009




სურ. 1. ტოპორუკა წალკის წყალსაცავის და მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრილი ყორღანების აღნიშვნით.



სურ. 2. XLVII ყორღანის სარიტუალო გზა.
უკანა პლანზე I ყორღანი.



სურ. 3. XLVII ყორღანის სარიტუალო გზა.
უკანა პლანზე I ყორღანი.




სურ. 4. I ყორღანთან გამოვლენილი ნამოსახლარი.

.




სურ. 5. XLVII ყორღანში ჩაშვებული ქვაყუთი.




სურ. 6. XLVII ყორღანში ჩაშვებული ქვაყუთი.





სურ. 7 XLVII ყორღანში ჩაშვებულ ქვაყუთებში აღმოჩენილი მასალები.



სურ. 8. XLVII ყორღანში ჩაშვებულ ქვაყუთებში აღმოჩენილი მასალები.




სურ. 9. XLVII და LI ყორღანები და ჩაშვებული ქვაყუთები. გეგმა



სურ. 10. I და XLVII ყორღანების ხედი ვერტმფრენიდან.



სურ. 11. LI ყორღანის ხედი დასავლეთიდან.



სურ. 12.



სურ. 13.



სურ. 14.


სურ. 15.


სურ. 16.




სურ. 17.



სურ. 18.



სურ. 19.



სურ. 20.



სურ. 21.



სურ. 22.



სურ. 22.



სურ. 23.


სურ. 24.


სურ. 25.


სურ. 26.


სურ. 27.



სურ. 28,



სურ. 29.



სურ. 30.



სურ. 31



სურ. 32.



\

სურ. 33.



სურ. 34.



სურ. 35




სურ. 36.




სურ. 37.